


თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ე ლ ი



„დიდება შენის ქვეყნისა  
იგივ შენი დიდებაა“...

— წელიწადი პირველი. —

—••••—

ა მ ა მ ა ვ მ ა დ ა თ ა

ა გ გ ი ს ტ რ ა დ ა ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

—••••—

თ ბ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა ე ქ . ი ვ . ხ ე ლ ა ძ ი ს ა , ლ ო რ ი ს - მ ე ლ ი ქ ვ ი ს ქ უ ჩ ა , № 28.  
1901

## შინაარსი ქვე 8 დ 9:

	გვ. 830
1. ყოვლად სამღვდელო კირიონი, სურათით .	731.
2. დარიალი ანუ დარიალის ხეობა, სურათით .	733.
3. ჯავახეთი, ორი სურათით . . . . .	736.
4. ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა (შემდეგი), ინგილო ჯანაშვილისა . . . . .	740.
5. გურია (შემდეგი), კ. გვარამაძისა . . . . .	760.
6. წმ. მოლეაწე ნინო (დასასრული), ვინმე მესხისა	756.
7. დავით აღმაშენებელი (დასასრული), ლასურიძისა	771.
8. რუსულან (მექმედება მეორე) . . . . .	784.
9. იანიჩარი (მოქმ. მეოთხე), დ. ნახუცრიშვილისა	791.
10. ანტონი I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი (შემდეგი, თ. უორდანიასი), თარგმ. კ. ანთაძისა	816.
11. ცხრა ჯვარი, სოფლის კაცისა . . . . .	831.
12. აღდგომა სოფელში (დასასრული), აფრას. მერკვი- ლაძისა . . . . . . .	838.
13. აპოკრიფი: განჩინება პონტოელის პილატისა, ალ. ხახანაშვილისა . . . . . . .	845.
14. რათ ეძახიან დუდაროვებს მეტ გვარად „სლონოვს“, ქართველი ოსებში . . . . . .	848.
15. სოფელი იანეთი, კოსტა იანეთელისა . . . .	852.
16. სოლომონ ლეონიძე (შემდეგი), ი. მარუშიძისა	858.
17. კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი გვარის ისტორია, ზ. ჭ. . . . .	873.

აკვისტო და სექტემბერი №№ 8 დ 9 1901 წელი

# მოგზაური

ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრა-  
ფიულ-ეტნოგრაფიული სურათებიანი უუ-  
ნალი, გამოვა ყოველის თვის პირველს  
რიცხვებში.

წლიური ფასი ურნალ „მოგზაური“ - სა  
გაგზავნით არის 5 მანეთი. ვინც ხუთ მანეთს  
სრულად შემოიტანს, გაეგზავნება დიდი სურათი  
კუთხების კუთხის ქვეშ.

ხელის-მოწერა მიიღება „წერა-კითხვის გამავრცე-  
ლებელ საზოგადოების“ მაღაზიაში, ი. იმედაშვილის  
წიგნის მაღაზიაში და თვით რედაქტორთან, დავითის  
ვიწრო ქუჩაზე. № 20. აქვე შეიძლება ნახვა რედაქ-  
ტორისა ყოველ დღე შუადღის შემდეგ 4—7 საათამდე.  
იდრეხი; თიფლის, ვ. რედაქციური „**Могзаури**“.  
რედაქტორ-გამომცემელი ივ. პ. როსტომაზვილი.



თბილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1901

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Июля, 1901 года.*



ელემან-სამდგენელო პიროვნი, ეპისკოპოსი  
გ თ რ ი ს ა.

## დარიალი ანუ დარიალის ხეობა.


დარი-ალი, დარი-ალანი სპარსულად ნიშნავს კარებს ალანებისას; არაბი უწოდებდნენ მას ბაბ-ალ-ალანს, ე. ი. კარნი ალანებისა; ჩვენებურად ეწოდება—არაგვის-გარი, ხეგვის-გარი. ძევს 4122 ფუტზე ზღვის ზედა პირიდამ.

დარიალი წარმოადგენს მეტად ვიწრო გასავალს, სიგრძით 12 ვერსის მანძილზედ, კავკასიის მთებში, მყინვარის მთის (ყაზბეგის) ძირში, სადაც მოშენის და მოლელავს თერგი. უწინდელს დროში დარიალის გასავალი ერთად-ერთი გზა იყო ჩრდილო ველურთათვის საქართველოში შემოსევისთვის და ამიტომ ჩვენმა მეფეებმა ძლიერ ადრე მიაქციეს მის გამაგრებას თავისი ყურადღება. აი რას ვკითხულობთ ჩვენს მატიანეში დარიალის შესახებ:

„და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის-გარი (დარუბანდისა) და არაგვის-გარი, რომელ არს დარიალი“ („ქ. ცხ.“ გვ. 25).

62—112 წლებში ქრისტეს შემდეგ საქართველოში მეფობდა მირვანოს ნებრითიანი, დედის დის-წული და შვალობილი საურმავ მეფისა (ფარნავოზ მეფის შვილისა), კაცი დიადად მშვენიერი, ძლიერი, მხნე და ქველი. დურძუკელები გაუდგნენ ჩას, შეუერთდნენ ჭართალელებს და მოსტყვევნეს კახეთი და ბაზალეთი. მირვანოსმა მოუწოდა თვისს ერისთავებს, შეჰქრიბა დიდ-ძალი ჯარი, დაამარცხა დურძუკელნი—ჭართალელნი და მოხარკედ ჰყვნა იგინი. აი ამ დროს ეკუთვნის მატიანის ეს სიტყვები:

„და შეაბნა კარნი ქვით-კირითა, და უწოდა სახე-



ରୀତିନାମଣିକୁ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ.

ლად დარუბალ, და დაჯდა მირვან მცხეთას, მეფობდა ნებიერად, უშიშრად".

მირვანისისგან აშენებულს დარიალის-წისეს ჩვენი შეფენი სხვათა შორის საპყრობილებაც ხმარობდნენ. აზორკ და არმაზელ მეფეებმა, (87—103 წწ.), მაგალითად, დაამწყვდიეს აქ ტყვე-ქმნილი სომეხთ მეფის ძე ზამენი ("ქართ. ცხ" გვერდი 66).

როცა ვახტანგ გორგასლანმა (446—499 წწ.) დაიმორჩილა ოსნი და ყივჩაყნი, მატიანის სიტყვით მან:

„შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ, და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მალალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელმწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა, თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა" ("ქ. ცხ." გვ. 166).

ამ ნაშენობილამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა კოშკმა კლდის წვერზედ, გვირაბით, თერგის მარცხენა პირად, რომლის აღშენებას ხალხის გარდმოცემა მიაწერს თამარ მეფეს და რუსებიც ამიტომ უწოდებენ მას ოაშარის კოშკსა— ვამოქ თამარი.

დარიალის ხეობაშივეა გაყვანილი საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილი, რომლის გაკეთება რუსებმა დაიწყეს 1803 წელს და მხოლოდ 1820 წლებში გაათავეს.

## ჯ ა ვ ა ხ ე თ ი.

ჯავახეთი ჩვენს გეოგრაფიაში ეწოდება იმ მხარეს, რომელიც მდებარეობს ეგრედ წოდებულ მდინარე ჯავახეთის-მტკვრის ანუ უწინდებურად თაფათაჭნის წყალის ხეობაში, აუზში. ეს მდინარე არის მარჯვენა ტოტი მტკვრისა, გამოსდის თაფათაჭნის ტბას, გაივლის სადამთს ტბას და ერთვის მტკვარს ციხე ხერთვისთან, რომელიც ამაყად დაპყურებს აქ მთის ორივე შეილსა—არტაანისა და ჯავახეთის მტკვრებსა.

ჯავახეთის მტკვარი თავისს დასაწყისში თაფარავნის ანუ ფარავნის ტბილგან ისეთი პატარა და უჩინარი მდინარეა, რომ, როგორც ჩვენში იტყვიან, ქათმები თამამად გავლენგამოვლენ; მაგრამ, რამდენადაც უახლოვდება მტკვარს, იგი ისე იზრდება, რომ ზოგან ცხენითაც ძნელად გავა კაცი. ესრევე, იგი თავდაპირველად მოდის ვაკედ, მაგრამ ქვეით-და-ქვეით მას ისე ჩაუხრამავს მარჯვენა და მარცხენა კიდენი თვისნი, განსაკუთრებით-კი მარჯვენა, რომ მთელი უშველებელი კლდები და მთები აუყუდებია, რომლებშიც მრავლად მოჩანს უძველესი გამოქვაბულები სახიზნად. აი ამ მდინარის მარჯვნივ და მარცხნივ გადაშლილია თვალ-უწვდენი ვაკე-გორა, რომელიც 1:30 წლებამდის დასახლებული იყო მთლად ქართველის ტომის ხალხით, ეგრედ წოდებული ჯავახელებით, ხოლო მას შემდეგ, როცა ჯავახეთი რუსებმა ოსმალებს წარსტაცეს, იმის მაგივრად, ციციანოვის ანდერძის თანახმად, იგი ალდგენილ საქართველოს დაპბრუნებოდა, ზოგიერთა გაიძვერა პირების წყალობით, უმეტესი ნაწილი აქ მცხოვრებ ქართველებისა ოსმალეთში გადასახლდა და მათს ნაამაგდარ ველ-



მართლ-მადიდებელი ჯავახელები (სოფელ ქილდიდამ).

ჯავახელნი, ოოგორუ აქ მოყვანილი სურათებიდამაც  
დავინახავთ, ქალნი და კაცნი, საზოგადოთ ჰგვანან ქართლე-  
ლებსა, არიან ტანოვანნი, მშვენიერ-იეროვანნი, ენა აქვსთ  
ქართული, თუმცა ხნიერებმა ბევრმა იცის თათრულიც (ოს-  
მალური). ოოგორუ სურათიდამაც დაინახავთ, მართლ-მადი-  
დებელ ჯავახელებს უფრო შეუნახავთ ნამდვილი ქართული  
სახე, იერი და ჩაცმა-დახურვა, ვიდრე კათოლიკე ჯავახელებს,  
თუმცა უკანასკნელნი (ხიზაბავრელნი) გაცილებით უფრო ახ-  
ლო სცხოვრობენ ქართლთან და ქილდელები-კი, ბარემ 50  
ვერსით შორსა.



ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

## პერიოდი

(შემდეგი \*)

გარდა ხსენებული ეკლესიებისა კიდევ არის ბელაქნის ბოლოს ერთი ეკლესია, რომელსაც ლეკები ეძახიან: „ნურ ქილისა“ — ეკლესია მაღლისა. ის ყოფილა დიდად მშვენიერი და გუმბათიანი; შემოვლებულია ზღუდით. ბელაქანში მოვაჭრე სომხებს მისი დაჩემება ჰსურდათ, მაგრამ ტურა ვაჩნადეს შთამომავლებმა — გალაჯოვებმა ნება არ მისცეს. ლეკები მრავალს სასწაულს მოუთხრობენ ამ ეკლესიის შესახებ. ერთს მათგანს სდომებია მისი დანგრევა და მის კედლების ქვის გაზიდვა სახლის ასაშენებლად. დაუწყვია მისი დაშლა, მაგრამ დახუთულა და რამდენიმე დღის შემდეგ მომკვდარა. მეორე ლეკს სდომებია მუხის მოჭრა, რომელიც მის კედლის ძირში ყოფილა ამოსული და უზარ-მაზარ დიდ ხედ გაზრდილი, დაზედ ეკლესიის კედელზე მისი წაქცევა და დანგრევა ეკლესიისა, მაგრამ არ აპირობებია უკეთურს ბოროტი განზრახვა. თუმცა მუხა წახრილი ყოფილა ეკლესიის კედელზე, მაგრამ უკეთურს რომ მოუჭრია, ის უკულმა გვერდზე წაქცეულა, და გულ-გახეთქილი და დიდად განცვითრებული ლეკი შინ დაბრუნებულა, უამბნია ნათესავთათვის, გამხდარა ავად და მესამე დღეს გამოჰსალმებია წუთის სოფელს.

ყველა ეს ეკლესიები ბელაქნისა ცოცხალნი იყვნენ 1518

\*) იხ. „მოგზაური“ №№ 6 და 7.

— 1574 წლამდე. ამას ამტკიცებს ლევან მეფის მეუღლის, დედოფლის თინათინის გუჯარი, რომელიც მიუცია შუამთის მონასტრისათვის. იქა სწერია, რომ მან დაუმტკიცა მონასტრებს სოფელი გულგულა (თელავიდამ 5 — 6 ვერსზეა) თავის მიწა-წყლითა, მამულებით და გლეხებით, ორი კომლი გლეხი გრემის სოფლიდგან, უჯარმიდგან — რვა კომლი გლეხი, ბელაქნის მცხოვრებლაგან ექვსი კომლი ურია და ორი კომლი ქართველი \*).

როდის დაემხო ბელაქანში ქრისტიანობა, რომელ თარიღიდგან დაიკეტა აქ ეკლესიები, გავიდა სასულიერო წოდება, მოისპო ზარის რეკა და მოლამ დაიძახა მინარეთიდგან: „ლახ-ილილლა“, — ეს დღე და წელიწადი არ არის ჯერ გამორკვეული და ცნობილი. უეჭველია მხოლოდ, რომ ქრისტიანობის დამხობა შაპ-აბაზის დროიდგან (1602 წლიდგან) დაიწყო. ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ერთ ალაგას სწერია: 1724 წელს ლევან დაიპყრეს კახეთი, მაჰმადიან-ჰუკმეს და დაუდგინნეს მოლანი დაბნებთა“ (იხ. I ნაწ. გვ. 139).

ჩვენი აღწერა სრული არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვა არა ვსთქვით ბელაქნის წარსულზედაც. შესანიშნავია მისი ისტორიული წარსული. იგი ყოფილა შესანიშნავი ქალაქი ჰერეთისა. მას არა ერთხელ იხსენიებს მეIX საუკუნეში სომხის მწერალი კალანკატვაცი. მე-V საუკუნეში აქ ყოფილა სკოლაცა (იხ. ჩემი წერ. უურ. „ივერია“-ში). მე-XIV საუკუნის დასაწყისში ბელაქანი ისეთი აღყვავებული ყოფილა, რომ საქართველოს დიდებულთ მასზე სჭერიათ თვალი; ამასთანავე ისეთი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონია, რომ ვისაც ისა და თელავი სჭერია, კახეთის ბატონიცი ის ყოფილა. ამ დროს ის შეადგენდა მეფის დიმიტრი თავდადებულის საკუთრებას, საუფლის-წულო მამულს. თა-

\* ) იხ. ფურც. გუჯრები, გვ. 86.

ვადმა საღუნ მანკაბერდელმა მოისურვა მისი შეძენა მეფისა-  
გან და მით მეფური გავლენის მოპოება საქართველოზე. წა-  
დილი აღისრულა. „და იურვა მეფის დიმიტრისაგან თელავი  
და ბელაქანი“, — სწერია „ქართლის ცხოვრებაში“ \*). მაგრამ  
გაპერა საღუნიცა, მრავალნი სხვა მისნი მფლობელნიც, მისი  
დიდებული სახელი და აწ მისნი მფლობელნი არიან — ლეკნი.  
„ფურმა იწველა, იწველა და ბოლოს პატრონს ჰერა ფეხი  
და გააგორაო“, — იტყოდა ხოლმე დედა ჩემი. სწორეთ ასრე  
მოუვიდა ბელაქანსაც. იგი შეიქნა მე-XVII საუკუნეში კახე-  
თის დამლუპველი.

მე-XVII საუკუნეში ჩამოთესლდნენ აქ (ბელაქანში) ხუნ-  
ძარის ლეკნი. მათ შეუერთდნენ ადგილობრივნი ქართველ-  
ნიც. გაუდგნენ საქართველოს და დაპკრეს კახეთს. რამდენი-  
მე წელიწადის განმავლობაში იკლეს, აოხრეს და არბივეს კა-  
ხეთი. იმათ ღირსეული პასუხის გამცემი და სამაგიეროს გა-  
დამხდელი არავინა ჰყვანდათ. ამისა გამო ბელაქნელნი და  
ჭარელნი ძალიან გათამამებულნი, წაქეზებულნი და გაკადნიე-  
რებულნი იყვნენ და იწყეს ლაშქრობა. ამ დროს გაჭირვე-  
ბულ და ტანჯულ კახეთსაც აღმოუჩნდა ღირსეული მამუ-  
ლის შვილი. უსამართლოებისა და მძლავრობისა გამო გულ-  
ამლვრეული, აღშფოთებული და გაბრაზებული ვაჩნაძე შეი-  
ქნა მფარველი სამშობლოისა. ბელაქნელები და ჭარელი ლე-  
კები ქურდ-ბაცაცობით იკლებდნენ კახეთს. ამანაც მათ მიჰ-  
ბაძა და იმათებურად — ქურდულად იწყო დარბევა ჭარ-ბელა-  
ქნის მცხოვრებლებისა. არა ერთხელ და ორჯელ მალვით ის  
შეიქრა ჭარ-ბელაქანში, დასწვა სოფლები, იშოვა დავლა,  
წართვა საქონელი და მორეკა ქიზიყში. ასრეთის ქცევით  
მან ძალიან დააშინა მტერნი და მოასვენა მათ შემოსევისაგან  
სამშობლო. ამისათვის ღირსი იყო დიდებისა, პატივისა და

\*) I ნაწილი, გვერდი 412.

ქებისა, მაგრამ მას აღმოუჩდნენ მტერნი ქართველთ თავადთა შორის. დაუწყეს შურის თვალით ყურება მისს ვაჟკაცობას და, რომ დაამცირონ მისი ლირსება და ვაჟკაცობა, დაარქვეს ტურა (რამაზის შვილი) ვიჩნაძე. დიდებულ მამულიშვილის სახელი ისტორიაშიაც-კი არ ჩასწერეს. ყველაზე მომეტებულად მისი ვაჟკაცობა სწყინდა მეფის მანდატურთ-უხუცესს პაატა ანდრონიკაშვილს. ერთხელ ტურა შეესია ჭარ-ბელა-ქანს და დიდ-ძალი საქონელი დასტაცა ლეკებს. იწყინა პაატამ. მრისხანებით უბრძანა ტურას: დაუყოვნებლივ დაუბრუნე მტერს საქონელიო.— „ბატონი ბრძანდებიო, — უპასუხა ტურამ,— მხოლოდ გთხოვ მაცალო: ცოლი ავათა მყავს მშობიარებით, როცა ის განთავისუფლდება, მაშინ აღვასრულებ შენს ბრძანებასაო“. პაატამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა, გაგზავნა კაცები და ძალით წაართვა საქონელი და დაუბრუნა ლეკებს. ამაზე გასწყრა ტურა, გაგულისებული გავიდა ბელაქანში, შეირთო ცოლი და ეყოლა შვილი. მას ერქვა გალაჟ. ამ დროიდგან იწყო მან თაობა ჭარ-ბელაქნელ ლეკთა. ამან კარგად იცოდა გზა-კვალნი ქიზიყისა და კახეთისა. იმის ეტიკობით მრავალჯერ დაამარცხეს ლეკებმა კახელნი, რისა გამო „მოუძლურდნენ კახნი და გაძლიერდნენ ლეკნი“. დაუწყეს კახელთ პაატას ზრახვა და ტურა ვაჩნაძეს გადამტერებას მას აბრალებდნენ. გასწყრა პაატაც. გამოიდვა თავი, გაილაშქრა ჭარ-ბელაქანზედ. შეიტყო ტურამ, მოეგება წინ, მაგრამ დაინახა თუ არა ჯარი ქართველთა, უკან დაიწია და ტყის სიმაგრეებს ამოეფარა, ჩაუსაფრდა თავის მტერს პაატას, და როცა ის მივიდა სიმარჯვესა, გამოუხტა ტურა ტყიდგან და მიიტანა იერიში თოფის სროლით. კახელთ დაიწიეს უკან, ხოლო ტურამ მიიწია და ისრე ძლიერად შეეტაკა ქართველთ ლაშქარს, რომ კახელნი გაიქცნენ. პაატა ცხენით ჩამოვარდა. მიჰვარდა ტურა, დაიჭირა, წააქცია და „მოჰკლა პაატა თავისითა წიხლითა“.


პაატას მოკვლის შემდეგ ტურა შეურიგდა კახეთის მე-

ფეს, კონსტანტინე მეორეს და მიემხრო ისევ კახელებს; ხოლო თავისი შვილი გალავ დასტოვა ბელაქანშივე, როგორც ლეკის ქალისაგან ნაყოლი. 1724 წელს იმას ვხედავთ კახელთ ჯარაბში, როცა მეფე კონსტანტინემ გაიღაშქრა განჯაზედ. მაგრამ ორი აღარ მოჰქდა განჯაში და მეფე დაბრუნდა კახეთს და „ეტიკობითა ტურასითა მოვიდა საგარეჯოს“ (გვ. 139). კახელებთან შერიგება სწერია იმ სიგელშიაც, რომელიც მიუცია 1724 წელს საფარ-ფაშას, მჯდომარეს ყარალაჯში, ტურა ვაჩნაძის შვილისა გალაუისათვის. ეს არის მიზეზი, რომ აწ გალაუოვები ამტკიცებენ, რომ ჩვენ დიდი რევაზ ვაჩნაძეს შთამომავალნი ვართო, და როგორც ვნახეთ, ისეც არის. ისინი არიან 40 კომლასდე. იმათ დიდი გავლენა აქვთ სოფელს ბელაქანზე, მაგრამ არ აკლიათ მტერნიც. ქრისტიანობს მხოლოდ ოთხი კომლი. ქართული არ იციან. ლაპარაკობენ ავარულს ენაზედ. ყველა გალაჯოვების, ქრისტიანებისა და მუსულმანებისა, მოთავე არის გიორგი გალაჯოვი, ქრისტიანი და კაცი წარჩინებული და მდიდარი. იმასა ჰყავს ოთხი შვილი: ვლადიმირი, იოსები, მიხა და.... (ოფიცერია). მეხუთე ალექსანდრე 1899 წელს მოუკვდა. ეს იყო დიდად განათლებული კაცი, ჭკუიანი, დარბაისელი, გავლენიანი და დიდად მოსურნე იყო სამშობლო ქვეყნის აღყვავებისა და კეთილ-დღეობისა. განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურლის უნივერსიტეტში. ის იყო ინსპექტორი ხარჯებისა და მოსურნე იყო ინგილოების გაძლიერებისა თლქაში, მაგრამ სიკვდილმა უდროოდ მოულო ბოლო. იოსები და მიხა ჯერ სწავლაში არიან. პირველი სწავლობს პეტერბურლის უნივერსიტეტში, ხოლო მიხა — თბილისის პირველ კლასიკურს გიმნაზიაში. მეოთხე შინაა. ვიდაც უკმეხი გატყიპა შკოლაში. ამათ ყველამ ცოტ-ცოტა ქართული ლაპარაკიც იციან. იციან რამდენმამე სხვა გალაჯოვებმაც, რომელთაგან ერთმა, ლევან დავითის ძემ, ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლა შეასრულა.

აი ეს გოლაჯოვები ბატონობენ დღეს; პელაქანში და თუმცა კეთილი ჰსურთ საქართველოსთვის, მაგრამ უნებლივიდ შეიქმნენ 1863 წელს მიზეზად ქრისტიანობის დამხობისა ოლქაში. ისინი თავის ნებით გაქრისტიანდნენ და შეიქმნენ მცენარე არხეოლოგიური ნაშთებისა. მაგრამ ამაზე ჩვენ გვექმნება საუბარი შემდეგ. ხოლო აწ გავუდგეთ ისევ გზას და განვაგრძოთ ჩვენი მიმოხილვა.

მივდივარ დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ — მშვენიერს გზა-ტკეცილზე. შოსეს მარცხნივ აღმართულან კავკასიის მთის კალთები, დაბურულნი ხშირის ტყითა; მარჯვნივ დიდი ტყეა ბელაქნისა, ვიდრე ალაზნამდე. ამ ტყეში მრავალია ეკლესიებია და ელიან გამოკვლევას. აგერ მივადექით „ჯუშ-ექწს“. ასე ეძახიან ლეკები მთას, რომელიც ჩამოწეულა კავკასიის მთიდგან მინდვრად ნახევარ ვერსის სიგრძეზე, უერთდება ბელაქნის ტყეს, ჰერავს გზას და ჰიკოფს. მაწეხს ბელაქნისაგან. აწ ეს მთა შუაზე გადაჭრილია წელში და გაუვანილია გზა, ზაქათალისაკენ მიმავალი. უკავები მესანიშნავია მით, რომ მის სერზე მოჰკლეს 1863 წელს ბელაქნის ლეკებმა გენერალი შალიკოვი და იფრინეს რუსის რაზმი. ჯვარი იყო აქ აღმართული შალიკოვის მოკვლის ნიშნად, მაგრამ ლეკებმა მოგლიჯეს და გადააგდეს. ამ გაჭრილს გზაზედ რომ გაივლით ნახევარს ვერსს, მთის ძირად ხეობაში ყოფილა ქართველთა სოფელი. მას ჰრემევია ვარდიანი. აწ აღარაფერია აქ. უკველივე აოხრებულია. თვით ეკლესიაც სრულიად დანგრეულია.

აქედგან სოფელ მაწეხამდე ოთხი ვერსია. ვარდიანისა და მაწეხის შუაზე, ერთს მოხდენილს მთის სერზე მოხანს პატარა ეკლესია. მისი კარები ლეკებს ამოუქოლიათ, რომ კაცი და საქონელი არ შევიდესო. ამის მიზეზად ამბობენ: ამ რამდენიმე წლის წინად ვიღაც მაწეხელი ლეკი შესულა შიგ ბუნებითი მოთხოვნილების აღსასრულებლად, ჩამჯდარა და



უწმინდურობის დროს ისე დახუთულა ორივე მუხლებით, რომ ფეხზე ვეღარ წამომდგარა. ასრე დარჩენილა თითქმის ორი დღე; ბოლოს დაუწყვია ყვირილი, მისულა ხალხი, წამოუკანიათ სახლში, მაგრამ ხუთი-ექვსი დღის შემდეგ გარდაცვლილა. მას აქეთია, რომ ლეკებს ეკლესიაც დაუკრძალავთ.

სოფელი მაწეხი მდებარებს კავკასიის მთის ძირს, გაშლილს ხეობაში. ძალიან კარგი ადგილია და დიდად შემკობილი ყოველ გვარის ხეხილით: თხილი, კაკალი, წაბლი, ვაშლი, მსხალი, ხურმა, კომში და ყოველნაირი ხილი ამკობენ სოფელს. შიგ სოფელში მომდინარეობს რამდენიმე ალაგას წყალი, რომელთაგან არხებია გაყვანილი მამულებში.

ყველა ამის მფლობელნი არიან ლეკნი, ავარელთ მოღმისანი. ისინი ჩამოსახლებულან აქ მე-XVII საუკუნეში. რიცხვი მათი შეადგენს 1012 სულს და არიან წამოსადევგნი ვაჟკაცნი. მაგრამ მათ შორის ურევიან გალეკებულნი ქართველნიც. ყველანი ლაპარაკობენ ავარულს ენაზედ, რომელსაც ეჭვი არ არის, ნათესაობა აქვს ქართულს ენასთან. ცხოვრება აქვთ მეტის-მეტად თავისუფალი და არხეინი. მათი საქონელი თითქმის უპატრონოდ ჰსძოვს მინდვრებში მდინარე ალაზნამდე. მათი უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ჯერ-ჯერობით განათლებას არ ესწრაფიან. მოვა-კი დრო, როცა მათ შორისაც იფეთქებს სურვილი სწავლისა და მაშინ უკველია, შეიქნებიან ისინი დიდის გავლენის მექონნი.

აწ სოფელი მაწეხი შესანიშნავია კავკასიის განთქმულ კედლის ნაწყვეტით. ეს კედელი ყოფილა აშენებული კას-პიის ზღვიდგან დაწყებული ვიდრე თიანეთამდე. მაგრამ დღეს ამ კედლისა მხოლოდ მოხსენებული ნაწყვეტები-ლაა დარჩო-მილისოფელ მაწეხში, 3 – 4-ს ვერსის სიგრძეზედ. კედელი სიმაღლით არის საუენ ნახევარი, სისქე არ არშინზე ცოტა ნაკლები. მას ოთვის სასროლელი პატარ-პატარა ფანჯრებიცა ჰქონია გაკეთებული, ზოგ ალაგას შიგნიდან, მთის მხრით,

ჭირეობის გარედგან, ალაზნის ველის მხრიდამ. კედელი გაკეთებული ვაკეზედ, ალბათ კავკასიის მთების ხეობებში მყოფი მოულების დასაცველად. 1865 წელს ამ კედლის ნაწყვეტი ჰიტინდა სოფელ თალას ბოლოსაც, ხოლო მუხახის ბოლოს შეთღლად იდგა ერთი ვერსის სიგრძეზედ. მაგრამ ისე კარგად არსად შენახულა ის, როგორც სოფელ მაწებში. მე-XVII და მე-XVIII საუკუნეში შეადგენდა ახლად დასახლებულ ავანელთათვის ციხე-სიმაგრეს ქართველთა წინააღმდეგ და ამისათვის ლეკები მას თვალის ჩინსავით უვლიდნენ. ხოლო ახლა შირიანად ანგრევენ, რადგან აღარ საჭიროებენ. კოშკი, რომელიც იყო ამ კედელში ჩატანებული თალას ბოლოს, ლოკმა სრულიად დააქცია წერაქვით და ხმა არავინ გასცა. უცელა გამვლელ-გამომვლელი მოხელე პხედავდა ამას, მაგრამ მშის გამცემი არავინ ჰყანდა. აღვილობრივი აღმინისტრაციის დაუდევრობისა გამო მუხახის ბოლოსაც ლეკებმა სრულიად დააქციეს კედელი და გააქრეს მისი ნიშანი. ორ საუკუნე ნახევრამდე ნაშთი კედლისა ახლაც მოჩანს თვით სოფელ გულლუების (ვარდიანის) დასავლეთ მხარეს, მდინარის პირზე. მე-მინახავს მისი კვალი სოფელ კაჭმია (კახი). 1859 წლამდე მისი ნაშთი მოჩანდა ნუხის მაზრაში, სოფ. კოხმონის ბოლოსაც აწ ყოველივე გაოხრებული და გატიალებული.

უინ ააშენა ეს კედელი, როდის და რა მიზნით, ჯერ აჭამიადე ისტორიულად არ არის გამორკვეული. ზოგნი მე-ცნიერნი პოიქრობენ (რიტტები) ალექსანდრე ააკედონელმა აღაშენაო, ზოგნი კიდე მიაწერენ მის გაკეთებას სპარსეთს. ამ უკანასკნელ პაზრს ეთანხმება მოსე კალანკატვა ციცა. ისა სწერს: „სპარსელთაგან დადგენილ მთავარ-მმართებელმა ალბანიისამ (ნუშირვანმა) ნახა, რა დაემართა გასაოცარ კედელზე მდგომარე ჯარებს, რომლის (კედლის) ასაშენებლად, კასპიის ზღვისა და კავკასიის მთის შუა, სპარსეთის ხელმწიფებმა შეაწუხეს ალბანია და მოღალეს ხალხი ხუროთ-მოძღვ-

რების ძებნითა და მასალის „ზიღვითაო“ ხალხის ამ გვარად შეწუხებას ზაქათალის ოლქის მცხოვრებნი ქართველნი — ინგილონიც ამტკიცებენ. ხალხს ჯერ მასალა მოაზიდვინეს, მერე გასაკეთებელ კედლის სიგრძეზედ დააყენეს (ხალხი), დაჰკუვეს ნაწილ-ნაწილად და უბრძანეს კალატოზებს შენება კედლისა, და ეს ამოდენა კედელი ერთ წელიწადს დაამთავრეს, რადგან გასწკვრივებული ერთმანერთს აწვდიდნენ ქვას და კალატოზები რიგ-რიგზე იდგნენ და აშენებდნენ (იხ. ისტ. ალбанი, კალანკატვ. თარგ. პატკანოვისა, გვ. 105).

მაგრამ მე არ ვეთანხმები არც რიტტერს, არც კალანკატვაცის, არც ხალხის იმ გაღმოცემას, რომელიც მიაწერს მის აგებას თამარ დედოფალს. კედელი აუშენებიათ ქართველთა მეფეებს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მე-IV—VII საუკუნემდე, როცა ქრისტიანობას გაუმრავლდნენ მტერნი. ამ კედლის უკან მთის მხარეს, ხეობებში, თავს იფარავდნენ, გარეშე მტერთაგან, ქართველთა ერთი, მეფეები და სასულიერო წოდება. ასეა ნათქვამი „ქართლის ცხოვრებაში“. მე-V საუკუნის დასაწყისში „უკუ ჯდა მეფე ვარაზ-ბაქარი ხევსა კახეთისასა“ (იხ. გვ. 106). „ვითარ შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა, ნათესავნი ქართველთა მეფეთანი დარჩნენ ხევსა კახეთისასა“ (თუ კატეხისასა?) (გვ. 108). გასურა ვახტანგ გორგასლანბა ბრძანება, რათა შეივლტოდიან ქართველნი კავკასიად და კახეთად, რამეთუ კახეთი ტყე იყო შეუვალი მტრისა მიერ; ხოლო დაჩი მეფე და დისწული მისი გარდავიდეს კახეთად და შევიდეს ხევსა ლოპატისასა (სოფ. ნაფარეულის თავშია, თელავის მაზრაში) „ქვევანასა-მას კლდითა მოზღუდვილსა“ (იხ. გვ. 147). ამ ზღუდის უკან იმალეგოდნენ მე-VI საუკუნეში მეფის ბაკურ მე-II-ს მცირე-წლოვანი შვილებიცა. შემდეგში მათ დაიპყრეს კახეთი და ჰერეთი (იხ. 161 და 163). კედელს შიგნით იჯდა არჩილ მოწამეცა მე-VII საუკუნეში. „მოვიდა არჩილ, — სწერს მემატიანე, — წუქეთს აღაშენა ხევსა ლაკვასტისა ციხე-სიმაგრე

და დაჯდა მუნ“ (იხ. გვ. 180). ხოლო წუქეთი ერქვა ამ კედლის შიგნით მოქცეულ ტერრიტორიას. აქ იყვნენ საქართველოს სამთავროები: თუშ-ფშავ-ხევსურეთისა, ავარიისა ანუ ხუნძახისა, წახურისა, შაკისისა, გიშისა. „მეფე არჩილმა მოწამემ იპოვნა წუქეთს მთავარნი, და არა ინება მათგან წალება წუქეთი“-(სა). იხ. „ქ. ცხოვრება“ გვ. 180 და ისტ. თეიმურაზისა, გვ. 24). ამ სამთავროებს დიდი გავლენა ჰქონდათ საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებაზე და ამის შესახებ ჩვენ გვექნება საუბარი შემდეგ.

ინგილო ჯანაშვილი.

(დასასრული იქნება)



# გ უ რ ი ა

(შემდეგი \*)

გურული შვილს ასწავლის, ამის მნახველი მეზობელიც  
მას ჰბაძავს და უკეთესს სასწავლებელში ამზადებს შესაყვა-  
ნად შვილს. გურულმა ვინმემ შვილი ექიმათ ან აღვოკატად  
გამოზარდოს, მეზობელიც ამას ცდილობს. „იგი რაში შჯო-  
ბია, რომ მან გაზარდოს და მე-კი ვერაო“.. და ამ წახედუ-  
ლობით მისდევს სწავლა-განათლების გზას და ესევეა მიზეზზ-  
რომ დღეს გურიაში ყოველ სამამასახლისოში ორი-სამი სკო-  
ლაა გამართული და ახლა იმას ცდილობენ, რომ ერთ-კლა-  
სიანი სკოლები ორ-კლასიანებად გადააკეთონ. რაც გურიაში-  
სამკითხველოებია გახსნილი, იმოდენა მთელს საქართველოში-  
ძლივს იქნება.

ასეთმა წახედულობამ გურიაში ბევრგან დაარსა სასო-  
ფლო ბანკები, მაგ., ოზურგეთში, ბახვში, მაკვანეთში და სწ-  
დაარსა აგრეთვე ამხანაგობანი, როგორც გურიის საფაქტო-  
სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“, რომელიც 1897 წ.-  
დაარსდა და მეორე „შრომა“ და „კაპიტალი“, რომელიც და-  
არსდა შარშან და „ეტლთა საზოგადოების ამხანაგობა“, რო-  
მელიც 1891 წ. დაარსდა და სხვ.

წახედულობითვეა ქურდობა და სხვა-და-სხვა ავ-კაცობა-  
ქა. ცხენის და ხარის მოპარვა დიდ კაზახობათ (ყოჩალობალ).

\*) იხილე «მოგზაური» №№ 6 და 7.

ითვლება; ციხეში ნამყოფი თუ არაა კაცი ამას მკვდრათა სთვლიან. \*)

ტირილ-ქორწილში და საზოგადოდ წვეულებაში ერთმანეთის მიხედვით საუცხოვა პურ-მარალი იციან, ასეთი, რომ ნეფესაც-კი ეკადრება გურულის ნამასპინძლოვზე შესტუმრება და მირთმევა. გურული ნუ შერცხვება (აქაურად ნუ მეოჯაყება) პურ-მარალში და თუნდაც მისი სახლ-კარი დააგირავოს არაფრათ ჩააგდებს. ჩაცმა-დახურვითაც ერთი-ერთმანეთზე საუკეთესოდ იცმენ და თავადიშვილებზე უკეთესადაც. იგი თავადიშვილი როა, მისთვის იგიც კმარა, თვარა მე ჩემდა ტანთ თუ ვეღარ ჩევიცვამ, რაღა კაცი ვიქნებიო.

შესახედათ მეტად მშვენიერი ხალხია გურულები, მეტადრე ქალები, ხოლო მათ მშვენიერს სახის ფერს ადგილობრივი მკვიდრი ციცებ-ცხელება უკარგავთ და ანქრევს ხორციდგან; რასაკვირველია ძალ-ღონებსაც მოაკლებს ასეთი მავნე ჭირი.

გურულს გული მაღე მოუვა თავისი სიფიცხითა, რადგანაც მას სული ცხვირში აქვს. მაგრამ ერთი კარგი თვისებაცა აქვთ, რომ დამშვიდება მყისვე იციან. ღმერთმა ნუ ჰქნას დოლხანს გასწეოდა გურულს გულის მოსვლა, რომემ თქვენი მტერთ, ერთმანერთს ისე ამოულეტდნენ, რომ დღეს აღარ თჭიებოდნენ. მტრობა-კი სიკვდილამდე გულიდგან არ

\*) ბ-ნ ავტორს, ეტუთბა ვერ შეუგნია კარგად გურულების ზნე-ჩვეულება. — რაც შეიძლება იგი ცდილობს, თავისი აღწერა (ცურისა) კარგად დახსასიათოს, მაგრამ საუბედუროდ ას თვალი არ უდგენებია და ას ავტორება, რომ გურიაში თუ ერთი ას თრი ქურდია, მაშინ აქ თცი და თრმოცც ზიზდის თვალით უეჭრების მათ და ცდილობენ, რჩევით თუ დარდებით ცუდი ხასიათი გაუსწორის. ხოლო რაც შეეხება სოფ. მ—ნეთს, სადაც ბ-ნი ავტორი ას წერილს სწორს, იქ მართალია, ქურდობა ხშირია და დაკარგულიც ბევრია, მ— სოფელს შეიძლები, მაგრამ აქ ბ-ნ ავტორს შეუძლიას სოფელი

გამოუვა გურული, თუ-კი ვინმემ რამე აწყენინა და თუ ვარ-გა (აქაურად რომ ესთქვათ, თუ ჩოფანო არა), გადუხდის რითიმე და ისე-კი მიწაში არ წავა. ასეთი მტრობით კაცის კვლა ხშირია აქეთ და არც ბოლოკათ აგდებენ ამისათვის დაკარგვა ციმბირში, ანუ კატორგაში გაგზავნა არც-კი აწუ-ხებს მათ, რაღანაც, ვინც წავიდა გამდიდრდა და ესენიც იმას მოელიან თავიანთი გულის წალილის (კაცის მოკვლის) ასრულების შემდეგ. ასეთი სურვილებით შეკურვილი გურუ-ლები ბევრია დაკარგული და მოშორებული თავის ქვეყანას. წელიწადში ოც-და-ათი სული მაინც დაიკარება, ორი და სა-მი ამდენი ციხეში გამოლპება (იმედია გურულები მალე შე-იგნებენ თავიანთ ცხოვრების ამ ნაკლს და გაისწორებენ ხა-სიათს).

გურული მეტად განსხვავებულ ბუნების ადამიანს შეა-დგენს საქართველოში, როგორც სჩანს აწერილობიდგან. ამას უკეთესათ დავასურათებ ქართლ-იმერლებთან შედარებით. ტეტიას რომ აგინოთ, იმისთვის სამაგიეროს არას გეტყენს; აქეთ რომ წამოხვიდეთ და სურამელს აგინოთ, სამაგიეროთ შეიძლება შიზეზი გეითხოს შეგინებისთვის; იმერეთში ხორო-გაულელები-კი აძისთვის სამაგიეროს შემოგაგინებსთ, ქუთა-თური იმერელი-კი ცემა-ტყეპით და იარაღის დაშიშვლებით გადაგიხდიან, ხოლო გურული-კი ამას წუთიერი სიკვდილით გადაუხდის მაგინებელს, იარაღით მაშინათვე გააციებს. აღ-მოსავლეთიდგან დასავლეთისკენ თან-და-თან ფიცხდება ხალ-ხი და ბუნებაც სწრაფდება (ამ მხარეების აღწერას და შე-დარებას მალე დავბეჭდდავთ).

მთელს გურიაში ძვირად მოინახება ახალ-გაზდა, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს და ნასწავლი ხომ თავისდა-გვარ სა-

---

დაასახელოს, სადაც მძვინვარებს აფ-კაციება და არა მთელს გურიას ხელი მოხვითს და ქურდთა და აფზაკოა რიცხვში ჩაჭერთს.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

ქართველოს სხვა პროვინციებთაში შედარებით სწავლა-განათლებით ბევრათ მაღლა დგანან. ასე რომ შემიძლიან გურიას დავუძახო საქართველოს საფრანგეთი, სწავლა-განათლების სიყვარულის მიმდევნეობით. ყოველ სოფელში 50 ბავშვები იქნება სოფლის სკოლაში მოწაფედ, სხვა-და-სხვა დაბალს სასწავლებლებში 10 მაინც; საშუალო სასწავლებელში 5 მაინც და მაღალს სასწავლებელში ერთი უსაშველოა.

რომელს სოფელშიაც მე ვსწერ ამ წერილს, ე. ი. მაკვანეთში — ორი ექიმათ გამოსულია, ერთი აგრონომათ, რავდენიმე საშუალო სწავლით კერძო სამსახურებში არიან და ოფიცირებათ; დაბალი სწავლით ხომ ბევრნი მსახურებენ სხვა-და-სხვა დაწესებულებაებში. ხოლო აქედგან დღეს ბათუმის გიმნაზიაში სწავლობს 4—5 ვაჟი, ქალებიდგან ქუთაისში ერთი.

ამ სოფელში 113 კომლი არის და ნახეთ, რავდენს უწავლია და რავდენი კიდევ გამოსასვლელი გვყავს სწავლაში მიმავალათ.

წელს ერთი ექიმი: კ მოგვემატება, რომელიც მაღე შეასრულებს უნივერსიტეტში სწავლას.

ამ გვარათვე უნდა ვიგულისხმოთ სხვა სოფლის ნასწავლმოსწავლენი გურიაში. დღითი-დღე წინ მიდის სწავლა-განათლების მოყვარულობით ეს ქვეყანა.

საზოგადოდ გურული ხალხი მშვენიერია, შუა ტანის შესახედი, თეთრ-ნათელ კანიანი, მაგრამ ცუდი ჰავისა გამო დაუფერებულნი და დაუძლურებულნი არიან, სუსტი აგებულების, მხნე, პირადი, ცქაფი, მოხერხებული ყველაფერში, სიტყვა-მოსწრებული და ხასიათით მოკლე, თავ-მოყვარე, თავ-მომწონე და ერთმანეთის წამხედავი, სტუმართ მოყვარე და პურ-ლვინისა, თავის მუშა და სხვისი-კიბატონი; უყვარს აგრეთვე სისუფთავე და სიწმინდე ყველაფერში, მაგრამ მასთანავე ამხანაგ-მეზობლის გაუტანელია და შურისძიება ძირთამდე ესისხლ-ხორცება, რითაც მტრობა მას

ეძლიერება მტერთან; სისხლს სისხლით სისხლავს მოსისხლე მტრისას და სხ. თავ-მოყვარეობა უზომოა აქ, ამიტომაც დიდ-პატარობა არაა დაცული და ესევეა მიზეზი ყველა წოდებანი ერთმანეთის სახელით იხსენიებენ, ხოლო უცხოთ-კი ზრდი-ლობისა გამო „ბატონო“-ბით იხსენიებს გურული. მამა-დედა-კაცთა შორის სიყვარული აქ პირადულია და არა ფარული.

გურიაში შესანიშნავია სოჭ. შემოქმედისა და ჯუმათის მონასტრები, რომელნიც მაღლობ გორაკებზე დგანან თავი-ანთი მშვენიერ ძველი არქიტექტურულ შენობით და რომ-ლებიც მთელს გურიას ხელის გულსავით და შავ-ზღვას სარ-კესაებრ დასკერის. აჭი, ლეხოური, ციხე შესანიშნავია ძვე-ლი ციხე-ეკლესიებითა; აგრეთვე დაბა ნაგომარი, საღაც ბაზრობა (მარინობა) იციან ორ კვირას, 15 მეტათვიდგან; ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური თავიანთი ვაჭრობით აბ-რეშეშის ჰარკვითა და სხ.

გურიაში შესანიშნავი ძველი შენობანი ბევრათ მცირეა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან შედარებით. მიზეზი ამისა ის არის, რომ მტერს აქ ნაკლებათ უწვდებო-და ხელი, რათა გასაოხრებლათ მოსულიყო, რადგან საშიში იყო მათთვის ტყეში დამარცხებულიყვნენ მკვიდრთაგან და მეორეთ—თუმცა არც აკლდა მტერი, მაგრამ ჯერ ერთი თვით ყველანი მეომარნი, როგორც დღეს არიან დიდიდგან პატარამდე, უწინაც ისე იყვნენ და იგერებდნენ მათ მტერს და მესამეთ იმიტომ, რომ ტყეებშივე იფარავდნენ მტრის დევნულობისაგან თავსა და შენობებიც აღარ ესაჭიროებო-დათ და დიდი საჭიროც რომ ყოფილიყო, ქვას და კირს ვერ იშოვნიდნენ, რაიცა გურიაში მცირედ არის ეს მასალები.


ზეპირ სიტყვაობაც ნაკლებია გურიაში, ესეც მას მიე-წერება, რომ მტერთა დევნულობა აქ, როგორც მოგახსენეთ ნაკლები ყოფილა და არც არა უნახავთ-რა მისთანა საინტე-რესო ისტორიული შემთხვევანი, რომ გადასაცემად ჰქონ-და ხალხსა.

აქ ყოფილა ფილარობა (ყაჩაღობა) და ამათი ზეპირ გა-  
დმოცემაც მრავალია. სააშიყო სიმღერა-ლექსებიც ბევრია და  
უმრავლესი-კი შელოცვები და ცრუ-მორწმუნებანია, რომე-  
ლიც უკვე შეკრებილი მაქვს შემდეგის სათაურით: „გურულა  
აგგარაზე“.

საინტერესოა გურიაში დღესასწაულები და ჩვეულებანი:  
კალანდა (ახალი წელიწადი), შობა, ტირილი, ქორწილი და  
მისთანობა, რომელიც უკვე ცალკე მაქვს აწერილი და მო-  
ვათავსებ შემდგს №№-ში. შემდეგ ნომერშივე მოვათავსებ ამ  
წერილში ნახმარ იმ სიტყვებს, რომელნიც მხოლოდ გურია-  
შია ხმარებული და ლიტერატურაში-კი ჯერ სახმარად არაა  
შეტანილი.

პ. ბვარამაძე

(შემდეგი იქნება)



# ჭმ. მოღვაწე ნინო

(დასასრული \*)

**მეფე.** მოგვთ-მთავარო, ხვარა! მოდი, წავიდეთ იმ მკურნალ  
ქრისტიან ქალთან, ვთხოვოთ, ეგება მოგარჩინოს მაგ  
ავათმყოფობისაგან.

**ხვარა.** არა, მე ვერ წავალ იმასთან, მეტად მეჯავრება. მისი  
სახელის გაგონება, რომ მწარედ მეგრგინება, მის პირს  
როგორ ვნახამ?

**მეფე.** მაშ ბალში მაინც გავიაროთ, გული გაგვეშლება.

**ხვარა.** ბალში-კი გიახლებით სანავარდოდ, გასასეირნებლად,  
გული მიწუხს, იქნება როგორმე გამეშალოს, გავმხია-  
რულდე.

მიღიან მეფე, დედოფალი, ხვარა და ვეზირი. მეფე  
იწვევს ნინოსა სამეფო ბალშა ხვარას შეუტყობლად.

**მეფე.** ქრისტიანო დედავ თვალო! მე ერთი სათხოვარი მაქვს  
თქვენთან. თუ შეიძლება, აგერ ეს ჩემი ნათესავი ხვარა  
მოგვთ-მთავარი გაჰკურნეთ ამ თავის სამთვარეოს სნეუ-  
ლობისაგან, გევედრებით, მაღლა. არ დაგიკარგამს შე-  
ნი ღმერთი!

**ნინო.** რატომ არა, ბატონო მეფევ, ოღომც მაგან უარპყოს  
წარმართული მოქმედებანი, რითაც დაკავშირებულია  
ეშმაკებთან, იწამოს იესო ქრისტე მაცხოვარი ჩვენთვის  
ვნებული და სულ მალე განიკურნება თავისს სნეულე-  
ბისაგან!

---

\*) იხ. „მოგზაური“ №№ 6 და 7.

**მეფე.** რა არს, ქრისტიანო ქალბატონო, რომ აგიჩემებია და აგიურინებია სულ ერთავად იესო ქრისტე, ჯვარცმული უფალი ღმერთი! რათ გინდა რომაელების რჯული, მოშორდი იმათ რჯულს და იწამე ჩვენი ღმერთები: მზე, ზაღენი, არმაზი და სხვანი და ეგრეთ შემოგვიერთდი ჩვენ და-ქმურად, დედა-შვილურად, სული-გულით ერთი გახდი ჩვენთან, და ეგრეთ აასრულე ხოლმე შენი კურნება სნეულებისა. ნულარ ამბობ შენს ტყვეობასა, ნუ იმურიებ თავსა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ ჩვენი დიდი ღმერთების შვილთაგანი ხართ, მოვლინებული ჩვენს ხსნად მზისა, ზაღენისა, არმაზისა და ან სხვათა. ათენა ხარ, არტემი ხარ, თუ ვენერა არ ვიცით; რაც გინდა იყავთ, მხოლოდ-კი შემოგვიერთდით და მეც ჩვენი კერპების სამსახურში პირველ ადგილს მოგანიჭებ და აღვამაღლებ დიდად!..

**ნინო.** ბეღნიერო მეფევ! ვსწუხვარ დიდად, რომ აქამდის ვერ გიცვნიათ, ვერ შეგიგნიათ ცათა და ქვეყნის გამჩენი უხილავი ერთი ღმერთი, მზე-მთვარის მნიშვნელობა, ქვეყნის ყოველი გარემოების მიხვდენა და კაცობრიული მოვალეობა! ღმერთი არის თვით არსი, უნივერს, უკვდავი სული, რომელს არა აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული, მარად ყოფილა, არის და იქნება. მის სიმღიდრეს, სიკეთეს, ძლიერებას ვერ მისწვდება კაცობრივი ქუუა, ცნობა. მან შეჰქმნა არა რაისაგან ცანი და ქვეყანა შემკობილ-მოწყობილი ყოველ-ნაირად ჩვენთვის თავ-შესაფარად და საცხოვრებლად ყოველ ცხოველთა. რა რიგათაც იმართვის ერთი ძლიერი სახელმწიფო ყოველნაირი ბრძნული წეს-წყობილობითა, ისე ღვთისაგან იმართვის, იცვება და იფარება ყოველი გაჩენილი, დაწყობილი მცენარეულობითგან უკანასკნელ ცხოველებამდის. თქვენი კერპები, რომელთაც ღმერთივით ემსახურებით, ჩვენსავით მიწიერნი არიან, ძლიერი დევ-გმი-

რობის გამო სიკვდილის შემდგომ, მათ მომხრეთ და თანამერძნობელთ დაუდგამთ მათი ძეგლები მარად სახსოვრად და შემდგომ ჩამომავლობათ მისაბაძავად პირველში, მაგრამ მრავალ დროთ განმავლობის მერმე უმეტაზე და უწურთველ კაცთ მიუღიათ კერპებად. თუ გინდ აი თქვენი არმაზი კერპი სანამ ამართული იყო თაყვანს სცემდით და რა შეიმუსრა მეხებისაგან, ახლა იშვიათად სახსენებელია... მე სითგან ვიქნები კერპების შვილი, როცა ისინი ბევრ საუკუნოების წინ ყოფილარიან ჩემზედა. მე ერთი უკანასკნელი ლვთის მსახური ვარ, მხევალი ქრისტიანეთა!.. უარ ჰყოს ხვარამ ეშმაკნი, იწამოს ქრისტე და განიკურნება.

**მეფე.** რას იტყვი, მთავარო ხვარა? დაიჯერებ ქრისტიანის ნალაპარაკევსა, რომ განგათავისუფლოს მაგ სნეულებისაგან?

**ხეარა.** რა ვიცი, როგორ დავიჯერო? როგორ ვუდალატო მზესა, ზადენსა, არმაზსა და სხვათა? რას იტყვიან ჩემი მოკეთენი, მეთაურნიჭ გამკიცჭავენ, გავუპატიურდები მე ამ დროული! აგრ თვალწინ მიღებიან ჩემი შემწე-მომხმარენი, მაყველრიან, მლახვენ, მლანძლავენ!..

**გეზირა.** სად არიან, ჩვენც შენთან ვართ, შენგან უფრო გამჭრიახი თვალები გვასხიან? მაგას ან შენად იგონებ, რომ არ გინდა ქრისტიანობა, ან როგორც ამ ქრისტიანმა დედამ თქვა, შენი ეშმაკები თავ-ბოლოს გეხვევიან, ნებას არ გაძლევენ...

**ხეარა.** თქვენ, მეფევ, რას მიბრძანებ, რას მირჩევ საუკეთესოს?

**მეფე.** ყოველს კაცს ჰქვა და ცნობა აქვს, რაც სასარგებლო რამ იყოს შენთვის და გამოსადეგი, შენც ის ჰქმენ.

**ხეარა.** ვერ გამიბედია, სირცხვილი პირს მწვავს, თავს ლაფს მასხამს, მე ბევრი სიკეთე, სიამოვნება მინახია ჩემის მო-

გვობითგან, მადლობის მეტი არა მმართებს-რა მე კერ-  
პებისა, უმაღურობა იქნება მათი გზა-კვლიდგან აქეთ-  
იქით გახვევ-გამოხვევა, გზის ახვევა, სხვაგან გარდა-  
ხვეწა!..

**ნანა.** მიკვირს, ბატონო! რა სიკეთე გინახიათ: დღე—გრძნეუ-  
ლების ხიფათები გაწუხებს, სიცოცხლეს გიშხამებს და  
ლამე—ეშმაკების ხროვა-ხროვა მოსევა, მოტეხა, ძილ-  
მოსვენებას გიწყვეტინ! შენს ჭკუაზედ აღარა ხარ, ეგ  
წყეული ჭირია და ამ დღივ გახრჩობსთ, თავ-პირი დამ-  
ტვრეული გაქვთ მეტის ხეთქვა-ხეთქვისაგან, ცარიელა  
მოგვთ-მთავრობის სახელი რა სიკეთეს გაძლევს არ ვი-  
ცი, რა სახალისოა, როცა სიცოცხლე გამწარებული  
გაქვს? სულ დახეხილ-დაფეფილი გყავს მთელი ცოლ-  
შვილი და სახლეულობა, სისხლის პურს აჭმევ ყველასა!

**ხვარა.** თუ მართლა ეგრეთ არის, მიშველეთ ჩამე, მაღლია,  
არ დაგეკარგებათ, ერთისოთვის ასეულს მიიღებთ,— „სი-  
კეთე ჰქმენ, ჭვაზედ დასდევ, გაიარეთ, წინ დაგხვდებაო“,  
—უთქვამთ.

**ნანა.** შველა და სიკეთე მაშინ მოგივა, როცა შენ შეინანებ  
შენს წარმართობას და გაუგინებ ყოველიფერს, რასაც  
დაგარიგებს ქრისტიანი დედა!..

**ხვარა.** კარგი, გავუგონებ, მეტი რა გზა მაქვს, მიბრძანოს,  
რაც მეჭირება, ავასრულებ შეძლებისამებრ.

**ნინო.** მაშ მოინანიე, იმწუხრე კერპთ-მსახურება და განიშო-  
რე შენგან ეშმაკნი. მიბრუნდი დასავლეთისკენ და თქვი...

**ხვარა.** ვიჯმნი შენგან, ეშმაკო! შორს ჩემგან, ვწუხვარ, რაც  
უმეცრებით მომხდენია სიბოროტე. ვიჯმნი შენგან, ეშ-  
მაკო! შორს ჩემგან, ვწუხვარ, რაც მეცნიერებით შემი-  
ცოდებია. ვიჯმნი შენგან, ეშმაკო! შორს ჩემგან, ვწუ-  
ხვარ დიდად, რაც დაუინებული ბოროტობით შემიცო-  
დებია! შეკუდგები ახლავე იესო ქრისტე მაცხოვარსა

და მის წმიდა მადლის სჯულს შეკიტებობ ჩემის ჯვრის-თურთ, რომ გავიკურნო სულიერად თუ ხორციელად ყოველი სნეულებისაგან!..

**ნინოძმი** ილოცა, დასწერა ჯვარი და განიკურნა ყოველი სნეულებისაგან. სახეზედ ფერიც მოუვიდა და შნოც სასიხარულოდ თავისს ცოლ-შვილისა და სახლეულთა, ერთიან ყოველთ უარ-ჰყვეს წარმართობა და აღიარეს თავიანთ სარწმუნოებად ქრისტეს წმიდა სჯული. გაუკვირდათ ყოველ დამსწრეთა, მეტადრე ვეზირსა; მეფე-კი დარჩა მტკიცედ წარმართობაში!..

მოგვთას მზის დღეობაზედ მიწვეულია მეფე-დედოფალი, მთელი მხედრობა, მცხეთელები და სხვა დიდი სიმრავლე. გორანას გაუწყვია მოგვნი, ქურუმნი, მათი ყოველი საეშმაკო და ყოველ ძალ-ლონეს ხმარობს ერისტიანობის საწინააღმდეგოდ. ცეცხლ-საგზები მისი ბაკ-გალავანი სამსეა სიმრავლითა!..

**მოგგი შახარა.** მე ვარ მისანი, მცნობელი ღმერთებისა ყოველნაირი მეცნიერებისა, ძალ-ძლიერებისა, ვიცი კარგად ყოველი დაფარული საქმენი მთელის ქვეყნისა, და მიმხვდომი ვარ ზედ-მიწვენით მომავალის საქმეებისა!

**მოგგი ყარყარა.** მე ვარ გრძნეული, შემკვრელი კაცის ძალ-ლონისა, გავაშტერებ ადამიანს და ვაქნევინებ ბევრ სავნო-სათაკილო საქმეებსა!

**მოგგი გოგმანა.** მე ვარ მკითხავი, შემიძლია წილის მყრელობა, გამყოფელობა, გაგება მოხდენილის და მომავალის საქმეებისა, რაც რამ იყოს!

**მოგგი ტიპტიგა.** მე ვარ მფრინველთ მისანი, შემიძლიან გავიგო ყოველიფერი ქათმების მოძრაობითა, მამლის ყივილითა, კაჭკაჭის ჩხავილითა, ყვავ-ყორნების ყრანტალითა, მტრედების ფრენითა და სხვათა!..

**მოგგი დადალო.** მე ვარ თვალთმაჭუი, შემიძლია ბევრ რამის

ქმნა, მობლანდება, მოჩვენება ყოვლისფერისა ნამდვილ-სავით!..

**მოგვი მაღალა.** მე ვარ ულუკი, შემიძლია შელოცვა წყლი-სა, მიწისა, ჰაერისა, ცეცხლისა რამეების გასაგებლად და მკვდრების მოჩვენებაცა!

**მოგვი ტანცა:** მე ვარ მსახვრელი, შემიძლია სიზმრების ახსნა, გაგება ფრუსტუნისა, მთქნარებისა, თვალის თა-მაშობისა, ყურის წივილისა და ხელის გულის აქავების საშუალებითა მნიშვნელობა ყოველისფერისა.—რა შეა-სრულეს წარმართული წესი და რიგი, ამოვარდა ცეცხლ-საგზებში ცის ფერი ალი და გამოჩნდა დევ-გმირი სერფი.

**მოგვი პეტი.** აგერ, ბატონებო! ზადენი, კრონო, საუკუნოების მატარებელი, თავთ ადგია საათი მბრუნავი ბორბლებით მოწყობილი, ხელთ უპყრია დაგრეხილი რკალი დრო-შამის ავ-კარგიანობის მომასწავებელი და მეორე ხელთ უჭირავს მანგალი მჭრელ-მკაფელი ცა-ველთა!

ამოვარდა ვარდის ფერი ალი, აგერ, ერნო, არმა-ზი, ცისა და ქვეყნის მფლობელი, როგორ სამეფო ტახ-ტზე ზის მშვენიერად? ერთ ხელთ უჭირავს ფაენი, მე-ორე ხელთ ჭექა-ქუხილის ელვები!..

ამოვარდა სოსნის ფერი ალი. აგერ გამოჩნდა ჰერ-მესი, თავს ხურამს ფრთებიანი ჩაჩქანი, ნიშნად მჭევრ-მეტყველებისა და გამჭრიახობისა და ხელთ უპყრია ყა-ვარჯენი გველ-მოხვეული, მნიშვნელი სიბრძნისა!

ამოვარდა ყვითელი ალი. აგერ გამოჩნდა აპოლო-ნი, მეფური არსება, თავს ადგია გვირგვინი, ხელთ უპ-ყრია მამხიარულებელი ქნარი, ფეხთ ქვეშ ფერად-ფერა-დნი საკრავნი პოეტების საჩუქრად და გვერდით უსხე-დან ნახეთ, როგორ მშვენიერი მუზები?..

ამოვარდა ლურჯი ალი. აგერ გამოჩნდა არისი

ჯაჭვ-აბჯროსანი, ძლიერი მეომარი, მოლაშკრეთ სული-გული, ნიჭიერებით სავსე; ფეხ ქვეშ უზის მყივანი მამა-ლი მცნობელად დღე-ლამის მსვლელობისა.

ამოვარდა ნარინჯი ალი. აგერ გამოჩნდა ვენერა ეტლში მჯდომარე მშვენიერების ღმერთა, თავს ადგია ბრწყინვალე ვარსკვლავი, ეტლს დააფრენენ ტრედ-გვრიტნი და მფრინველნი!..

ამოვარდა მწვანე ალი. აგერ გამოჩნდა არტემი გან-დეგილი, ქალწულობის მოყვარული, წითელ კაბიანი, ხელოვანი მონადირე, თმებ გარდაშლილი: ხელთ უჭირამს ისარი და მხართ გარდაუკიდია შვილდი და ფეხთ უზის კარგ ნაწვართი მეძებარი. აგერ ესენი არიან, მეფევ ბატონო და ყოველნო ერნო მაღალ-დაბალ წოდებისანო, თქვენი და თქვენ მამა-პაპათ ნამსახურნი კერ-პნი ღმერთებად. უნდა, რომ ერთგულად და ერთსულად ემსახურებოდეთ. არასოდეს არა სცდეთ და არ მიიღოთ ქრისტიანობა, მიმღებელთაც ჰმართებსთ უარ-ჰყონ და მოიქცნენ ისევ წარმართობაზედ, თორემ ირისხებიან, დაიღახვრიან და დაიჭრებიან ამ ღმერთების რისხევებითა შეუბრალებლად. წყეულ იყოს, შეჩვენებული და კრული, ვინც არ მისმინოს!

მოვთას დღეობა აასრულეს თუ არა, მეფე მირიანი სანადიროდ წავიდა. გაიყოლია თავისს კარის კაცნი, ვეზირი დიდსულა, ეზოს მოძლვარი ზურაბი, მოლარეთ-უხუცესი ბაქარი, სამხედროთ ერისთავი როსტომი და სხვაც თავად-აზნაურნი არჩევით: გაუძლვა წინ მეფე მირიანი და მიჰყვნენ მას დიდებულნი, ბაზიერ ხუცესი მეძალლე მეწყერებით დიდის ზემით და ზარითა იკროდა საკრავნი, მიიმღეროდნენ სანადირო ლექს-შაირთ და მიდიოდნენ მხიარულად მუხრანისკენ. გაუყვნენ რიგ-რიგად სანადირო დაცულთ სერ-გორებსა, ინადირეს ბევ-

რი რამ ლხინ-სიხარულითა და მოართვეს მეფე მირიან-სა. წარსდგა ბაზიერთ-უხუცესი და მოახსენა შაირად ლექსი:

**ხეკრი.** აგერ კარგად ვინადირეთ, აქაური კუთხელია, ირემი, ჯიხვი, ქურციკი, ნუკრნი, შველნი, კურდლელია, გნოლ-კაპები, სოლო, როჭო წინა უდგას ურთხელია, იხვნი, მწყერნი, გვრიტნი, შაშვნი ლმერთი თქვენი მკურ-  
[თხელია.]

**მკფებ** მადლობა უთხრა ბაზიერთ-უხუცესს და დაა-საჩუქრა უხვად ყველა მონადირენი და დააჯილდოვა ბაზიერთ-უხუცესი მეძალლე-მემწყერებიანად. ჩამოსხდნენ ყველანი მშვენიერ ტყის პირას და ისაუზმეს მხიარუ-ლად მეფესთან ერთად, ნაირ-ნაირი ნანადირის ცვრია-ნის მწვადებითა ტკბილად, გემრიელად, ლხინ-სიხარუ-ლითა. საუზმის შემდგომ მეფემ ინება გასეირნება თავის ოთხ დიდებულებთან ერთად თხოთის მთის წვერზედა. გამოემშვიდობა თავად-აზნაურთა და გაემგზავრა გულ-და-გულ. გზად მიმავალსა მოაგონდა მოგვთას დღეობა-ზედ მოხდენილი მოჩვენებანი და ეუბნება თავისთან ხლებულთა.

**გვ.** რა საკვირველ საოცარნი იყვნენ იმ შვიდ ფერ ცე-ცხლის ალში წამომდგარნი ჩვენთ კერპთ დევ-გმირთა სახენი, როგორ საშინელი ტანადნი იყვნენ, გმირული ხელ-ფეხიანნი, ძლიერებით ერთი-მეორეზედ უფრო-და-უფრო წამოსადევნი, საზარელი მძლავრნი, ამაყნი და თავხედნი, რანაირი რიხიანი ბოხის ხმით იმუქრებოდნენ, გაჰქონდათ ბუტ-ბუტ-ბურტყული, ჯავრობდნენ გაბრა-ზიანებულნი რაღაცაზედა...

**აჲდ.** ჩვენ თავ-ზარს გვცემდა მათი სახე, სურათი, მუქარა. მთელი ერთა ქალით-კაცამდის დახეხილ-დაფეფილნი იყვნენ, კანკალობდნენ!

**დიდსულა.** მათი გაბრაზიანება და ჯავრი იმაზედ თუ იყო რომ მრავალ განკურნვილთ ქრისტიანობა მიიღეს დღეობაზედაც აღარც-კი იყადრეს მისვლა და დასწრ ბა... ვინ იცის, იქნება ჩვენზედაც მწყრალობენ, რა ცივად ვეკიდებით ჩვენს წარმართობასა, ცარიელა საა ლით ვკამაყოფილდებით, საქმე-კი არ გვიჩანს. არ ვ წყრებით გაქრისტიანებულთა და არა ვსჯით ჯეროვნა მათ, რომ სხვათ შეიშინონ და აღარ შეჰსცდნენ გად რჯულებითა!..

**ჭურაბ.** როცა სნეული, ვინც უნდა იყოს, თუნდ ჩვენს თა ზედაც ავილოთ, თავის მძიმე გაჭირვებული სნეულები სიკედილის კარს არის მიმდგარი, სხვა ლონე-საშვალ აღარა აქვს. ეკითხება ის ქრისტიანი დედაკაცი: ინებ ქრისტიანობას, როს გაგამთელო მაგ სნეულებისაგან რა ეთქმის მაშინ სნეულსა? უნდა გაუგონოს სიტყ თუ არა, როცა მასზედ დარჩენია საქმე! ცხადია, უნ გაუგონოს! თუ მკურნალის მწარე წამლებს არ დაეწ დება გაჭირვებული სნეული და მიიღებს, მის ტკბილ ტყვებს უფრო სიადვილით არ მიიღებს? ახლა რა ბე ლი აქვს იმ გაქრისტიანებულსა? თუ კარგი ყოფილია წარმართობა, მათი ლმერთები უშველიდნენ; იმათ რა არავითარი სიკეთე მოუტანეს, ქრისტიანობის რწმუნებ მოუტანა. ასე მართლულობენ თავს გაქრისტიანებულნი

**მეფე.** გორანას წყევლა-შეჩვენებამაც უფრო საშინლად ამრი ჩემი დღენი გულიდგან არ გამომივა; ვალდებული ვა როგორც მეფე, ყოველი ლონისძიება ვიხმარო, რო ქრისტიანობა მოვსპო ჩემის ქვეყნიდგან. გამიწირია თვი, უნდა მხარი დავუჭირო დიდ-მოღვაწე მოხუცებუ მოვეთ-პეტ გორანას. თქვენც ვალი გაქვთ, ყოველ შე თხვევაში მომეხმაროთ, თავი დასდვათ ყოველს მოთხოვნილებაში ჩემს ერთგულებაზედა და საქმე კარგად წ

ვა... დაემოწმნენ ყველანი: დიალ, მეფევ, ეგ ხომ ეგრე იქნებაო უეჭველად!

**იდეუდა.** წინ-და-წინ ის ქრისტიანი დედაკაცი უნდა მოიკლას, რომ გულიდგან ამოილოს ერთბაშ მისი მიღებულება, მიჩნება და ლირსება!

**ურაბე.** ძნელი-კია მისი მოკვლა, თვალთ-მაქულეით თავს მოირჩენს.

**ქართ.** ხმალ-სატევარზედ თვალთ-მაქულება არ გავა!..

**თსტომი.** რას ბრძანებთ, როგორ არ გავა; განა არ გაგი-  
1 გონიათ, რომ ზანიხის ნათესავმან პარსახორთ მტრის  
ჯარი მისეული ლეკეთზედ ისე ერთიან დაბრძმავა დიდი  
თუ პატარა, რომ ვეღარ შევიღნენ ლეკეთში და უკანვე  
დაბრუნდნენ შერცხვენილნი!

**ჭე.** ერთის სიტყვით, რაც უნდა იქმნას, მე ჩემი სიტყვა  
უნდა ალვასრულო. იმავე ჩემმან ნანა დედოფალმაც,  
რომ მიწინაალმდევოს და არ უარჲყოს ქრისტიანობა,  
იმასაც დავსჯი შეუბრალებლად.

ამ სიტყვის თქმა იყო და თუმცა შუა-დღე იყო,  
უეცრად ისე საშინლად ჩამობნელდა, რომ თვალში თი-  
თი ეკვრათ შეცდომით ერთმანერთისათვის, იმასაც ვერ  
დაინახავდნენ! ვეღარც გზა გაიგეს და ვეღარც კვალი,  
მერე ისეთს ლირლლოვან ქვა-ლოდნარით საფსე გაუალ  
ადგილას დაატყდათ თავს ამ ნაირი ღვთის რისხვა, რომ  
სატირელი იყო; აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ურთი-ერთს  
ხელი-ხელს მისცეს, მიიძრნ-მოიძრნენ, მაგრამ ვერა გაა-  
რიგეს-რა: გადემტვრნენ ქვა-ლოდნართა, ტანთ დაეხი-  
ათ, ცხვირ-პირი დაიფხრიწეს, ხელები დაიშვლიპეს, და-  
სისხლიანდნენ: იწყეს ყვირილი, კივილი, მიშველეთ უხ-  
მობდნენ მცველს, მემცვარეთ, მწყემსებს, ნაცნობთ,  
უცნობთ, მგზავრთა, გლეხთა, მაგრამ გამგონი და მსმე-  
ნელი არავინ იყო. რომ გაუჭირდათ ყოველის მხრით  
საჭმე და არა ეშველათ-რა, მიმართეს ღმერთებსა.

**დიდსულა.** მათი გაბრაზიანება და ჯავრი იმაზედ თუ იყო რომ მრავალ განკურნვილთ ქრისტიანობა მიიღეს დღეობაზედაც აღარც-კი იკადრეს მისვლა და დასწრება... ვინ იცის, იქნება ჩვენზედაც მწყრალობენ, რაც ცივად ვეკიდებით ჩვენს წარმართობასა, ცარიელა საბოლოით ვკმაყოფილდებით, საქმე-კი არ გვიჩანს. არ ვაწყრებით გაქრისტიანებულთა და არა ვსჯით ჯეროვნა მათ, რომ სხვათ შეიშინონ და აღარ შეჰსცდნენ გადა რჯულებითა!..

**ჭურაბ.** როცა სნეული, ვინც უნდა იყოს, თუნდა ჩვენს თაზედაც ავილოთ, თავის მძიმე გაჭირვებული სნეულები სიკვდილის კარს არის მიმდგარი, სხვა ლონე-საშვალ აღარა აქვს. ეკითხება ის ქრისტიანი დედაკაცი: ინებ ქრისტიანობას, როს გაგამთელო მაგ სნეულებისაგანარა ეთქმის მაშინ სნეულსა? უნდა გაუგონოს სიტყოთუ არა, როცა მასზედ დარჩენია საქმე! ცხადია, უნდა გაუგონოს! თუ მკურნალის მწარე წამლებს არ დაეჭდება გაჭირვებული სნეული და მიიღებს, მის ტკბილ ტყვებს უფრო სიადვილით არ მიიღებს? ახლა რა ბელი აქვს იმ გაქრისტიანებულსა? თუ კარგი ყოფილი წარმართობა, მათი ღმერთები უშველიდნენ; იმათ რა არავითარი სიკეთე მოუტანეს, ქრისტიანობის რწმუნებულებანა. ასე მართლულობენ თავს გაქრისტიანებულნი

**მეფე.** გორანას წყევლა-შეჩვენებამაც უფრო საშინლად ამრი ჩემი დღენი გულიდგან არ გამომივა; ვალდებული ვარ როგორც მეფე, ყოველი ღონისძიება ვიხმარო, რო ქრისტიანობა მოვსპორ ჩემის ქვეყნიდგან. გამიწირია ივი, უნდა მხარი დავუჭირო ღიღ-მოღვაწე მოხუცებულებები-პეტ გორანას. თქვენც ვალი გაქვთ, ყოველ შემთხვევაში მომეხმაროთ, თავი დასდვათ ყოველს მოთხოვნილებაში ჩემს ერთგულებაზედაც და საქმე კარგად წ:

ვა... დაემოწმნენ ყველანი: დიალ, მეცევ, ეგ ხომ ეგრე იქნებაო უეჭველად!

**ადსულა.** წინ-და-წინ ის ქრისტიანი დედაკაცი უნდა მოიკლას, რომ გულიდგან ამოილოს ერთბაშ მისი მიღებულება, მიჩნება და ლირსება!

**ქრისტი.** ძნელი-კია მისი მოკვლა, თვალთ-მაქულეით თავს მოირჩენს.

**ქართ.** ხმალ-სატევარზედ თვალთ-მაქულება არ გავა!..

**ასტომი.** რას ბრძანებთ, როგორ არ გავა; განა არ გაგი-გონიათ, რომ ზანიხის ნათესავმან პარსახორთ მტრის ჯარი მისეული ლეკეთზედ ისე ერთიან დააბრმავა დიდი თუ პატარა, რომ ვეღარ შევიდნენ ლეკეთში და უკანვე დაბრუნდნენ შერცხვენილნი!

**ფე.** ერთის სიტყვით, რაც უნდა იქმნას, მე ჩემი სიტყვა უნდა ალვასრულო. იმავე ჩემმან ნანა დედოფალმაც, რომ მიწინაალმდევგოს და არ უარჰყოს ქრისტიანობა, იმასაც დავსჯი შეუბრალებლად.

ამ სიტყვის თქმა იყო და თუმცა შუა-დღე იყო, უეცრად ისე საშინლად ჩამობნელდა, რომ თვალში თი-თი ეკვრათ შეცდომით ერთმანერთისათვის, იმასაც ვერ დაინახავდნენ! ვეღარც გზა გაიგეს და ვეღარც კვალი, მერე ისეთს ღირღლოვან ქვა-ლოდნარით სავსე გაუალ ადგილას დაატყდათ თავს ამ ნაირი ღვთის რისხვა, რომ სატირელი იყო; აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ურთი-ერთს ხელი-ხელს მისცეს, მიიძრნ-მოიძრნენ, მაგრამ ვერა გაარიგეს-რა: გადემტვრნენ ქვა-ლოდნართა, ტანთ დაეხიათ, ცხვირ-პირი დაიფხრიწეს, ხელები დაიშვლიპეს, დასისხლიანდნენ: იწყეს ყვირილი, კივილი, მიშველეთ უხმობდნენ მცველს, მემცვარეთ, მწყემსებს, ნაცნობთ, უცნობთ, მგზავრთა, გლეხთა, მაგრამ გამგონი და მსმენელი არავინ იყო. რომ გაუჭირდათ ყოველის მხრით საჭმე და არა ეშველათ-რა, მიმართეს ლმერთებსა.

**მეფე.** მზეო, მზეო, ზესთა ზეო, ჩემო სვეო! რად გაგვიწყე  
შუადღისა და რათ დაგვიბნელე გზა-კვალი. სიცოცხლი  
გევედრებით გაგვინათლე, ამღორძინებელო მცენარეთ  
ამყვავებელო ხილნართა, გარდამშლელო ვარდ-ყვავილ  
თა, მომალხენელო ცხოველთა და შვიდ ფერად დამჭი  
რადებელო ყოველ ნაირ ძვირფას თვალთა, განგვირ  
ჩვენც ნათლის კარი და გაგვიბრწყინე დაბნელებულ  
თვალები, რომ გემსახუროთ ერთგულად. გევედრები  
გეხვეწებით, გემუდარებით! გვიშველე, გვისტინე, გაგვ  
გონე თხოვნა, ხვეწნა?.. არ იქმნა, არ გვეშველა!..

კრონო, მკონო, საუკუნოთ, ძლიერ გვტანჯა  
ბნელუკუნო. ღრო-ჟამის მატარებელო, შეგვეწიე, მა  
გვეხმარე, დაგვიხსენ ამ ბნელისაგან, დავრჩენილვაზ  
ჩვენ უგონო, შეუწევნელი უღონო. შეგვეწიე, მოგვ  
ხმარე, გამოგვიხსენ ამ ბნელისაგან... არ გვეშველა.

არმაზ, არამაზ, არამაზო, შვენიერო და ლამაზ  
საუცხოვო ტურფა, ნაზო, გამინათლე ეს სიბნელე, კ  
ქმები მაქვს სადარარბაზო. არ იქმნა, არ მეშველა, ა  
იქმნა-რა! უფრო ბნელა! ოპ! ოპ!

ემე, ემე, ჩემო ცერმე. საცდურშია ჩემი მერმე. გ  
მინათლე ეს დღე ჯერ მე, რომ გავიგნო გზა როგო  
მე, შეგვეწიე, მოგვეხმარე, მიხსენ ჩვენ ამ ბნელისაგა  
თითქოს კაცთ წინამძღვარი ხარ, გამაცადი, გამჭრის  
საქმე ყოფას, ნაშოვარზედ, სიტყვა-პასუხ-საუბარზე დ  
დი შემწე-მომხმარო ხარ, ჩვენც ამ დიდ ძნელ გასაჭი  
ში შეგვეწიე, მოგვეხმარე. თუ აქ ხარ და სხვაგან არ  
თუ არა და რა ღონე გვაქვს, სხვა ღროს მაინც მოგვ  
ხმარე. არ იქმნა!

აპოლონო აბულია, ბნელი ბნელზედ გაბმული  
დაიწვი ჩვენზედ გულია, ეგ პოეზით შემკულია. გაგდ  
ყვანე ამ ბნელიდგან, თითქო ხარ კაცთ ერთგული

მზეს ოააფრენ, მუზებს ალხენ, პოეტთ უნათლებ სულს, გულსა. შეგვეწიე, მოგვეხმარე, ნუ გვხდი ასე დაკარგულსა? არ იქმნა, ამასაც ღრმად სძინამს, არ ესმის ჩვენი ჭირ-ლხინი.

არის, ხარ თუ არისია, შენნი ვართ სხვის არვისია; გევედრებით, გეხვეწებით, არა ვთქვათ უარესია. ვიღუ-ჰებით ბნელ უფსკრულში, შეგვეწიე, მოგვეხმარე, სა-წყლად დავრჩით და ესეა. მგონი, არსად ხარ საომრად, ნუ ჩამოგვართმევ სახუმრად, გვიჭირს, ვსწუხვართ, გვი-შველე რამ, გამოგვიხსენ ამ ჭირისგან?.. სულ არა შე-ესმის-რა!

თუ სადმე ხარ არტემია, გვაკმარე ჩვენ ამდენია. ტანჯვა, წვალება ბნელისა ცოდვის რისხვად დაგვტეხია, შეგვიწყალე, გვიშველე, რომ ვიღუპებით ამდენნია. ვი-ცით ცხოვრობ უდაბურში ქალწულობით განდეგილი; ხელოვან მონადირე ხარ მეძებრის ხელმძღვანებითა. მო-გვძებნე ჩვენც და გვიშველე, მივიდეთ სახლს მშვიდო-ბითა. არ იქმნა, არც ამან გაგვიგონა ვეღრება, რალა ვქნათ?

ვენერავ, შვენების ღმერთავ! შენ მაინც რამე გვი-შველე. არც ერთ ღმერთმან არ გვიშველა, რომ ცრუ ყოფილან ყველანი. შენცა უ იმათგანი ხარ, გაგიწყ-დეს სახსენებელნი. ამოვარდით და ამოსწყდით, მოგე-ლოსთ ბოლო ყველასა!.. „ჩვენი ურგები შეჭამანდი ძა-ლლსა და ქოთანი ძვასაო“, — უთქვამთ.

წყეული იყოს თქვენი თავი, თქვენი ტანი, თქვენი სახელი და თქვენი სახსენებელი, რომ სიცრუით და უს-ჯულობით შემოლებული და შემოტყვილებული ყოფილ-ხართ ეშმაკთ მანქანებით ჩვენს მაცდურად და სულის წამწყმედელად, როგორც ამბობს მართალს, ჟეშმარიტს ჭრისტიანი დედა მახარობელი ჩვენი ნინო: ვწუხვარ, ვნანობ და ვსტირი, რომ აქნობამდის გემსახურე თქვენ,

ვერ ჩავიგონე ნინოს სწავლა-დარიგებით, გამოურქვეველად დავრჩი აქნობამდის და ვყოყნობდი უმეცრებით. ახლა გევედრები, ნინოს ღმერთო! შემინდევ, მომიტევენ მე ესრეთი დიდი ბრალ-დანაშაულნი და განმინათლე ჯერ სული-გული, რომ ცხოველი სარწმუნოებით გირწმუნო და მერმე ხორციელნი თვალნი აგვიხილენ შენ საჭებ-სადიდებლად... აგერ უფალო, ისო ქრისტე, მაცხოვარო, სოფლისა მზეო, სიმართლისა მეუფევ, დიდებისა უკვდაო და უცვლელო. აგერ შენის უზომო კაცომოყვარების წინაშე დაბნელდა ნივთიერი მზეცა, განჯარდნენ მასთან ერთად ყოველი კერპები: კრონო, არმაზი, ჰერმესი, აპოლონი, არისი, არტემი და სხვანი, ცხადად ალიარეს შენი სრული ღმერთ-კაცობა, შენი სოფლის მაცხოვარება, რომელმანც დაგვიხსენ მის დროს შენის დაუფასებელის სისხლის ჯვარზედ დალვრითა, ვნებითა და სიკვდილითა შენითა ეშმაკის ტყველისაგან. ახლაც გეველრებით, შეგვიბრალე, შეგვიწყალე და დაგვიხსენ ამ უკუნის ბნელისაგან, გაგვიყვანე სამშვიდობოს, რომ ლირს ვიქმნაჲ გაქრისტიანებისა და მით გაკურთხოთ და გადიდოთ უკუნითი უკუნისამდე...

ამ დროს მეფეს და მისს ხლებულთ, როგორდაც ტკბილ სამურად ალაგობლივ ჩასთვლიმათ ერთ წუთას, ერთი უეცრად გაახილეს თვალნი, რომ განათლებულიყო ცა და ქვეყანა. ნახეს თვითანაც, რომ ალარ იყვნენ გაუვალს ლრიდალ ქვა-ლოდნარში, ვაკე გზა-კვალს იდგნენ მზანი წინ წასასვლელად. მეფესთან ერთად ჯერ მუხლ-მოყრით და მიწაზედ მთხვევით ღმერთს დიდი მადლობა, ქება, დიდება და კურთხევა შესწირეს და მერმე მეფეს ხელ-ფეხთ ემთხვივნენ და ურთიერთ სიხარულისგან ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ ხშირ-ხშირად და მეფეც ასრე ყოველ ხლებულთა ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ასრე მხიარულად ჩამოვიდნენ თხოთის მჟითგან.

შეეტყო ნანა დედოფალსაც მეცხვრეებისგან, მიკ-მართა საშუროდ კარის კაცებით და დიდებულებით სა-შველად, ქინძნარას და ღართას შეხვდნენ მეფეს დედო-ფალი და დიდებულნი: მიულოცეს მშვიდობით გადარ-ჩენა იმ საშინელი განსაკუდელისაგან. მიესალმა დედო-ფალი ნანა მეფე მირიანსა და დაუდგათ დიდი ლხინ-სი-ხარული და ფართვარუჭობა! აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთსა!

ნინოსაც შეეკრიბა ქრისტიანენი და დაეწყო მხუ-რვალე ლოცვა-ვედრება და ფსალმუნი. აბიათართან ერ-თად აღვიხილენ თვალნი ჩემი მთათა, საითგანაც მოვი-დეს შეწევნა ჩემი უფლისამიერ, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვეყანა... უფალმან გიცვას შენ ყოვლისაგან ბორო-ტისა, დაიცვას სული შენი უფალმან. უფალმან იცვას შესვლაი შენი და გამოსვლაი შენი ამიერითგან და უკუ-ნისამდე! (ფსალმ. რქ.).

მოვიდნენ მცხეთას-რა, მთელი ქალაქი შეიკრიბა და გამოეგებნენ მეფე მირიანს და დედოფალ ნანასა დი-დის დიდებით, მიუძლოდნენ და მიიყვანეს საზაფხულო სასახლეში!..

რა დალაგდნენ ყველანი და ცოტა რამ შეისვენა დაღალულობისაგან მეფემ, მივიდა ნინო აბიათართან ერთად მეფე მირიანის სასახლეში და მიულოცა გადარ-ჩენა იმ საშინელ განსაკდელისაგან მეფე მირიანსა და მასთან ხლებულთ დიდებულთაცა. აქ აღიდა კურთხევით უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაცხოვარი სოფლისა, რო-მელმან უგულვებელ არ ჰყო მათი ლოცვა-ვედრება, უსმინა და გამოიყვანა სიბნელისაგან სინათლეში, სიკვ-დილისაგან სიცოცხლეში, უმეცრებისაგან მეცნიერება-ში და მწუხარებისაგან წარმართულისა, ქრისტიანულს ლხინ-სიხარულში.

**ნინო.** არ გეუბნებოდი, მეუფეო, რომ წარმართული კერ-

პები ოქროსი, ვერცხლისა და რვალისა კაცის ხელით გაკეთებულნი არიან. პირი აქვთ და ვერაფერს იტყვიან, თვალნი ასხიან და ვერ ხედვენ, ყურნი აბიათ და ვერაფერს ვერ ისმენენ, თავ-ტანი აქვთ და სული არ უდგიათ. ვინც მისთანა კერპებს ემსახურებიან მათი მსგავსივე არიან-მეთქი.

**მეფე** მირიანი. „კურთხეულ არს უფალი იესო ქრისტე სოფლის მაცხოვარი, რომელმან არა მიმცნა ჩვენ ნაღირად კბილთა მათთა, სული ჩვენი, ვითარცა სირი განერა მახისა მისგან მონადირეთასა, საფრხე მათი შეიმუსრა და ჩვენ განვერენით. შეწევნა ჩვენი სახელითა უფლისა იესო ქრისტესითა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვეყანაი“. დიდება მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ (ფსალმ. რკგ).

ვინმე მესი.

დავით აღმაშენებელი  
(დასასრული \*)

3.

ისწავლნაცა მართებანი,  
მზაკვართა განლიგებანი,  
მხედართა განწესებანი,  
გიდეთა ქვეუნის შერობანი;

იცოდა კვერთისა ჭირვა,  
განხეთქილებათ მოსპობა,  
საჭურველთაცა თვასთ დაცვა,  
და მოციქულთ მასპინძლობა;

იგი მსახურთ ნიკუ-მრავლობდის,  
ბჭეთა წესიერ განბჭობდის,  
მოსაკითხთ მოიკითხვდის,  
განსაკითხთ განიკითხებდის.

ხარგ ბეგანისგან განარინსა,  
ლავრანი და მონასტერნი,  
საყდარნიცა უზრუნველ ჰევნა,  
განუსინსა მათ დრაჭებანი.

მღვდელნიცა სამეფოს შიგან  
თავისუფალ ჰევსა ჭირთაგან,  
უღველთ დაჭირებათაგან,  
ხარკოა და ბეგარათაგან.

---

\*) იხ. „მოგზაური“ №№ 6 და 7.

კანსა, ვინ აღთვლის, რავდენა  
მეფემ ადაპენსა კიდნი,  
ანუ ქვა-ტენიდ ჰევნა გზანი,  
იურიად საწყახოდ სივაჭნი; <sup>1)</sup>

რავდენი ეპლესიანი,  
წარმართა ჩუგინებულნი,  
გვალად ჰევნა წმიდა, სიგიანი  
და სახლ დათისა ნიკიანი;

რავდენი წარმართნი ქრისტნებნა,  
წმიდისა ემბაზის შვიდ ჰევნა!  
რავდენი ემბაჯს მოსტაცნა  
და ღმერთსა შეასაკუთრნა!

შეძენითც ამდენ სულების,  
აღზრდითც ამდენ შვილების,  
მადლი მოციქულების  
მიიღო უწინდელების. <sup>2)</sup>

## ¶.

შეიტე იურ ურიად ქველი,  
გლახაკოა შემწეალებელი,  
უძლურთა მსაზრდოებელი,  
ობრლთა მამა-მშობელი.

მას მცირე კისაგი აქვნდის;  
რამ დღე, დრაჭენით ადაგსებდის,

<sup>1)</sup> ქ. ცხ. (გვ. 267): „რაოდენი გზანი, სა-  
წყინოდ საფალნი, ქვაფენილ ყვნა“ მეფემან და-  
ვით.

<sup>2)</sup> ქ. ცხ. (გვ. 267): „მაღლი მოციქულებისა  
მიიღო მეფემან დავით, ვითარცა პავლე და ვა-  
თარცა ლილმან კოსტანტინე“.

და გლახვეთ, ვრდომილთ მთიფლიდის,  
მათ უოგელთა გაუუთველის. <sup>3)</sup>

ც.

ქსენონიცა აღაშენა, <sup>4)</sup>  
შეულნი შიგ დაშენა,  
სახმარნი მათ გაუჩინნა,  
შესაფალნიც მიანიჭნა;

ხოლო მეტე თვითოც მივიდის,  
მთიხილნის, მთიკიოხნის,  
თვითეულსა ამბორს უყვნის  
და უოგელთ განამხნეობდის;

უსინჯვიდისც საგებელია,  
ცხელრებსა და საწოლებსა,  
ქრის-ლა გასაყოფელსა  
მისცემდის სჩეულს უოულსა.

თვითო სახე სენით განტლილი,  
უბადრუებ ხორცოა სენ-შეკდილთ,

<sup>3)</sup> ქარ. ცხ. (გვ. 257): „უპქონდა მეღვისა კი-  
ზაკი მცირე; აღავსის დრაპენითა, და ოდესმე ნა-  
ხევარი წარავის მისი და ადესმე არავინ პოვის  
და ეგრე სავსე მისცის და შარხვად ხვალისა და  
სულთქენით თვის: „დღეს ვერა მივეუც ქრისტესა  
მარცხენითა ჩემთა ლოლვათა““. და ამას არა თუ  
სელოსანთაგან მოზომელისა იქმოდის აშუ სა-  
კურკლით, არამედ ხელთა თვისთა ნიდირებული-  
თა, რომელთაგანი თვისსა მოძღვანსა იღანეს მის-  
ცა ადესმე დრაპენი ვითარ თუ-და-თხი ათასი,  
რათა განუყოს გლახვეთა“.

<sup>4)</sup> ქ. ცხ. გვ. 244.

ქუთათს უფროსად განზრდილთ,  
მკურნალთ მიჭიბერიდის გამოცდილთ. ۵)

## თ.

და აღაგნაცა სასახლენი,  
მოგზაურთ დასასახლენი,  
განაქარენა სისაწყლენი,  
მგასან, ქადაგთ მოსაწყლენი;

გინცა მგზავრად მოდიოდის,  
გინცა ერსა ასწავლიდის,  
უოგელსა მთიკითხევდის,  
უოგელსა განიკითხევდის.

## ი.

მეფე იუო ნიჭითსანი,  
აღავსნა სალხნი დეთისანი,  
არა ხოლო ქართლისანი,  
უცხოთაცა ქვეშნისანი:

აჭეთ — ასურეთისანი,  
იქით — საბერძნეთისანი,  
ზემო — ბორჯალეთისანი,  
ქვემო — ბალესტინისანი. ۶)

განიკითხა კვიპრის პეიპრელნი,  
შავსა მთასა შავმთიელნი,

<sup>۵)</sup> ქ. ც. (გვ. 257): „მრავალ-გზის გვიხილავს იგი დამლობებულად ღაწვთა თვისთა ცრემლითა შილვასა ზედა თვითო სახეთა სენთა მიერ განცდილთასა და შილვად საძნაურთა, რომელი შეემთხვევიან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა შორცთა, რომელთა სხდათა უმეტეს ზრდის ქვეყანა ქუთათისა“.

<sup>۶)</sup> ქ. ცხოვ.. გვ. 256.

დადსა ათონს მთაწმიდელნი  
და სინას — მამა სინელნი.

ია.

მეფემ აქავე სინასა  
მონასტერიდა წმიდისა  
აგო ეპატირინისა,  
ქართველთა დიდ შეოხისა,

და მრავალ ათასეულნი  
წარსცა მას ვერცხლ-ოქროულნი,  
წიგნი სრულებითა სრულნი  
და უოველნაცა ჭურჭელნი. <sup>7)</sup>

იბ.

ურმანიც წარგზავნნა საბერძნეთს,  
უბრძანა: „გაბრძნდით უცხოეთს,  
მერე მოდით აღმოსავლეთს  
და იღეწეთ ამერ-იშერეთს“.

წარგილნენც ბევრნი მრავალ  
ფილთოვისა სწავლად,  
სიბრძნისა მოსარეწველად  
და თვისით თავთა საწურთველად.

შათ შეირ განმშვენდა არე,  
მათ მიერ განბრწყინდა მხარე,  
მათ მიერ გატკბილდა მწარე  
ჩვენის ქვეუნის არე-მარე.

იბ.

სამეფოსა შინა სლვასა,  
სიმრავლითა დას-წურბისა

<sup>7)</sup> ქ. ცხოვ., გვ. 266.

და სიმალითა სრბოლისა  
შეფე დავით მოწევალესა

გერა შიემთხვეოდიან,  
მჩიგარნი გერ ნახვიდიან,  
ვისცა რაოთურთ რამ სჭირდიან,  
მეტესა გერ აცნობდიან;

ყოგნი ხეზე აღვიდოდენ  
და, ვით ზაქე, უმზერდიან,  
ყოგნი გზის ბორცვს დგეპოდენ  
და თვისთ ჭრტინგაო მოსთქმიდიან;

მას უაშესა დავით ჩავდიდის,  
გარნა კელადს განაგლენდის.  
ჭირვეულთ ჭირს შეიტუობდის  
და შერე განიგიოხევდის. <sup>8)</sup>

## II.

ჰუგანდაცა კელადი თვისნი,  
მართალნი და ღიდის ჭბვისნი,  
განზრახვანი სხვათა სხვისნი,  
გეოლისა თუ აფისნი.

<sup>8)</sup> ქ. ცხ. (გვ. 257): „ლევან შენა თვისთა  
სამცფოთასა, სიძრავლითა სპათათა და სიმალოთა  
სლვისათა, ჯრ ადვილად შიემთხვეოდიან მოჩი-  
ვარნი და დაკირვებულნ; რომელთა უსმეის გან-  
კითხვა და შეწევნა მეფობრივი, ალვიდის ბორცვ-  
სა ჩედა გზასა ჩახლობელთა, ანუ კლდესა გიჩა  
თუ ხესა, ვითარცა ზაქე. და მღნით საცნაურ  
ყვის გრძინვა თვისი. ამისთვის დაედგინეს კაც-  
ნი მართლიად მცნობელ ნი და გამყითხვარნი მო-  
ჩივართანი, რომელთა შიერ მირღვბდეს კურნე-  
ბასა“.

ეცნობთდიან შეფეხსა,  
მიერთმთდიან სეფეხსა;  
მან უწევდა, წან-და-წინვე,  
სად რა ჰუგის, რას ეწაოგისა.

მეფის წინაშე ცხად იყო,  
ვის: რად სად უცხად ექო,  
ვინ: სამე მზაკვარ იყო,  
ვისა რად სად გეთილ ექო.

ბრძენთ, გეთილად ისმენდინ,  
დავითსა ნუ განხასრევდინ:  
ვინ: ა ქვეუჩას ადრევდინ,  
მ.ს მხოლო მეფე მუსირევდინ.

უგელამ იცის ჩვენი გვარის  
ორგულობამ. ქართველის;  
ოდესცა-და ვინ განსუქნის,  
ოდესცა-და ვინ განდიდნის,

მასგე ჭამს იგი განლადდის,  
განსგენება ვერდა ჭილვის,  
აღდგის, აღბორგდის, ამაღლდის  
და მოძმეთ გაუორბულდის. <sup>9)</sup>)

<sup>9)</sup>) ქ. ცხ. (გვ. 260): „ნათესავი ქართველთა  
ორგულისუნება ას პირველი იშვანვე თვისთა  
უფალთა: რამეთუ რაუამს განდორნენ და დიდება  
პიორნ და განსეყნება, იწყებენ განსრახვად ბო-  
როლის, კითარცა მოგვთხობს ოველი მატია-  
ნე ქართლ ისა და საქმინი აწ ხილ ულ ნი“. ასე-  
თვე მოწმობა (ი. ათონის კი 074 წ. გადაწერილს  
კრებულში). დაყით მეღვისაც არგვლნი დასდავ-  
ლნენ მოსაკვდავად, გარნა ლმცრობა სასწავლე-  
ბრივ იხსნა თვისი ცებული (ქ. ცხ. 262).

na.

၁၆၂ ဖျောက်လ ပြုစွဲ ဘွတ်စံ မန္တေသန၊  
ဘွတ်စံ မဖျောက်စွဲ၊ ပုံစံ မန္တေသန၊  
ပုံစံ မဘွတ်စွဲ၊ ပုံစံ မဘွတ်စွဲ၊  
ပုံစံ မဘွတ်စွဲ၊ ပုံစံ မဘွတ်စွဲ၊

ଜୀ-ଲ୍ଲା ପାନ୍ଦି ମାନ କୁମାରା? —  
ମତ୍ରିକୁଳିଙ୍କାମ ତ୍ୟଗିଣି ଯାରା  
ଲ୍ଲା ମିଶ୍ରଙ୍କା ଶ୍ରୀମାଲିତ ଶତାଷ୍ଟୀରା,  
କୁମାରା ମତ୍ରିକୁଳି ଏହାରା.

03.

ମେଲିଲା ତିରମିଶିବାରେ ଶୁଣିଲାମାନ  
ତାମାର, ମେଘିଲା ଆଶ୍ରମାନ,  
ଶାର୍ଦ୍ଧାନିଲା ଦେଖିଯାଇମାନ,  
ମେଘ ମାହେନ୍ଦ୍ରାଥକନ୍ଦ୍ରା ପିନ୍ଧିଲାମାନ —

ତାଙ୍କୁ ୧୦) ଏହାକି ଲେଖିବାରେ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ,  
ଶିଳ୍ପ-ଶ୍ରୀନାଥ ମହାତ୍ମୁଙ୍କ,  
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତା, ମିଶ୍ର ପତ୍ରପତ୍ର,  
ଶର୍ଣ୍ଣବାବୁ, ଶିତ୍ଯାଶ୍ରମ, ପାର, ପାତ୍ରପତ୍ରଙ୍କ.

ଏ ତୃପ୍ତିରୁା ମୁନ୍ଦେ ଲାକ୍ଷଣ୍ୟରୁ,  
କାନ୍ଦଗାନ ଧୃତିରୁ ମାନ୍ଦଳିରୁ ହେଲା,  
ଶିଖିମିଳିତ ଜୀବତାମ ଗାନ୍ଧାକ୍ଷଣ୍ୟରୁ  
ଏ କ୍ରିସ୍ତୀ ଲମ୍ବାକର୍ତ୍ତରୁ ମିଥ୍ୟାକ୍ଷଣ୍ୟରୁ.

10) ქ. ცხ. (გვ. 240, ვაჭუშ., გვ. 204): „და-  
საელით მეტვებისა და ღვის-წყლისა არს თიღვს  
ჯვრის მანასტერი, რომელი აღაშენა ასულმან  
აღმაშენებელისამან თამარ, გუნდათიანი, დიდშვე-  
ნიერი, კეთილ-ნაშენი; შენობანი გარემოს მრა-  
ფალნი და აწ ხურის სასიარი“.

08.

შეფის ასული მეორე,  
კატო ბრძნი, ბრძნად მბრძნობარე,  
ალექსისა მემცხედარე,  
იუო მარისა დასაღარე.

იგი გაიხვდა საბურძნეთს, <sup>11)</sup>  
ჭეუჯანასა მას საბევრ-ზნეთს,  
სიბრძნე-სწავლასა სააკვნეთს,  
დიდს, წმიდას საჭრისტიანეთს.

დავით ქსიძა ეივჩაუეთს,  
კატო ეუფლა დასავლეთს,  
თამარ წმიდა აღმოსავლეთს,  
და სამთავენი ცისქვეშეთს!

გხედევდით, იტევის, <sup>12)</sup> ხესა,  
შორის ქვეუნად ამოსულსა,  
სიმაღლით ცის მიწდომილსა,  
კოდევიდე სიოფლის რცო შლილსა,

ფურცელით მის ხის შვენიერ,  
ჩრდილოვან, სულნელებიერ,  
თვით მსხმოიარ, ნაყოფიერ,  
მის ქვეშე მოლი შვინეირ. —

ხესა აშას დადებულსა  
ემსგაგსა მეფე ქართველისა, <sup>13)</sup>

<sup>11)</sup> 1116 წ. კატა (ეკატილინა) მისთხოვდა  
ალექსის, ნიკიფორე ბრიენისა და ანა კომნენის  
შვილს.

<sup>12)</sup> საღმრთო წერილი.

<sup>13)</sup> ქ. ცხ., გვ. 261.

გინაითგან მისს აჩრდილსა  
და მისსა შეუდროს საგრილსა

შემთკრბნენ მრავლით მრავალნი-  
ენი, ტომნი და ენანი,  
შევენი უიგჩაუ, ლეგთანი,  
თვით, ჩაჩნთ და სხვათა-სხვათანი.

და აჩრდილსა ქვეშე მისსა  
განესგენა უოვლს გავგასსა,  
ძლიერს, შარავანდოსანსა,  
თავისუფალს, სკიპტორისანსა;

მის მიერ იძმნენ უოველნი:  
გმირნი ლინი, უიგჩაუელნი,  
ჩერქეზი, ჩაჩანი, ღიღლი, ღლილენი,  
სომქი, აფხაზი, ლეპ, ქართველენი;

შეიგნეს უოველთ ერთობა,  
ერთურთის დიდი ღირსობა,  
მტბილე გავშირით არსობა,  
ძმურის ცსოვრებით მეტობა.

---

ამისთვის დავით შეფესა  
გუგალობთ უოველნი დღესა: <sup>14)</sup>  
„თვალთ უოვლისა სოფლისა,  
ჩაჩინთ ჩინთ თვალისა!

საქართველო შენ გაახარ,  
ეგრე რომ ჭაეროვანი ჩარ;  
პეთალნი დაითეს, გაახარ,  
ეგრე რომ ჭმელ, შვერიერ ხარ;

---

<sup>14)</sup> თან: მელროვის, ღიღლებულის არსენი ვაჩეს  
ძის შესხმიდამ.

საჩინა ხარ შენ ჩვენ შორის,  
ვითა მზე კარსეგდავია შორის,  
ბრწყინვალეც კაცთა შორის,  
ვით ეთერი ნივთთა შორის.

ხარ შენ, მეფეო, ცისკროვან,  
ტებილ ფრიად, დვთისა სახოვან,  
იაკინთებრ ელვაროვან,  
დაწვ მწეაზარ, შორშან, ვარდოვან.

ხარ მოგიცე ანდამატისებრ,  
ლომგულ მიზე დავითისებრ,  
სახელ-განთქმულ ნებროთისებრ,  
ახოვან ისე ნავესებრ;

მხნე ხარ სამსონ მსაჯულსავით,  
უძლეველ აქილევსავით,  
ბრძენ — სოლომონ მეფესავით  
და მშვიდ დავით ცხებულსავით;

მაკიდონელს უზარბით  
დაედარე შენ მეფობით,  
ადგისტრისა კეისრობით  
დაედარე ქვეუნის ფლობით;

ქრისტე ღვთის იქმენ სწორობით  
შენის კაცთ-მოუგარებით,  
პეტრეს დარი მხერვალობით  
და პავლესიცა მკვირცხლობით;

შენ ადადგინე მამული,  
გასჭერ ცხოველის რუსმული,  
უკრმულ გზა ჰევ ურმული  
და ერს ჰრძეი: „აწ თქვი ურმული“.

ადათერიალე ალაში,  
შერშე აიღე კალაში,  
ლერწმისა ფამაზ წალაში  
და დასწურ: „ადარა ვჭდაში

დიღხანს ვიყო ამ სოფლადა,  
გუავ მე თქვენ თავისუფლადა,  
იყავით მშვიდ, მთელწილადა,  
ნუ ვინც იქნებით დაფლადა;

„მსგავსად წურბლის ვერ მაძღარი,  
სოფლის კიდეთ მექებარი,  
მისი უნჯის პომხუცური,  
აწ გარ ჩემის ლეონის მხედრა:

მაღალთ დმერთო, მიღხინე,  
ჩემსა ცოდვილს სულს უდხინე,  
ერიცა ჩემი ალხიტე,  
მითავისუფლე, მიღხინე“.

და დალოცა მეთემ ერთ:  
შეავედრა დმერთს იყერი,  
უფველი ამერ-იმერი—  
თვალი სოფლის შვენიერი.

და შეინძაცა ამთუშო, <sup>15)</sup>  
ლამაზ თვალნიკ მთიკუშო—  
მშეარნი ხელნიც ძირს დაუშო,  
სხივა მთადა საჩუგეშო.

<sup>15)</sup> 1125 წელს, 24 იანვარს, შაბათ დღეს,  
53 წლისა თვისის დამალებიდან.

მიებარა. და გაენათს, <sup>16)</sup>  
სად სანთელ მარად აენათს;  
ქართლს მეფე მიწყივ გაენათს,  
განა ქართლ როსლა აენათს?!

გ. ლასურიძე.

— ००१ —

---

<sup>16)</sup> გელათს.

# რ უ ს უ დ ა ნ \*)

მოქმედება მეორე

ჩვენება I

ტფილისი. საშუალება. დაშა გიორგი ზის შარტოკა და თა-  
ვის-თავს ესაუბრება.

დაშა. დალახვროს ღმერთმა კაცის ბედი! წინად თვალი მტკი-  
ოდა და მკურნალმა მომირჩინა. ახლა გული მტკივა!  
ველისციხელის ცოლმა აღმიძრა საშინელი სახმილავი!  
წყეული მეტად ლამაზია! რა თვალები აქვს, რა წარბ-  
წამწამი! ტანი ბროლისა, შვინვა ზამბახისა, კბილები  
მარგალიტისა, მიჯრით მიწყობილი. ვაჟ, დავიწვი! რო-  
ლის მომგვრიან! არ გნებდებაო! როგორ შეუძლიან! ჩე-  
მი რაინდები გავგზავნე, აქნობამდის უნდა მოსულიყვნენ  
და მოეყვანათ! რად დაიგვიანეს ნეტა! მაგრამ, ჩუ! რა-  
ლაც თქარა-თქური ისმის! ისინი უნდა იყვნენ. (დგება,  
სარემედს ადებს. ქუჩაში გადაიხედავს და პრუნდება უკანვე)  
სწორედ ისინი არიან! მოჰყავთ ოქროს ხოხობი! წავალ  
და მოვუსვენებ მგზავრებს, დალალულები იქნებიან.

(გადის)

ჩვენება II

შეფის სასახლე. სადარბაზთ პალატა. დაშა მარტოკა წინ-უკან დადის.

დაშა. (შეფურის რისიანთბით) საქართველოში მე ვარ მეფე და

\*) იხილე «მოგზაური» №№ 6 და 7.

არა კათალიკოზი, ანუ ივანე ათაბაგი! კანონიერი ცოლი იქორწინეო! მხევალს ნუ დაისომო! სხვას რომ ცოლი წაართო, ცოდვა არისო! ღმერთი ჯაგსჯისო! კარგია ასეთი ლათაეები! მაშ რა ვქნა, თუ-კი მიყვარს იგი ისრე, როგორც სული ჩემი?! მითხარით, რა ვქნა, თუ-კი სიყვარულის ტრფიალი მკლავს, მწვავს, მაღნობს, მდაგავს, მშრეტავს! რა ვუყოთ მერე, რომ იგი სხვის ცოლია! არ შეიძლება განა, რომ იგი სხვა არც-კი იყოს! ერთი ხმლის მოქნევა და მისი თავი ტანს განშორდება. რა დიდი ცოდვა განა, რომ ერთი ქვეშევრდომი მტლედ დაედოს მთელი სახელმწიფოს გამგებელის სიცოცხლისა და დღეგრძელობისათვის! ქვრივის შერთვას ხომ ვეღარც ღმერთი აღმიკრძალავს, ვეღარც კანონი!

(შემოდის ივანე ათაბაგი და მეფეს თაყვანის სცენე)

**დაშა.** აა, ჩემი ივანე, ჩემი ერთგული ათაბაგი! როგორ ხარ ივანე, რისთვის გარჯილხარ?

**ივანე ათაბაგი** იცოცხლენ, მეფეო, უკუნისამდე! და მერე კათალიკოსმა მოგახსენათ...

**დაშა.** (სლეჭეგით) ვიცი, რის თქმაც გინდა! სიყვარულის საქმეში, ათაბაგო, ყველანი სცდებიან, გარდა ამ ჩემის გულისა!

**დგ.** ათ. გული, გული, გული! გონება და ჰეჭუა სადღაა, მეფეო დიდებული! გული რომ ეგრე გითქვამს, ჰეჭუა რაღას გიჭრის, ჩენო პატრონო! კათალიკოსისა და მთავრების ყრილობამ გადასწყვიტა, ხელმწიფეო, რომ რასაც თქვენს დიდებულებას გული უთქვამს, სწორედ ის დალუპავს სამეფოსაც და თვით მეფესაც, თუ გულის-თქმა თქვენი განახორციელეთ. გამოცდილნი ვაზირნი და მთავარნი მოწიწებით და მოკრძალებით გირჩევენ, მეფეო, გულიდამ ამოიღო უკანონო სიყვარული და კანონიერი ტრფობა ჩაითესლო და ჩაინერგო შენს, ჯერ

ისევ ნორჩის და გამოუცდელს გულში. არავის შენი მტრობა არ უნდა, ხელმწიფეო, არამედ ყველანი ტახტის და სამეფოს დღეგრძელობისათვის იღვწიან. ნუ განმირისხდები კადნიერებისათვის. მთელმა ყრილობამ წარჩინებულ და გამოცდილ კაცებისამ დამავალა და მაიძულა ესე ყოველი მომეხსენებინა თქვენის დიდებულებისათვის.

**დაშა.** გმადლობ გულახდილად უბნობისათვის. გარნა ვერ მიშვდარვარ და ვერ გამირჩევია უკანონო სიყვარული კანონიერისაგან! ყველა ნირი სიყვარული მე კანონიერი მგონია.

**აგ.** აი. სცდებით, ხელმწიფეო! უკანონო სიყვარული ის არის, რომელსაც დღეს თქვენ შეუპყრიხართ. ველისციხელს თავისი მეუღლე თქვენზე მეტად უყვარს და მისი სიყვარული კანონიერია, თქვენი-კი—არა. კანონიერი სიყვარული კაცს ატკბობს, უკანონო-კი სწვავს და ჰდაგავს. კანონიერს მოაქვს ბედნიერება, მყუდროება და სიტკილე, უკანონოს-კი უბედურება, შფოთი, სიმწარე და შიში განუქარვებელი!

**დაშა.** პატიოსანი. მერე ვინ არის თავმდები, რომ ველისციხელის მეუღლის განცევნით მე მომეცემა სულის მყუდროება და სიმშვიდე? არ გგონიათ, რომ საყვარელის არსების მოშორება მე უფრო მომისპობს მყუდროებას და უფრო გამიცხელებს სახმილავს?! რა დიდი მსხვერპლი იქნება, რომ მეფის გულში აღძრულ სახმილავის განსაქარვებლად ერთმა მისმა ქვეშევრდომმა თავისი ცოლი მას დაუთმოს და თითონ სხვას შეეუღლოს?

**იგ.** თ. მეფევ, ქუდი ძირს დასდეთ და სამართალი ისე გადასჭრით!

**დაშა.** ველისციხელის ცოლი რომ ჩემთან არის, მით უკვე გადამიჭრია სამართალი! ცოლს მე ვირთავ და არა შენ ათაბაგო, და ანუ კათალიკოსი!

**ღ.** ათ. ვიდრე ველისციხელი ცოცხალია, შენ მას ვერ შეირთავ: ეკლესია უარს იტყვის ამისთანა ქორწინებაზე!

**ლაშა.** მიკვირს, თითქო არ გსმენიათ, რომ წინამაც ჩვენს მეფეებს ხარჭანი და მხევალნი ჰყოლიათ!

**ღ.** ათ. მერე ხარჭისაგან ნაშობს ტახტზე ვინ დასომს! და ასრეც მოგახსენეს, მეფეო, კანონიერი მეუღლე შეირთოსო, ტახტს მემკვიდრე ესაჭიროებაო! იცოდე, მეფეო, თუ ტახტი ცარიელად დაშთა, მთავრები და ხელისუფალნი აირევიან, აიშლებიან, მათი არევა-კი იქმნება დასაწყისი სამეფოს დაცემისა.

**ლაშა.** მე ეგრე არა ვსჯი. თუ ბედია, ველისციხელისაგან მომეცემა შვილი და ის იმეფებს ჩემს შემდეგ.

**ღ.** ათ. უკანონოდ შობილს, ვიმეორებ, არ ამეფებენ. გიბედავ და მოგახსენებ ჩემთა გამომგზავნელთა პირით: თუ, მეფევ, ხარჭს არ მოიშორებ და კანონიერად არ იქორწინებ, მაგ ხარჭსაც წაგართმევენ და მისსავე პატრონს ჩააბარებენ, ხოლო თვით მთავრები-კი წავ-წამოვლენ თვისს სახელისუფლოში და თვისთვისად იცხოვებენ.

**ლაშა.** (რისხვით) ათაბაგო, კადნიერება თქვენი თქვენს ქადილს აღემატების! ვით ბედავთ მაგის თქმას?

**ღ.** ათ. ინანებ, ხელმწიფეო, თუ შემოთვლილს არ აღასრულებ! (ყეხ-აჩქარებით გადის)

**ლაშა.** (მიაძახებს) მაშ მეფე არ ვიყო, თუ ველისციხელის ცოლს არ გათაყვანოთ! (გადის)

### ჩ გ ე ნ ე ბ ა III

ტფილისის სისახლე. მეფის დარბაზი. ლაშა და ველისციხელის მეუღლე ეთად სხედან და საუბრობენ. მერე შემოდიან დიდებულნი,

**ლაშა.** ყველა მთავრები აჯანყდნენ. კათალიკოსიც მათ მიემ-

ხრო. თხოულობენ, ველისკიხეშივე დაგაბრუნო. მალე გაქარწყლდება მათი მუქარა. აქ ხმალი მკიდია და არა რიკე. სულს გამოვეთხოვები და შენ-კი არ დაგთმობ.

**გელ. სც. წოლი.** ხელმწიფეო, ჩემთვის შტოთს ნუ ჩამოაგდებ სამეფოში. მართალია გიყვარვარ, მაგრამ ჩემდამი შენი სიყვარული თუ სამეფოს არევს და დასცემს, შესაჩვენებლები და დასაგმობნი გავხდებით. გეხვეწები და გეველები, ბატონი და პატრონი, ველისკიხეშივე გამგზავნე და შენთან დაიტევე ჩვენი სიყვარულის ნაყოფი, ჩვენი შვენიერი დათიკო. ვენაცვალე დედა, ბედის პერანგით დაიბადა. თუ ბედის პერანგიანობა ცრუ-მორწმუნეობის ნაყოფი არ არის, მას ერგება მეფობა, რა გინდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყვანდეს. დამითხოვე, გამისტუმრე ველისკიხეს, ჩემს მაგიერ ეს ნორჩი ქმნილება შეიყვარე, აღზარდე ისე, რომ მამას სჯობდეს შვილი.

**ლაშა.** ვერა, ვერ დაგთმობ, ჩემო სულო, ჩემო გულო! (შიიწევა შასახევად) ჩუ!.. რალაც ხმაურობაა! ვინ არის, რა ამბავია? (შემოდის შეკარე).

**მეგარე.** ხელმწიფეო, რაც საქართველოში დიდებულებია, სასახლის წინ შეყრილან: მეფის ნახვა გვინდაო!

**ლაშა.** (გაგვირვებით) ყველანი!

**მეგარე.** დიალ, ყველანი დიდის ლაშქრით.

**გელისც. წოლი.** დავიღუპენით!

**ლაშა.** დიდებულებს კარი გაულე და შემოიყვანე! (დიდებული შემოდიან)

**დიდებული.** ადლეგრძელენ ღმერთმან მეფე ჩვენი! (მოწიწებით თავს უკრავენ)

**ლაშა.** გმადლობთ. დედოფალს-ლა თავს არ უკრავთ?!

**დიდები.** ჩვენ არა გვყავს დედოფალი!

**ლაშა.** აი თქვენი დედოფალი! (გელისციხელის ცოლზე უთითებს)

**დიდები.** ეგ ხარჭაა, მდაბიო კაცის ცოლი!

**ლაშა.** მდაბიო კაცის ცოლი ახლა თქენი მეფის მეუღლეა, თქვენი დედოფალია!

**დიდები.** არა, მდაბიო კაცის ცოლი თვითუ მდაბიოა. ჩვენ, დიდებულნი, მაგას ვერ შევიშვნეთ და ვერ ვიკადრებთ!

**ლაშა.** თუ მე, მეფე კაცი, მაგას ვკადრულობ, თქვენ როგორლა უკადრისობთ! განა თქვენ-კი ანუ თქვენნი მამაპაპანი დასაბამითგანვე დიდებულნი იყვნენ? განა დღევანდელი დიდებულები გუშინ მდაბიონი არ იყვნენ? ივანე ათაბაგის მამა და პაპა განა დედა ჩემმა და პაპა ჩემმა არ გაადრიდა? მე რალა დამიშლის, რომ გავადიდებულო ის არსება, რომელიც მიყვარს ძლიერად, თავ-დავიწყებამდის!

**დიდები.** ნუ დელავთ, ხელმწიფეო! ჩვენ შენი სიკეთე გვინდა და სხვა არა-რა. ერთხმად გადავწყვიტეთ, ეგ ხარჭა მის-სავე ქმარს დავუბრუნოთ და თქვენ შეგროოთ კანონი-ერი მეუღლე, ასული დიდგვარიანი და წარჩინებული. ნათქვამია: „ხმა ერისა— ხმაა ღვთისაო“. უნდა დაგვმორჩილდე, ხარჭა დაგვითმო და მით შტოთი და ამბოხება დააშოშმინო, ქვეყანა დააწყნარო.

**ლაშა.** (ხძის ამაღლებით) არ იქნების, გადით!

**დიდები.** მეფეო, დაწყნარდი, დამშვიდდი. თქვენი სიკეთე და სამეფოს ბედნიერება ასრე გვაკადნიერებს. მოპასუხენი ჩვენ ვიყოთ, თუ ჩვენმა განზრახვამ იოტის ოდენი ვნება მოგაყენოთ თქვენ. დაბრძანდით ბედნიერს ტახტზედ და იხელმწიფეთ, ველისციხელის ცოლს-კი მისსავე პატრონს ჩავაბარებთ.

(დიდად ადელგებადი ლაშა ტახტზე ჯდება. ველისციხელის ცოლი დიდებულების გაჲშავი და გადას)

**ლაშა.** (ტახტიდან წამოურინდება და რისხვით წინ-უკან დადის) და-მაცადონ, რას ვუზამ! აგრე თავის აგდება ყმათაგან გა-გონილა! საქართველოს ტახტი ჯერ ისე არ დამცირებულია, რომ ტახტისაგანვე გაბედნიერებულთ ასრეთი

თავხედობა შერჩეთ! ვიღაც ქურთი კაცად გავხადეთ,  
 და ამირსპასალარობა მივანიჭეთ და, დახეთ, ახლა რას  
 შვრება! სულ მისი ბრალია! შეუჩნდა დედა ჩემს და  
 ათაბაგობაც ხელთ იგდო! ათაბაგად-კი არა, მწყემსად  
 იქნებოდა დღეს ეგ ველური ქურთის შვილი! (მეფურის  
 მქონეარებათ) ავკაფავ ჩემს მოწინააღმდეგებს, დავჭრი,  
 დავლეწ, დავნაყავ, ავანიავებ! (გადის)

(შემდეგი იქნება)



# ი ა ნ ი ჩ ა რ ი \*)

მოქმედება მეოთხე

ს ც ე ნ ა Ⅰ

სცენა წარმოადგენს მისღვრიანს; ჰირ-და-პირ მოჩანს ციხე და ციხის კარი; მარჯვნივ თხელ-ტუიანი ფერდაა. ციხითვან გამოდიან ნინო და ქალთამზე საომარის იარათით ვაჭებაცურად ჩაცმულნი.

ნინო და ქალთამზე

ნინო ახ, რათ წაველით წუხელ სხვაგანა,  
აგერ უჩვენოდ შინ რა მომხდარა!...

მერე ვინ გითხრა შენ ეგ ამბავი?

ქალთამზე ეგ მითხრა ერთმა დედიდა-შენის  
მეზობლის ქალმა.

ნინო. სხვა რალა გითხრა?  
ან შენ რა ჰყითხე?

ქალთამზე. თუმცა-კი ვკითხე: სადაურები,  
ან ვინ არიან; მაგრამ საცოდავს  
სხვა ვერაფერი ველარ გაეგო...  
ვიცით, არიან ორნივ ქართველნი,  
ჯერ ეგ გვეყოფა, სხვა მერე იყოს...

ნინო, მართალი არის, დანარჩენს ყველას  
მალე გავიგებთ; მაგრამ, იცი რა?  
ჩვენებს ხომ მალე ვერავის ვნახავთ,  
სხვისა კითხვა-კი მეჩოთირება.

ქალთამზე. რათ გინდა სხვასაც გაუზიარო  
ეს საიდუმლო გულის პასუხი?

\*) იხ. „მოგზაური“ №№ 6 და 7.

**ნინო.** წამო, წავიდეთ ეხლა-კი ჯარში,  
თორემ ხომ იცი, რომ მამაჩემი  
რა კაციც არის? თავის ბრძანებას  
ჯარს რა სასტიკად ასრულებინებს!

**ქადაგ.** მამაშენს მაგ მხრივ მე კარგად ვიცნობ;  
საქმის დროს იგი არავის უთმობს  
და შვილს თუ უცხოს ერთგვარად დასჯის;  
მეტადრე ეხლა სასტიკად ითხოვს,  
რომ ყველა თავის ადგილზედ იყოს  
ყურ-მახვილად და განშზადებული...  
(გაბოჟებიან მარცხნით. მარჯვენა ჭრითგან შემოდის თრი  
თანიჩარი)

**ერთი.** ისე მოვიქცეთ, საქმე არ წახდეს...

**შეორე.** როგორ წახდება? ასე მოვიქცეთ:  
მივალთ პირ-და-პირ ისაყბეისთან  
და ვეტყვით ყველას, რაც-კი ასლანმა  
ჩვენ დაგვარიგა, თუ როგორ უნდა  
ვუმტყუნოთ ოსმალთ, მივემხრათ ქართველთ,  
ჯარმა პასუხი როგორი გასცა...  
და სხვა ამგვარი თუ ვიცით რამე,  
ნურას დავზოგავთ... სომ კარგათ იცი,  
ამის გულისთვის რა ჯილდო გველის!..

**შილებელი.** მა რაღა ვიცი... მაშ, აბა ჩქარა  
გზას გავეშუროთ! (მიდიან ციხისკენ)  
აგერ მგონია,  
თითონ ასლანი აქეთკენ მოდის,  
ჩქარა წავიდეთ, არ დაგვინახოს...

(ციხის კარებში შედიან. შემოდის ასლანი და ჭიმშერის მსახურია)

**მსახური.** თითონ ბატონი გამობრძანდება,  
აქ მოიცადეთ, ან ახლო სადმე.

მე-კი ამ წუთას შევატყობინებ.

**ასულან.** კარგი, მაშ წადი, მე აქ მოვუცდი (მსახური ჩქარა წავა)

(შარტო) ღმერთი ჩვენკეა, საქმე თან-და-თან  
 კეთდება უფრო ჩვენს სასარგებლოდ,  
 მეც—მონაწილე ამ დიდ-საქმისა—  
 სულ თუ არ—მაინც ბედნიერი ვარ...  
 აქამდის მკვდარსა-გადაკარგულსა,  
 უმიწა-წყლოს და უდედ-მამოსა  
 სრული უფლება მაქვს, ალვიარო,  
 რომ სამშობლოც მაქვს, ვიპოვე იგი;  
 მოსიყვარულე მშობლებიცა მყავს,  
 ნათესაობა გამხარებელი...  
 აქამდის სხვისა ნების მორჩილი  
 უმიზნოდ ვლვრიდი უმანკო სისხლსა,  
 მხოლოდ სულთნისა უბრალო მსხვერპლი  
 ვადექ ბრუნდე გზას ცოდვილიანსა.  
 რავდენჯერ, თითქმის სულ უბრალოდ ხალხს  
 ვტანჯავდით, ვკლავდით, არ გვებრალოდა,  
 საითაც-კი ჩვენ გამოვიარეთ,  
 წითელი ზოლი უკან რჩებოდა...  
 ეხლა-კი? ეხლა საგანიცა მაქვს,  
 ვიცი, ვის უნდა მე ვემსახურო;  
 მიზანიცა მაქვს და ისიც ვიცი,  
 ჩემი სურვილი ვით აღვასრულო!  
 ჩემი საქმისა სატრფო საგანი  
 არის მამული—წმინდა სამშობლო,—  
 მიზანი მისი კეთილ-დღეობა,  
 რომ იმის მტრებსა მოვულო ბოლო!  
 აქ აღარა ვარ სხვისა მონა-ყმა,  
 ჩემი თავისა ბატონი მე ვარ;  
 რასაც ვისურვებ, მას აღვისრულებ,  
 ვგრძნობ, ჩემი საქმის პატრონი მე ვარ!  
 (მცირე ფიქრის შემდეგ)  
 თუ გამილიმა ბედმა ერთხელაც

და თანაგრძნობა აღმომაჩინა  
ჩემმა სატრატომა, მაშინ კი სწორედ  
ბედნიერება მომელის წინა.  
იმედიცა მაქვს, აგრე მოხდება  
და ტურფა ნინო ჩემი გახდება!..

### შემთღის ჯიმშერ

**ასლან.** აჲ, საყვარელო, კეთილო მამავ,  
თავს შემოგევლოს შენი არჩილი!..  
**ჯიმშერ.** ძვირფასო შვილო, მოხუცი მამა  
შენ შემოგევლოს, მტლეთაც დაგედოს.  
(გადაეხვევიან)

**ასლან.** როგორ მიხარის მშობლების პოენა,  
რომ ვერ გამოვთქვამ ამას ენითა!..  
თითქოს ახლადა მთლად დავიბადე,  
მარტო ვსულდგმულობ აღტაცებითა!..  
თქვენის ცქერითა მინდა, რომ დავსტკბე,  
მაგრამ ჯერ ნებას არ მაძლევს საქმე...  
**ჯიმშერ.** ეგ მართალია, ძვირფასო არჩილ,  
ჯერ საქმე — ჩვენთვის დრო ძვირი არის...  
მითხარ, მაინთკენ რა ამბავია,  
ან რა იმედი ჩვენ უნდა გვექონდეს?

**ასლან.** მაგაზედ პასუხს ეხლავე გეტუვი:  
წუხელ იმ ნახვის-გაცნობის შემდეგ  
ხომ ძლიერ მალე წავედით ჯარში,  
მისვლის უმალვე ჩვენ მივაშურეთ  
პირ-და-პირ ფაშის სანახავადა.  
რა დაგვინახა, მაშინვე გვითხრა,  
რომ რიურაჟისას აყრას აპირებს;  
ამასთანავე გვითხრა ისიცა,  
რომ მე აქ მტოვებს სხვებთან ერთადა,  
და ისკანდერს-კი თან წაიყვანდა.

ეს ყველა წუხელ ხომ გაცოდინე...  
 მერე, ჩვენ ღამე იქ გავატარეთ,  
 არსად გაგვიშო; დილას-კი ადრე,  
 გარიურაჟისას, გაუდგნენ გზასა.  
 უფროსად არის აქ ისაყ-ბეი,  
 კაცი—თუმცა-კი მოფიქრებული,  
 მაგრამა მაინც არა საშიშო.

**ჯიმშერ.** შენი ჯარისა?

**ასლან.** ჩემი ჯარია

მთელი კრებული სხვა-და-სხვა მოდგმის,  
 თესლის ტომისა და სადაც უფრო  
 მეტს სართას ჰქედვენ, მეტს მიიღებენ,  
 ისინიც იქა გულით შრომობენ;  
 ახლა მეც ცოტა პატივსა მცემენ...  
 ასე, რომ საქმე გაჩარხულია...

**ჯიმშერ.** მერე და აბა შენ რას დაპირდი?

**ასლან.** თავისუფლებას რა შეედრება!

ყველას, ეტყობა, მოწყენილი აქვს  
 ამდენი თრევა უთავბოლოდა,  
 და დასვენება მიტომ ირჩიეს...  
 მერე ისეთი სიმღერა დაპკრეს,  
 სიხარულისგან, რომ ცას სწვდებოდა!

**ჯიმშერ.** ძალიან კარგი, ჩინებულია,

მაგრამ შენს ჯარში არვინ იქნება  
 ბოროტი სული, რომ გიღალატოს  
 და ისაყ-ბეის შეატყობინოს!

**ასლან.** რატომ, იქნება... მაგრამ ჩვენ იგი

ვერას დაგვაკლებს; რადგანაც საქმე  
 მიმდგარი არის სახრინავზედა.  
 მეც მაგ მიზეზით ეხლა ვუთხარი;  
 ეხლა ვერაფერს ვეღარ გვიზამენ!..  
 მართლა, თქვენს ჯარში რა ამბავია?

**ჯიმშერ.** წუხელ, პირველ ღამ გავგზავნე ჯარი;  
ალაზნის პირზედ მომარჯვებულს დროს  
ფაშას უცაბედ დაესხმებიან,  
და, თუ უშველა წმიდა გიორგიმ,  
უთუოთ კიდეც გაიმარჯვებენ;  
ისკანდერიც იქ მიეშველება,  
ძლევა ნამდვილად ჩვენკენ იქნება.  
მხოლოდ ჩვენ ეხლა ამას-ლა ველით  
იქითგან, მერე აქ შევუდგებით.

**ასლან.** აქ მყოფი ჯარი სულ ხომ მზათ არი?

**ჯიმშერ.** სულ მზათ არიან, როგორც ჩაფარი.

### შემთდის გოდერში

**გოდერშ.** ხალხო, არიქა, საქმეს ვუშველოთ,  
თორემ ამდენი ოფლი ჩაგვივლის!..

**ჯიმშერ.** რა იყო, გოდერძ, რა ამბავია?

**გოდერშ** რაღა რა იყო ამაზედ მეტი.

ვიღაც უღმერთო იანიჩარსა  
ისაყ-ბეისთვის სულ გაუცია,  
რაც-კი ასლანსა ჯარისთვის უთქვამს.  
ისიც გამწყრალი ამ ამბისაგან—  
ჩვენთვის აპირებს რისხვის მოვლენას....  
აქეთ-იქითკენ კაცებსა ჰგზავნის,  
რომ სასწრაფოზედ შეჰქრაბონ ჯარი,  
მაგრამ წალილსა ჯერ ვერ მიაღწევს.

**ასლან.** მერე და ეგ რა სამწუხაროა,

ომი ხომ უნდა ისეც დაგვეწყო!

თუ ჯარებიც ვერ შეუკრეფიათ

მით უფრო კარგი, ჩვენ დროს მოვიგდებთ;

გაწყრომით კიდევ ვერას წაილებს,

მისი გაწყრომა მე მომანაბრეთ.

**გოდერშ.** სწორედ შენზეა გაჯავრებული,

შენ გემუქრება ღალატისათვის...

აგერ ისიცა, აქეთკენ მოდის.

**ასლან.** მე გავცემ პასუხს, ნუ გენალვლებათ.

(ისაუ-ბერ მოახლოედება ო-ვდენიშე ჯარის-გაცით)

**ისაუ-ბერ.** (მკაფრად) ასლან, უჩემოთ შენ გაგიცია

ზოგიერთი რამ ბრძანებანი და

მით შეგილახავს ჩემი უფლება...

მაგალითად, შენ ნება დაგირთავს

ციხის კარების გაღება მათვის,

ვისაც არა აქვს არაფრის ნება!

მე გიბრძანებ, რომ ეგ თავხედური

განკარგულება ემ წუთას მოსპო

და თითონ შენვე გასცე ბრძანება!..

**ასლან.** შენს საძაგელსა, მყრალსა ლაპარაკს

ჩემთვის არა აქვს არაფრის ფასი...

თუ ნება მივეც ეგ იმიტომ, რომ

ჩემთვისა იყო ძლიერ საჭირო.

მაგგვარს შენს რეგვნულს ბრძანების-ნებას

არ აღასრულებს ასლან არას დროს;

და თუ უთუოდ გინდა, რომ იყოს

ციხის კარები გადარაზული,

სცადე და მაშინ ნათლად იხილავ,

თუ რასა ჰქვიან ამაყი გული! —

**ისაუ-ბერ.** ჰმ... მაშ მართალია, რაც შენზე მითხრეს?

მაშ შენ აპირებ ჩვენსა ლალატსა

და მიეკედლე გურჯებს იმიტომ,

რომ თურქთა სისხლი მოგწყურებია?

იმიტომაც ხარ ეხლა აქ ერთად

შენს მეგობრებთან და მომხრეებთან,

რომ მოიაზროთ და მოიფიქროთ,

როგორ გვაჯობოთ და დაგვამარცხოთ?

მაშ, თუ ეგრეა, შეგ შლიათ ყველას

ცრუ ანგარიში; ვერ აისრულებო!

ეხლავე გირჩევთ, რომ დამმორჩილდეთ!  
 თორემ შემდეგ რომ ცრემლის ღვრად იქცეთ,  
 თქვენ ჩემი გული არ შეგიბრალებთ...  
 მოიფიქრევით—დამემორჩილეთ!

**ასეთან.** ნეტავ რას როტავ, გაგეგება-კი?!

ვინ დაგმორჩილდეს, რისთვის, ან რადა?  
 არც ერთს გურჯს გული ისე არ უცემს,  
 რომ შენისთანას დაუმორჩილდეს!  
 თუ მაბრალებენ მე გურჯთ მიმხრობას,  
 იმ უტვინოებს ვერ გაუგიათ,  
 სწორედ ამბავიც ვერ მოუწვდიათ!  
 უბრალო მომხრე ხომ არ გვინივარ?  
 ან დაჭერილი ქირით დრომდისა?..  
 არა! მე თვით ვარ ტომით ქართველი,  
 მათი ლვიძლი ძმა და მათი შეილი!  
 მათის ტანჯვითა მეც ვიტანჯები;  
 მათის ცრემლითა ასლანიც სტირის...  
 მაშ რის მომხრე და რის მოლალატე?!.  
 მე თითონ ვდგევარ რაზმის თავშია,  
 მე ვარ პირ-და-პირ შენი მოქიშვე,  
 მე გამიფრთხილდი, მე მომერიდე...  
 ღიაღ, იცოდე, ქართველს არ უყვარს,  
 მონების ულელს რომ ატარებდეს;  
 წალი შეჟრიბე შენი ლაშქარი,  
 გასამნევებლად სიტყვა უთხარი;  
 მერე აქეთკენ გამოეშურეთ,  
 და ჩვენს სეირსა მაშინ უყურე!  
 ეცადე თავი რომ ისახელოთ,  
 ბრძოლა გათაედეს თქვენს სასახელოდ;  
 ჩვენ-კი ვიბრძოლებთ ისევ ქართულად—  
 ცეცხლებრ გულადად, მხნედ და ერთგულად... .

**օ Տ Ա Գ - ծ յ օ .** ցատաց պարագաներ!.. յարցու, մա՛մ ցնաեռու,  
ցոն օ թարալց ծածկ ամ սաշմե մուս!  
տվայն վալայ-սուլուց ծաւալու հռմ մռաց գուց  
և գուրջաց ծաւան յալու ցաւալու իշխան,..  
ծոցու մամուն տվայ մուսու հուսեցու!..

(Ճանաչութեան բառեալիքն)

**Տ Ա Հ Ա Ն .** Կուտա եան սկան պարագաներ էնաեան!..  
մաց սուլուց ծաւան հուսու գուց դաշտառուն!..

**Ճ Ա Մ Շ Ե Ր .** ածա, յելու-կու դրու նոյ դաշտարացու,  
պարամ մուսեց ծաւան հուսու-հուսու չարեցսա,  
և հասագործունու Ծպա-դրայց մուս!..  
ցաւուն մուսու գուց, միաւ դաշտառու ոյա!

**Տ Ա Հ Ա Ն .** յըրու աշուց ծաւան սուլ պարագաներ  
միաւ դաշտառու.

**Ճ Ա Մ Շ Ե Ր .** Ռազուց չարտան,  
սեպա օյ ցուսայմուտ. (Հանահաց էռմաց լուս)  
մցոնու մռաց

մասարունց ծաւան... (Ճանաչութեան մուս)

**Յ Ո Վ Ե Լ Ա Ն Ո .** (Դատիմու յարագ) Մուկրու կու մռաց!..

**Մ Ա Զ Ր Ա Գ Ո .** (Ըալալութեան յարագ) Սու, դաշտառու! Եմու յերժանո  
պեսնու մռամուց ծաւան, հռմ ցուլար մուսուն...  
մերու մե ցուեսու ցամուց մուսու...

**Ճ Ա Մ Շ Ե Ր .** Տայմե ցաւութարու, հապ տայնու!

**Մ Ա Զ Ր Ո Ւ Ո .** Եմ Ռուտ մուս, մե մա՛մ հուս մռեց զար.  
հուսու չարու հռմ վալուս հաշտա,  
ցիս այստ-ոյստ ռու մերու հասագործուն...  
ոմ ցիս այստ-ոյստ սաւապ սունդա հայունուտ  
ուսմալուց ծաւան, ցիս էուրու վալու  
Ռուտունուն—սուլու-կու տեսուն...  
յս մռեց սՌուրու ցարուրաց ուսուս...  
հասագործուն... միշտ հռմ ամռուն  
մաց ցուլուտ, հուսու մռարաշետա

მოგვცეს ნიშანი, რომ მოდიანო;  
 ყველა მომზადდა; განაბულები  
 არც-კი სუნთქავდნენ, გზას თვალით სჭამდნენ...  
 ამ დროს გამოჩნდა ჯერ წინა რაზმი,  
 მერე მოსდევდა ფაშა სხვა ჯარით.  
 როცა მოვიდნენ თოფის სროლაზედ,  
 ჩვენებმა მსწრატლად ტყვია აწვიმეს,  
 მერე კიუინით, ურიამულითა  
 გადაერივნენ პირ-და-პირ თურქებს...  
 დაუწყეს თიბვა, როგორც ბალახსა...  
 ისინი რადგან არ მოელოდნენ  
 ამ გვარს დაცემას, ძლიერ შეშინდნენ;  
 ყველას დაებნა ცნობის დავთრები!..  
 მაგრამ მერე-კი მოვიდნენ გონსა,  
 შემოუბრუნეს ხელი ჩვენებსა  
 და გაიმართა მედგარი ბრძოლა...  
 ოსმალნი უფრო სიმრავლით გვჯობდნენ,  
 მაგრამ ჩვენების გულად მხნეობამ  
 მათ სიმრავლესა მოჰტეხა ფეხი...  
 მართლა, კინალამ ის დამავიწყდა,  
 რომ ომის დროსა ასმალოების  
 ერთმა წყებამა იბრუნა პირი  
 და თავის ძმებსვე დაუწყო ულეტა;  
 ასე, რომ იმით ბევრი გვიშველეს...  
**ჯამშერ.** მერე რა მოხდა? რითი გათავდა?  
**შეგრივი.** როგორც შევატყე, რომ ოსმალოებს  
 ალსასრულის დღე უახლოვდებათ,  
 ჩვენები უფრო კაპასდებოდნენ,  
 მაშინვე აქეთ გამოვექანე,  
 და, რით გათავდა, მაინც არ ვიცი.,.  
 უეჭველია, გაიმარჯვებდნენ!..

**ასლან.** მაში, აბა, ეხლა ნუ დავახანებთ,  
ჩვენ აქ მოვულოთ ოსმალებს ბოლო!..

**გეორგი.** აბა, წავიდეთ.

**ასლან** მეც ეხლავ მოვალ.

(გადიან, ასლან მარწნივ)

შემთდის ორი თურქია

**ერთი.** იცი ახალი ამბავი რამე?

**მეორე.** არა, აქამდის სულ სოფლად ვიყავ

და ქეითშია დროს ვატარებდი...

უჰ, რომ იცოდე, რა ლვინოები,

რა ქალები და ბატ-ინდაური...

სულ ყველაფერი უხვად მზათ არი,

მხოლოდ ფეხები დააბრაგუნე...

**შირ.** ზოგი ეხლა თქვი, რომ აგაგორონ...

**მეორე.** რათა?

**შირ.** იმათა, რომ გურჯი გადგა.

ბრძოლას გვიპირებს; ამას კიდევ ის

ზედ დაემატა: იანიჩარნიც

იმათ მიემხრნენ—მგონი დაქრთამეს.

ეხლა საცაა, იმს დაიწყობენ.

**მეორე.** ეგ-კი ცუდია, არ მექაშნიკა!..

ეგენი გვყვანდნენ გრის გამკაფავად...

მაგრამ ჯარი ხომ ბევრი გვყავს ძლიერ!

**შირ.** შენ ეგრე ჰფიქრობ? მგონია, სცდები...

მაგრამ წავიდეთ, აგერ ვინ მოდის... (გადიან)

შემთდის ისაუ-ბერ რადენიშე კაცით

**ისაუ-ბერ.** ჩვენ დროს ნუ ვკარგავთ, გავაწყოთ რაზმი

და ჩავაშხამოთ ტკბილი დღე ყველას,

ვინც მოინდომა ჩვენი ლალატი.

ჯარი მზათ არის სულ, თუ ჯერ ვერა?

(შემთდის მეორეარი)

**ახლად** მოას. მზათ გახლავთ ჯარი, თქვენ გელისთ მხოლოდ,  
ისაყ-ბ. მაშ, კარგი. ეხლა, ერთი წავიდეს

ძლიერ საჩქაროთ და ყველაფერი  
ფაშას აცნობოს, რომ მოგვაშველოს  
კიდევ ჯარები, თორებ რა ვიცით...  
აი—შენ წადი, აბა გაფრინდი... (ურთი გაფა)  
ჩვენც გავეშურნეთ ურჩით დასასჯელად...

**არმაზან.** ასლანზედ სიტყვა არ დაგავიწყდეთ.

**ისაყ-ბ.** მართლა; ყველასა გამოუცხადეთ,  
რომ ვინც ასლანსა ანუ დაიჭერს,  
ან კიდევ მოჰკლავს, ჯილდოთ ექნება  
ხუთასი ოქრო. აბა, წავიდეთ.

(გავლენ მარცხნივ. ჭერ შორითგან მოისმის იანიჩართ სიმღერა,  
მერე ახლოვდება, შემთდის ასლან ჯარით, სიმღერას განაგრძობენ)

ათასნაირ ტომის შეილნი  
ჩვენ შეგვკრიბა ერთმა ბედმა  
და შეგვაბა ერთს უღელში  
იმ ურცხვმა და იმ თავხედმა.

ალარა გვაქვს ჩვენ მამული,  
ალარ გვახსოვს ჩვენ დედ-მამა...  
ყველა ამის კვალი თავში  
გადარეცხა დროს დენამა...

მამულად გვაქვს ვრცელი მიწა,  
და დედ-მამად იარალი...  
დაჩაგრულებს ბედით, კაცით  
ლრმად გვასვია იმის დალი.

სხვისა მონა, სხვისა მუშა—  
არ გვაქვს დღე-ლამ მოსვენება...  
ჩვენ ვშრომობთ და სხვას-კი მიაქვს,  
აქ სად არის კაცთ უფლება? (გავლენ)

(ცისითგან გამოდიან ანნა და საფოშე, ორმეულთაც სედში სედ-  
ცასთცებით რადაც მოაქვთ; საფოშეს სედში დიტრაც უკირავს.  
წელი მარტი სანჯლები არტყიათ)

ანგ. ხომ წამოილე ყველა წამლები

କୁ କେରିଲାଙ୍ଘିଦିଲାଗିଲାମା ?

**სალომე. სულ წამოვიდე, რაც-კი შემეძლო:**

ძმარი, მალამო, ბუქრისა მცვარტლი

და სხვა ამგვარი, რაც-კი ვიცოდი,

კრილობებისა შესახვევი(კა...

ანია. ძალიან კარგი. ეხლა საითკენ

ဣနလာ ၆၁၅၀၉၂၂၊ ၈၃၇၊ ၉၁၈၀ တွေ့၍

არ შევეჯახოთ და პირ-და-პირა

ჩვენებს მივაგნოთ?

ଶ୍ରୀମତୀ. ପାଦ୍ମିଲ୍ଲାମା,

როცა ომისა ნიშანს დაუკვრენ,

ମାତ୍ରିନ ପ୍ରସରାତ୍ମକରେ ମାଲ୍ଟି ଗୁଡ଼ିଗୁଡ଼ିଦିଲା.

ანია. იკი, რომ შენი ლევანი ფაშას

თან გაჰყოლია? ჩემი არჩილ-კი

၁၂။ အရှင်သုတေသနများ

სალომე. მაგრამ ლევანი

ისევე მალე აქ მობრუნდება,

როცა იქ თურქებს დაამარცხებენ.

ანნა. ჩემმა ნინომ-კი არ იკის, წუხელ

ରୁ ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଫଳ ଦାଖଲାମନ୍ଦା!

არ იქნის, რომ მას ძმა გაუცოცხლდა?..

**სალომე. ჰი, მერე როგორ გაუხარდებათ,**

იმათ არავი ერთმა არა იკის-რა!..

ანთ. ჩვენ მაინც მეტს ხანს გვეყურებინა,

დავმტკბარიყავით ჩვენი შვილებით;

ມາດຸລາມ ນາບຖືຕາ({}) ປົກລະກາດ ວຽນ ວົນາເຊີຕ,

ვერც არაფერი ვერ გამოვკითხეთ,—

და ისევ მალე გამოგვეთხოვნენ.

**საფომე.** გარემოებამ ეგ მოიტანა...

(ამ დროს მთისშის ზურნის ხმა—განგაშის ცემა ერთის შხრათ, მეორე შხრითაც უჩასუხებს ამ კვალადვე და კარგა ხანს გაგრძელდება)

**საფომე.** აი ნიშანი! ეხლა-კი სწორედ

ომს დაიწყობენ; ჩვენც იქ წავიდეთ.

**ანნა.** პირველი ზურნა ჩვენების იყო?

**საფომე.** დიალ, და ის ხმა აქეთგან იყო. (მარცხნავ უჩვენებს)

მაშ ჩვენც აქეთკენ უნდა წავიდეთ.

**ანნა.** წავიდეთ! ღმერთო, შენ იყავ მცველი

და დამფარველი ქართველებისა! (გადიან მარცხნივ)

კიდევ ხმა განგაშისა. შემოდის რობიტ და აზნაური

**აზნაური.** ბატონი, რობიტ, დავიგვიანეთ;

აგერ განგაშიც მას გვეუბნება,

რომ ბრძოლას მალე დაიწყობენო...

აი მე მივალ, შენ შენი იცი. (გაკა)

**რობი.** ჩემი საქმისა მე თითონ ვიცი...

მერე, რომ მალე დაიწყობენო?

მე რას მომიტანს ამ დღისა ბრძოლა,

თუ არა ტანჯვას და მეტს წვალებას?!

ან რაღა არის ეხლა რობიტი?

განა მე ისევ ის რობიტი ვარ,

წინათ რომ ვიყავ? შეუპოვარი,

ამაყი, მძლავრი, მედგარი მჭრისა?;

არა, მე ეხლა ქალაჩუნა ვარ,

მხდალი დიაცი, უძლური ლონით,

თავმდაბალი და ფეხით სათელი—

მორჩილი სხვისა, მშიშარა მონა!..

თუ ეს არა ვარ, მაშ რათ დავუთმე

ჩემი დიდება, ჩემი სახელი,

ის მომავალი ბრწყინვალე ბედი,

რომელიც მარად მიღიმდებოდა...

დავუთმე სხვასა... კი არ დავუთმე,  
 დავემორჩილე ქედ-მოხრით შიველ,  
 შევეხვეწე, რომ შემრიგებოდა, —  
 იმის მაგიერ, რომ ომის შემდეგ  
 იმ მორიელსაც გავსწორებოდი  
 და სახელიც არ დამმცირებოდა!  
 ეხლა იმ ფიცის პირობის ძალით  
 ხელსაც ვერ ვახლებ, ვერ შევეხები...  
 გავთელე ჩემი ამაყი გული,  
 ყელზედ შავიბი ურცხვი საყელო...  
 მაგრამ თუ იმას ხმასაც ვერ გავსცემ,  
 არ შემიძლია განა, რომ ჯიმშერს  
 სამაგიერო გადავუხადო  
 სხვა გზით მაინცა?.. რატომ! გადვუხდი!..  
 უფრო სასტიკათ, უფრო მწარეთაც...  
 იმის ასლანი, ხომ აქ ომშია,  
 მეც სწორეთ იმის მოკვლით ჯიმშერსა  
 გულში მოვუდებ უქრობ გენიას...  
 და ეს იქნება სიკვდილზედ მწარე...  
 შევცდი და შევრცხვი, თავზედ ტალახი  
 მე გადავისხი... ჩემი ბრალია...  
 ამ შეცდომასა მევე გავრანდავ,  
 სჯობს, მედგარს ომში გადავერევი  
 და სიცოცხლისა ძვირად გაყიდვით  
 ჩამოვირეცხავ ყოველს ლაქასა.  
 ამ პიროვნება შელახულს ცოცხლას,  
 ბევრად სჯობია ამაყად მკვდარი!  
 მაშ, გასწი, რობიტ, იყავ მედგარი. —

(გადის საჩქართდ. შემოდის თრთ ქართველი)

**შირველი.** იცი, თურქების შიკრიკს რა უუყავ?  
**მეორე.** რა უყავ? (ომის ხმაურთბა).

**ბირგელი.** გეტყვი, მაგრამ დაიცა...

უჰ, უჰ, კაცო, ეს რა ამბავია!..

რა ხელ-ჩართული ომი გამხდარა!

როგორ გადადის კაცი კაცზელა!

ჯერ-კი სჩანს, ბედი ჩვენებს ულიმით,

ოსმალო თითქოს იწევდეს უკან...

**მეორე.** მართლა, მეორეთ მოსვლას არა ჰგავს!..

**შერგელი.** შორითგან ცქერა საამურია,

მაგრამ ვალი გვაქვს ჩვენც გავისარჯნეთ.

წამო, ვახსენოთ ჩვენი გამჩენი

და სისხლის ღვარში ჩვენც ჩვერივნეთ! (გავდენ)

(ომის ხმაურობაა. ცოტა ხანს უგან შემორბის რაგდენიმე ასმალო  
უვირილით)

**ერთი.** სწორეთ დავმარცხდით... ვუშველოთ თავსა!

**მეორე.** არა, აქეთ სდგას ყურბანის რაზმი,

შევატყობინოთ, რომ მოგვეშველოს,

თორემ გაჭირდა...

**შირგ.** აქეთ მირზასი,—

მე კიდევ იმას შევატყობინებ... (გარბიან)

(ხმაურობა. ოსმალოს ჭარი იწევს უგან, მოსდევს ასლანი ჭარით)

**ასლან.** აბა, გამაგრდით თქვე დიაცებო!

ხომ გულადნი ხარ?.. იანიჩარნო,

მხნედ, მხნედ დაპკარით ამ ხალხის მტრებსა...

ეგრე... ყოჩალალ... (ამ დროს შემოვარდება არმაზან, მიი-

ჭრება ასლანთან და ეტუვის:)

**არმაზან.** შესდექი, ასლან!..

მე და შენ უნდა გავსწორდეთ ჯერა!..

შე მოლალატე, ულირსო მონავ,

უპურ-მარილო, გაუტანელო;

აბა, მიცანი, ვინ გიდგას წინა?

**ასლან.** კარგადა გხედავ და კიდევ გიცნობ...

არმაზანი ხარ... ის უშნო პირი,  
რომელსაც ჩემი ყველა სიკეთე  
თვალებში ეკლად ეჩირებოდა...  
ვერ ისვენებდა სიმშურნის გამო,  
ჩემს დამცირებას მარად სცდილობდა,  
მაგრამ ვერას გზით ვერ მისწვდა წალილს,  
ეხლა-კი ჰფიქრობს—გაპმართავს ნადიმს...

**არმაზან.** შენ მართალი ხარ, მაგასა ვფიქრობ.

მაშ გამიფრთხილდი მშიშარა ასლან!  
დღეს შენის მოკვლით გზას გავიწმენდავ!..

**ასლან.** ბილწად ნუ ჰყბედობ და დროს ნუ ჰყარგავ!

აი ბურთი და ეს მოედანი,  
ვსცადოთ სიმარჯვე ჩვენის მკლავისა...

(დაიწუებენ ბრძოლას. ჯერ თანასწორია, ბოლოს ასლანი სჯობსის, არ-  
მაზანი, რომ დატეობს, გაიძუება. ასლანი თავს გაანებებს)

**ასლან.** დაძაბუნებულს შველა-ლა უნდა!.. (ბრძოლით გავლენ)

(ომის ხშაურობა. შეორე ტაჭლა მოდის, ასმალების მოსდევენ ქარ-  
თველები ჯიმშერით, გოდერმით და სხვებით შარცხითგან)

**ჯამშერ.** აბა, ბიჭებო, გაისარჯენით,  
გავთავისუფლდეთ ამ ურჯულოთგან!..

(გადიან ომით სცენის სიღრმეში)

**რობირ.** (გააფთრებული) იქ ვერა ვპოვე შავი სიკვდილი,

მწვავე ფიქრების დამაცხრობელი...

ვეღარც ასლანსა მოვკარი თვალი...

თითქოს მდევნიდეს ჩემივე თავი,

თითქოს ჩემს თავსა მე გავურბოდე?!

გაორჭოფებულს სიცოცხლესა სჯობს

კაცის არ ყოფნა... აქეთკენ უფრო

გაცხარებული ბრძოლაა, მოსჩანს;

იქნებ ასლანიც აქეთკენ იყვეს,  
მაშ, მეც იქითკენ გასაგრილებლათ!.. (გაიჭიშა)  
შემთდის ნინო

**ნინო.** ვეღარსად შევხვდი პირისპირ ასლანს,  
თითქოს იმალვის განგებ ჩემგანა. .  
მაგრამ მაინც-კი იმედს არ ვკარგავ,  
მალე ვიპოვნი გამხარებელსა!..  
ოჰ, ბრძოლის ველო, სისხლით მორწყულო,  
უბედურებით გარემოცულო,  
შესაზარელო, ცოდვის მორევო, —  
გვალირსე ნახვა ჯერ ერთმანეთის,  
ტკბილის სიტყვებით გულის გათბობა,  
მერე გვესტუმროს მწარე სიკვდილი,  
მერე მოგველოს უდროვოდ ბოლო!..

(„მ დროს შარჯვისივ ხმაურთა მოისმის, ასლანი შარტო უკან იწევს, მოსდევს რავდბაშიმე ასმალი ბრძოლით, ერთს სცენაზედ ჭილავს) ერთი თაშმ ხუთასი ოქრო... არ გაგვეცალოს!

**მეორე.** ასლანის თავი ხუთასი ოქრო,  
აბა, ეცადეთ!

**ნინო.** (ამას რომ გაიგონებს) ეს ასლანია?!..

(გაუკაცურად) ასლან, გამაგრდი, ნუ გეშინიან!..

(შეუტევს თსმალებს, გაფლენ; ცოტა ხსნს უკან ისევ შემთდიან ნი-  
ნო და ასლან

**ასლან.** ტურფა ჭაბუკო, შენ დიღი ვალი  
დამდე კისრადა, სირცხვილს მაშორე...  
მინდა, რომ მაღლი გადაგიხადო,  
მაგრამ ჩემს ენას არა აქვს ძალა  
იმ წრფელ გრძნობის გამოსათქმელად,  
რითაც სავსეა ეხლა ეს გული!  
შენ თითონ მითხარ, რით შემიძლიან,  
გადაგიხადო დავალებული?..

**ნინო.** სამაგიეროს არა ვთხოულობ...

ამ ბრძოლის ალში ამგვარი საქმე,  
ხომ იცი, ხშირი მოვლენა არის!..

**ასლან.** ეგ მართალია, მაგრამ სიკეთეს,  
შენგან დათესილს, ეს გული ცუდათ  
არ ჩაატარებს და გადაგიხდის...  
ამას გთხოვ მხოლოდ, გამაგებინე  
შენი სახელი, ტკბილ-საცნობელი,  
რომ დავიწერო გულის ფიცარზედ  
სამარადისოდ მოსაგონებლად.

**ნინო.** ჩემი სახელი არ არის ძნელი  
გამოსაცნობლად, თუ შენ ეცდები;  
ის იქნებ ეხლაც ზედ გაწერია...

**ასლან.** მაგას რას ამბობ? როგორ თუ ეხლაც  
ზედ მაწერია? მერე შენ ვინ ხარ,  
რომ ვერც-კი გიცნობ! ერთად ერთია  
მთელს ქვეყანაზედ, რომლის სახელიც  
აქ მაწერია... მაგრამ ვერას გზით  
ვერ წარმოვიდგენ, თუ ის ამ ცეცხლში  
ჩამოვრევა, ხმალს ხელს მოჰკიდებს!  
შენ-კი თავიდამ ფეხებამდისა  
იარაღ ში ხარ გამოწყობილი...

თუმცა ეგ სახე მშვიდ ჭაბუკისა  
და ხმაც საამო წააგავს მისას...

**ნინო.** იცი, ნუ სტყუი, და შენ იმ ერთსაც  
ვაჟკაცურ-ჩაცმულს შენს წინა ჰედავ—  
ვერც ეხლა მიცან?..

**ასლან.** ოჯ, ღმერთო ჩემო!..  
ნინო!.. ნინო ხარ? ჩემი იმედი?..  
მართალი არის, არა ვსტყუვდები?

**ნინო.** მართალი არის, მე ის ნინო ვარ,

რომელსაც შენი გაუხსენ გული  
და სთხოვდი შენთვის ნუგეშის ცემას!..

**ასლან.** მაშ, ეხლა აღარ მიწყრები განა?

ეხლა ეგ გული ჩემსკენ მობრუნდა?  
მკვდარი იმედი გამიცხოველა!..  
აბა, მითხარი ეხლა პასუხი,  
რაზედაც წინად ისე გამკიცე: -  
ხომ შეძიძლიან ჩემად გიგულო,  
მე ვიყო შენი ერთგული მონა!..  
ეხლა ხომ შენებრ მეც ქართველი ვარ...  
ეხლა სულ სხვაა, მაშინ სხვა იყო...

მაშინ მიშლიდა ხელს სხვა მიზეზი,  
თუმც ჩემი გული თანაგიგრძნობდა...  
ეხლა-კი...

**ასლან.** (აღტაცებულა) ეხლა შენ თანახმა ხარ!..  
ჩემი იქნები უკუნისამდე!  
ვეღარაუერი ვერ გაგვაშორებს,  
ვერც კაცის სიტყვა და ვერც სიკვდილი.  
თუ სიცოცხლეა, ორთავ ვიცოცხლოთ,  
თუ დავიხოცნეთ, ორნივე ერთად...  
ხომ თანახმა ხარ ამ პირობაზედ,  
ხომ გული ამას შენც გეუბნება?

**ნინო.** თანახმაცა ვარ და ღვთის წინაშე  
ჩვენ ერთმანეთსა პირობა მივცეთ,  
რომ სამუდამოდ დავიწინდენით,—  
და უფალმაცა ზეცით დაგვლოცოს.

**ასლან.** ძალიან კარგი, აი შევუდგეთ...  
მაღალო ღმერთო, მოწამე შენ ხარ,  
რომ ჩვენ ვერთდებით საუკუნოთა,  
ვერ გაგვაშორებს ვეღარაფერი:  
ვერც კაცის სიტყვა, ან სხვა მიზეზი;

თვით სიკვდილსაც-კი არა აქვს ნება  
ჩვენი ერთმანეთს დაშორებისა,  
და აღბეჭდილი სიყვარულითა  
სიკვდილ-სიცოცხლე ერთი გვექნება!  
მოლალატეს-კი ჩვენში, უფალო,  
რისხეა ზეცისა მეხივით დაეც...  
ლმერთო, მალალო, შენ დაამტკიცე  
ჩვენი პირობა, ჩვენი კავშირი...  
ამ წრფელს სურვილსა დასახე ჯვარი,  
შენ დაგვილოცე ცხოვრების კვალი!..

**ნინო.** ამინ! მოწამე ჩვენის კავშირის

აქ დედა-მიწა, მალლა ლმერთია.

**ასლან.** ეს იყოს ნიშნად ჩვენის ერთობის...

(ბეჭდებს შეაცემა)

ამიერითგან ბეღნიერი ვარ,  
გულისა დალი ყველა გამოელდა!..  
ამას იქითა რაც უნდა მოხდეს,  
ყველაფერს უფრო მეღგრად დავხვდები.  
ერთი ათასად გამაკაუ-გმირებს  
შენი მლიმარე სახის დანახვა...  
ერთი-კი მიკვირს, რომ შენისთანა  
ტურთა ქმნილება რათ გამოსულა  
ამ ბრძოლის ალში? რამ გაიძულა?

**ნინო.** გიკვირს განა, რომ დიაცს ფარ-ხმალი

ხელთ აულია საბრძოლველადა?..

ნუ გიკვირს, ასლან! როდესაც კაცია

მწვავე გრძნობანი გაიტაცებენ,

მაშინ ძნელია უკან დადგომა,

გაძალადება... მე რომ აქ მხედავ,

იმის ბრალია: ჯერ ერთი ლმერთსა

მივეცი აღთქმა საომრად წასვლის,

იმის გატეხა აღარ შემეძლო;

მეორე ამას ზედ დაემატა  
 შენი ნახვისა მძლავრი სურვილი...  
 მაგრამ სურვილი სულ სხვა მიზეზით  
 გამოწვეული... მინდოდა ომში  
 ჩუმათ თუ ცხადივ შენთვის მახვილით  
 გული გამეპო სამაგიეროთ  
 იმ კრილობისა, რომელიც შენშა  
 ნახვამ დამასვა... მაგრამ მის ნაცვლად,  
 ჰქედავ, განზრახვა ვით შემეცვალა...

**ასლან.** რისგანაც ღიღალ ბეღნიერი ვარ,

(გადაეხვევიას ერთმანეთს):

და მეფეთ-მეფედ ვსახავ ჩემს თავსა!  
 აჲ, ნეტავ მალე მოელოს ბოლო  
 ამ ოხერს ომსა და ამ სისხლის ღვრას,  
 რომ ვვრძნობდეთ თავსა სულ თავისუფლად  
 და ნეტარებით ვიწყოთ ცხოვრება...  
 ეგ არის ეხლა ჩემი ოცნება,  
 ჩემი მიზანი და მისწრაფება!..

**ნანო.** აგერ, აქეთკენ ომით მოდიან... (ხმაურობა)

**ასლან.** გვერდზედ მომიდექ, აღარ მომშორდე;

თუ გაგიჭირდეს რამე, მითხარი...

(ომით შემთდან და ამათაც გაიტაცებენ. ცოტა სწის უკან შემთ-  
 დან ხმლებით ხელში გოდერმ, ქიტა და რამდენიმე შეომარი)

**გლეგერშ.** მგონი არ არის ის წამი შორსა,

როდესაც ამ ბილწით გავანადგურებთ...

**ჭავა.** შორს აღარ არის... ან რათ იქნება,

უმთავრეს ძალას მოვტეხეთ ფრთები!

ვერ უყურებდი, როგორ ივწევდეთ,

აღარ იცოდნენ, საით გაესწროთ;

თუმც მერე ისევ ცოტა დაწყნარდნენ;

მაგრამ-კი ერთხელ არეულს რაზმსა

ძნელად დაწყობს მარჯვე სარდალი!..

**გოდენძ.** ის დაწყნარებაც იმის ბრალია,

რომ ჩასაფრული ტყისაკენ ჯარი

ჩამოეშველა და მისკა მხარი...

აბა, ბიჭებო, კიდევ ერთიცა

და ეხლავე მტერს პირქვე დავამხობთ!..

(გადიან ხმალ ამოწვდილი, შემდეგ გამოდის ასლან, ისიც ხმალ  
ამოწვდილი, აღელვებული)

**ასლან.** წყევლა და კრულვა... მეხი-მედგარი,

ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება,

ქვეყნის მბზარავი ჭირი, ვარამი,

ომის მომგონსა და მისს დამწყობელს...

არ ელირსოს მას საფლავშიაც-კი

წოლა მშვიდათ და მოსვენებითა...

იმ ხალხის მტერსა, ქვეყნის დამღუპველს!..

ომს, ბოროტს წადილს, ეშმაკის საქმეს,

დაეცეს მეხი, გაჰქრეს ქვეყნითგან!..

უბედურების მეტი რა მოაქვს

ამ ეშმაკის გზას,—ამ მხეცურს წადილს?..

რავდენს ღირსეულს, პატიოსანს კაცს

ჰედის უბედურად, უღირსს ამაღლებს!..

ქვეყანას იკლებს და ხალხსა ჰულეტავს,

აფერხებს ყოველს წარმატებასა!..

რავდენს უკარგავს ბედნიერებას,

უხშობს კარს ნეტარ სიამოვნისკენ!..

ოჰ, იყოს წყეულ, შეჩვენებული

ომის ხსენება მთელს ქვეყანაზედ... (სიჩუმე)

ეხლა სად ვპოვო ძვირფასი ნინო,

საით, რა მხარეს მოექცეოდა?..

ან იქნებ საღმე უღირსმა ხელმა

მწარე ლახვარი გულს გაუწონა?..

ოჰ, თუ ამ წუთას არ ვიპოვნი მას,

ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთია!..

(შემთვა რობიტი, შეჭიდება ასლანს და მიაძახებს:)

**რობიტი.** გაფრითხილდი, ასლან, ჯიმშერის შვილო!  
რაც მამაშენმა სამსალა მასვა  
და დაშიკოდა უზომოთ გული,  
იმის სანაცვლო შენ უნდა მიზღო—  
ვით მამის შვილმა... ვაჟიკაცი ხარ,  
აბა გამაგრდი, აღარ ახანო...

**ასლან.** მაინც ვერ სდგები შენს ქერქში შენა,  
ყოველგან გინდა ღვარძლი დასთესო?  
იქნებ გაწყინოს ამ გვარმა ზღვევამ  
და, ძმობას, ეგ მე არ დამაბრალო...

(დაიწყებენ ბრძოლას, ჯერ ასლანი და იჟირება გამორდში, რის გამოც  
ის გაცხარდება და გაჭირდება რობიტი.)  
აკი გითხარი, რომ გაწყენს-მეთქი.

(შერე თითონაც სუსტდება)

ოჰ, მეც დავიჭერ... ახ, ჩემო ნინო...

(ღონე მიხდილი დაეცემა)

(შემოდიან შეორე შხრით ანნა და საღომე, დაჭრილებს ჭრებიან.  
ჯერ სხვებს დაათვალიერებენ, რომ ვერც ერთს ვერა ჭიახვები ცო-  
ცხადს, იტყვიან)

**ანნა.** (წუწუნებს) საწყლებს ველარც ერთს ვერ მოვუსწარით,  
სულ ყველას შავი სიკვდილი აწევთ...

**საღომე.** (ცალკე) ახ, ჩემო ლევან, საღა ხარ ეხლა,  
იქნება გიჭირს მანდ ჩემი შველა?..

(შერე საღომე წაადგება ასლანს, ჯერ ვერ იწნობს)

**საღომე.** (შინჭავს) აი საბრალო ეს ცოცხალია,  
ისევ თბილია, კიდევა ჰფეთქავს...

**ანნა.** რობიტი-კი მთლად გაციებულა... (მთახლოვდება)  
აბა, ჭრილობა საღა აქვს საწყალს?

**საღომე.** (იცნობს) ქალო!...


**ანნა (იცნობს)** უი მე!.. ჩემი არჩილი!..

Յար Շենս գյուղաս, ծյալուրով Շվիլով!..  
 Ռոցոր Վա՛շվելոտ, աելու և Վայուոտ?..  
**Տաճամյ.** Ես ցե՛մոնուն... դառըս վնասու. (Խօնչացնէ)  
 Ցուլո Ճեր Կուզե Նել-Նելու Շպամե,  
 Տա՛մո՛ Ժլոյր Արագյուրուն...  
 Վրուլուն Օցեր Ցաւուրով Ցյոնուն...  
 Մաելուն Ելու Տաելո՛ Գալազուպանու,  
 Ըս Իւենո Ցրունուտ Կարգաւ Գաելուն...  
**Տենչ.** Աե, ցենապալու, Պրտեսունաւ-կո, Պրտեսունաւ...  
 Մացրամ Տշունու, Վրուլուն Օվե  
 Մացրաւ Շեպույրաւ Իւենու Բամլուն...  
 (Թռուզը Պայսույսեած Տեճանուն)

## Չ Ա Խ Շ Ա

Ը. Նախորո՛ւունո.

(Ք:Տ:Տ:Տ: Ո:Յ:Յ:)



# ა ნ ტ მ ბ ი I

კათალიკოს-პატრიარქი საქართველოს.

(თ. უორდანიასი. რუსულიდამ.)

## I

(შემდგო \* )

ანტონის ამილახვართან დაახლოვებას უნდა მოჰყოლოდა მისი გამეფება ქართლში და ვახტანგისა, თეიმურაზისა და აბდულ-ბეგის გაძევება. მართლაც იმ დროიდან გივი ამილახვარი აღარა ვახტანგის ინტერესების დამცველი <sup>1)</sup>. იგი სწყვეტავს მასთან ამიერიდან ყოველივე კავშირს და უწოდებს მას მოლალატედ <sup>2)</sup>). იგი უცხადებს ომს კახეთის მეფეებსა. ამასთანავე მან მოინდომა თათრებისაგან შემწეობის მიღება, მაგრამ როდესაც ისინი უძლურნი გამოდგნენ, შემდეგ ის ეძებს შავის მეგობრობასა, მაგრამ შავიმ, რა-კი მოსტაცა ქალი, მისი თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა, მართვა-გამგეობა ქართლისა—ჩააბარა კახეთის მეფის ნაოესავს ალი-მირზას (ალექსანდრედ წოდებულს <sup>3)</sup>); მანვე განაძევა იესეს მემკვიდრენი და თვით თეიმურაზ II, მეფე კახეთისა და ეს უკანასკნელი და გივი ამილახვარი ლალატით ჩაიგდო ხელში. მეფე ვახტანგ VI რუსეთიდან დაბრუნებული თვის სამეფოის

\* ) იხილე «მთგზაური» №№ 6 და 7.

<sup>1)</sup> Нереписка Груз. царей съ Рос. Государствомъ, გვ. 203—204: 198—199; 206.

<sup>2)</sup> იქვე. გვ. 203—204.

<sup>3)</sup> ქართ. ცხოვრ. II 339, 477.

დასაცერად იძულებული გახდა სამუდამოდ თავი დაენებებია ამისთანა წალილისათვის და გაბრუნებულიყო უკან, რუსეთში, სადაც კიდეც გარდაიცვალა (ასტრახანში) ჯავრისაგან 1737 წ. <sup>4)</sup> საქმიდან სჩანდა თითქო ამილახვარი ველარ მიაღწევდა თავისს მიზანს, მაგრამ ეს <sup>5)</sup> ასე არ ყოფილა. მან უშველა თავისს თავს, გაექცა შაპის და დაიმალა იმერეთში; აქედამ წაიყვანა იესეს ოჯახობა. ამაზედ განრისხებულმა შაპიმ ქართლი მოაოხრა და დაადო მას დიდ-ძალი ხარკი <sup>6)</sup>, მაშინ გივი ამილახვარმა ქსნის ერისთვის და იმერეთის ჯარით მოახდინა ამბოხება ქართლში (1736 წ.) და გამოუცხადა სასტიკი ომი სპარსელებსა. სამჯერ სძლია მან სპარსეთის ჯარს და უკანასკნელ დაამარცხა სრულიად სეფე-ხანი და აბდულ-ბეგი (კათალიკოსის ძმა), სპარსეთის ჯარის სარდლები <sup>7)</sup>). მაშინ უკანასკნელთ გამართეს თათბირი მეამბოხეებთან და თათბირის დროს ლალატით დაიჭირეს გივი ამილახვარი და ჩააგდეს თბილისის ციხეში. იესეს შვილი ამისათვის იქმნა დადგენილი ქ. გორის შმართველად და შემდეგ აღიარებულ იქმნა მეფე (1736 წ. 10 ოქტომბერს) <sup>8)</sup>. თბილისში დაჭერილი გივი ამილახვარი, თეიმურაზ II და სხვა მრავალი მთავრები წაიყვანეს სპარსეთში, საიდამაც დააბრუნეს — უკან სამშობლოში ინდოეთში გალაშქრების შემდეგ (1738 წ.) <sup>9)</sup>. ამ ომში

<sup>4)</sup> Бүтковъ I, 125—128, 132.

<sup>5)</sup> ქართლის ცხოვრ. II, 339.

<sup>6)</sup> იქვე- ბბ. 339—340.

<sup>7)</sup> იქვე. 340—341. Brosset Hist de la Georgia II, იპ 6. 2. პ. 52.

<sup>8)</sup> იქვე. 341. Hist de la Georg. Brosset, II, lir 2, p. 52.

<sup>9)</sup> ქარ. ცხოვ., გვ. 311—342. ჩვენა გვაშვის ფრიად საინტერესო წერილი ნადირ-შაჰისა (რომა უული-ხანთან მიწერილი 1739 წ.), რომელმაც აღწერილია მშვენივრად მისი ინდუსტრია გაწეულის ფმის ისტორია.

მონაწილეობას იღებდა ქართველი ჯარი, რომელსაც სარ-დლობდნენ ახალგაზდა ირაკლი II და გივი ამილახვარი.

თეიმურაზი ალარ მოელოდა გამეფებას თვისას გივი ამილახვრის სპარსეთში გარდასვლისა და აბდულ-ბეგის გამეფების შემდეგ ქართლში<sup>10)</sup>. ამის შემდეგ იმას ალარ დაედგო-მებოდა აქა, იმდენად საშიში იყო იმის მდგომარეობა. ამ არეულობის დროს კათალიკოსი იმალებოდა თვისის დელით კავკასიის მთებში და განსაკუთრებით ოსეთში<sup>11)</sup>. ამილახვრის დაპატიმრების შემდეგ კათალიკოსის დედამ 17 წლის შვილი-თურთ გადასწყვიტა — გადასულიყო სამუდამოდ რუსეთში და ან შემწეობა ეთხოვა რუსეთის დედოფლისა და თვისის ნათე-სავებისთვის, რომელნიც იმ დროს რუსეთში სცხოვრობდნენ. ნათესავთ შორის განსაკუთრებულ შემწეობას მოელოდა იგი თვისი დის დარიასაგან კიგივე ეკატერინე, გარდაცვალებუ-ლის იმერეთის მეფის არჩილის მეულლე. ეს არჩილი გარდაი-ცვალა რუსეთში 1712 წ.). 1737 წ. გასულს, ელენე თეი-მურაზითურთ გაემგზავრა რუსეთს მთებით. გზაზედ მათ უბე-დურება ეწიათ. მათ დაესხნენ თავს ლეკები, წაართვეს თუ რამე ებადათ და თვითონ ისინიც დაატყვევეს. რუსეთის დე-დოფალს (1700 წ. მარტის თვეში) ელენე სწერს, რომ მას თან ჰქონდა მრავალი ძვირფასი ხატები და მოწამეთა ნაწი-ლები ოქროს ყუთში ძვირფასის ქვებით შემკულნი და აგრე-თვე ვერცხლის მრავალი ნივთი 31,000 მანეთად ლირებული

<sup>10)</sup> აბდულ-ბეგმა იმეფა ერთი წელიწადი. ის გაიწვის სპარ-სეთში და ქართლის შმართველად დასუეს სპარსეთის მთავარი, ხოლო 1738 წ. კახეთის მეფედ ამოირჩიეს სპარსეთიდამ გამოგზავნილი თეიმურაზ II, რომელმაც მოიგო შაჟის გული (ქ. ცხ. II 478—342) აბდულ-ბეგზედ. იხილე *Historia de la Georgia*, II სირ. 2, p. 53, 63, 84, 148, 162.

<sup>11)</sup> წყობილ-სიტუგაობა V.

და ცველაფერი ეს ლეკებმა წამართვესო <sup>12)</sup>). ჩვენ არ ვუ-  
შეიძლოთ რამდენი ხანი დაპყვეს ტყვეობაში შათ და ან რა გზით  
უშველეს თავს. ისინი მხოლოდ დიდის ტანჯვის შემდეგ მო-  
ვიდნენ რუსეთს 1738 წ. <sup>13)</sup>). ყიზლიარიდან წასულნი მივი-  
დნენ ასტრახანს და აქედამ მოსკოვს უნდა მისულიყვნენ, მა-  
გრამ მოხელეებმა აღარ გაუშვეს, რომელთაც აკენობეს უმა-  
ღლესს მთავრობას ქართველის ბატონიშვილის იესეს ძის,  
თეიმურაზის, დედითურთ მოსვლა აქ <sup>14)</sup>). თეიმურაზ და დე-  
და მისი ელოდნენ იქიდამ მისვლის ნებას. იმათ მართლაც  
დიდხანს მოუხდათ იქ დარჩენა, რის გამოც თეიმურაზი იძუ-  
ლებული გახდა დაეგირავებინა თვისი ძვირფასი ქვებით შე-  
მკული ქუდი 500 მანეთში. ამასობაში რუსეთის მთავრობი-  
საგან მოვიდა ქალალდი, რომლის ძალითაც ისინი უკანვე  
უნდა გაბრუნებულიყვნენ, რაზედაც ელენემ ბევრი იტირა.  
ელენემ ხელ-მეორეთ მისწერა რუსეთის დედოფალს წერილი,  
რომელშიც სწერდა შემდეგსა:

„მიშედეთ ჩემის ძის 18 წლის სიჭაბუკეს, ნუ გაგვხდი-  
მტრის ხელთა საწიწკნელად, მოგვეცი ნება ან ასტრახანში  
და ან რუსეთის სხვა რომელიმე ქალაქში დარჩენისა სახელ-  
მწიფო ხარჯზედათ“ <sup>15)</sup>). ამაზედ მოვიდა პასუხი, რომლითაც  
იტუბინებოდნენ, რომ ჩერქეზთის ახლო მდებარე ქალაქში  
იცხოვრეთო, სანამ ახალი განკარგულება იქნება თქვენს თა-  
ობაზედთ <sup>16)</sup>). თუმცა ეს ბრძანება დიდი შემაწუხებელი იყო

<sup>12)</sup> Архивъ св. Синода 1799 წ. № 374. Переписка  
груз. царей, გვ. LXXXVIII «ივერია» 1879 წ. № 9.

<sup>13)</sup> Переписка Груз. царей съ Росс. Госуд. გვ. 1799  
LXXXVIII.

<sup>14)</sup> Переписка Груз. царей съ Росс. Госуд. გვ. 1799  
LXXXVIII.

<sup>15)</sup> Переписка Груз. царей съ Росс. Госуд. გვ. 1799  
LXXXVIII.

<sup>16)</sup> იქნე. გვ. LXXXVIII.

მათთვის, მაგრამ მეტი რა გაეწყობოდა, უნდა ასე მოქცეულიყვნენ. თეიმურაზი დედითურთ წავიღნენ ჩერქეზების ქვეყანაში <sup>17)</sup>, თვისს ნათესავის, ვახტანგ VI-ის, ნათესავებთან (ვახტანგს ჰყავდა ცოლად ყაბარდოს მთავრის ასული), მაგრამ მოსტყუვდნენ: ჩერქეზებმა გაპქურდეს ისინი, რაც რამ ებაღათ მთლად წაართვეს და თვითონ იგინიც დაატყვევეს <sup>18)</sup>. უკანასკნელ, როგორც ელენე სწერს, მოინდომეს მათი მოკვლაცა <sup>19)</sup>). ამისთანა უკიდურესს მდგომარეობაში მყოფმა ელენემ მიჰმართა თვისს დას, ქვრივს დედოფალს, დარია არჩილის ასულს, რომ მას ეშუამდგომლებია რუსეთის დედოფალთან მათის ტყვეობიდან დახსნის თაობაზედ და სასახლეში მისვლაზედ. დარია ასეც მოიქცა და ბოლოს დაიყოლია რუსეთის დედოფალი, რომ მათი თხოვნა ასრულებულიყო <sup>20)</sup>). გამოიკვლიეს კარგად თეიმურაზის ვინაობა და დარწმუნდნენ, რომ ის არ იყო კახეთის მეფე თეიმურაზ II, რომელიც წაყვანილი იყო წინააღმდეგობისათვის ნადირის-მიერ ტყვედ სპარსეთში და გაქცეული რუსეთში.

რუსეთის დედოფალმა მისწერა ობერ-კომენდანტსა იუნგერსა: „უკეთუ ეს თეიმურაზი არის ის, რომელიც სპარსეთში იყო, მის აქ დაფარვა შეუძლებელია, რაღან ამით ჩვენში გაძლიერდებიან შური და მტრობაო, ამისათვის გამოიკვლიე საიდუმლოდ, თეიმურაზი საიდამაა და რისათვის მოდის სასახლეში; თუ სპარსეთიდამაა წამოსული, იმ შემთხვევაში მისი აქ მოსვლა ყოვლად შეუძლებელიაო; დაუბრუნეთ უკან მასვე 500 მანეთში აღებული ძვირფასი ქუდი; მას, თეი-

<sup>17)</sup> Архивъ св. Синода. № 1739 წ. № 374; Переп. Груз. царей съ Росс. Госуд. LXXXVIII.

<sup>18)</sup> Переп. Груз. царей съ Росс. Госуд. № 374.

<sup>19)</sup> Архивъ св. Синода (№ 374).

<sup>20)</sup> № 374.

მურაზს, შეუძლია თვისი გაქირვება წერილით აცნობოს მას და მოსკოვსაც მოვიდესო <sup>21)</sup>“.

სანამ იუნგერისაგან მოხსენება მოვიდოდა თავად როსებმა აცნობა მთავრობას, რომ ის თეიმურაზი, რომელიც ყიზლიარში მოვიდა, არის ძმის-შვილი ვახტანგისა და არა თეიმურაზ II-სა <sup>22)</sup>, რომელიც სპარსეთშია. ამ ცნობის შემდეგ თეიმურაზს <sup>23)</sup> მიეცა ნება მოსკოვს მისვლისა <sup>24)</sup>.

იმ დროს, როდესაც პეტერბურგში იყვნენ კვლევა-ძიებაში შესახებ თეიმურაზის ვინაობისა, დედამ გადასწყვიტა <sup>25)</sup> გაეგზავნა ნათესავებთან თვისი ძე იმერეთში. თეიმურაზი მართლაც მოვიდა ქუთაისში და დარჩა იქ <sup>26)</sup>, დედა-კი იქვე დარჩა იმ განზრახვით, რომ რომელიმე მონასტერში შესულიყო საცხოვრებლად. რუსეთიდან მოაწია ბრძანებამ, რომლითაც დედას და მისს შვილს შეეძლოთ რუსეთში ცხოვრება, 1739 წ., როდესაც თეიმურაზი უკვე ქუთაისში იყო. ამ ბრძანების ძალით ელენე წავიდა მოსკოვში თვისს დასთან, დარია არჩილის ასულთან 1739 წ. 9 მარტს, 4 ქალით, აქედამ უნდა ეთხოვა. დედოფლისათვის ერთი დედათა მონასტერში, სახელდობრ ნაფადევიჩის მონასტერში შესვლის ნება, სადაც მრავალი ქართველი მონაზვნები იყვნენ და მათ საკუთრებათაც ითვლებოდა (1745 წ.) <sup>27)</sup>. დედოფლის ბრძა-

<sup>21)</sup> Нереписка Груз. царей съ Россійскимъ Госуд. LXXXVIII—LXXXIX.

<sup>22)</sup> იქვე. გვ. 208, 212, 216.

<sup>23)</sup> იქვე. გვ. LXXXIX.

<sup>24)</sup> იქვე.

<sup>25)</sup> Архивъ св. Синода. № 374 1739 წ.

<sup>26)</sup> იქვე. იხ. აგრეთვე Historia de la Georgia Brosset II, 2, p. 62.

<sup>27)</sup> იქვე. № 374 1745 წ. № 283. 1745 წ. ამ მონასტერში ასცხოვრებდა 41 ქართველი მონაზონი, რომელთა წინამდგარი იუთ იმერეთის მეფის ასული.

ნებით უწმიდესმა სინოდმა მისცა მართლაც ეს მონასტერი და იქ ორი „რიგიანი“ სენაკი <sup>28)</sup>). 1740 წ. მან, ელენემ, სთხოვა მთავრობას ხაზინიდან ხარჯის ფული <sup>29)</sup>), მაგრამ ამაზედ უარი გამოეცხადა. უწმიდესმა სინოდმა უბოძა მას (13 მაისს) ისევ ის მონასტერი <sup>30)</sup>).

## II

ასე დასცილდნენ ერთი მეორეს დედა და შვილი. თეო-მურაზი სცხოვრებდა დედაზედ დაშორებით და ამის გამო შეეძლო დაეკმაყოფილებია თვისი წადილი; აქედამ იწყობა მისი მეცნიერებისაკენ მისწრაფება. მისს გულს იზიდავდა ბე-რჩული ცხოვრება. „მისი სული,—სწერს მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე, —მიისწრაფვოდა ღვთისაღმი და ეძებდა ბერულს მშვიდს ნავთ-საყუდელსა; მას სწყუროდა აზრით მიეღწია ღვთის განგებულებამდისინო“. ძნელი გამოსახატავია ის არა ჩვეულებრივი წყურვილი მეცნიერებისაღმი და ცნობის მო-კვარეობა, რომლებითაც აღვსილი იყო მისი სული. მთელი მისი სიცოცხლე შეიძლება ვსთქვათ იყო ერთად-ერთი მის-წრაფება მეცნიერებისაკენ და სხვა არაფერი. ეს მისწრაფებაა ის ქვაკუთხედი, რომელზედაც აშენებულია მისი ზნეობრივი მხარე; ისაა მიზეზი მისი ღიღებისა, მისი კუუა-გონების დაპნე-ვისა და დაცემისა. ამ თვისს სულის კვეთებას იგი უწოდებ-და „ზეციურ ცეცხლსა“, „მირონ ცხებასა“, „ძალასა“, „სუ-ლი წმიდასა“ და თვის თავს — „აღრჩეულს ღვთისაგან“, „ცხე-ბულს ზეთით უხილავის მაღლის-მიერ“, „მძებნელს საღვთო ცეცხლისასა“, ურიებისაგან ჩამქრალისა (რომლითაც წამოა-

<sup>28)</sup> იქნე საქმე 1739 წ. № 374.

<sup>29)</sup> ამასთანავე შან დასძინა: ბებია მისი ელენე და მამა მისი ნიკოლაზი (ირაკლი I) რესეთის სასახლეში იუგნენ აღზრდილნილა.

<sup>30)</sup> იქნე.

ყენა დახშობილი განათლება საქართველოში', „დავით წინასწარ-მეტყველსა“, რომელიცაა უმრჩემესი ძმათა შორის, მაგრამ უდიდესი თვისი შორს გამჭვრეტელობითა, „მონას ღვთისასა“ მომცემელისა „უძლეველისა სულისა“ და სხ. <sup>31)</sup>.

გაინთავისუფლა-რა თეიმურაზმა თვისი თავი დედის გავლენისაგან, მან გარდაწყვეტით აირჩია ბერის მყუდრო სენაკი. ეს აზრი მას ადრე პქონდა თავში და მოსვენებას არ აძლევდა. ეს იყო მიზეზი საყვარელ დედის მოშორებისა <sup>32)</sup>.

1738 წლის გასულს მან აირჩია სამუდამო საცხოვრებლად იმერეთი, რომელიც იმ დროს წარმოადგენდა უფრო შესაფერს მშვიდობიანი ცხოვრების ალაგსა, ვინემ აღმოსავლეთის საქართველო. 1739 წ. იგი აღიკვეცა ბერად გელათის მონასტერში ევთიმე გენათელ მიტროპოლიტისაგან და ეწოდა სახელად „ანტონი“ <sup>33)</sup>. ახალგაზდა ბერმა ნაცვლად მეფის მანიაკისა აირჩია სხვა ასპარეზი, სავსე მრავალ-გვარი ნაკლულევანებითა დიდებულის გაენათის ტაძრის ბერებთან ერთად. ობილისის მუზეის ხელთ-ნაწერში (№ 123) სწერია:

„18 წლის ანტონმა მიიღო ბერობა და აღიკვეცა გაენათში 2 თებერვალს, ხოლო 31 კი, შაბათს ხელ-დასხმულ იქმნა გაენათის მიტროპოლიტის ევთიმესაგან მთავარ-დიაკვნად“.

მონაზონი ელისაბედი, დედა კათალიკოსისა, არა კმაყოფილი მისი შვილის ამისთანა ქცევით, სწერდა მას რუსე-

<sup>31)</sup> იხ. წინასიტუაცია ქართულის გრამმატიკისა. სიტუგა მე-სამე, მეუქვე. О грамматической литературѣ грузинскаго языка, Цагарели. გვ. 19—20; 6; 9.

<sup>32)</sup> წერბილ-სიტუაცია, გვ. 299—300.

<sup>33)</sup> იქნე. გვ. VII. იხ. კიდევ ანტონის «მზამეტგეღების» შენიშვნა. ზოგს ჟირნას, ბერად აღვენა და ცოდის შერთვა ერთს წელში მომხდარიყოს ანტონისა. თითქმ, როდესაც წაართვეს მას მეუღლე, ვინაიდან აშან შებდალა მისი თავ-მოუგარება და ამჟარ-ტავნებათ, გადაწყვიტა ბერად აღგვეცა. («იგერია» 1879 წ. № 9, ტავნებათ, გადაწყვიტა ბერად აღგვეცა.

თიდან უკმაყოფილობის წერილს, რომლის ნაწყვეტი ზემოთ მოვიყვანეთ.

ახალ-გაზდა ბერმა, რომელიც განირჩეოდა იმერეთის იერარქიაში თვისის ჰუნა-გონებით, განათლებით და დიდის შთამომავლობითა, მიიქცია საზოგადო ყურადღება და თან მეტს ალაგს შოულობდა. 1739 წელშივე მიიღო მან ილუ-მენის <sup>34)</sup> ალაგი გელათის პირველ ხარისხოვან მონასტრისა, რომელიც იყო ცენტრი იმერეთისა და საიდანაც ეპისკოპო-ზად გადაპყავდათ მისი ილუმენი <sup>35)</sup>). ამის შემდეგ, 1740 წ. სექტემბრის 27, წინააღმდეგ მისი სურვილისა, როგორც სწერს მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე <sup>36)</sup>), დაინიშნა აბხაზეთის

გვ. ა. ასეთი ამპარტავანი დოში უფლიდიურ ანტონი, შაშინ ის არამც თუ ბერულს ცხავრებას აირჩევდა, არამედ მეტვის ტახტს. უკეთუ ზემოხსენებულს ფაქტს ექმნებოდა მასზედ გავლენა, მაშინ ეს მოხდებოდა მაშინვე და არა თხხის წლის შემდეგ; ამის გამო თეიმურაზი სასო-წარკვეთილებას არ მიუცემოდა. მისი სულის კვე-თება იყო სწავლა-მეცნიერება. ეს უველამ იცის, რომ ამისთანა პირ-ნი რაჭათბის ზრუნვაზე ხელს იღებენ სრულებით. იოსეფიანის «მზა-მუტეველების» წინასიტუაციაში ნათქვამია, რომ «მეზის შვილ-მა სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო დასტოავა მეუღლე და გადავიდა იმერეთშით. რამდენიმე წლის შემდეგ გარდაცივალა მეუღლე და და-ქვრივდა იგი. მაშინ კათალიგოსმა გრიგოლმა აღკვეცა იგი ბერადო». ძნელად დასაჯერებელია, რომ ცოლის სიკედილის შემდეგ მისი სუ-ლის მდგრამარეთა შერუეულიყო. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ კათალიგოსი თვისის თხზულებებში არსაღ არ ასენებს ცოლსა, მა-შინ, როდესაც დედის და დების სიკედილზე გულის გასაგმირი დაქსები შეადგინა მან. («წეობილ-სიტუაცია») Hist. C. II 2, p. 429.

<sup>34)</sup> წინამდგრარი, რომელიც წინ უძღვის.

<sup>35)</sup> წეობილ-სიტუაცია, გვ. VI.

<sup>36)</sup> კატალოგი თბილისის საექლესით ძეგლთ-საცავის ხელ-

კათალიკოსის გრიგოლის-მიერ ქუთაისის მიტროპოლიტად მიტროპოლიტის ტიმოთეს ალაგას, რომელიც იყო გაგზავნილი იმერეთის მეფის ალექსანდრესაგან რუსეთში მოციქულად 1738 წ. და იქ გზაზედ ლეკებმა დაატყვევეს იგი <sup>37)</sup>).

შესახებ დროისა ანტონის ეპისკოპოზის და მიტროპოლიტის ხარისხზედ აყვანისა მრავალი ფაქტებია, რომელიც ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. პლ. იოსელიანს ჰელია თითქო ეს მომხდარიყოს 1738 წ., როდესაც, როგორც ვიცით, რუსეთიდან ის არც-კი იყო დაბრუნებული. ამასვე ამტკიცებენ ბბ. ცაგარელი და ჩუბინაშვილი. ბროსსე ამაზედ არას ამბობს, რადგან მას ჰელია, რომ თითქმის ანტონს ქუთაისის ეპისკოპოზედ მეტი ალაგი კათალიკოსობამდე არა უშოვნია-რაო <sup>38)</sup>). ალბად პატივცემული ისტორიკოსი ამყარებს თვისს აზრს ერთს რომელიმე აქტზედ, რომელშიაც ანტონი იხსენიება ეპისკოპოსად 1741 წ., როდესაც ის იმ დროს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მიტროპოლიტად იყო. ჩვენს მატიანეში მიტროპოლიტი ხშირად ეპისკოპოსად არის ნაჩვენები. მაგ., ურბნისის მიტროპოლიტი კათალიკოსად აღყვანილი, იწოდება ეპისკოპოსად, ეპისკოპოსადვე იწოდება ანტონ II, რომელიც იყო მიტროპოლიტი, ანტონ I-ის მოადგილე <sup>39)</sup>).

გარდა ამისა არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ანტონი არ უგვიანეს 1740 წ. იყო მიტრო-

ნაწერების, № 123. წინასიტუაცია «მზა-მეტუგელებისა» ანტონ I.

<sup>37)</sup> Архивъ св. Синода 1738 წ. № 360; Перепис. Груз. царей съ Росс. Госуд., გვ. 225—226. Historia de la Georgia II lir. 2, p. 63. შენიშვნა.

<sup>38)</sup> წერილ-სიტუაცია, გვ. VI.

<sup>39)</sup> Энциклопедический Словарь, ტ. VI, გვ. 563; О грамматической литературѣ грузинскаго языка Цагарели.

პოლიტიდ ხელ-დასხმულიო. ეს არის „ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკის ერთის ხელთ-ნაწერის (№ 1) წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ 1744 წ. ანტონი იყო ქუთაისის შიდაშამბლული. ამასვე ჰმოწმობს წერილი ელისაბედისა რუსეთიდან მოწერილი შესახებ ანტონის-მიერ მიტროპოლიტის კათედრის დაჭერისა. ამ წერილში<sup>40)</sup> იგი ამბობს: „იმერეთი ცოტათი საჭიროობს შენს სწავლა-მეცნიერებაში; ქართლის დატოვება, რომელმაც შენ გაგზარდა, დიდს უმაღლურობას ნიშნავს შენგან, თუმცა ლირსი-კი იყავ ქუთაისის მიტროპოლიტობისა ტიმოთეს შემდეგ“.

განსვენებულის იოსელიანის ხელთ-ნაწერში, რომელიც ჩვენა გვაქვს, ეს წერილი მოთავსებულია შემდეგ იმ წერილისა, რომლის შინაარსი მოფიცვანეთ და ავტორს-კი ჰელია იგი ერთი და იგივე<sup>41)</sup>. ზავრამ, როგორც შინაარსიდამა სჩანს, ეს უკანასკნელი არის სხვა, გვიან დაწერილი წერილი დედისაგან მიწერილი შვილთან შესახებ მიტროპოლიტობის მიღებისა; ამ წერილში იგი უსაყვედურებს შვილს იმას-კი არა, „მიტროპოლიტობა რათ მიიღეო, არამედ — რად დასტოვე ქართლი, რომელმაც გაგზარდა და რომელიც უმეტესად გსაჭიროობს შენ და რად წახვედი სხვა კუთხეშიო. პირველს წერილში-კი იგი უსაყვედურებს მას ბერად აღკვეცას და მეფობის დატოვებასა“<sup>42)</sup>.

რას ნიშნავს სიტყვები კათალიკოსის დედისა: „ლირსეულად დაიკავე ქუთაისის კათედრა, კათედრა ტიმოთესიო“?

ბოლიშს ვიხდი მკითხველთან, თუ აქ ცოტა საგანს ავტოდებით ამ ადგილის ასახსნელად. იოსელიანი ამბობს:<sup>43)</sup>

<sup>40)</sup> Historia de la Georgia II, p. 63.

<sup>41)</sup> ქართ. ცხოვ. II 349, 511.

<sup>42)</sup> Рукописные акты, გვ. 273.

<sup>43)</sup> ეს შენიშვნა ჩვენა გვაქვს. ქართლ-კახეთ-იმერეთის სინო-

„არა უწყით ელენეს რათ არ უყვარდა ტიმოთე და ან რა ნაკლულევანება იყო მასში, რომ ასე შეურაცხ-ჰყო იგიო? ალბად ეს სიტყვები მიუღია იმ აზრით მას, რომ დედას არ უნდოდა მის ღირსეულს შეიღის დაეკავებია კათედრა უღირ-შის ტიმოთესაგან შებლალულიო“.<sup>44)</sup> ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ განმარტებას და ვეცდებით გასაგებათ ავხსნათ ეს ადგილი.

ტიმოთე გაბაშვილი, ღირსეული მოწაფე განათლებულის კათალიკოსის ბესარიონისა, ითვლება ერთ საუკეთესო იე-რარქად თვისის ნიჭით და მოღვაწეობით. ალექსანდრე მეფე მას ძლიერ აფასებდა და 1738 წ. გაგზავნა მოციქულად რუ-სეთში<sup>45)</sup>, თუმცა ამ მოციქულობამ ვერ გაამართლა ნაკისრი საქმე. რუსეთიდამ დაბრუნების შემდეგ მან მიიღო პირველად სამთავისის ეპარქია და დაბოლოს ქართლის მთავარ-ეპისკო-პოსობა, რომელიც ითვლებოდა პირველ ალაგად შემდეგ სამთავისისა<sup>46)</sup>. ის, როგორც განათლებული და მეგობარი ანტონისა, იცავდა ხოლმე მასა<sup>47)</sup>. ანტონის რუსეთში წა-სვლის შემდეგ 1755 წ., ფლორენტინის იენის მიღებისა გა-მო ტიმოთე იქმნა გაძევებული, როგორც მისი თანამგრძნო-ბელი<sup>48)</sup>. მან დაიწყო მოგზაურობა წმ. აღგილებში და და-გვიტოვა მშვენიერ აღწერილობა ამ აღგილებისა. საქართვე-ლოში დაბრუნების შემდეგ 1757 წ. ის, უეპარქიოდ დარჩე-

---

დის კანტორის საეკლესიო გურიებში 1741 წ. (გვ. 94) ანტონი იწოდება ანტონი მთავარ-ეპისკოპოსად. იხ. აგრეთვე საეკლესიო გუ-რიები ფურცელადისა, გვ. 114.

<sup>44)</sup> Нереписка Груз. царей съ Росс. Госуд., გვერდი 225—226.

<sup>45)</sup> მოგზაურობა მთ. ქა. ტიმოთ. ქ. ცხ. II, 385. უშეღ-გან მას ეწოდებოდა მთ. ეპისკოპოზი სინდის კანტორის გუჯარი № 134.

<sup>46)</sup> იქვე. 6—7.

<sup>47)</sup> იქვე.

ნილი, სცხოვრებდა რამოდენიმე ხანი დავით გარესჯის მონასტერში, შემდეგ წავიდა რუსეთში, სადაც სცხოვრებდა ანტონ კათალიკოსი, ხოლო გარდაიცვალა იგი ასტრახანში 1764 წ. <sup>48)</sup>). ტიმოთეს-მიერ დარჩომილ მოგზაურობილამ სჩანს, რომ მან იცოდა თათრული ენა, გაცნობილი ჰქონდა პროკლე დიოდორის კატელორია, დიალეკტიკა და ფილოსოფია, სამძღვიერო საღვთისმეტყველო და სქოლას-ტიკური თხზულებანი და საერო მწერლობის ნაწარმოებიცა. ძირითად შესწავლილი ჰქონდა საღმრთო წერილი, საეკლესიო წიგნები და საეკლესიო ისტორია <sup>49)</sup>). ამასთანავე ჰქონდა გულში ლვთის შიში და სიყვარული. აქედამ სჩანს მისი ღირსება; ის ეკუთვნოდა იმ გუნდს, რომლის მეთაური იყო ანტონ კათალიკოსი.

აქედამ ყველასათვის აშეარაა, თუ რამდენად შემცდარია პლ. იოსელიანი ტიმოთეს ლირსების დაფასების დროს. ანტონის დედის წერილიდამ ის-კი არ გამოდის, რომ ტიმოთე ყოფილიყოს ულირსი, არამედ ის, რომ ანტონი იყო ამასთანა ულირსი. მართლაც ანტონი როგორ არ იქმნებოდა ულირსი ტიმოთეზე, როდესაც იგი მხოლოდ 20 წლისა იყო, როცა მისი კათედრა დაიჭირა?

ანტონი იქმნა ხელ-დასხმული მიტროპოლიტად ქუთაისისა აბხაზეთის კათალიკოსის გრიგოლის-მიერ 1740 წ., 27 სექტემბერს, შაბათს. ანტონი დიდს ხანს არ ყოფილა ამ თანამდებობაში <sup>50)</sup>). 1741 წ. იმერეთს დაუწყეს ომი თურქებმა გი-

<sup>48)</sup> იქვე არქივъ св. Свіодна. საქმე 1761 წ. № 196; 1738 წ. № 360.

<sup>49)</sup> იხ. მისი მოხილვა პ. იოსელიანის გამოცემა 1853 წ. ბრძანებითა კავკასიის მთადგილის გორონცოვისა.

<sup>50)</sup> თბილისის საეკლესით ძეგლთ-საცავის ხელთ-ნაწერი № 123 მოგვითხრობს: „იგი (ანტონი) 20 წლის იქმნა ხელ-დასხმულ აბხაზეთის კათალიკოსის გრიგოლის-მიერ ქ. ქუთაისის მიტროპოლიტად 1740 წ. 27 ენგენისთვეს, დღით შაბათსა“.

ორგის წინამძლოლობით, რომელიც მტრობდა ოვისს ძმას ალექსანდრეს <sup>51)</sup>). ალექსანდრე იძულებული გახდა დაემალა თავისი ოჯახობა მთებში და თვითონ (100 კაცით) გაქცეულიყო ქართლში და ეთხოვა შემწეობა ქართლელ ერისთავებისაგან გიორგისთან საწინააღმდეგოდ, რომელსაც უკვე დაეჭირა ტახტი იმერეთისა თურქების მეოხებით <sup>52)</sup>). ამისთანა დროს ანტონი ვერ დარჩებოდა ქუთაისში; ალბად, მეფის ამალაში ისიც ერია, მოვიდა 1741 წლის დამლევს თელავში და იწყო ცხოვრება თვისს ნათესავ კახეთის მეფე თეიმურაზ II <sup>53)</sup>), რომელსაც ესვა ცოლად მისი ბიძის შვილი თამარი, ასული მეფე ვახტანგ VI <sup>54)</sup>.

ამ დროს თბილისში ავად გახდა კათალიკოსი დომენტი III დედოფლის თამარისა და ანტონის ბიძა. დედოფლალი წავიდა თბილისში იმის სანახავად; მას თან ახლდა ანტონიც 1741 წლის დამლევს <sup>55)</sup>). ჭამ დროს ანტონს ქართლ-კახეთის სამლენელოება იცნობდა, როგორც ლირსეულს იერარქსა. თვითონ პატრიარქს დომენტი III, რომელიც პირის-პირ იცნობდა მას იმერეთში (1739 წ.) <sup>56)</sup>, უნდოდა დაენიშნა ის თვისს შემდეგ კათალიკოსად <sup>57)</sup>.

როდესაც მას ავადმყოფობა გაუძნელდა და იგრძნო ალ-სასრულის მოახლოვება, მან ბრძანა კრების შედგენა (იანვარში 1742 წ.) მისი მოადგილეს ამოსარჩევად და თავისს მხრივ აირჩია ანტონი <sup>58)</sup>). დედოფლალმა აუსრულა წადილი ბიძას,

<sup>51)</sup> ქართლის ცხოვრება II 235; 256; 348—349.

<sup>52)</sup> იქვე. 235—236.

<sup>53)</sup> იქვე. 349 ივერია 1879 წ. № 9, გვ. 47.

<sup>54)</sup> ქართ. ცხოვ. II, 344.

<sup>55)</sup> იქვე.

<sup>56)</sup> ქართლის ცხოვ. II 344; 325.

<sup>57)</sup> იქვე. 349.

<sup>58)</sup> იქვე. იხ. კიდევ ანტონის ძმია-მეტეველებისა წინა-სი-ტვეათბა.

მოუწოდა სამღვდელოების კრებას კათალიკოსის ამოსარჩევად. კრებამ ერთ-ხმად აირჩია ანტონი კათალიკოსად, როგორც „ორ წილად უუღირსესი იერარქი, რომელმაც სიჭაბუკიდან დასტოვა სიმღიდრე, ქვეყნიური შეფობა, შეიყვარა ზეცა, მისცა აღთქმა და აღიკვეცა“. კრებამ აცნობა ანტონს მისი კათალიკოსად აღრჩევა და სთხოვა მიეღო ეს წოდება. ავადმყოფი დომენტი III ემუდარებოდა, რომ მას არ უარ ეყო ეს სულის წმიდის აღრჩევა. მიუხედავად ამისთანა ხვეწნა-მუდარისა, ანტონმა, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, „არ ინება და არ მიიღო წინადადება უმაღლესი იერარქის წოდების მიღებაზედ სიმშვიდისა გამოო“<sup>59)</sup>. „მაშინ შესწუხდა ნეტარი პატრიარქი დომენტი“. „მან მოუწოდა ურბნისის ეპისკოპოზს ნიკოლოზს (ხერხეულიძე), მოაყრევინა მუხლნი თვისს სარეცელთან, დასდო ხელები თავზედ, აკურთხა პატრიარქად, მისცა მას კვერთხი (პატრიარქისა) და განეშორა სოფელსა ამისაგანაო“<sup>60)</sup>. ეს მოხდა იანვარში, 1742 წ.

ძნელი ასახსნელია რამ აიძულა ანტონი უარი ეთქვა პატრიარქობაზედ. მცხეთის კათალიკოსი იმ დროს დიდს პატივის დებაში იყო არამც თუ მეფისაგან, არამედ სპარსეთის შაჰისაგანაც, რომელიც ყოველ გზით სცდილობდა მოეპოვებინა მასთან კეთილ-განწყობილება. ამასთანავე აღმოსავლეთის საქართველოში ამ დროს უფრო მყუდროობა იყო, ვინემ დასავლეთისაში, რომლის სამეფო ტახტი ხშირად ერთი ხელიდამ მეორეში გადადიოდა თურქების და ლეკების მეოხებით.

(შემდეგი იქნება)

მღვ. კ. ანთაძე

<sup>59)</sup> იქნება.

<sup>60)</sup> იქნება.

## ცხრა ჯვარი

ვისაც თბილისის რკინის გზით უვლია და თვალი ჩრდილოეთისკენ მიუპყრია, უეჭველია, შემჩნეული ექმნება ერთი მაღალი მთის კორტოხი, რომელიც შორიდგან უზარ-მაზარ ციხეს უფრო ემსგავსება, ვინემ მთას და ამაყად დაჟურებს ტყიბულის არე-მარეს და სრულიად ოკრიბის მხარეს. ეს კორტოხი არის მწვერვალი ველიგოს მთისა, რომლის ძირასაც მდებარეობს საწირის საზოგადოების ერთი სოფელთაგანი, სახელდობ ძიროვანი. ამ სოფლის მცხოვრებლები, რიცხვით სამასამდე მეკომური, სახაზინო გლეხებია და ოკრიბის მესაკუთრებთან შედარებით შეძლებულად ცხოვრობენ, რადგან მათ საკმაო სახნავ-სათესი მიწები და უფრო მეტი ტყეები აქვთ სახმარებლად მიცემული.

ჭირნახულთაგან, გარდა სიმინდისა და ლომისა, რომლების მოსავალი რიგიანი იცის, ძიროვნელები ლვინოსაც კარგს აყენებენ. რასაკვირველია, ბევრი რამ ითქმის ხალხის ყოფა-ცხოვრებაზედ, მაგრამ, რა-კი მე წერილის მიზნათ „ცხრა ჯვარი“ მაქვს დასახული, ამისათვის იმედია მეპატივება, თუ სიტყვას შევამოკლებ და მკითხველის ყურადღებას მხოლოდ „ცხრა ჯვარი“-სადმი მივაქცევ.—

ზემორე მოხსენებულს ციხე-კლდეს ხალხი „ცხრა ჯვარს“ იმიტომ უწოდებს, რომ მის მოხაპულ საკმაოდ ვაკე თავზე, რომელიც სამასამდე კაცს დაიტევს, ნაპობი ქვით აგებულ ერთს პატარა სენაკში დასვენებულია ცხრა რკინის ჯვარი, რომლებსაც დადი სასოებით და კრძალვით ეპყრობა მთელი ოკრიბა და განსაკუთრებით-კი სოფ. ძიროვანი. ეს უკინასენელი სოფელი ყოველ წლობით, მაისის შუა რიცხვებში, დი-

დის ამბით დღესასწაულობს „ცხრა-ჯვარობას“. ერთს ამგვარს დღესასწაულობას მე თვითონ დავესწარი განძრას ამ ოთხი-ოდე წლის წინეთ და უსარგებლოთ არ მიმაჩნია, გავაცნო მკითხველს ჩემი შთაბეჭდილება და ყოველივე ის, რაც გა-დმომცეს ამ „ცხრა ჯვარი“-ს შესახებ.

სოფელ ძიროვანში, იქ, სადაც ახლა თლილი ქვის ლა-მაზი ეკლესიაა, მოსჩანს ნანგრევი ძველი ეკლესისა. რო-გორც გადმომცეს, ეს დანგრეული ეკლესია ძველიდ დიდი ტაძარი იყო თურმე და ზემოხსენებული ცხრა ჯვარიც ამ ტაძარში ესვენა. „ეს ჯვრები დიდი სასწაულო-მომქმედნი იყვნენო: მათზე ფიცს არამც თუ მტყუანი, მართალიც-კი ვერ ბედავდაო“, — ასე რომ ახლაც ვერც ერთი მომჩივან-მო-პასუხე ვერ ბედავს ცხრა ჯვარზე ფიცს.

ერთხელ რაღაც სასოფლო საქმის გამო მთელმა სოფელ-მა ცრუ ფიცი გაბედა „ჯვრების“ წინაშე. საღაო საქმე ამ გვარი ფიცის შემდეგ, რაღა საკითხავია, სოფელმა მოიგო, მაგრამ ვაი იმისთანა მოგებას! „ცხრა ჯვარი“ განრისხდა და მთელ სოფელს მუსრი გაავლოო“...

გაჩნდა რაღაც უცნობი სენი, რომელიც ცელსავით უსომ-და ხალხსა. ხალხი შეწრიალდა, იგრძნო თავისი შეცდომა, დაუწყო ვედრება ჯვრებს. ყოველ დღე, ვინც-კი ფეხზე იღ-გა, ეკლესიაში მიდიოდა და დილიდგან საღამომდე ცრემლის ღვრით შესთხოვდა ჯვრებს მიტევებას. ხალხთან ერთად მო-ხუცებული მოძღვარიც ხელ-აპურობით ევედრებოდა უფალს. ერთი ამ გვარი ლოცვის შემდეგ მოძღვარს სიზმარში ვიღაც მოხუცი გამოეცხადა და უთხრა: „ჯვრებმა შეისმინეს შენი ვედრება, რადგან შენ მათი ერთგული მოსამსახურე იყავი; აპატივეს ხალხს შეცოდება, მხოლოდ ეს კია, ამის შემდეგ ამ ხალხში დარჩენა მათ არ უნდათო. დილას რომ აღგები, ლოცვის შემდეგ, გალავანში რომ დიდი ცაცხვი დგას, თვა-ლი მიაპყარ, იმის წვერზე შენ დაინახავ მტრედს; დაინახავ თუ არა, მტრედი გადაფრინდება და საღაც ის მტრედი და-

ჯდეს, ჯვრებიც იქ დაასვენეო“... მოძღვარმა დილას ილოცა, გამოვიდა და მტრედი მართლა დაინახა. მტრედი აფრინდა, გაეშურა მთისკენ და ერთბაშად კლდის წვერზედ დაეცა. მაშინვე დაჰკრეს ზარს, ხალხი შეიკრიბა და ჯვრები იქ წასვენეს. ხელად ააგეს საჯვარე და ჯვრები შიგ დაასვენეს. როგორც გადმომცეს ეს საჯვარე ძველად ისე დიდი იყო თურმე, რომ „ცხრა-ჯვარობას“ მღვდელი იმაში სწირავდა. ახლა-კი ამ სენაკში კაცი ვერ გაიმართება თუ არ დაიჩიქა. ეტყობა გადანგრეულა და ახლა ხან ყავრით გადაუხურავთ. გარდა ცხრა რკინის ჯვრისა, რომელთ შორის უდიდესი ნახევარი არშინის სიგრძეა, აქვე ერთი სპილენძის კათხაა ბარძიმის მსგავსი და ერთიც შუბის თავი. ჯვრები საფლავის ქვის ჯვარს მოგაგონებსთ: ერთი თავი ისე წვეტიანი აქვს ჯვარს, როგორც საფლავის ქვის ჯვარს აკეთებს უბრალო მჭედელი. მათზე მოთხოვობილ საგულისხმო ლეგენდის მიხედვით, მე უფრო საინტერესო სანახაობას მოველოდი „ცხრა ჯვარზე“ ასვლით; ხოლო მოლოდინი არ გამიმართლდა, მაგრამ სამაგიეროდ „ცხრა ჯვარი“-ს დღეობამ-კი საგულისხმო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. 14 მაისს, ძიროვნელმა გლეხმა, მაშინ საწირის საზოგადოების მამასახლისშა, მითხრა: —რა-კი „ცხრა-ჯვარობას“ ნახვა გინდა, ხვალ დილას წამოდი ჩემსა და, რადგან წელს ხევის-ბერი მე ვარ, ყველაფერს შენი თვალით ნახავო. ცხრა ჯვარზე ასვლას შენ ვერ შესძლებ, მაგრამ, სულ ერთია, საღამოს სოფელი, მთიდგან რომ ჩამოაგნევს, ჩემსას შეიკრიბება ვახშამზე და კარგი სეირი იქნებაო. მეორე დღეს მე რომ ძიროვანში ავედი, წირვა უკვე გამოსულიყო და საყვირის ცემა ისმოდა ხევის-ბერის ოჯახში. საყვირის ხმა შესწყდა და ორასამდე კაცი დაჯდა სადილად. ხევის-ბერი მასპინძლობდა მლოცველებს. ხელად დააგეს გრძელ-გრძელ ხის სუფრებზე ლომი, ჩამოარიგეს თითო კაცზე თითო ჩარექი ყველი წონით, შემოდგეს დიდრონი ხელადებით ლვინო და გაიმართა ლხინი. მკითხველს გაუკვირდება,

უეჭველია, ეგ თითო ჩარექი ყველი და ისიც წონით რას ნიშნავსო? დამავიწყდა მეთქვა, რომ ამ დღეს სუფრაზე ხორცეული არ სჩანს, თუმცა, მიუხედავად ამ საზოგადო წესისა, მასპინძელი მე ქათმით გამიმასპინძლდა, მაგრამ ისე-კი რომ ხალხთან ჯერ ბოდიში მოიხადა: „მაპატივეთ, „უჩიტელი“ უცხო კაცია, ხორცი უნდა მივართვაო“.

დიალ, ის უნდა მეთქვა, თუ ყველით მასპინძლობა რა მოსაზრებით შემოულიათ. ხევის-ბერი ყოველ შემოდგომაზე ჰკრებდა და ჰკრებს ახლაც „ცხრა-ჯვარობის“, სამასპინძლოს სოფელში. ყოველი მეკომური აძლევს ხევის-ბერს თითო ჩაფს კარგ ლვინოს და თითო ბათმანს ლომს. შეჭამანდი-კი ხევის-ბერისაა.

ძველად ძროხებს კლავდა თურმე მასპინძელი, მაგრამ რა-კი უძვლო პირუტყვი, მოგეხსენებათ, არ არის, ამისათვის ულუფის დარიგება ძლიერ გასაჭირი ხდებოდა. ხშირად უკმაყოფილება მომხდარა იმის გამო, რომ ერთს ძვლიანი ულუფა შეხვედრია და მეორეს-კი უძვალო. ამ ოხერ-სულობის ასაცილებლად ერთხელვე დაუდგენიათ: ყველით იქმნეს მასპინძლობა; თითო კაცს სადილ-ვახშმად სამ-სამი ჩარექი ყველი მიეწონოს; აქ მეტ-ნაკლებობა აღარ იქმნება, მორჩა და გათავდაო! ამ დადგენილობისათვის რაღაც მოსაზრებით ისიც დაუძენიათ: იმ დღეს სუფრაზე ხორცი არავინ სჭამოსო. მგონია, საკმაოდ განვმარტე ყველით მასპინძლობის მიზეზი. ახლა ისევ მასპინძლობას დავუბრუნდეთ. თუმცა სადილს ხანგრძლავად არ შერჩენია ხალხი, რადგან მთისკენ მიეჩქარებოდათ, მაგრამ ხმელი ყველის ნაჭამზე წყურვილის და ჟინის მოსაკლავად ერთი ზღვა დვინო დაილია მაინც. უზომოთ არავინ დამთვრალა, ხოლო ზომიერად-კი ყველა შეზარხოშდა. დაილოცეს „საყოვლად-წმიდო“, ხალხი აიშალა და მოემზადა მთაზე წასასვლელად. რა-კი ბრწყინვალე დღე იდგა, ყველამ ჩოხები გაიძრო და ახალუხის ამარა შეუდგნენ მთას

შესაწირავების მისაღებად დიაკვანი (მედავითნე) და სამი „ჯვარის კაცი“ გაუძლეა ხალხს. მღვდელი ახლა აღარ ადის მთაზე. ორი საათის მგზავრობის შემდეგ ავტომატიკ „ველიეთის“ სათიბს და მივაღწიეთ პირველ კიბეს. ეს კიბე კლდის ღიღრონი ნაპობებით არის შეკოწიწებული. კიბიღგან ზევით ცოტად შეივაკებს, მაგრამ მალე ისევ მეორე კიბე უნდა აიაროთ. ცოტაც ავიარეთ და მივაღწიეთ „ცხრა-ჯვარი“-ს ძირსაც. პირველ დანახვაზე გული გაუსქდება კაცს: ამ საღკლდეს საიდამ მოვუდგები, თვალს ძლივს ვუწვდენო, იფიქრებს ხამი მგზავრი, ხოლო გზის მცოდნე-კი ძირიდამ სულ 40 წამში ავა კლდის წვერამდის. სამხრეთის კლდე კედელსავით ჩამოთლილია, ხოლო გზა მას ჩრდილოეთით მოუვლის. კლდის ძირიდამ, ე. ი. ველიეთის მთის ქედიდამ მთის ჩრდილოეთის ფერდს დახედავს მგზავრი. ეს ფერდი მთისა ატეხილის ნაძვნარით არის დაფენილი. მთის ქედიდგან ტყეში დავეშვით და მალე „ცხრა ჯვარი“-ს კლდეს ჩრდილოეთით მოვექეცით, აქედამ-კი „ცხრა ჯვარი“-ს აკიბულ ბილიკს ავყევით და სულ 20 წამში კლდის მოხაპულ წვერზე გავიშალეთ. ხალხმა ჯვრებს მიართვა შესაწირავი—თაფლის სანთელი და გროში. როცა ყველამ სათითაოდ მოილოცა, შეიკრიბნენ და დააბეს ფერხული (ფერხულის საგალობელი არ მაგონდება). \*) ამის შემდეგ ყველამ ჩაიჩინა, მედავითნემ და ჯვარის კაცებმა შენაწირავი შემოავლეს მათ თავზე და ხალხიც აიშალა.

საღამოს შვიდ საათზე მასპინძლის ოჯახს მოვუწიეთ.

\*) საჭიროა, რომ ხალხის ზე-ჩვეულებათა აღმწერთ დიდი უკუნდელება მთაქცეონ მისი (ხალხის) ცხოვრების უზველებელ წესრიგს. ფრიად საგულისხმოა ვიცოდეთ ზემორე აღწერილ დღესაწაულ-ლხინებისა და მიხთახა გასართობების დროს რა შაირ-სიმღერებს დამდერიან ხოჭმე.

აქ ეზოში კვლავ დაბეს ფერხული და ვახშმობამდე ფერხულის სიმღერები არ შეწყვეტილა. ვახშმის სამასპინძლოც ისეთივე იყო, რაც სადილის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლვინის ხელადები და ჭიქები არ ჩნდა სუფრაზე. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს გამაკვირა და ის იყო უნდა მეკითხნა მასპინძლისთვის, განა ვახშამზე ლვინო აღკრძალულიათქო, რომ დარბაზის შუა გულს დავინახე ვეებართელა თაბახი (გობი).

შოუშეეს ერთბაშად თაბაზზე თრი თუ სამი ქოქის ჰირი და აავსეს თავამდე. ხალხი თუ თანასწორ ნაწილად გაიუღ. ჯერ ერთი ნახევარი დაეწაფა გობს და ძირამდე ამთაშორ. შერე, რა რომ გობი ხელმეორედ აავსეს, მეორე ნახევარი დაეწაფა გობს და აგრეთვე ამთაშორეს. ასე ამ რიგად ეს საუცხოვო სასასმო ხან ერთს, ხან მეორე ჯგუფს ეთმობთდა ცისკრის ამთსელამდე. გამოჩხნდა თუ არა ცისკრის გარსკვლავი, სტუმრები ერთბაშად აიშალნენ და გაუდგნენ გზას.

ზევით ვთქვი—საგულისხმო შთაბეჭდილებათქო. საგულისხმოდ მე აქ ის გარემოება მიმაჩნია, რომ, მოგეხსენებათ, სადაც ამდენი მთერალი კაცი შეიყრის თავს, იქ ჩხუბი და აყალ-მაყალი, ხშირად თავ-პირის მტვრევაც, ჩვეულებრივი მოვლენაა ხოლმე. უფრო ის არის საკვირველი, რომ ამ დღეს აქ მთელი სოფელი იკრიბება და მთელი სოფლის მცხოვრებთ შორის რომ რამდენიმე გლეხი ერთმანეთის მომდურავი არ იყვეს—იშვიათია; ხოლო მიუხედავად ამისა, ამ დღეს ყველა ისე ექცევა ერთმანერთს, თითქოს მათში სანეტარო განწყობილება სუფევდეს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ვინმემ ურიგო ყბელობა დაიწყოს და „თუ გინმე ასეთი თაგზე ხელადგბული იქნება ხალხიდან. ამას გარდა მან საუპატიო უნდა მიართვას „ცხრა-ჯვარს“—ფულად ხუთი მანეთი. ხოლო თუ ხალ-

ხმა მომავალშიც არ აპატივა დამნაშავეს, ის დიდხანს ვერ ეღირსება სხვასთან ერთად წასვლას „ცხრა-ჯვარზე“. ერთი შეხედვით არც წისებული სასჯელია ხუთი მანეთი ჯარიმა, მაგრამ ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ეს საუპატიო ვისმე ეზღოს თავის მიზეზით. ასეთი გავლენა ჰქონია ხალხზე მის-განვე შემოღებულ წეს-რიგს!..

სოფლის კაცი.



# აღდგომა სოფელში (იმირეთში).

(დასასრული \*)

**კბერცხის დაკვრა.** ჯერ გასინჯვენ კვერცხს, ამოირჩევენ მაგარს და დასაკრავი კვერცხები ცალკე აქვთ ნაგულები. ერთი გააჩერებს კვერცხს, ხელში დაიკავებს, მეორეც ზეიდან დაჰკრავს, რომელიც გასტეხავს, გატეხილი მისია და თუ ორივე გატყდა, მაშინ პატრონებს თავიანთი გატეხილი კვერცხები რჩებათ. დაკვრაც ორნაირად იციან: გასინჯვით და გაუსინჯავად. გაუსინჯავად თუ, როგორც ესენი ეძახიან, უნახავად დაკვრა იმასა ნიშნავს, რომ თავიანთ კვერცხს ერთი-მეორეს არ აჩვენებენ, ისე „ალალ ბედზე“ უნდა სცადონ თავიანთი კვერცხის სიმაგრე. გასინჯვით-კი— ერთი მეორეს აჩვენებენ ხელში კვერცხებს, თავად გასინჯვენ, სხვა-საც ანახვებენ და, თუ მოუვიდათ ყუათში, მერე დაჰკვრენ. თუ ვერ შეძედეს, შეიძლება კიდეც გასცვალონ და მერე დაჰკრან შენაცვლებული თუ გაცვლილი კვერცხები. კვერცხს კბილებზე მიირაკუნებენ და ხმაზე ატყობენ, რომელი გასტეხს, რომელი არა. ზოგი მაინც ისე დახელოვნებულია, ისე კარგად იცის კვერცხის შეტყობა (ცნობა), რომ თითქმის უმტყუნრად გეტყვის, გატყდება თუ გასტეხს. ხმაც, მგონია, ბუგე უნდა ჰქონდეს; რომელსაც კუხე ხმა აქვს, ან ჯლრიალა, ის არ ვარგა; რომელიც გვამში იძახის, მაგრად, წმინდა ხმით—ის არი მაგარი. კვერცხი ნამლევაა მაგარი (ნამლევა-სავით არის გამომდგარიო, არ გაგიგონიათ?) ისიც ძველი დედლის, ვარიის-კი სუსტია. რომელსაც კანი სქელი აქვს, თა-

\*) იხ. „მოგზაური“, №№ 6 და 7.

ვი ცოტა წასოსოლავებული და გარსით სავსეა, აი საზოგა-  
ლოდ, მაგარი ის არი. გამოდგომაზეაც არის. ერთი გამო-  
მდგარი რამდენიმე ათს და ოცს კვერცხს გასტეხს. ასი კვერ-  
ცხი გამიტეხია ერთი კვერცხით, ზათმანი კვერცხი დამიმტვრე-  
ვიაო,—უთქვამთ. კვერცხის სიმაგრე ჯიშმა და ადგილმა იცის.  
ამბობენ: „თუ არ დააჯენ დედალს, მის კვერცხს სხვა დე-  
დლის კვერცხი ვერ გასტეხს. დედალი უნდა აძველო, არ  
უნდა დააჯინო თავისობას და მაგარი კვერცხი ეცოდინებაო“.  
ადგილობრივ ფრინვლებში მაგარი კვერცხი ციცარმა იცის;  
ბატისას ნამლევის შეტი მას კვერცხი ვერ გასტეხავს \*) და,  
თუ ნამლევია და ნაძველები, იმას ხომ ქვითაც ვერ გა-  
ტეხავ!

ასეა თუ ისე, დასაკრავი კვერცხი ყველას ცალკე აქვს  
ნაგულები. გასინჯვენ თუ უნახავად დაჰკვრენ; ზოგი გასტე-  
ხავს, ზოგი გატყდება და ზოგი-კი ერთი-მეორეს შეასკდები-  
ან. და მიტომაც იციან შედარება: „კვერცხივით შეასკდები-  
ან ერთმანეთსო“, — თანატოლები რომ შეხვდებიან ერთმა-  
ნეთს. ზოგი გასტეხავს, ზოგს გაუტეხენ და არის ერთი სი-  
ცილი და ხალისი, ზოგი ისე ოსტატურად, მოხერხებით ურ-  
ტყამს კვერცხს კვერცხზე, ორშ ძალით სტეხავს კვერცხს,  
ფრჩხილს თუ ცერს ახვედრებს მას. ზოგს ნაწვალებიცა აქვს  
კვერცხი—ვინ იცის რაფრად და მაშინ ვინ იცის, რა ამბავი  
შეუდგებათ ხოლმე!..

**ბერტცხს დაჯენა თუ ჯენაობა.** ერთი კვერცხს აჯენს  
და სხვები ესვრიან, რასაკვირველია, დანიშნულ ადგილიდამ.  
თუ მოახვედრა, აჟვენს (ამ მოხვედრებას აყვანას ეძახიან):  
ნასროლიც და ნაჯენიც მსროლელისაა; ახლა ამან უნდა  
დააჯინოს და სხვებმა ესროლონ. თუ არა და კვერცხი დაი-  
კარგა, ნასროლი კვერცხი, აცილებული ყველა, ვინც კვერცხს  
აჯენს, მისია. გამობრუნებული მოხვედრა არ არის ჯერი;

\*) გაუჭირდება კიდეც, თუ მოღალული ა.ა.ა.

კვერცხი პირ-და-პირი სროლით უნდა მოხვდეს, დაჯენილი კვერცხი წაიქცევა თუ არ შეირყევა (გაინძრევა), ეგ სულ ერთია. ცილაგულას \*) სროლაც ჯერი არაა. თუ არ უჯერიან ერთი-მეორეს (შეიძლება, ვერ დაინახა რომელი-მე მხარემ), მაშინ „,ისე მართალმა პური ჭამოსო“, — ხელ-ახლა უნდა ესროლოს, რასაკვირველია, ისევ ის ნასროლი კვერცხი. და, თუ არ დაუჯერეს, როგორმე ყაბულს არ გა-ხდენ, ო.. ო.. ო!. მაშინ.. ნულარაფერს მკითხავ!. შეექნე-ბათ ერთი წეწვა-გლეჯა.

აქ თავ-მოყვარება ელახებათ, რომელიმე მხარე თავს ჩა-გრულად გრძნობს და როდი აჩაგვრინებს თავს ეგრე აღვი ლად: თავისს პირად სამართალს მიმართავს, ძალ-მომრეობს და უკმაყოფილოც, ვინ იცის, შეურაცხყოფილ თავ-მოყვა-რეობას რა რიგ დაიკმაყოფილებს!. ამას ქომაგი გამოუჩნდე-ბა, იმასაც წამოექმაგებიან მისიანები.. და თუ მაინც ცო-ტა, “ქირქიტიც” უწევთ, უნდა უყურო სეირი!.. ერთი კვერ-ცხი მაშინ დაუჯდებათ ხოლმე ფასად.. თუ არ გაუტოლდა ადამიანს, ბევრით ნაკლებად აღარ დაფასდება!. ვინ იცის, რა ყალილა არ ატყდება ხოლმე კაპეიკიან კვერცხზე!. სისხლს ვიღა იტყვის, კაცის სულიც-კი შეუწირავთ მისთვის..

ძგერცხის ჯიდაგი ანუ დაგარება. ბეგის თავში დაჯდე-ბიან ანუ მაღლობ აღგილს მოსძებნიან, თავქვე დაქანებულს. ორ კვერცხს დადებენ მიწაზედ თანასწორად, წინიდან ჯოხს გაუჩერებენ, კვერცხები სწორაა ზედ მილაგებული. ჯოხს გააცლიან და თავდალმართში კვერცხები გაექანებიან, მირ-ბიან, მისრიალობენ, მიგორავენ და რომელიც გაასწრებს, კვერცხებიც მისია ორივე.

მერე (მკვლევას რომ მორჩებიან), მღვდელს საკურთხეს აკურთხებინებენ და ჩაუჯდებიან. საკურთხევე ჯდომაც ჩვეუ-

\*) ცილა-გულას უბანო კვერცხს ეძახიან, რომელიც მარტო ცი-ლი და გული-დაა, ერთად თუ ცალ-ცალკე.

ლეპრივია, როგორც უბრალო დღეს და ამას მაშინ ავწერ, როცა ჭირის დღეებს ანუ სულის-საქმეს და სადილებს შევეხებით. განსხვავება აქ ის არის მხოლოდ, რომ საკურთხევე აქ პასკა ყველას აქვს. მეორეც: ამ დღეს საკურთხევე დაჯდომას ქალებიც არ საზრახისობენ \*\*). გადაჭკვრენ კარგად: ცოცხალს ადლეგრძელებენ, მკვდარს სულს უხსენებენ და სადლეგრძელო-მადლეგრძელოს-იცოცხლე - მაცოცხლეს შემდეგ თავიანთ სახლში წავლენ და მისვლისათანავე, რასაკვირველია, ამ დილაზე (წირვა სწორედ გამთენიოს გამოდის) სადილს მიირთმევენ.. სხვები უსადილო უცდიან შინ.

ნასადილეს, წინად, როგორცა ვსთქვი, გალავანში შეიკრიბებოდნენ: ქალი და კაცი, დიდი და პატარა — ყველა იქ მხიარულობდა ერთად.. და გალავანში დღეს პატარა ბავშვებსაც ძეირად ნახავ!. ფერხისას ვიღას უყურებ, სადღა გაიგონებ!..

ნათქვამია: „აღდგომას“ მზესაც უხარია, ისიც თაშმაშობსო — ისე დიდებულია და სამხიარულო აღდგომაო. და ახლაც რომ გამოვლენ საყდრიიდან, ახლად ამოსულ მზეს აკვირდებიან — თამაშობს, თუ არაო. მალლა ცაზე თუ მზეს აათამა-შებდა სამხიარულო აღდგომა, ხალხი რატომ არ იმხიარულებდა?..

და მართლაც რა მხიარულება, რა სიხალისე იყო, რომ მახსოვეს!. რა აღტაცებით შემოუვლიდნენ ხოლმეს ლიტანიას!. რა მხიარულობა ეტყობოდათ ყველას სახეზე, რა ხალისი!. როგორ ცხოვლად დაიგრიალებდნენ „ჭეშმარიტად“-ს, მღვდელი რომ „ჭრისტე აღსდგა“-ს შესძახებდა. რა სასოებით იყო წარმოთქმული ის „ჭეშმარიტად“, რა აღფრთოვანებით:. რა გაცხოველებული დაუშენდნენ „ჭვა-ურიას“!. ყველაფერში სიცოცხლე, ყველაფერში სიხალისე ეტყობოდათ. გათავ-

\*\*) უმისოდ-კი ქალები არ რჩებიან (საკურთხევე), ძრახვეს.

დებოდა წირვა და შეიქნებოდა ერთი... ეს! ყველას უხაროდა, ყველას მაშინ და დღეს.. ვიღას ეხალისება ახლა!..

დღეს ადამიანის გული დაჩაგრულია... დროის ნაღველი საერთოდ ძმარავს ყველას გულს...

მაგრამ დღეს ძველებურად აღარ მხიარულობს.. მეორე დღეს, აღდგომის ორშაბათსაც, ილიაობა იცოდნენ (წმიდა გიორგზე): საყდარზე შეიკრიბებოდნენ—თემობა იცოდნენ, მაგრამ დღეს ისიც გადავარდა.. მიატოვეს ილიაობაც და მისი თემიც.. \*)

ნაწირვებს ახლა სამაგიეროდ ოჯახად ჩამოივლიან ხოლმე... აქაც ბაზრის \*\*) „ყაიდა“-ზე სტოლის გაწყობა შემოიღეს: დიდს თუ მცირეს, თავ-თავის წესზე ყველას აქვს გაწყობილი ამ დღეს სტოლი: გოჭ-ქათმოულობა, ყველ-ხაჭაპუროულობა, პასქაც, რასაკვირველია, ნაჭერი მაინც მისი, ღვი-

\*) წითელი გვერცხი ამაღლებამდი უნდა ჰქონდათ. როგორ შეიძლებოდა, პირველ ნახვაზე რომ კვერცხი არ მაემკვდიათ კაცის-თვის!. და ახლა ვიდას უნახავ? ამაღლებას-კი არა და აღდგომასაც არ უკავია ხელში უკელას კვერცხი. «ქაისტე აღსდგათ» და ხელს ართმევენ შხოლდად. მაშინ-კი გმირად მიმჩნევათ. აი დღესაც იციან წევეგლაში: «ისემც დაიკავა აღდგომას ხელში წითელი გვერცხით». წევეგლად არის დღესაც დარჩენილი. ამაღლებას ისეთივე გვერცხის ჯენა და დაგვრა იცოდნენ, როგორც აღდგომას—უპეთესი კიდევ; საასალგვიროდ ხელ-ახლა შექცებავდნენ გვერცხებს, როგორც საასალგვიროდ, ისე. საჭამიც ნაამაღლობამდის «ქრაირე აღსდგა» უნდა ეძახნათ. გზაზე თუ შინ, მუშაობაზე თუ უმისოდ, «ქრისტე აღსდგა»-თ უუბრინდთ გამარჯობა-დილა. საღამო-შშვიდობის ნაცვლად, —ეს იუთ აღდგომიდან ამაღლებამდი მათი საჭამი და დღეს.. ახალგვარემდი კიდევ გესმის «ქრისტე აღსდგა» და მერე.. თაგა გაცრავს!. გეთხევება...

\*\*) სოფელი ქალაქის კუდია და ეოველთვის მისი (ქალაქის) ნაგლუჭარ პირველს მოხვდება ხოლმე.

წოც და ი მისი სტოლიც.. არა, წახედულობამ—მოგეხსენებათ, ნათქვამია—წამწყმიდაო და ესენიც ამ წახედულობით „მტრის ჯინაზე ძალით ცხონდებიან“... ხარჯს ხარჯი ემატება და დღემდი (უმისოდაც) დაჩაგრული გული, დღეს ოდნავ წუთით გამხიარულებული, მით უარესად იჩაგრება.. თუ ხვალ დაიჩაგრება.


—

„აღდომას“ ნაწირვებს (თუ ვერ მოასწრებს, მეორე დღეს ჩამოივლის, მესამეს—რა, ვადა-კი არ მიუდის!) მღვდელმა ჩამოვლა იცის სოფელში: სახლს მოაკურთხებს, ნათლისლების წყლით მოასხურებს შიგნი სახლს და თან „ქრისტე აღსდგა“-ს გალობს—და ეს არის მათი სახლის მოკურთხებაც. მღვდელს თან ახლავს ორი მედავითნე „სტოროჯი“ (ასეა მონათლული დღეს ეკლესიის მექარე და მეც ამ ნათლიობის სახელს აღარ ვარქმევ), ბიჭიც-კი მოჯამაგირე, თუ კი ჰყავს.. რაღა უკეთეს ადგილის წავა? სახლს მოაკურთხებენ, დაჯდებიან „ღვინის დასალევად“. მიუტანებენ თავიანთ ულუფას: მღვდელს — საკლავის ბეჭს, პურს, პასქას, მედავითნეს— თეძოს თუ „შუა-რძვალს“, სხვებს კერძს და ამისთანა კერძებს, პურს თუ მისაწებს ამათაც არ მოაკლებენ. ესენიც ჩაუჯდებიან თუ შეკვებიან და.. გამობრუშდებიან „,თქვენი მოწონებული“. ღვინოს დალევენ, საწებს წვენს, რასაკვირველია, პურს.. უკაცრავად!.. მჭადს, ღომს, თორემ პურს შესაჭმელად როგორ გაიმეტებენ!. დიალ, რაც უნდა შესაჭმელად, ე. ი. რაც ისეთია, რომ წალება არ მოუხერხდება, იმას ყველას მუცელში ჩაიყრიან, სხვას-კი: პურს, მშრალ ხორცს... წარმოიდგინეთ, წვენშიც-კი ამორეკენ ხორცს და ყველას ერთად ხურჯინში უკრავენ თავს. ღვინის წალება ჩვეულებათ არა აქვთ (არაუიკი მიაქვთ, თუ თვალი საღმე მოატანეს), — მაგრამ სამაგიეროდ ღვინოს აქვე ცხელ დღეს აუგნებენ—სვამენ და ხშირად ბლანკი რომ აღარა აქვთ, თავისას მაინც არ იშლიან კიდევ—ამ

დვინის დასალევს მაინც არ ეშვებიან. თუ ვეღარ შეიძლეს, იქვე მიწვებიან. რავა, მტრისას-კი არ არიან, თავის ოჯახში არიან და რა უშავთ!. შესაჭმელს შეჭამენ, წასაღებს წაიღებენ და ახლა მეორესას გადავლენ და ასე, ამ რიგად, მთელი სამი დღე დაიარებიან გამობლან ცულები სოფელში და ორმოცი დღის ნამარხულნი მთელ „ნაფაქს“ ამ სამ დღეს კრეფენ!..

ოჯახშივე წაკითხებენ მღვდელს წიგნს (ზოგი საყდარზედაც) — თავი აღარ გვეტკინებაო. წიგნის წაკითხვაც ასე იციან: ცალ მუხლზე დაიჩოქებენ, მღვდელი თავზედ ოლარს გადაათარებს და ლოცვანს უკითხავს. გაათავებს ლოცვას, ლოლარს ახდის, ამთხვევიებს ზედ, მერე აღგებიან, ჯვარზე ემთხვევიან და ერთ კვერცხს მისცემენ მღვდელს.. შეუძლია ორიც მისცეს და მეტიც \*), მისი ნება არ არის, ვინ დაუშლის!

აფრ. მერკვილაძე.



\* ) სულ შიუცემლაბა-კი არ შეიძლება: მაშინ ხომ თავის ტკივილს შედარ გადურჩებიან!..

## პატიკრიფი: განჩინება პონტოელი შილაცისა.

საქრისტიანო ხალხთა შორის გავრცელებული იყო ძველად ის თხზულებანიც, რომელიც სამღვთო წერილის შინაარსისანი იყვნენ, მხოლოდ შექმნილნი საერო გადმოცემაზედ, ან გამოგონილნი მწიგნობართაგან. ასეთს ნაწერებს უწოდებენ აპოკრიფს ანუ ეკკლესიიდან გადევნილს თხზულებას.

1550 წელსა კონსტანტინუპოლის იერემიას პატრიარქობისა ჟამსა განკხადნა განჩინება ესე პონტოელისა მიერ გამოცემული მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტეს ზა (ზედა), რი (რომელი) იპოვეს ქალაქსა შა (შინა) აკილიასა, რიცა (რომელიცა) ერთსა კლდესა შინა მდებარე იყო შვენიერისა რკინისა კიდობნითა და რომელსაცა შა (შინა) იყო სხვა კოლოფი მარმარილოვასა საკვირველი და მუნ მას შა (შინა) იდვა დაბეჭდილად განჩინება ესე ეტრატსა ზა (ზედა), დაწერილი ებრაულისა ენითა და ითარგმნა ენასა ზა (ზედა) ბერძულსა, რომელსა შა (შინა) წერილ იყო ესრეთ: „წელსა 17-სა მეფობასა პრომაელთა მონარხისა უძლეველისა ტიტეს კეისრისასა, ინდიქტიონსა 12, მზის მოქცევასა 8-სა, დასაბამითგან ჩვენსა და ებრაელთა რიცხვსა 4174 წ. და შთამოებითგან რომანთა მეფობისა 73 წ. და განთავისუფლებითგან ბაბილონით ისრაილთა ტყვეობისა .... წელსა და საღმრთოვსა მეფობისა წარწყმედითგან.... \*) წელსა იპატოსობათა შა (შინა) ერსა ზა პრომაელთასა ლუკიოსისსა, პიზიონისსა, პარკუსსა და პავსინოზისსა და პირველ იპატოსობათა შა (შინა) ილი-

\*) გამოტოვებულია ხელნაწერში.

რიკიოსისა, ვალურიოსისა და პალოსტერაკისა, საზოგადოდ  
განგებელობასა იუდეანთა შრ (მიერ) კინტ და ფლობიოსისა  
და განგეობასა შრ ქალაქისა იეროსალიმისასა მტკიცისა მბრძა-  
ნებელისა პილატესა, ზედამხედველობასა ქვემოხესა გალილეა-  
სასა იროდი ანტიპატროსისა, მღვდელმთაერობასა ზედა ანნა  
კაიაფა აღნატოს და მაილოსსა, ლიდის ტაძრისა მოძღვართა  
რაბა ამამბელ და იოქტინოსსა, ასის თაობასა პრომაელთა  
ქალაქისა იეროსალიმისა კორნილოს სუშბლმა სექსტუ პომ-  
პილუ და ოუფოსსა, თავუცსა მარტსა 25... მე პონტოელ-  
მან პილატე განშეგებელმან პრომაელთა მეუკბისამან ვჰსაჯე  
და განვაჩინე პრეტორსა შრ სიკუდილი იესოსი, რომელსა  
ეწოდების ერის შრ (მიერ) ქრ (ქრისტე) ნაზარეველი და მშო-  
ბელთაგან არს გალილეველი, კაცი აღმაშფოთებელი, წინა  
აღმდგომი მოსეს ჰსჯულისა და დიდისა კეისრისა ტვერიოსი-  
სა, ამისთვის ვბრძანებთ და განვაწესებთ, რათამცა იქმნას სი-  
კუდილი მისი ჯვარსა ზრ (ზედა) გარნა სამსჭვალთა შრ ვა-  
ჩევეულება არს ბოროტის მოქმედთა კაცთათს, ვინახდგან შექ-  
კრიბნა მან სიმრავლე კაცთა მდიდართა და გლახაკთაგან და  
არა დასცხრა შემოტანად აღშფოთებათა ყრ იუდეისა შრ,  
ჰყოფს თავსა თვისსა ძედ ღრისა და მეუფედ ისრაილისა და  
იქადის აოხრებასა იეროსალიმისასა და დარღვევასა საღმრთო-  
უსა ტაძრისასა და უარჸყოფს შიშსა კეისრისასა და კრ აჭარს  
კადნიერება შესულად ქალაქსა იერუსალიმსა შინა ბაითი და  
დიდითა დიდებითა რითამე კერძოთა ერისათა ვა მეფე ვინ-  
მე, ამის ვუბრძანეთ ჩრენსა პლსა (პირველსა) ასის თავსა  
კვინეტ კორნილიესა, რათა წარიყვანოს ცხადად ქალაქსა შრ  
(შინა) იეროსალიმსა შეკრული, ტანჯვით, შემოსილი პორტი-  
რითა, გვირგვინოსანი გვირგვინითა ეკლისათა და ეტვირთოს  
ჯუარი თვისი მხართა თვისთა ზრ, რათა იქმნეს საჩვენებელ  
ყრთა ბოროტისა მოქმედთა კაცთა, რლისა (რომლისა) თვის-  
ცა მნებავს, რათა იყოს მასთანა ორნი ავაზაკნი მესისხლენი

და განიყუანოს საპპაროდა(?) კარით, ხოლო ამ ანტონიაზ  
წოდებულით და წარიყვანოს ქრისტე იგი ცხადად მათსა ზა  
კალვარიისასა და მოკლას იგი. ჯვარსა ზა (ზედა) დაიღვას  
ტიტული მისი დაწერილი სამისა ენითა ბერძულ, ჰრომაულ  
და ებრაულ. ბერძულ ესრეთ: იისუს ნაზარეუს ვასილევს იუ-  
დეონ და ჰრომაულ ესრეთ: იესუს ნაზორეუს ოქს იუდეო-  
რუმ, ხო (ხოლო) ებრაულ ესრეთ: იესო ნანოზრი მელუხ  
იელუნდიმ, ხო (ხოლო) ვბრძანეთ, რათა არავინ იკადროს  
უბრალოდ რომლისაცა მდგომარეობისა იყოს, რათამცა წი-  
ნააღმდეგომობა რამე იხმაროს ჩუენ შრ განჩინებულისა ამის  
რიცა არს ბრძანებული და ქმნილი კთა ნამდვილობათა ზა  
კანონთა შრ რომაელთათა ებრაელთა ზა გარდახდევინებად  
აღშფოთებისა-თს ჰრომაელთა მეფობისა, მოწამენი ჩუენისა  
ამის განჩინებისანი არიან და დაკასტა მრ (მიერ)  
ეჭრავლთა რაბანიდ განეარსოლ და მანდან \*); ფარისეველთა  
შრ ბარბან, სიმეონ და ბონალ; მეფობისა მიერ ჰრომაელთა  
ლუკიოს, სესტილოს და მათემალიოს; მსაჯულთა შრ ნათე-  
სავისა ისრაილისათა რადამ, დანიელ, რაბინალ, იუაონ, ბანი-  
ვან, რადამ იუდაველ და პირიკულამ და მღვდელმთავართა შრ  
(მიერ) რამბან იუდა და ბონ-ვასოლლე.

„ითანებაული ითანებულ“ \*\*)

ალ. ხახანაშვილი.

\*) სახელები დიკასტა ნახე ჩემი შიგნი: Очерки по ист. груз.  
слов., I და III წ.

\*\*) ეს აპოკრიფი ამოწერილია ხელთნაწერიდან, რომელიც დაცუ-  
ლია ს.-პეტერბურგს. Извъ собранія князя Грузинскаго № 84 II.  
П. Б. (№ 13 საპოლიტიკო თეატრი ესე იგი საყოფაქცევ სახილველობა).

რათ ემაზიან დუდაროვებს მეც გვარად „სლონოეს“.

(გარდმოცემა)

(გაგონილი თეფსარიყო ცარახოვისაგან და ჩაწერილი „ქართველი ოსებ-ში“-ს-მიერ).

თეფსარიყო ცარახოვი თითქმის ას-ოცი წლის კაცია. თუმცა ასეთი ხნიერია, ჯერ ყმაწვილ კაცებს მუშაობაში თითქმის სასაცილოდ იგდებს ხოლმე. ეს ის თეფსარიყოა, რომელიც პ. პასტუხოვს აუძღვა ყაზიბეგის დიდებულ მთაზედ. ბევრს ძველებურს საგულისხმიერო ამბავს გაიგონებს კაცი მისგან, თუ რომ ყური დაუგდო. სხვათა შორის თეფსარიყომ მიამბო შემდეგი: დუდაროვების წინაპარნი მოვიღნენ საჩეჩნე-თიღან (ყულლაი) სოფელ ფითხუზში, საცა სცხოვრებდნენ „ხამათიყოვები“ და მათ მამულზე შეიხიზნენ. პირველათ, თუ მცა საწყლად სცხოვრებდნენ დუდაროვები, მაგრამ თან-და-თან გაძლიერდნენ და, ბოლოს, თითქმის ხამათიყოვნებს დაუწყეს დაძალვა და ამიტომ ჩამოუვარდათ შური ერთმანეთში. ერთხელ დუდაროვებს ჰყვანდათ გასაზრდელათ აყვანილი ბიასლანელ ჩერქეზთ ბატონის პატარა ვაჟი.

ეს ყმაწვილი რომ გაიზარდა, ასე, რომ ცხენზედ შეჯდომა და ცხენზედ თამაშობა შეეძლო, დუდაროვებმა მოაუზადეს ყმაწვილი: ცხენით, იარაღით და სხვა საჩუქრებით, რომ წაჟვარონ მშობლებს. ამასთანავე, ჩვეულებისამებრ, რასაკვირველია, საკლავ-სასმელიც უნდა მოემზადებინათ გასატანებლად. დუდაროვებმა, შედგეს ლუდის დიდი სახარში ქვაბი და დაიწყეს ლუდის ხარშვა. ამავე დროს უთხრეს თავიანთს გაზრდილს ჩერქეზთ ბატონიშვილს: „აბა, ჩვენო გა-

ზდილო! შეჯექი ცხენზედ და გაათამაშ-გამოათამაშე, ვნახოთ როგორა ხმარობ ცხენს, თორემ, თუ კარგად არ გეცოდინება ცხენის ხმარება, ჩვენთვის სირცხვილიაო“. ყმაწვილიც შეჯდა გალალებულ ცხენზედ და ღიღ ეზოში გაათამაშ-გამოათამაშა. მაგრამ მათდა საუბრედუროთ, ცხენმა ყმაწვილი იქით გაიტაცა, საითაც ის ვეებართელა ქვაბით ლუდი (ბაგან) იხარშებოდა. ცხენმა წაიბორბიკა, ყმაწვილი წინ გადავარდა, ლუდის ქვაბში ჩავარდა და სანამ მიეშველებოდნენ და ამიოლებდნენ, შიგ ჩაიფუფქა. რა გაეწყობოდა, დუღაროვებმა დიდათ იმწუხრეს თავიანთ გაზრდილის ამ ნაირი უბედურის შემთხვევით და სიკვდილით; მერე გაუკეთეს სპილენძის კუბო, ჩასვენეს და დროებით დაასაფლავეს; თანაცაცუნობეს მწუხარებით ჩერქეზთ ბატონს, რომ თქვენი შვილი თავისი დღით გარდავვეცვალაო. ჩერქეზთ ბატონი მოვიდა დუღაროვებთან სოფ. ფითხუზში, თავისი შვილი სპილენძის დაკეტილი კუბოთი წაასვენა სამშობლოში და დუღაროვებმაც დიდის მწუხარებით გააცილეს თავიანთ გაზრდილის მიცვალებულის გვამი.

მიღიოდა დრო და უამი. დუდაროვები თან-და-თან გა-  
მრავლდნენ, დაუწყეს ხამათიყოვებს ჯაბნა და შევიწროება.  
მოთმინებიდგან გამოსულმა ხამათიყოვებმა, ერთ დღეს აღ-  
გნენ და გაუგზავნეს მთხრობელი ჩერქეზთ ბატონს, რომ  
„თქვენი შვილი თავისი დღით-კი არ გარდიცვალა, დუდარო-  
ვებმა ქვაბში ძალათ მოხარშეს და სპილენძის კუბოშიაც გან-  
გებ თქვენს მოსატყუებელათ ჩაასვენესო. თუ არა გჯერათ,  
ამოიღეთ, ვასინჯეთ თქვენი შვილის გვამი და დარწმუნდე-  
ბით“.

ჩერქეზთ ბატონშა, მართლაც, გასინჯა თავისი შვილის გვამი და რა დარწმუნდა, რომ მისი შვილი მართლაც აღუ-  
ლებულ წყალში ჩაფუფქული იყო, შეჰკრიბა ჯარი, თავს და-  
ესხა დუდაროვებს და სულ ერთიანათ გაწყვიტა დუდაროვე-  
ბი დირიან-პარარიანად. გადაარჩინა მხოლოდ ერთი შშვენიე-

რი შეხედულობის ლაშაზი დედაკაცი, ოოშელიც ამ დროს ფეხ-მძიმედ იყო და თან წაიყვანა. ღმერთს არ უნდოდა დუდაროვების გვარის ამოფხვრა, მოუვიდა დრო, დალოგინდა დუდაროვების წაყვანილი დედაკაცი და ვაჟი შობა.

დედაკაცს ვაჟი წამოეჭარდა. ყმაწვილმა დაიწყო სიარული თავისს ტოლებში და თამაშობა. საბრალო ყმაწვილს თავისს ტოლებში აბუჩად იგდებდნენ, დასკინოდნენ და უპატრონობის გამო „ნაბიჭვარს“ ეძახდნენ. ერთ დღეს ყმაწვილი სათამაშოდგან დალონებული შემოვიდა შინ და დედას უთხრა: „დედი, შენი ჭირიშე, ძუძუ ჩამადებინე პირშიო“. დედამ ჯერ უარი უთხრა, რაღა დროს შენი ძუძუაო, მაგრამ რომ ალარ მოეშვა ყმაწვილი, მერე ადგა დედა და ჩაუდო ძუძუ პირში. ყმაწვილმა დედას ძუძუზედ მოუჭირა კბილი და უთხრა: „მითხარი ვინა ვართ, საიდგან და ან გვყავს ვინმე თუ არა, თორემ არ გავუშვებ ძუძუსაო“. დედამ ჯერ უარი უთხრა, მაგრამ ყმაწვილი რომ ალარ მოეშო, უთხრა: „ღმერთმა ჰკითხოს იმას, შვილო, ვინც შენ ეგ ჩაგიგდო გულში და ეგ ჩაგაგონაო“. ადგა და უამბო ყველაფერი თავიანთ თავ-გადასავალი. მას დღეს აქეთ ამ ყმაწვილმა ჩაიდო შური გულში და განიზრახა ჩერქეზთ ბატონისთვის სამაგიერო გადაეხადა.

ეს ყმაწვილი გაიტყუებდა ხოლმე ჩერქეზთ ბატონის გვარის ბავშვებს სათითაოდ დიდი მდინარის პირისკენ, მოჰკლავდა, ნიშნად თითო ღილს ააჭრიდა და მკვდარს-კი მდინარეში გადაგდებდა ხოლმე. კარგა დრო გავიდა. ამ ყმაწვილმა, ასე შეუმჩნევლად და მოხერხებულად ბევრი გამოასალმა წუთისოფელს ჩერქეზთ ბატონის გვარისა. ბევრს სცდილობდნენ გაეგოთ, რად ეკარგებოდნენ ასე უგეშოდ ბავშვები, მაგრამ აბა რას იფიქრებდნენ, თუ ეს ობოლი დუდაროვი იქნებოდა მიზეზი.

ერთ დღეს პატარა დუდაროვმა თავი ჩაუდო კალთაში თავის დედას, ამოილო დახოცილ ბავშვებზედ აჭრილი ღილები, უჩვენა დედას და უთხრა: „აბა, დედა, დათვალე, ამაზედ

მეტი გაწყვიტა ნეტა ჩერქეზთ ბატონმა ჩვენი გვარისაო?“ დედამ თავში ხელი შემოიკრა და უთხრა: „შვილო, რა ამ-ბავია, ეს კითხვა რას ნიშნავსო?“ ახლა-კი შვილმა უამბო ყველა საიდუმლო დედას. დედა ძლიერ შეშინდა და მწუხა-რებას მიეცა, მაგრამ რაღა იქნებოდა. იშოვნა ერთი მაღლი-ანი ამბის წამლები და, შეუთვალა საჩეჩნეთში თავიანთ ნა-თესავებს: „ასეა და ასეა ჩვენი საქმე და ეგება გაგვაპაროთ რო-გორმეო“. მართლაც მოუვიდნენ ფარულად ნათესავები საჩე-ჩნეთიდგან და დედა-შვილი გააპარეს.

გაიზარდა ყმაწვილი, შეირთო ცოლი და გადმოსახლდა ისევ ფითხუშში, საცა მის წინა-პართ ეცხოვრათ. გაუჩინდა შვილე-ბი და გაშენდნენ ისევ დუდაროვები, რომელთაც მას დღეს აქეთ მეტ გვარად დაერქვათ „სლონოვი“ (სილ ოსურათ დე-დალია), ე. ი. „დედაკაცისგან ჩამოსულნიო“. ასე დაასრუ-ლა თეთსარიყო ცარახოვმა თავისი საუბარი დუდაროვებზედ.

ქართველი ოსებში.



# სოფელი იანეთი \*).

სოფელი იანეთი მდებარეობს ქუთაისის გუბერნიასა და იმავე მაზრაში, მახლობლად სამტრედისა, აღმოსავლეთის მხრით. შესაბამის სოფლისა არის ერთი პატარა ტყე, რომელსაც ჰქვიან მაღას კვირის ტყე. ეს ტყე უწინ დიდად შემცული იყო დიდრონის ხეებით, ხოლო შესაბამის ქვა, ზედ ამოჭრილის ჯვარით. ეს ქვა ზამთრობით ხავსით იყო შემოსილი, ზაფხულობით-კი გასუფთავდებოდა ხავსიდან. გადმოცემით სხვა ბევრს სასწაულებსაც აჩენდა ეს ქვა და მე ამათზე უნდა ვუამბო მკითხველს.

ვინც მის ტყეში ხეებს მოსჭრიდა ან შეშას წაიღებდა, იმ კაცს უთუოდ ან ხელს გაუხმობდა, ან თვალს დაუბრმავებდა და იმ დრომდე ეგრე დასჯილი იქნებოდა, სანამ ამ ქვას არ მიართმევდა ფარა-სამთელს და მის წინაშე მუხლ-მოდრეკით არ შეეხვეწებოდა მიტევებას შეცდომისასო. იანეთის მცხოვრებლებმა მღვდლების შემწეობით და განკარგულებით განი-

\* ) ებეჭდავთ ამ წერილს, როგორც ნიმუშს იმისას, თუ როგორ და რა სახით ხშირად ფეხს იდგამს ჩვენს უსწავლელს ხალხში რომელიმე ცრუ-მორწმუნეობა. სტატია ესე ძვირფასია ჩვენთვის კიდევ იმით, რომ იგი თვალ-ნათლივ გვიხატავს სინათლის შეშუქებას თვით უშორეს ყრუ სოფელშიაც ჩვენის ქვეყნისა. ამაში დიდი ძალი ღვაწლი ეჭვი არ არის მიუძღვის ჩვენს განათლებულს და თანამედროვე სწავლით აღჭურვილს მღვდლ-მთავრებს, სამღვდლოებას და სოფლის ინტელიგენციას. „მოგზაური“-ს რედაქტია მუდამ დიდის სიამოვნებით დაპეტდავს ასეთს წერილებს, რომლებშიაც ზედ-მიწევნით იქნება აწერილი ჩვენის ხალხის რწმენა, ჩევულებანი და სხვ.

ძრახეს ამა სასწაულთ-მოქმედი ქვის გადატანა, წმიდა  
ლვთის-მშობლის ეკლესიაში, რომელიც მდებარეობს ნახე-  
ვარ ვერსის მანძილზედ. დანიშნეს დღე გადატანისა. გამო-  
იწვიეს რამოდენიმე პირნი შემძლებელი ხელ-ლონისა, ხარები  
და ურემი; მივიღნენ „ძალის ჯვარის ქვა“-სთან ოცამდე კა-  
ცი, მაგრამ სრულებითაც ვერ გაანძრიეს, მოიმატეს ორმო-  
ცი კაცი და დიდის გაჭივრებით შედვეს ურემზედ; ქვას სი-  
გრძე ჰქონდა ორ არშინ-ნახევარი, სისქე—ნახევარი არში-  
ნი. წაიღეს ქვა ეკლესიაში და შიგნით დაასვენეს. რავდენიმე  
დღის შემდეგ, ვინც თავი კაცი იყო და ვინც-კი იმ ქვას ხე-  
ლი ახლო წალებაზედ, ყველა აფად გახდა. პირველი გამძრა-  
ხველი ამ ქვის ეკლესიაში გადატანისა იყო მღვდელი კოპა-  
ლეიშვილი, რომელიც გარდაიცვალა ამის მიზეზით და შემ-  
დეგში ათამდე სხვებიც გარდაიცვალნენ, ხარები-კი, რომლე-  
ბიც ურემში იყვნენ შებმული—მეორე დღესვე დაეხოცათ პა-  
ტრონებსო. დანარჩენმა ხალხმა სთქვეს: თუ ეს „ძალის კვირის  
ქვა“ ისევე არ წავასვენეთ თავის ადგილზედ, უთუოდ ჩვენც  
ყველას დაგვხოცამსო. მივიღნენ ეკლესიაში, სადაც ეს ქვა  
იყო დასვენებული თავის ადგილზედ წასალებად იმ რიცხვით  
და იმ წყობილობით, როგორც ზემოთ ვსთქვით, მაგრამ ამ-  
დენი რიცხვი ხალხი, ურემი და ხარი სრულებით აღარ დას-  
ჭირებია ამ ქვას. ეკლესიდგან თავის ადგილამდის სულ ოთხმა  
კაცმა ხელით მიარბენინეს. ძლიერ გაპკირდნენ, როგორც  
იქ მაყურებელნი პირნი, აგრეთვე გამგონიც ამ ამბისა. დღე-  
საც ბევრი იპოვება ამ სოფელში ამ ამბის მცოდნე პირები.  
ამისთანა საკვირველ სასწაულთ-მოქმედებისთვის, იანეთლებმა  
ვალად დაიდვეს ამ „ძალის კვირის“ მოლლოცვა ყოველ წლივ  
და დანიშნეს დღე მოლლოცვისა ახალ-კვირის მეორე დღე ორ-  
შაბათი, რომელსაც უწოდებდნენ სახელად „საფეფიანება“-ს.  
აი როგორი მოლლოცვა და დღეობა ჰქონდათ იმ დღეს ამა  
„ძალის კვირის“ ტყეში იანეთში მცხოვრებლებს.

თრი დიდრონი დაკლული ღორი, ლვინო, პური, დაკლული ქათმები, გამზადებული სტოლი, სკამი და ყველაფერი სტოლის მორთულობანი და იქ ძალის კვირის წინაშე ტყეში უნდა გაემართა სამასპინძლო ყველაფერი. გარდა ამისა ყველა მოსახლეს მოჰკონდა იმ დღეს ამ ტყეში თავ-თავისი სამასპინძლო და იქ უნდა გადაეხადათ დღესასწაული სტეფიანეობისა; ვისაც მოლოცვისთვის მომავალი წლისა და ამ დღისთვის რიგით შეხვდებოდა ღორების მოტანა, იმ კაცებს იმ დღეს, ე. ი. დადებულ დღეობას მოტანილ ღორების თავებს მიართმევდნენ და ის კაცი უთუოდ ვალდებული იყო, მომავალ დღეობისთვის დაკლული ღორები მოეტანა, თავისი რომ არ ჰყოლოდა, უნდა ეყიდა და ისე უნდა წაეღო. ეს ვალდებულება ყველას რიგით ხვდებოდა და სხვებს-კი თავისი სამასპინძლო სადილი სუფრით და ჯამით ყველას მოჰკონდა. მივიღოდნენ თუ არა იმ ქვის წინაშე, უთუოდ ყველას უნდა მოელოცათ და შემდეგში, როცა ყველა, იმა ძალის კვირის შემომავალი ხალხნი თავს მოიყრიდნენ, ერთს კაცს მომლოცველათ ამოირჩევდნენ, რომელსაც „ხატის კაცს“ ეძახდნენ. ყველა კაცს მოსალოცველათ გამზადებული ჰქონდა ხელში სტაქანი ლვინო, პატარა პურის კვერი, პატარა თაფლის სანთლის ნატეხი და სანთელზე უნდა მიკრული ყოფილიყო კაპეიკიანი ან ორ კაპეიკიანი ფული; მიუტანდნენ იმ ხატის კაცს და ის კაცი გამოართმევდა მიმტანს, იმ ქვის წინ დაიჩოქებდა, ამ პურის კვერს, სტაქან ლვინოს, ფარასანთელს თავზე შემოავლებდა და ეს ხატის კაცი ესე ეტყოდა: „ღმერთო! კეთილად მოუხდინე დღევანდელი მოლოცვა ამ კაცს და მის ოჯახში მყოფიარეს შინ და გადაღმაო“. რამოდენიმე გოდორი პურის კვერები შეიკრიბებოდა იმ დღეს და ესევე წმინდა სანთლის ნატეხი და თითო-ორ-ორ კაპეიკიანი ფული, ამ ქვის წინ. როცა მოლოცვას გაათავებდნენ, მერე ამ ძალის კვირის ქვას ყველანი ერთად გარეშემოუვ-

ლიდნენ ეკლესიის ბაირალებით და ყველანი ამ ნაირ გალობას ყვიროდნენ ერთად-ერთ ხმაზედ: „კირიალესოობოო, კირიალესოობოო“. გაათავებდნენ თუ არა შემოვლას, ეცემოდნენ ამ გოდრებს, რომელიც კვერებით იყო სავსე და ყველას ერთბამათ გადაჰყრიდნენ დასავლეთის მხრით ამ ტყეში, რომელ აღგილზედაც შეკრებილნი იყვნენ ურიცხვი ბავშვები სოფლისა კვერების მოსაბოჭველად. არც ერთი ბავშვი ისე არ დარჩებოდა, რომ ათი-თორმეტი კვერი თითო ბავშვს არ ეშვა; ფული და სანთელი-კი იქ უნდა ყოფილიყო ქვის წინაშე დაყრილი, როგორც იმ წლის, აგრეთვე რამოდენიმე წარსული წლებისაც. ერთხელ შორე ქვეყნის კაცს გაევლო ამ ძალის კვირის ქვის წინაშე, დაენახა, რომ ამ ქვასთან შეგროვილი გროშის ფულები ეყარა, გაჩერდა, დააცქერდა და სთკვა: ეს რა ამბავიაო, ამდენი გროშის ფულები ვის დაუყრია აქ და ან ვის დაჰკარგვიაო, მაგრამ ამ კაცმა ვერც დაკარგულიად იცნო და ვერც სხვას მიხვდა-რა. შემდეგ შივიდა ეს კაცი და რამდენიც ჯიბეში, უბეში და სხვებში ჩაეტეოდა, ყველა გამსებული წაიღო, მაგრამ შეხედე იმ საწყალს, რა სასწაული უყო „ძალის კვირამ“? ეს კაცი რომ თავის გზას მიეჩქარებოდა, სრულებით იმ ტყეს ვერ გაშორდა, ბევრი იარა იმ ტყეში ამ კაცმა, მაგრამ სრულებით თავისი გზა ვერ ნახა, თვალებიც დაუბრმავდა. ბოლოს ნახა ის ერთმა იმ სოფელში მცხოვრებმა კაცმა და ჰყითხა: კაცო, ვინ ხარ შენო? ამ ტყეში რომ დაიძრები — სადაური ხარ და სად მიხვალო? მაგრამ ეს კაცი სრულებით ხმას არ სცემდა, თურმე რუსი ყოფილიყო, ქართული არ იცოდა, რუსულათ უთხრა: „იიკალუჩისა, ჩამდი მიშ დირიგ“ ამას რუსული არ ესმოდა, მერმე იანეთელმა შენიშნა, რომ რუსს ჯიბე და უბე გროვის ფულებით აქცს სამსე, მიხვდა, რომ ნამდვილიად ამას „ძალის კვირის ქვის“ ფულები მოუპარიაო და „ძალის კვირის“ ძალა არ უშვებსო. დაიჭირა ეს უცხო კაცი, მიიყვანა იმ ქვის წინაშე, ფულები იქ დააყრევინა და თვითონაც დაიჩო-

ქა და მის მაგივრათ შეეხვეწა „ძალის კვირას“: „გთხოვ, დი-  
დებულო „ძალის კვირა“-ვ, ეს შეცდომა აპატივო ამ უცხო  
კაცს, ძრიელ შემცდარია შენს წინაშე, მაგრამ, რადგანაც  
არ იცოდა, შეცდომილება აპატივე, გაისტუმრე მის გზაზედ  
თვალ ახილული და ის შენი ფულები ჟაველა მოგართვაო“. ააყენა ეს კაცი ამ კაცმა, რაოდენიმე მანძილი ხელ-მოკიდე-  
ბული გზაზე გაიყვანა და გაუშვა.

სხვა, როგორც წინათ მოვიხსენიეთ, ამ ძალის კვირის  
ამბები მლოცველებმა სტეფანეობას, იმა დანიშნულ დღი-  
დამ ორშაბათს, მეორე დღეს ახალ კვირისას, დიღი შე-  
კრებულება იცოდნენ ამავ ტყეში: შესანიშნავი ბურთის  
თამაში ჰქონდათ კაცებს და ქალებს, ცეკვა და თამაშო-  
ბა, მასთან ბავშვებსაც, ერთი სიტყვით, დიღი ამბავი და  
ქეიფი ჰქონდათ იმ დღეს აქაურ მცხოვრებლებს. ეს იყო სტე-  
ფანეობის დღეობა. როგორც იქაურები, აგრეთვე სხვა სო-  
ფლიდანაც მოსულნი, კაცი და ქალი, მოდიოდნენ საჯარიანოდ  
ამ ტყეში ცხენოსანი და კაცოსანიც ყოველ წლობით. იმ  
ძალის კვირის მრევლნი ვინც იყვნენ, ისინი ყველანი უნდა  
იმ დღეს წასულიყვნენ შეკრებულებაში, არც ერთი არ უნ-  
და დაჰკლებოდა, თორემ ძალის კვირა გაწყრებაო, იტყო-  
დნენ. შემდეგ ამოდენა გარემოებისა, არ ვიცი, ხალხს მოე-  
წყინა, თუ დროებამ მოიტანა, ამ დღეობას ცოტ-ცოტა ყო-  
ველ წლობით მოაკლდა ვალდებულება მრევლიდან, ასე რომ  
ყოველ წლობით რომ ამისთანა ამბავი იყო, მერმე ხალხმა  
დაიწყო მარტო ფარა-სანთლით მოლოცვა და მოხსენებული  
მასპინძლობა ჯარიანობა-კი სულ მოისპო. ბოლოს,  
ამ ხუთის წლის წინათ, ბრძანებისამებრ შდვდელ-მთავრისა,  
ეს ქვა მიწაში დამარხეს იანეთის გლედლებმა, როგორც მი-  
ცვალებული, რაოდენიმე კაცის დახმარებით. შემდეგ ქვის  
დამარხვისა შეიქნა იმ წელში დიღი გვალვები ასე, რომ მთელს  
ეჭვს თვეს წვიმა ზეციდგან არ ჩამოვარდნილა. მცხოვრებლე-  
ბი რომ შესწუხდნენ, სთქვეს: ძალის კვირის ქვა რომ დამარხეს

მიწაში, იმისი მიზეზია ეს გვალვებიო, მივიღნენ რაოდენიმე პირნი მღვდლებთან და სთხოვეს, რომ ნება მიეცათ იმ ქვის ამოღებისა, მაგრამ მღვდლებმა უარი უთხრეს ამათ. ესენი მაინც მივიღნენ საღაც ეს ქვა იყო ჩაფლული ამოსაღებად, კიდეც ამოიღეს და თავის ადგილზედ მიიტანეს, იმ დღეს წვიმაც მოვიდა, მაგრამ ეს რომ მღვდლებმა გაიგეს, ძლიერ გაჯავრდნენ, ეს როგორ შეიძლებაო, მღვდელ-მთავრისაგან ბრძანება იყო და თქვენ როგორ ამოიღეთო, ეს კერპთ-თაყვანისცემა არისო, ქვას ძალა და მაღლი ვინ მისცაო, ან სასწაულს როგორ იქმისო. წავიღნენ მღვდლები თავისი კრებით, მთავარ-დიაკვნებით, პრიჩეტნიკებით და ეს ჩვენი ძალი კვირის ქვა ნატეხ-ნატეხათ გახადეს, როგორც გზატკეცილზე დასაყრელი ქვიშა, და კიდევაც გზაზედ დაყარეს. მთლად ეს სოფელი გაკვირდა; ეს ამბავი რომ გაიგეს, ასე სთქვეს: ეს ჩვენი მღვდლები სულ ერთიან დაიხოცებიანო, მაგრამ ის მღვდლები დღესაც ცოცხლები არიან თავის კრებით. მხოლოდ მთავარ-დიაკვნი იყო ივად ერთს წე წალს და ამბობდნენ, რომ იმ ქვის მიზეზით არის ავათო, ჰაგრამ ჯერ-ჯერობით კარგად არის დღესაც. პერმე ის ტყეც მოჭრეს, შეშათ გაყიდეს, ფულები მღვთის-მშობლის ეკლესიას შესწირეს, მიწა-კი ერთი დესეტინა იქნება, დღესაც არის და საეკლესიოთ ირიცხება. დღეს აქ აღარც მოლოცვა იციან და აღარც იმდენი მასპინძლობა და ჯარიანობა, სულ თავი დაანებეს.— ბოლოს ერთმა იმა სოფელთაგანმა კაცმა სთქვა: „მოხუცებული საწყალი ჩვენი ძალი კვირის ქვაო, თვარა, თუ ძველად იმისთანა სასწაულებს შერებოდა, ეხლა, სულ რომ დაამტვრიეს, რატომ არაფერი ქნაო“. ბევრმა გაიცინა და სთქვეს: „ქვას რა მოახუცებდა კაცოვო“.

კოსტა იანეთელი.

# სოლომონ ლეონიძე

(შემდეგ \*)

მთიულნი აზვავდნენ, ცნობილ იქმნა ამათი განდგომა, ამ დროს მთიულეთში დაღესტნიდგან თათრის მოლებიც გა-ჩნდნენ, მათ იმედი მიეცათ მთიულების ოსების კვალად გა-თათრებისა, მათ ამის შესახებ ქადაგება მორთეს, მაგრამ ცო-ტა არ იყოს „ხევის ბერები“ შეაბნენ, არ მოეწონათ, ამათ ნახეს, რომ ისლამის მიღების მეოხებით თვით ხევის ბერნიც მოისპობოდნენ, მაგრამ მოლებიც ოსტატურად, მოლურად იქცეოდნენ და ფეხს მაგრულობდნენ. ქართველთ სცნეს ეს ამბები დღ. 1786 წ. წარსდგა სოლომონ ლეონიძე მეფესთან და აუწყა მთიულთა საშიში მდგომარეობა:

„თქვენი შტერი, შეფეხ, თუ მთიულნიც გადგნეს, მერე ჩვენი დავიდუჭებით, იგინი თქვენი შარჯვენა მეჯავნი არაან, ნე იზამთ დასაფუბ საქმეს, ალაგმეთ მათი მდეგნელნი, ალა-გმეთ მათი მოურავი, ზარი შიშისა დაეცით მათ საუთველ-თაოდ, მთიულნი დააშოშინეთ და გიორგი ბრწყინვალისა-მებრ მიანიჭეთ მათ საკუთარი ძალა, უფლება და პატივი, თორემ შათის დაკარგვით ჩვენი სამეფოს დასაღუბი დღე შოახლოვდება“.

მეფემ შეისმინა რჩევა და საჩქაროდ მოახერხეს ყველა-ფერი, დაიბარეს მოდავე თავად-აზნაურები და მთიულთ დე-ვნა და დავა საყოველთაოდ აღუკრძალეს. ამ საქმის შემდეგ სოლომონ ლეონიძე წავიდა მთაში და მთიულთ გამოუცხა-

\*) ა. შ. „შოგზაური“, № 5 გვ. 495.

და მეფის განკარგულება, მასთან სიყვარული და პატივი. თავისი მოქარგულის ენით მან დააწყნარა მთიულნი, დაამშვიდა, დაუმტკიცა მათ მეფის პატივისცემა და სიყვარული, მოლები განდევნა, სრული მშვიდობიანობა ჩამოაფლო, შალე დაბრუნდა თბილისში და მეფეს აუწყა ყოველისფერი. მთიულთ ასეთი დაწყნარება და დამშვიდება მეამბოხე თავად-აზნაურებმა სოლომონ ლეონიძეს მიაწერეს იმ აზრით, რომ მერე იგი იმეცადინებს და მეფეს თითონ გამოსტყუებს აშ აღგილებსა და თვით დამორჩილებსო, ამის ძალაც შესწევს მასაო, რადგანაც მან შეირთო ქსნის ერისთვის შვილის ქალი, რომელსაც დიდი მამულებიც აქვნდა მზითევში. მთიულებსაც სწორედ მიტომ ემხრობა და ჰქილიკობსო, რომ ბოლოს ამ დამეგობრებით და სიყვარულით უფრო აღვილად დაიმორჩილებს მათაო. ამათ ეს ბოროტი აზრები მალე მთიულებშიც განავრცეს, საბუთებს ჭეშმარიტებით აუწყებდნენ მთიულთა, მაგრამ ეს ლიქნაობა მალე გაიგო ს. ლეონიძემ, იგი წავიდა მთაში, ბოროტებისაგან გავოცელებულ ცნობებს მეხი დაარტყა, მეჭორენიც ალაგმა და მთიულნი უტყუვრად დაამტკიცა თავისს უზადობაზე. ეს სიმტკიცე მაშინ უფრო გამოჩნდა, როცა მთიულთ საუკეთესო ვაუკაც ლაშქარი წარმოუდგინეს მეფეს 1795 წ. და ყველაზედ ერთგულადაც ამათ იბრძოლეს ომში, ისე, რომ ერთი კაციც არ გადარჩა მათ ლაშქარს.

კეთილ მხნე მოლვაწეების მეოხებით იმერთა თავადობის წინაშე დაიბადა აზრი ქართლ-კახეთ-იმერეთის და მისს სამთავროების ერთად დაკავშირებაზედ, ერთ სამეფოდ აღიარებაზედ, ერთის ქართველთ მეფის ყოლაზედ. ამას ღალადი მოსცეს ახალციხის ქართველთ კათოლიკეებმა და მართლ-მადიდებლებმაც, ამათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, აბა მაშინ შევძლებთ ოსმალთაგან განდრეკას და ერთად დაკავშირებასო. კეთილმა ხმამ იმერთა შორის დიდი აღგილი დაიკა-

ვა, ყველას გულში მტკიცე ბინა იპოვა; იმერნი თითქოს თვით-მცნობელობაში შევიდნენ, თითქოს იგრძნეს მომავალი, ამასვე აჰყვნენ სამლელობის და მთელს იმერეთში მოჰყვინეს პატიოსანი რჩევა, ამაზე სამეფო სახლში გაიმართა კრებები, აღიძრა ერთობის მნიშვნელობის კითხვები, რომლებიც პატრებმა განავრცეს ევროპის ერთა ცხოვრების და ერთობის ცნობებით. მრავალ იმერთ სიხარულით მოისმინეს რჩევა, კეთილმა დარიგებამ საერთოდ განიდგა ფესვი. ამ დროს სოლომონ ლეონიძეც იმერეთში იყო სამეფო საქმეების გამო. ამას ძლიერ გაეხარდა იმერთ ქადილი, საქართველოში სიხარულით დაბრუნდა და სამეფო საქმეთ ცნობებს გარდა ხსენებული დაკავშირების ცნობები მოიტანა, მრავალთ ქართველთ განიხარეს ამ ამბით, მრავალთ არა, მრავალნი ამბობდნენ, რომ იმერნი ამას არ იზმენო. იგინი მეფე ერეკლეს არ შეიწყნარებენ და ჩვენ კიდევ მათ მეფესა, თუმც ორივე ბაგრატიონების გვარის წევრნი არიანო. საქმე მოახლოვდა: 1788 წ. თბილისში მართლაც ჩამოვიდნენ იმერთა დესპანნი, ესენი წარსდგნენ მეფე ერეკლესთან და მოახსენეს ნატვრა მეფის მონათესავეთა, მთავართა, სამლელობითა და შთელის ერისა. შეფე ერეკლემ მაშინადვე პასუხი ვერ მისცა, მიიხმო სოლ. მსაჯული და განუცხადა საქმის ვითარება. ამისთვის სამეფო სახლში დაინიშნა დიდებულთა კრებები, იქმნა სჯა, თათბირი და რჩევა იმერთა თხოვნაზე. პირველ კრებაზევე აქეს მრავალთ იმერთა აზრი, ანტონ კათალიკოსმა დალოცა იმერნი, აკურთხა დესპანთ შორის ქუთათელი და გენათელი, აქო ყველანი, კათალიკოსმა სიტყვა სთქვა და შეავედრა მეფეს და დედოფალს თხოვნის შეწყნარება. ამ სიტყვამ ჩვენამდის ვერ მოალწია, მის თხოვნაც, ანუ შინაარსის ცნობებიც განკრა ზეპირ-სიტყვაობით ხალხში. კათალიკოსის სიტყვის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა რჩევა პატრებთაგან, ამათ შემდეგ

სიტყვა სთქვა ჭაბუა ორბელიანმა და მათ შეუდგა სოლომონ ლეონიძე, რომელმაც მოახსენა მეფესა და დიდებულებს შემდეგი:

„მეფეო და დიდებულნო! იმერთა ერთობა ადრეშე იქმნა უწევებული და ცნობილი; ჩვენ ამისთვის მათ 1780 წ. მი- გმიართეთ და ვსისოვეთ ერთობა. მთგეხსენებათ ისიც კარ- გად, რომ ამისთვის ჩვენ შევადგინეთ შეერთების პირობე- ბი, მე გიახელით იმერეთში და ჩვენი ნატრია გაუშეით უგუ- ლას, თან პირობის სახეც გარდავეცთ, იმერთა გაიცნეს ვითარება, უარი ჰყვეს წვენი თხვენა, შემდეგ ხომ ჩვე- ნი დაკავშირებაც დაირდგა, დავრჩით ისევ განცალებე- ბულნი ძველებურად. კეთილი რჩევის სირვენა-კი არ მოსპო- ბილა მათში, ნელ-ნელა წინ წასულა, მას მრავალი პატივის- მცემელი გამოასხენია და ნიშნად ამ პატივისცემისა და ჭე- შმარილებისა, აგრ თქვენს წინაშე სდგანან იმერთა დიდე- ბულნი და გავედრიან ერთობას, ერთ-მეფობას!.. ეს, ბა- ტონებო, დიდი ღვთიურ შემეცნებად უნდა ჩაითვალოს; თუ ასე დაგბავშირდებით უგელანი ერთ სამეფოდ და ერთად, მაშინ თვით ჩვენ მოვუელით ჩვენს სამეფოს, თვით ჩვენ განვაგებთ ჩვენს საქმეებს“...

ასე და ამ გვარად მიუგებდნენ სხვანიცა და აქებდნენ იმერთა თხოვნას. კრებაზე სოლომონ ლეონიძემ კვლავ სთქვა:

„მეფეო და დადებულნო! ღლეს ჩვენ გვაძადა ჩვენი სა- მეფო, მეფე, ერი, მოქალაქება, ვაჭრობა, თოვხანა, და- შქარი, ფული, მწიგნილობა, სასწავლებლები, შეძლების-და გვარად აზრის კერძოთ რამე ხალხს ვგევართ, მხოლოდ ერ- თად-ერთი საუნჯე და ერთს ძალა გააკლაა, ეს ერთის ძალა და საუნჯე არის ქართველთ ერთობა, ქართველთ ერთობაში თავის დროს აღმოაცენა კეთილი საუთვი, ერთობაში დასაჭა- ბაკრატ მესამე, ბაგრატ მეთხე, დაზებულა რაკათ აღსა- .

შენებედი, თამარ მცავალნი სხვანიც, ერთობაშე ქართველთა გვარი, განსმშენსა აგი მწიგნის მიზნით, ესით, სწავლით, სიბრძნით, მეცნიერებით, ხატვით, კერათ, ეპელესიათა შენობის თარიღით და ვინ იცის, რამდენი სხვა რა გინდ არა. ამიტომ ჰქმენით, მეფე, ერთობა, განხლიერდით მათით, გააძლიერე იგინია”...

მეფემ თანხმობა განაცხადა. თახმობის შემდეგ დესპანნი წარვიდნენ იმერეთში, თან გაპყვნენ ერეკლე მეფის დესპანნიც, ამათში იმყოფებოდა სოლომონ ლეონიძეც. იმერეთს მისული ს. ლეონიძე წარსდგა მეფის წინაშე და ქება-კურთხევით მოახსენა შემდეგი სიტყვა და მეფე ერეკლის თანხმობა:

„რაღგანაც ჩვენ, ქართველთ, ერთობა არა გვაძგს, ამიტომით სხვები სარგებლობენ, სხვები კვბატონობენ და ამიტომაც ფართ უფაფელთვის დახაგრული, შზაკვარის გზაზე დამდგარი, მარად ჭამს დაცინებული, მასხარად აღებული შედაგრთაცან. ვითარცა დამკარგებელი თავის გამცემისა, სულის ძალისა და მით სხეულის ძალისაც; ჩვენის დაჭინებით ჩვენს სხეულს ეფინება მუჟდროვების სარცელები, მეტეველება მდუმარებს, საქმის დიდად შემეცნების მიხედრა გონებას ესპობა, ენასა, მწიგნის და ში. მეტეველებას ბოლო ედება. ამიტომ მეფე ერეკლემ წარმოიდგინა უოველიგე ეს და ინატრა იმერთ ერთობა და სამუდამოდ დაკავშირება“.

იქმნა ამისთვის დიდებულთა კრება და მეფე ერეკლის თანხმობის განცხადება და ნატვრა დიდებულთაგან სიამოვნებით იქმნა მოსმენილ-მილებული. საქმე გარდასწყდა, მალე დესპანნი ხელმეორეთ დაბრუნდნენ თბილისში, წარსდგნენ მეფე ერეკლეს წინაშე და მოახსენეს იმერთა მეფის პირობები დაწვრილებით; კრებაზედ დაესწრნენ ყველა დიდებულნი ქართველთა, კალალიკოსი და დედოფალი დარეჯანი. დედო-

ფალს ეწყინა რჩევა და წავიდა თავისს სახლისაკენ ენა ამო-  
ულებლივ. საქმის დაბოლოება გადიდო შემდეგისთვის. მესა-  
მე კრებამდე დარეჯან დედოფალმა იმეცადინა მეფე ერეკლეს-  
თან, აიყოლია მეფე და ერთობის რჩევა უარ აყოფინა. და-  
შთენილია, რომ მეფე ერეკლეს დარეჯან დედოფალმა შე-  
მდეგი სიტყვა უთხრა:

„რას შერები, ირაკლი, რატომ მერი უეღს, რად ახარებ  
ჩემს კერს ჩემზე, რას ემართლები ჩემს ძმას, რად არამეშ  
ტახტს, რად ამიწებ მის ძალას, მაში-ჩემის ხსენებას, ტახტს?  
მე ვერ ვიზამ ამას, მე ვერ მოვითმენ, ვერ ავიტან, მე  
თავს მოვიკლამ, ჩემის ძმის ტახტის გამოწინვა უენ არ შე-  
კიძლიან. მე ამისთვის შირქვე დავემხობი, თავს მოვიკლამ,  
ეს მიაჩეგნია, რადგანაც ცოცხალი უკასასკნელ ჩემი გურის  
დასაცინი გავხდება“.

ისე იმეცადინა ამ დედაკაცმა, რომ ერის დიდი, წრფე-  
ლი პატიოსანი რჩევა უარ აყოფინა. დარეჯან დედოფალს  
ამ საქმისთვის დიდათ ამაგრებდნენ

მეორე კრებაზე მეფემ უარი განაცხადა, ამას დაუმატა-  
მუხრანის ბატონმა, რომ „ჩენ, ჩენია თავისთვისაც ვერ მოპირ-  
ვდია და ახლა იმერეთიც მოვიხვითო თავზე, ვერ ვიზამთ ერთო-  
ბასათ“. ეს ეწყინათ მრავალთ და ამისათვის ჰყვედრეს მუხრა-  
ნის ბატონი. უთხრეს მას:

„უენ თუ ვერ მოუკლი ქვეუჩას, გაივლის დრო, მოვა  
სხვა მუხრანის ბატონი და იგი მოუკლის ქვეუჩასო“.

აქ სხვა საყვედურებიც ასმინეს მას, ეს ეწყინათ მეფის  
ნათესავებს და თვით მეფეს, რაისა გამო კრება დაიშალა და  
საქმეც დაიფუშა. ეს მოულოდნელი უბედურება, ეს შავის  
სევდებით გარემოცული ნაღველი ბევრმა არ იცოდა, მოუ-  
ლოდნელმა უბედურებამ მეხი დაატეხა კველა მათ თავზედ. ს.  
ლეონიძე გაშეშდა, გაიყინა, აღარ იცოდა, რა გამნა დარღი-  
საგან, ამხედრდა მკვეთრის ენით, ბასრის კბილებით და სი-  
სხლის ცრემლით დაიწყო დალადება. ამ კრებაზედ სოლომონ

ლეონიძისაგან წარმოთქმულს სიტყვას პ. იოსელიანი ასე დაუმატებს:

„სოლომიან ლეონიძისა იუთ ხმა დაღადებისა უდაბნოსა, ენითა ცემა ჭარისა და ამათ ბეჭრა ბაგეთა; იხილა ესე ს. ლეონიძემან ადრეგე და შოთა მხედველმან ველარ ჭირვა სხვა დონე დაცვისათვის მეტობისა, რომლისათვისაც გამია გონია მამისა ჩემისაგან, იტანჯებოდა იგი, ესევე იუთ ში. ზეზი, რომელ შემდგომ მეფისა გარეგისა წარვიდა იმერეთს და მუნით სასახეთს, მთკვდა მენ დატირუბული სომებისა კათალეკვისის ეფრუმისაგან, რომელთანაც ცხოვრუბდა რამდენსამე ხანს, სიკვდილი მასი მუთ მეტი 1810 წ.“.

ჩვენ არ შეგვიძლიან დაწვრილებით ავნუსხოთ ის სისხლის ცრემლითი გოდება, რაც-კი მაშინ მომხდარა, მაგრამ ყოველისფერი უბრალოდ დახარჯულა, უბრალოდ თქმულა, უკულმარობას თავისი გაუტანია, რადგანაც იმავე მეისტორიეს სიტყვით:

„ოთხასის წლის განმაფლობაში მტკიცებ უოფილნი და მოფლაბელნი მთავარნი მთასმენდეს სოლომიონ ლეონიძის სიტყვებს ერთობისათვას, გადას სადღა იუთ ძალა დამაკავშირებელი მათი, ოდესმე შეფეხმან ერგებული დაკარგა იმერთ ერის ერთ მეფობის თხოვნა, მაშინვე დაგარგა მას ძალი კავშირისა, მასთანვე შანვე დაკარგა მით თვით თავის სხეულის ძალაც, სულიერათ და ხორციელათაც დაუჩა, ეს მოხდა შეგრების დიაცის დარეჭანისაგანთ“.

რაც დაკავშირება არ მოხდა, მერე ის მოხერხდა, რომ, რადგანაც ჩვენი ერთობა არ მოხდა და ცალკ-ცალკე ვაჟვნეთო, ერთმანეთში მტრობა მაინც ნუ გვექნებაო, ერთმანეთს მაინც ნუ ვულალატებთ ისე, როგორც 1770—1771 და 1772 წლებში ვლალატობდითო.

ეს-და იყო მათი დროშა და ფარ-ხმალი, ამით-და მობდნენ არსებობის იმედებს. ვითომც ეს გახდა მის მიზეზად,

რომ მეფე ერეკლეს ბრძანებით ქართლიდგან იმერეთში 4000 კაცი გაიგზავნა, ამათ იმერეთის ტახტის მომტაცებელი დავით ბატონიშვილი ჩამოაგდეს და მის მაგიერ სოლომონი გაამგ-ფესო, რაისა გამო იმერნი მეფე ერეკლეს ემაღრიელებოდნენ. საქმის უბედურად გათავების შემდეგ, იმერთა დესპანნი წა-რვიდნენ იმერეთს, თანვე გაჰყვა სოლომონ ლეონიძე შეწუ-ხებული, წასვლის წინედ მეფე ერეკლეს მოეხვია მუხლებზე, მოელაპარაკა წყნარად ერთობის მნიშვნელობაზედ, დედო-ფალს ამაყათ ელაპარაკა, დარიგება მისცა, მაგრამ დედოფა-ლი არ ისმენდა. მრავალთ დიდებულთ ამცნია საქმის უბე-დურად გათავების მნიშვნელობა, მომავალის განსაკრები, ბევრნი გოდებდნენ ამ საქმეს, ბევრნი იხარებდნენ. სოლო-მონ მსაჯულმა მეფეს უთხრა:

„მეფეო, შემდგომ ინანებთ, მაგრამ რაღა დროს, მაშინ ერთო გვიან იქნეათ“. სოლომონ ლეონიძე იმერეთს მისუ-ლი წარსდგა მეფის წინაშე და სირცხვილით მოახსენა მეტად დიდი უბედური წადილი ქართველი, იმერთ მთავრება წინა-შე სცხვენოდა უარის მოთხრობისათვის, გამართლება უნდო-და, მაგრამ ვერ ამართლებდა, რადგანაც ამ საქმის გამო ქარ-თველთ ძვალნიც-კი უნდა შეინძრნენ საფლავში, რომ სმე-ნა და გაგონება იყოსო. აუხსნა საქმის ვითარება იმერთა და დააშოშმინა ყველანი. რასაკვირველია სასტიკად გაჰყიცხა და-რეჯან დედოფალი, თვით გიორგი მეფეც, რომელმაც „არა მცირედ არია შეერთების საქმე. ეს გვამი რაღაც საიდუმლოს აცნებით ხელმძღვანელობდა და ამიტომ არ ჭეთანხმებო-და მამას, იმერთა თხოვნა თვისის ტახტის დაღუპვად. მია-ჩნდა. რაც ენატრებოდა, იგი აღუსრულდა, იმერნი ამერთ ვერ დაუკავშირდნენ.“

სოლომონ ლეონიძემ იმერეთში მოისაქმიანა, მეფეს და დიდებულთ შორს-მჭვრეტელობით ბევრი რამ აუწყა მომავა-ლი ცხოვრების, რაც იმერთ სიამოვნებით მოისმინეს, მისგან ბევრი რამ ისწავლეს. მას სთხოვდნენ იმერეთში დარჩენას,

მაგრამ იგი არ დარჩა იქ; მას მეფე სოლომონ იმავე თანამდებობით სტოვებდა, რაც მას ქართლში ეკავა, მაგრამ სოლომონ ლეონიძემ არ ქმნა, მეფე ერეკლეს უნდა ვეახლოვო. იგი მალე ჩამოვიდა თბილისში და დაიწყო მოქმედება. უკანასკნელ მან შეატყო მეფე ერეკლეს, რომ იგი მზად იყო მიეღო შეერთების მუდარება და თხოვნა, ხოლო ამას არავის უცხადებდა, გმირ მეფეს ცოლისა ეშინოდა, ეს სათქმელათაც-კი სამარცხინოა, ვერ ასატანი, მაგრამ საქმე კი სწორედ ასე გახდათ. მან თავისი აზრი გაანდო მხოლოდ სოლომონ ლეონიძეს, ისიც საიდუმლოდ, არავის შეატყობინოვო, თუ გინდა იმერთა წინაშე ამის სასარგებლოთ ხელ-ახლა დავიწყოთ ცდა და შრომაო. ამ საქმის შესახებ სოლომონ ლეონიძემ იმერთა ზოგიერთ დიდებულებს და მეფეს წერილი მისწერა და მეფის განზრახვა აცნობა, იმერთაგან თანხმობის წერილი მიიღეს, საქმე თითქმის ხელ-ახლა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ აქ კი დევ გაჩნდნენ მოწინააღმდეგე პირნი, იმოქმედეს მეფეზე და ხელ-ახლა ჩაშალეს საქმე; ამ საქმის ჩაშლის შემდეგ-კი სოლომონ ლეონიძე და მისი მომხრენი სამუდამოდ გამოეთხოვნენ დაკავშირების ნატვრას და ოცნებას.

მეფე ერეკლეს დიდად მოსწონდა სიტყვა სოლომონ ლეონიძისა. ესენი კვლავინდებურათ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, ხშირად ამათ თათბირს არავინ ესწრეოდა, ორნი გადასწყვეტდნენ საქმეს. მეფესი და ლეონიძის ასეთი კავშირი ბევრს თავადიშვილებს არ მოსწონდათ და ძლიერ სწყინდათ, თვით ბატონიშვილებსაც-კი. ნელ-ნელა მიღიოდა დრონი და მეფე ერეკლეს ხშირად უმართლდებოდა სოლომონ ლეონიძის სიტყვა, მომავლის უბედურება. ბრძნული სიტყვა ლეონიძისა მაშინ უფრო გამართლდა, როცა 1795 წ. თბილისს შავი და ბნელი რისხვა მოევლინა, როცა დაემხო სამეფო ტახტი; მაშინ გამოჩნდა ყოველისფერი, მაშინ იგრძნეს ქართველთ დიდებულებმა თავიანთი შეცდომა, მაგრამ ეს გრძნობაც დროებითი იყო; უბედურობის რამდენიმე დღის შემდეგ

ყველაფერი დაავიწყდათ. სოლომონ ლეონიძემ შეიტყო, რომ დარეჯან დედოფალმა კარგათ იცოდა მტრის მოსვლის ამბავი და თავისს გერზე გაჯავრების მეოხებით მტერთან მიწერ-მოწერა ჰქონოდა, მტერი აიმედებდა ამ დედაკაცს, რომ ოდესმე მე შენ გაგამეფებ და არა შენს გერსაო. მეფობას შენს ნაშენს მივცემთ, თუ შენ ჩვენი ერთგული იქმნები და რუსებს არ მოემხრობით. ამის გულისთვის და გერის ჯავრით ღალატობდა საქართველოს და მტრებს სწერდა წერილებს და შინაურ საქმეებს ატყობინებდა უშიშრად და მოურიდებლად.

ასეთისავე თვისების იყო გიორგი მეფე, თვით ამისი შვილი დავითიც და მრავალნი სხვანი. სოლომონ ლეუნიძემ და ამის თანამოაზრებმა ადრევე სცნეს ქართველთ ბატონიშვილების უხეირობა და ამიტომ მეტათ არა კეთილის თვალით დაუწყეს ყურება. მათ უმზერდნენ ისე, ვითარცა ქვეყნის მოღალატეებს, სამეფო საქმეთა ცნობების გამსყიდველთ.

სპარსეთში უკვე გაძლიერდა ყაჯარი. შემდეგ ხმა განისაზღვრა საქართველოში, რომ სპარსენ ამხედრებას აპირებენ და დიდ გალაშქრებას საქართველოსუა, საეჭვოა, რომ საქართველო წინ აღუდგეს მათაო. ერეკლე მეფეს ბევრ გზის მოახსენა ს. მსაჯულმა სხვა-და-სხვა ამბები და ცნობები შესახებ სპარსეთისა და აუწყებდა, კარგი იქმნება, კაცები გავუგზავნოთ ყაჯარს და ვაუწყოთ ჩვენი ერთგულება და არათერის მორიდებაო. ვარწმუნოთ იგი, რომ ჩვენ არც მომხრენი ვართ რუსებისა და არც აქ შემოვიყვანთ მათაო; ნუ ფიქრობს ჩვენზე ღალატს და ქვეყნის გაცემას მხოლოდ მათის ჯაბრით და ჯავრის ამოსაყრელათაო. 1793 წ. მართლაც კაცებიც გაგზავნეს სპარსეთში და მათ შორის ერია სოლომონ ლეონიძეც, რომელიც მივიღნენ ყაჯარის წინაშე, არწმუნეს ერთგულება ერეკლე მეფისა და დააიმედეს უშიშრობაზე; მაგრამ ასეთი იმედები და დაღინჯება ყაჯარისა იყო დროებითი, რაღანაც ზალე განდნენ განჯელი მტრები უაუწყეს ყაჯარს, რომ ერეკლე

მეფე ყველაფერში სტუისო, იგი გატურებსთ თქვენაო, იგი თქვენს სამეფოს დიდს განსაკლელს მოაყენებს გარსაო. მისი შვილები და სამეფო კაცნი წამ-და-უწუმ რუსეთში მოგზაურობენ და ლაპარაკი აქვთ გამართული რუსეთთანაო. 1794 წელს საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ყაჯარმა განჯელი მტრების მეოხებით გარდასწყვიტა საქართველოზე გალაშქრება და ქართველთ დამხობა. ეს აზრი მან შეასრულა 1795წ. მარტში, როცა ყაჯარი უკვე მზათ იყო დიდი ძალის ჯარით. მალე გამოემართა საქართველოსკენ. ამის ამხედრების ამბები ქართველებმა წინათვე შეიტყეს. ქართველნი შეუდგნენ სამზადისს და თათბირს; მეფე ერეკლეს სახლში მუდამ დღე იკრიბებოდნენ მდივნები, სარდლები, სამეფო გამგენი და საუბრობდნენ მტრის დახვედრის სამზადისზე. მტრის მოსვლაზე ძლიერ სწუხდნენ მოქალაქენი, ხელოსანნი, ესენიც სამზადისს ეძლეოდნენ და მეცადინობდნენ მტრის დახვედრას და მოგერებას, ხშირად იკრიბებოდნენ სოლომონ მსაჯულთან და საუბრობდნენ სამზადისისათვის.

მსაჯული მოქალაქეთა ლაპარაკს დიდის ყურადღებით ისმენდა. ყოველ რიგიან მოსაზრებას ქალალდზე ჰნიშნავდა. თვითონ დიდ მწუხარებას აუწყებდა მოქალაქეთ ქართველთ უმაღურობის გამო, მწარედ სტიროდა მომავალ ქვეყნის დაცემას და დანარცხებას. მოქალაქენი მეფეს დიდს ერთგულებას უცხადებდნენ და სთხოვდნენ, რომ სხვათა ქრისტიან სახელმწიფოთ მიმართეთ საშველად, თორემ ჩვენ მარტო ვერას გავაწყობთ. ეს იყო მიზეზი იმის, რომ ერეკლე მეფემ თხოვნა გაუკზავნა რუსეთის ხელმწიფოს და იმერეთის მეფეს, რომელთაც სთხოვდა დახმარებას მომავალ გაჭირვების დროს. ასევე ხელ-ახლა წერილი იქმნა გაგზავნილი კალკუტაში უომებ შახრამიანთან, რომელთანაც ბევრად ადრე იქმნა ლაპარაკი დაწყობილი, შესახებ საქართველოს ტახტის გაძლიერებისა. უმოვრესად-კი ყაჯარის ამხედრების მიზეზად შემდეგი გარემოება უნდა ჩაითვალოს:

სომხების დევნის გამო, მეფე ერეკლე გადაეკიდა განჯის ხანს ზიად-ოლლის. განჯაზე გასალაშქრებლად წავიდა, თან წაიყვანა 8000 ურემი, თითო ურემზე 4 ჯარის-კაცი იჯდა, სულ 32 ათასი ქართველი წაიყვანა. განჯის ხანი დასტა მთლად. ეს ჯარი სომხების გამო შეაწყვიტა. იქიდამ დაბრუნების შემდეგ სომხები მაინც ზიად-ოლლის მიემზრნენ. აუწყეს, რომ ჩვენშოთქვენთან სამტრო რა გვაქვს, ჩვენ მეფე ერეკლემ გაგვაზრიყვაო. განჯის ხანი მეფეს დაემუქრა, ასე შემოუთვალია: — „მრავალი ხანი შეს სიმაგიროს აღა-მაჭმალ-ხანის დახმარებით გადგიხდი და ვნახოთ, მაშინ შეს როგორ გიშევდიან სომხები, ეწმიამინი ჩემთვის ლოცულობს, შეს სახავ შესნ სეირსო“. მართლაც ზიად-ოლლიმ აღამხედრა აღა-მაჭმალ-ხანი ქართველებზედ. საქართველოში მოსვლის დროს აღა-მაჭმალ-ხანს ზიად-ოლლი წინ მოუძღვიდა და მასთან მრავალი სომები, რომელნიც მართლა საქართველოს გზასა და კვალს უჩვენებდნენ, ბევრ რამ ცნობებს აძლევდნენ და თანაც ეხმარებოდნენ, როთაც იგინი ერთგულებას ც კიცებდნენ, როგორც განჯის ხანს, ისევე აღა-მაჭმალ-ხანს. ეს გარემოება დიდად საყურადღებოა და მასთან კარგი გასარკვევიც. უაში გავიდა, ყაჯარი მოადგა განჯასა და ერევნის მიდამოებს და დამორჩილებულ ჰყო აღვილად; იქიდამ წამოემართა თბილისისაკენ; მგზავრობის დროს აქა-იქ სოფლებს და ქალაქებს კალიასავით ედებოდნენ და იკლებდნენ. თბილისში შიკრიკები მოვიდნენ და მეფეს, სამეფო პირთ და მოქალაქეებს მტრის მოსვლის ამბავი აუწყეს, ამბავს დასძენდნენ დად საშიშარ შემთხვევებს და უბედურს მომავალს ქართველთა ზედა. შეჭორეთა მიტანილ ამბებმა ძლიერ შეაშინა თბილისის მოქალაქენი. ამათ შალე კრება მოახდინეს სალაყბოზე, სოლომონ ლეონიძის თანადასწრებით. თათბირი ჰქმნეს და სთხოვეს სოლომონ ლეონიძეს მეფის წინაშე შუამდგომლობა, რომ ერთად შევიკრიბნეთ და ქვეყნის საქმეზე თათბირი ვქნათ და ვარჩიოთ ის,

თუ როგორ დავიხსნათ თავი მტრისაგანაო. მსაჯულს მოეწონა მოქალაქეთ თხოვნა და რჩევა. ის მალე წარსდგა მეფის წინაშე და მოახსენა თხოვნა ერისა, მწუხარება მოქალაქეთა; მეფეს მოეწონა მოქალაქეთა თხოვნა, დაფიქრდა საქმეზე და უბრძანა მსაჯულს: მოახსენე მოქალაქეთ, რომ მე მაღლობელი ვარ და მიხარიან მათი ერთგულებაო, იქმნეს რჩევა საერთოდ მარიამობისთვის ნახევარშია.

მეფის ნებით მართლაც იქმნა კრება თბილისს—დიდთა და მცირეთ მოქალაქეთა, ხელოსანთა, ვაჭართა და მუშათა, იყვნენ სამღვდელო პირნიც ქართველთა, სომეხთა და კათოლიკეთა. სოლომონ ლეონიძემ სიტყვა უთხრა ქალაქის ხალხს საქმის რჩევისათვის და ომისთვის; გლეხნი ითხოვდნენ არ დამორჩილებას, ზოგნი მოქალაქენი დიდ შიშს და ძრძოლას—ნამეტურ მდიდარი მოქალაქენი, დიდი სახლების და ქარვასლების პატრონნი, ესენი იტყოდნენ, რომ თბილისი აოხრდებაო, ჩვენ მთლად დავიღუპებით, დავიღუპებით სახლ-კარით, ვაჭრობით და სიმდიდრით, ზოგნი მტრის მორჩილებას ითხოვდნენ, რომ მეგობრულათ მივიღოთ, ხარჯი გაღუხადოთ, ერთგულების ფიცი მივსცეთ და ეგები მით უკანვე დავაბრუნოთ, დავარწმუნოთ, რომ ჩვენი ერთი კაციც არ წავა რუსეთშიო. საქმე ოსტატურად მოხდეს, თორემ დავეცემით და მთლად მოგვაპობენო. მოქალაქენი ამტკიცებდნენ, რომ მტერს ფულით შევესყიდოთ და ქვეყანას გადავარჩენთ უსჯულებისაგანაო. მოქალაქეთა რჩევა დადათ ესიამოვნა ს. ლეონიძეს. ამან ალამაღლა ხმა და სთქვა, რომ ეს მეტად რიგიანი მოსაზრება არისო, ჩვენ მათ წინააღმდეგს ვერას გავაწყობთ. ჩვენი შინაგანი განძეულობა მივსცეთ, ერთგულება აღუთქვათ და იმედია, რომ ისინი მერე გულს დაიდინჯებენ და ქვეყანასაც მოსცილდებიან, იმათ ჩვენი გაცარცვის მეტი სხვა არაფერი ჰსურთ, ნუ ავაოხრებთ ქვეყანას, თორემ მერე ძალით აგვიკლებენ, წარგვეუნიან და ყველაფერ საგანძურს მოგვტაცებენო. კეთილი და ბრძნული რჩევა მოქალაქეთა და მსაჯუ-

ლისა არ იქმნა მრავალთა დიდთა თავადიშვილთაგან შოწონებული; ესენი მიუკილებლად ომს ითხოვდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ მტერს გავაწყობთო; მცოდნე პირნი აუწყებდნენ, რომ ვერას გავხვდებით, ქალაქი წაგვიხდებაო; ამისათვის ბევრი ისაუბრა სოლომონ ლეონიძემ, მაგრამ ვერა გააწყო-რა.

მეფე ერეკლე და მეფის ძენი მიზიდულ იქმნენ მოწინა-აღმდეგეთაგან, საქმე მით გადაწყდა, რომ ქართველთ ომი უნდა დაეწყოთ სპარსელებთან. სოლომონ ლეონიძეს ერთი ის-ლა დარჩა, რომ დამორჩილებოდა მეფის და დიდთა თავადთა ბრძანებას და შესდგომოდა ომის სასარგებლოდ თავ-დარიგს და ერის გამხნევებას; ეს დადიოდა აქა-იქ სოფლებში და ამხნევებდა ხალხს, ეუბნებოდა გმირობით ბრძოლას, ამ-ხნევებდა ქალაქის ერს და აუწყებდა ქვეყნისთვის ერთგულე-ბას და თავ-დადებას, ერთგულობისათვის ფიციც მოახდინეს. ომის დაწყების პირველ დღესვე შეამჩნია სოლომონ ლეონი-ძემ, რომ სპარსნი გვძლევენო, ამან საღამოზე მოქალაქეებ-თან თათბირი ჰქონდა და მათ აუწყა ქალაქიდამ გასვლა და თა-ვის გადარჩენა. მოქალაქეთ მოისმინეს რჩევა სოლომონისა და მეორე დღეს შეუდგნენ გამგზავრებას ანანურისკენ, დუშე-თისკენ და სხვაგან. ასე, რომ მეოთხე დღეს, 14 სექტემბერს 1795 წ. სპარსთ თბილისი აიღეს და იჯერეს გული. თბილისის შემდეგ სხვა ადგილებსაც მიჰყეს ხელი, მაგრამ სამუდამოთ მაინც არა რჩებოდნენ, მალე აიყარნენ და სპარსეთში გაე-მგზავრნენ. ქართველთ მალე კვლავ ისურვეს თავის მოკრება თბილისში და უკან დაბრუნება. მალე თვით მეფე ერეკლე და სოლომონ მსაჯულიც ჩამოვიდნენ. მსაჯულმა და მოქა-ლაქეებმა დარბაისლური რჩევა ჰქმნეს—თუ როგორ ვუ-შველოთ ჩვენს დაქცეულს სახლ-კარსაო. ასე მოახერხეს. თბილისის მცხოვრებნი გაიყვნენ რამდენიმე წრეებად, რა-მდენიმე კაცმა იკისრა ქურახანების განახლება, იქ მუშაო-ბა, ალიზის კეთება, აგურის და კრამიტის წვა; ხუროებმა და დურგლებმა იკისრეს სადურგლო და ხუროს საქმეების კეთება,

მჭედელთ — სამჭედლოსი, მრავალთ — მუშაკობა. მაგრამ საქმეების დასაწყიობათ საჭირო იყო ფული და ფულის მოპოვება-კი გაძნელდა; მსაჯულის ჩევით მოქალაქეთ სთხოვეს ეჩმიაძინის ძმობას სესხით რამდენიმე ფული. ძმობამ მოქალაქეთ რამდენიმე ასი თუმანი მისცა, ათას თუმნამდე ერევლე მეფემ დაურიგა, მოზღოვა-ყიზლარიდამ და რუსეთიდამაც მრავალთ ვაჭართ და სხვათ გამოეგზავნათ ფული თავიანთ ნათესავებთან დასახმარებლათ და სახლ-კარის აღსადგენათ. მალე ქალაქის განახლება და ოლდგენა დაიწყეს, ასე, რომ გიორგობის-თვის ჭიდების თბილისუი ქალაქის ქუჩები გაჩაღდა, სახლები გაკცელდა, მართალია ისე არა, როგორც წინეთ იყო — ორ-სამ სართულიანი სრა-პალანტი, შუშაბანდებით, აივნებით, ბალებით და შადრევნებით, მაგრამ მაინც ხელ-და-ხელ დაცემული ერისაგან საჭიროებისა გამო დროის შესაფერად იქმნა განახლებული, მხოლოდ ველარ განახლდა ტყავის ქარხანა, რკინისა, სპილენძისა, ტილოსი, სათელ-საპნისა და სხვ. მუშაობის დროს შურომელთათვის სურსათს ჰერეფავდა ს. ლეონიძე; ეს წავიდა ქართლში, ნახა მთელი ქართლის ხალხი და ცოტა ხნის შემდეგ თბილისს მოადგა რამდენიმე ათასი ურემი, დატვირთული პურით, ქერით, სიმინდით, ლობიოთი, ღვინით და სხვა საჭირო რამებით.

ამ საქმეების გამო მეფემ დიდათ აქო მსაჯული, ქებას თვით გიორგი მეფეც აუწყებდა და თან ამბობდა, რომ სოლომონ ღიეონიძე ყველა დიდებულს სჯობიაო, იგი ძველის ჭკვიანათ მმართველიაო.

ია მარუშაძე.

(შემდგენ „ჭება“)

პონსტანტინე იაკობის ძე ზუგალაშვილი და მი-  
სი გვარის ისტორია. \*)

ასპინძის ზუგალაშვილები და მათი გათათუება.

1629 წ. ოსმალეთმა დაიმორჩილა დასავლეთი საქართველო, რომელსაც იმ დრომდე თავის ავტონომია ჰქონდა და 1590 წლიდამ მხოლოდ ხარჯს იხდიდა. მთელს დასავლეთს საქართველოში 13 საეპისკოპოსო კათედრა ითვლებოდა, ერთი მილიონი ქართველობა მარტოდ მესხეთში სცხოვრობდნენ. ოსმალეთმა ყველა ეს ვრცელი აღგილები 24 სანჯახად გაჰყო და ოთხ საფაშალიკოდ. ასეთი ვრცელი აღგილების დაკარგვით საქართველო დიდათ დაუძლურდა, ეს დაუძლურება ყველასთვის ცხადი შეიქმნა, ყველა გრძნობდა მას და ნამეტურ მესხეთის და ჯავახეთის ქართველნი. მაგალითებრ, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ XVIII საუკუნის ნახევარს, ახალციხის, ასპინძის და აწყვერის ქვეხა კაცებს და იშხანებს დიდათ სურდათ ქართლ-კახეთ-იმერეთთან დაკავშირება და ამისათვის მათ მეფე ერეკლესთან მოლაპარაკებაც ჰქონდათ გამართული საიდუმლოდ.

ასეთ თანამერჩნობ პირებად ახალციხიდამ ხურსიძეები აღმოჩნდნენ და ასპინძას ზუბალაშვილები. მაშინ ასპინძის ზუბალაშვილები შეძლებულნი იყვნენ, ქევხებად ირიცხებოდნენ და ოსმალთ წინაშე ცნობილნი ყოფილან, ვითარცა მათი ერთგულნი, მაგრამ ნამდვილად-კი ასე არ ყოფილა: ზუბალა-

\*) იხილე «მთგზაური» №№ 6 და 7.

შვილები დიდი თანამგრძნობელი ყოფილან მეფე ერეკლესი, რომლისთვისაც მათ იმედები უძლევიათ ომში საიდუმლოთ დახმარებისათვის. მეფე ერეკლემ სულ ამ ზუბალაშვილების და ასპინძაში მცხოვრებ კათოლიკების დაიმედებით გარდა-სწყვიტა პირველად ასპინძაზედ მისვლა, ჯერ ასპინძის აღება, მის ციხეში ფეხის გამაგრება და მერე იქნდან ახალციხის, ახალქალაქის და არტაანის აღებაც. ერთის სიტყვით, 1770 წელს ქართველთ ცხადათ გაიკვლიეს ის გზა და კვალი, რომ ვიდრე საქართველოს სამეფოს თავის ადგილები არ დაუბრუნ-დება, მანამდის მის გაძლიერება შეუძლებელი იქმნებაო.

მოგეხსენებათ, რომ ასპინძის გამარჯვებით ქართველთ საქმე კარგად ვერ წავიდა: თუმცა გაიმარჯვეს, მაგრამ იქიდან შორს წასვლა ველარ გაბედეს. ბრძოლა ერთის მხრით საზა-რალოთ დაშთა, რაღგანაც ქართველნი უკან დაბრუნდნენ. ოსმალთ ამ საქმეს გაფაციცებით შეხედეს. ამ დროს მესხეთ-ში ათაბაგების გვარის ფაშა ალარავინ იყო და ახალციხეში ვილაც ოსმალელი ფაშა იჯდა, უცხო ტომის. ამ ფაშამ მე-სხეთისა და ჯავახეთის ქართველებს ძლიერ ცუდის თვალით დაუწყო მზერა, ზოგიერთ ქრისტიანებს და ნამეტურ ასპინძის ქაცხა კაცებს ღალატი დასწამა, მეფე ერეკლეს მომხრეობა და სხვანი. ომიანობის დაწყნარების შემდეგ, ფაშამ ზოგიერთი ქრისტიანი ქართველები სამართალში მისცა; ამათში მოჰყვ-ნენ სხვათა შორის ასპინძაში მცხოვრები ზუბალაშვილებიც. ფაშა ამათ სწამებდა ღალატს, ქართველ მეფის მომხრეობას, საიდუმლოდ ქომაგობას. რისხვა და მუქარა ფაშისაგან ძლი-ერ იყო აზეიადებული. ქრისტიანი ქართველები ფაშის წინა-შე თავს მართლულობდნენ, რომ ჩვენ არავითარი კავშირი არ გვქონდა, არაფერი ქომაგობა არ გაგვიწევიაო. ფაშა მა-ინც არ წყნარდებოდა და მეტის მრისხანებით განსაკუთრებით ასპინძელებს ეპურობოდა და ნამეტურ შეძლებულთ კათოლი-კე ზუბალაშვილებს. ერთ დღეს ფაშასა და ასპინძის ზუბა-ლაშვილებთ შორის ასეთი საუბარი მომხდარა ახალციხეში.

— თქვენ თუ მეფე ერეკლესთან არა ვითარი კავშირი აქ გქონდათ, მე ამას ვირწმუნებ მხოლოდ მაშინ. როცა თქვენ ქრისტიანობას ჰგმობთ და თათრობას მიიღებთო, — უთქვამს ფაშას.

ზუბალაშვილებს მიუგიათ:

— ბატონო ფაშავ! ჩვენი შიში რათ გაქვსთ, ჩვენ კათოლიკენი ვართ, ჩვენ პაპს ვეშორჩილებით, ერეკლე მეფესთან საერთო რა გვაქვს, რომ თქვენ ჩვენ ლალატს გვწამებთ.

— ასეა საქმე, ჩემს საბრძანებელში, დღეის შემდეგ ქრისტიანად დაშთენა ალარავისი არ შეიძლება, კათოლიკეა თუ ქართველი ყველა უნდა გათათრებულ იქმნენ, ჩვენ ეს აღრევე უნდა გვექმნა, მაგრამ ვერ ვქენით და ამიტომ ჩვენ დიდაც ვიზარალეთ. დღეის შემდეგ ასე უნდა შესრულდეს საქმე, თქვენგან ჩვენ ერთგულების იმედი არ გვექმნება, ვიდრე არ გათათრდებითო, — უთქვამს ფაშას გადაჭრით.

— ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ, ამაზედ პაპს დავეკითხებით, ჩვენი გათათრება არ შეიძლება, — მიუგეს ზუბალაშვილებმა.

— ორში ერთი ამოირჩიეთ, მე პაპის კითხვამდის არ და გაცლით, საქმე ასეა, ან გათათრდით, ან აქედგან წადით, ან დაიხოცებით. ხვალ ამის მაგალითებს ნახავთ...

მეორე დღისთვის დანიშნული იყო ფაშის წინაშე ყველა ქრისტიანთ ქართველთ გამოცხადება. ქრისტიანები გამოცხადდნენ. ოსმალეთის სულთანის ბრძანება გამოეცხადათ, რომ დღეის შემდეგ თათრის სამფლობელოში ქრისტიან ქართველების დაშთენა აღარ შეიძლება, ყველა თათრის რჯულს უნდა აღიარებდეს, ასეა ბრძანებაო. ამაზედ დიდი შლილობა მოხდა და 1773 წ. ქრისტიანთ ხოცვა და ულეტა უღვთოდ დაიწყეს, ჯერ გლეხებს ზოგს ხოცავდნენ და ზოგს ათათრებდნენ. საქმე გაჭირდა, ქრისტიანებისთვის დადგა დიდი განკითხვის დღე. კათოლიკეებმა პაპთან კაცები გაგზავნეს, ცნობები აუწყეს, ამაზედ მიწერ-მოწერაც გაიმართა, მაგრამ ოსმალნი მაინც არ დაწყნარდნენ. ახალკინის ფაშას კათოლი-

კებმა დიდი ქრთამიც მისცეს, მაგრამ არც არა ამ ქრთამებით იქმნა რამე, ასპინძის მცხოვრებთ ქვეხა კაცებს მაინც სასჯელი არ უმცირდებოდათ, მთავრობის რისხვა უფრო მათზედ ძლიერდებოდა, ღალატს თითქმის მარტო იმათ სწამებდნენ და ზუბალაშვილებმაც ფაშისაგან ამიტომ ვერ იხსნეს თავი.

თუმცა ძლიერ მორიდებით-კი, სინანულით, მაგრამ მეტად გაჭირვებულმა და შეწუხებულმა ზუბალაშვილებმა გადასწყვიტეს მუსულმანობასთან დაკავშირება და მით თავის გადარჩენა, უფრო-კი იმ მამულების გულისთვის, რომელიც ქრისტიანობის ღროს მათ ამის წართმევა ელოდათ. ზოგნი წინააღმდეგნი გამხდარან გათათრებისა, მამულებისთვის თავი დაუნებებიათ და სხვაგან გადასახლებულან, მამულები-კი შეგვარეებისთვის დაუტოვებიათ. ვინც ასპინძას დარჩენილან, იმათ ცხოვრების საქმე ძლიერ გასჭირებიათ და ამიტომ ფაშისთვის განუცხადებიათ გათათრების ნატვრა, სურვილი. ფაშას გაპხარებია და უთქვამს:

— ძლიერ კარგი, აი ახლა-კი გიშამებთ ჩვენს ერთგულებად.

— ნება თქვენი აღსოულდეს, — მიუგეს ზუბალაშვილებმა.

ზუბალაშვილები მალე გაათათრეს, ერთ კომლს საკეთოვრებელ ბინად ახალშენი მისცეს, იქვე ასპინძასთან ახლოს და დანარჩენნი ასპინძაში დასტოვეს. ამ ზუბალოვების გათათრების ღროს, სხვა ქართველნი კათოლიკენიც მრავლად გათათრებულან, რაღანაც ესენიც დიდს დევნაში ყოფილან შთაცვივნულნი. მაშინდელ გათათრებულ ქართველ კათოლიკეთ შთამომავალნი დღესაც სკეოვრობენ მესხეთსა და ჯავახეთში. ამ გათათრებულთ გარდა 1773 წ. ოსმალეთის მთავრობამ დანარჩენ კათოლიკებსაც ცუდის თვალით დაუწყო ცქერა და ქრისტიანების სასარგებლოდ მათ თავისუფლად მოქმედების ნებას აღარ იძლევდნენ. კათოლიკობის გავრცელება შეჩერდა, მის შემდეგ იშვიათად-ლა ხდებოდა ამის მაგალითები ქარ-

თვეელთ შორის. კათოლიკის მღვდლებს ბრალი ედებოდათ მასზედაც, რომ იგინი სასტიკად ამაგრებლნენ თვით მართლ-მადიდებელ ქრისტიან გლეხთაც, რომ იგინი არამცა და არამც არ გათათრებულიყვნენ.

გათათრებულ ზუბალაშვილებს მიენიჭათ ის უპირატე-სობა, რაც უნდა მიეღოთ მათ, იგინი მიეცნენ განსვენებით ცხოვრებას და ნელ-ნელა ისლამის წესებსაც შეეჩვინენ. რა-მდენიმე ხნის განმავლობაში მათ ქართულის ენის მაგიერ ას-მალური ენა შეითვისეს, უკანასკნელ მათმა ქალმა, კაცმა და ბოვშმაც-კი დაივიწყეს დედა ენა და სრულიად თათრულად იწყეს საუბარი და მოქმედება, ასე რომ ქრისტიანობისადმი ამათ დიდი მტრობაც ჩაენერგათ გულში და ქართველთ სა-სტიკად ვნებლნენ. ამათ გადაგვარებას და გადასხვაფერებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ახალციხიდამ ახალქალა-ქამდე, მტკვრის შეყოლება, საღაც-კი კარგი აღვილები და სოფლები იყო, ასმალებმა ნახევრამდე ქურთები დაასახლეს. ასევე მოხდა ასპინძაში, საღაც ნახევარზე მეტი ქურთები და-სახლეს, ქართველი მუსულმანები მათში აირივნენ და მით უფრო გადაგვარდნენ.

ნელ-ნელა ზუბალაშვილებში ფანატიკობა სრულს წერ-ტილამდის ავიდა და 1877 წლის ომის შემდეგ ზუბალაშვი-ლების რამდენიმე კომლი ფანატიკობით ასმალეთში გადა-სახლდნენ. ასპინძაში დღეს მხოლოდ ერთი კომლი-ლა სცხო-ვრებს ზუბალაშვილებისა, ამათ ქართული ენა დავიწყებული აქვთ, შეძლებულ მცხოვრებლათ ითვლებიან, ნამდვილი თა-თრის ფანატიკები არიან, თუმცა ზეპირ გაღმოცემით ის ამ-ბებიც იციან, რომ მათი წინაპარნი ქრისტიანები ყოფილან და ასმალთა ბრძანებით გათათრებულან. ისიც არის მათში დაშთენილი, რომ ჩვენი მონათესავები თბილისისაკენ სცხო-ვრობენო. ერთმა ხიზაბავრელმა გლეხმა (ი. მ.) შემდეგი მი-ამბო:

მოხუცებულთაგან გამიგონია, რომ ასპინძაში ზუბალა-

შვილების სამნი ძმანი ყოფილან იმ დროს, როცა მათთვის თათრობა განუცხადებიათ; ერთი ძმა, რომელიც გათათრებულა, ასპინძაში დარჩენილა, მეორე ძმა, რომელსაც თათრობა არ მიუღია, თბილისში წასულა და მესამე გორუში. ასპინძის ზუბალაშვილებში ის უკულმართი ცნობაც არის დაშთენილი, რომ ვითომუ ესენი ძველად თათრები ყოფილან და მეტე გაქრისტიანებულან. ეს, რასაკვირველია, მოლებისა და ხოჯების პოლიტიკა გახლავსთ, ამათის მეოხებით არამც თუ მარტოდ ასეთ გვართა გათათრების ცნობები მახინჯდება და სხვაფერდება, არამედ ამათ თვით ჩვენს თამარ მეფესაც მოჰხვიეს ხელი და ყველა ქართველ მუსულმანს იმას უმტკიცებენ, რომ თვით თამარ მეფეც მუსულმანი იყოვო. ასეთია ამ ფანატიკების ისტორიული ცოდნა და მნს ჭეშმარიტების ძიება.

სწორეთ ამავე დროს გაუთათრებიათ სოფელ ბალაჯორში (ბორჯომის ახლოს) მცხოვრები ქართველთ კათოლიკეთ რამდენიმე კომლი. დღეს ბალაჯორში რამდენიმე კომლი-ლა სცხოვრებს კათოლიკეთა. ამბათ არის დაშთენილი, რომ აქაურნი ქართველნი თათრობაზედ კათოლიგობიდგან არიან გადასულნი ასპინძის ომის შემდეგ (1770 წ.), როდესაც მთელს სამცხე საათაბაგოში ქართველ კათოლიკეთ დევნა ოსმალთაგან მეტათ გაძლიერდა და გაგრძელდა 1780 წლამდის. ამ წელს-კი პაპსა და სულთანს შორის კავშირის პირობა დაიდო და ოსმალეთის საქართველოში ქართველ კათოლიკები და მათი სამღვდელონი განთავისუფლებულ იქმნენ და დაჯილდოვებულ იმ პირობით, როგორც იგინი განამდე იყვნენ.

ვიტყვით იმასაც, რომ შეიძლებოდა ასპინძის ომის შემდეგ, ასპინძაშივე მცხოვრებ ზუბალაშვილები და სხვანი არაფერის დევნას მისცემოდნენ, იქნება ოსმალთა წინაშე ზუბალაშვილების არავის რა შაეტყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც იგინი და რამდენიმეც სხვა კათოლიკენი ოსმალთ

წინაშე დაბეჭდებულ იქმნენ იმ დროის ქრისტიანთ სომხებთაგან. სომხების მტრობა გამოწვეულ ჰყო შემდეგმა გარემოებამ: იმ დროის სომეხთ ეჩმიაძინი მთელს კათოლიკე სამღვდელოებას ევედრებოდა, რომ იგინი გრიგორიანთ ტიბიკონს დაკავშირებოდნენ, ნამეტურ ამას ავალებდნენ სამცხე-საათაბაგოს ქართველ გვარის კათოლიკეთ, რომელთა სამღვდელოებაც სომხის ტიბიკონზე იდგა და ეკლესიებშიაც უმეტეს ნაწილათ სომხურათ სწირავდნენ. ეჩმიაძინი ამისთვის ფულსაც ხარჯავდა, მათ კათოლიკის ზოგიერთ სამღვდელო პირნიც შეისყიდეს, იმედი ჰქონდათ დაკავშირებისა, მაგრამ ეს ვერ მოუხდათ, რადგან მათ იმავ დროს ჰყანდათ მოწინააღმდეგენიც, რომელნიც არ ეურჩებოდნენ მათს რჩევას. ასეთ პირებს იგინი მოსაკვლავათაც არ ინდობდნენ. ასეთ მოწინააღმდეგეთაგანი იყო ქართველ კათოლიკეთ მოძღვარი იოანე გარსევანიშვილი, რომელიც სომეხთაგან მოწამლულ იქმნა ჩთებერვალს 1779 წ., იგი მღვდლობდა შავშეთის სოფელს ოქრობაგეთს. ასევე მოწამლეს შემდეგ დროებში პატრი ალოიზი. 127 წ. ოსმალოს მთავრობაც შეისყიდეს და აღდგომის პარასკევს დღეს ჯავახეთსა და მესხეთში ქართველ კათოლიკეთ 22 მღვდელი დააჭერინეს, ციხეში ჩასმევინეს, ეკლესიები დაკავებული და კლიტეები თვით დაიკავესო. აი ასეთი მტრობა ყოფილა დათესილი და ამ მტრობას გამოუწვევია ასპინძელ ქართველ კათოლიკეთ დაბეჭდება და მტრობა.

პაპის წყალობა რომ არ მოვლენოდათ კათოლიკებს, უამისოდ ქართველ გვარის კათოლიკენი დიდს უბედურებაში ჩავარდებოდნენ, მათი დევნა არასოდეს არ მოისპობოდა და მით მთელს კათოლიკობას გათათრება, ან გრიგორიანებოან დაკავშირება აუცილებლათ მოუხდებოდათ. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს მათ და კათოლიკენი თავისუფლათ დაშთნენ, ხოლო 1780 წლის შემდეგ, რაც პაპსა და სულთანს შორის კათოლიკების შესახებ ხელ-შეკრულობა მოხდა, ოსმალებმა კათოლიკეთა დევნას თავი გაანებეს.

**ჩუბალაძით გვარის წევნი სამეგრელოს მთავრის დადიანის  
სახლში.**

რაღანაც ქართველებში ბევრი რამ ნაწერები მტრის მახვილის და ცეცხლის ქვეშ მოისპო, მიტომ ჩვენ დრომდის ვერც რამე ვრცელმა ოღწერაებმა მოაღწიეს და ვერცა-რა სხვა ძველ სავაჭრო და შინაურმა დავთრებმა. თბილისში მე ვიცნობ ბევრს ძველს მოქალაქეთ ოჯახებს, დავიარე მათში, ვსძებნე რამე ცნობები ძველის ოღებ-მიცემის, გასესხების, მაზანდის, სხვა-და-სხვა პირობების და საქმეების შესახებ და უნდა მოგახსენოთ, რომ ძლიერ მცირე ცნობები ვპოვე. ერთის ოჯახის დავთრებში-კი ოღმოჩნდა ცნობები შესახებ მე-XVIII საუკუნის ოღებ-მიცემის, საქართველოდგინ ინდოეთსა, ოსმალეთსა და სპარსეთში ვაჭრების წასვლის და საქონლის შემოტანის შესახებ. ამ საქმეს დიდათ ხელს უწყობდა მეფე ერეკლე და ვაჭრებს უოველ ნაირ შედავათს ანიჭებდათ. XVIII საუკუნის თბილისის ვაჭართ და მოქალაქეთ შორის პირველი ადგილი სჭრია ივანე ზუბალოვს, ამის ბიძას გიორგის და სხვათაც.

ჩვენს ძველს მოქალაქეთ ოჯახებში 1820—1870 წლებში, ბევრი რამ ძველი დროის ბარათები იყო დაშთენილი, სიგელ-გუჯრები, სხვა-და-სხვა სავაჭრო ცნობათ ფურცლები და ნამეტურ დავთრები, სადაც იწერებოდა ყველა სავაჭრო ცნობები, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ძველ მოქალაქეთ ახალგაზრდა სომხის პატრიოტ შვილებისაგან მთლათ ეს ძველი ქართული დავთრებიც გაჭქრა, ცეცხლს და წყალს მიეცა, რაღანაც მათ ასეთი დავთრების მნიშვნელობისა არაფერი წარმოდგენა ჰქონდათ. შესმენილი ჭურა ასეთ გულ-გრილობას მწუხარის თვალით შეხედავს და უგრძნობისათვის-კი არაფე-

რია. ასეთი დავთრების მოსპობა რამდენათაც საერთოდ არის სავნო და საზარალო ჩვენის ისტორიისთვის, იმაზედ უფრო მეტად უნდა ჩაითვალოს იმ მოქალაქეთათვისაც, სადაც ეს დავთრები იწყერებოდა, ვის გვარს და ოჯახსაც ეკუთვნოდა, ვის ძეთა გონებრივს და აღებ-მირემის საქმეს შეეხებოდა. ამიტომ ხშირად ჩვენ ჩვენს ისტორიის ნაწილში ზეპირ-სიტყვაობასაც უნდა დავუთმოთ ადგილი და შემოვიტანოთ ყველა ის ზეპირ-გარდმოცემები, რაც-კი საყურადღებო იქნება და საზოგადო ხასიათს არ მოკლებული.

აქ შემოვიტან ერთ ზეპირ-გარდმოცემას, რომელიც მიამბო ქართველ კათოლიკეთა ვაჭარმა გრიგოლ ანტონის ძე ნალბანდოვმა (ძველი გვარი შოშიაშვილი). ამათი გვარის წევრნი ახალციხელები არიან და აღებ-მიცემას ძველიდგანვე შესჩერიან, ახალციხიდგან შემდეგ ქუთაისს გადასახლებულან და, უკანასკნელ, ბათუმშიაც დაუწყვიათ აღებ-მიცემა. ქუთაისში გადასახლებულთ ნალბანდოვებს გაუცვნიათ იმ დროის გამოჩენილი ვაჭარი იაკობ ზუბალაშვილი. ეს გაცნობის ხანა უნდა მიეწერებოდეს 1820 წლების არა უგვიანეს, როდესაც იაკობ ზუბალოვი მთელს იმერეთში ცნობილი პირი ყოფილა და სოლომონ მეფეც კარგად სცნობია. სოლომონ მეფეს ანტონ ნალბანდოვიც (შოშიაშვილი) კარგათ იცნობდა და როცა ეს მეფე ტრაპიზონს გაიქცა, მაშინ ანტონ ნალბანდოვიც სტამბოლში სავაჭროთ მიმავალი თან გაჰყოლია. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ სოლომონ იმერთა მეფე ჭკვიანი კაცი იყო, ბრძენი და მასთან მოქალაქეც. იგი თავისს სამეფოის ბევრს ვაჭრებს იცნობდა. ბედშავ მეფეს ბედმა არ გაულიმა, თორემ მისის მეოხებით იმერეთის დამოუკიდებლობასთან ერთად ვაჭრობაც აღორძინდებოდა. მართლაც მის დროს მრავალად იწყეს ვაჭრებმა მგზავრობა ასმალეთში. XVIII საუკუნეებს სტამბოლიდამ, ტრაპიზონიდამ და ყირიმიდამაც დიდი ძალი საქონელი შემოჰკონდათ და გაჰქონდათ ქართველთ ვა-

ჭრებს, რომლის უმეტესი ნაწილი ქართველ კათოლიკებისა-გან შესდგებოდა.

როგორი პატივის-მცემელიც ვაჭრობისა მეფე სოლომონი ბრძანდებოდა, ისეთივე სამეგრელოს მთავარი იყო და გურიისა. სამეგრელოს მთავარი და მისი მეუღლე ეკატერინე, ასული ალექსანდრე ჭავჭავაძისა, იქამდის კარგად იცნობდნენ იაკობ ზუბალოვს და საზოგადოთ ვაჭრობას ისე აფასებდნენ ესენი, რომ უკანასკნელმა იაკობ ზუბალოვს სამეგრელოში ვაჭრობის სრული უფლება მისცა, თავის სასახლის ვაჭრათაც იგი დანიშნა და რაც-კი საჭირო იყო მთავრის სასახლისთვის, ყველა ის საჭირო ნივთები იაკობ ზუბალოვს მოჰქონდა მთავრის კარისათვის. ასეთ სამთავრო სახლის მოვალეობამ იაკობ ზუბალაშვილი იძულებული ჰყო, რომ საქართველოს ვაჭრობის და მრეწველობის გარეშე კონსტანტინეპოლის გზით ევროპის ვაჭრებთანაც ჰქონდა აღებ-მიცემა და კავშირი. უნდა ითქვას, რომ ი. ზუბალოვი შთავრის სახლს დიდის თავაზით ეპყრობოდა, არაფერს არ აკლებდა, მთელი საგარეულო და-დიანებისა და თვით მთავარი დადიანიც დიდს პატივს ანიჭებდა ზუბალაშვილს. სხვათა შორის იაკობ ზუალაშვილს მთავრის სახლის საჭიროების გამო დაახლოებული კავშირი ჰქონდა კონსტანტინეპოლში მყოფს ქართველ კათოლიკეთ ვაჭარნალბანდოვთან, რომელიც სტამბოლიდამ ბევრს რამე საქონელს უგზავნიდა ზუბალოვს და ესეც სამაგიეროთ კონსტანტინეპოლს დიდ ძალს საქონელს გზავნიდა, რაც მაშინ დიდს ფასადაც საღდებოდა. იაკობ ზუბალოვი საქართველოდამ გზავნიდა ბამბას, მატყლს, აბრეშუმს, ბზის ხეს, ხოლო იქიდაშ მოსდიოდა ფარჩეულობა, შაქარი, ჩაი, ყავა, ძაფეულობა, სარჯეულობა და სხვაც ამ გვარნი. უნდა ესთქვათ, რომ ძაფეულობა და ჩითეულობა საქართველოშიაც იცოდნენ, მაგრამ მთავართა და შეფერთა სახლთათვის უცხოეთისას ხმარობდნენ, რადგანაც უცხოეთის ნაწარმიები უფრო ნაზი თვისების ყოფილა.

როდესაც სამეგრელო რუსის მთავრობას ჩაბარდა, მაშინაც იაკობ ზუბალოვი დიდათ დაახლოვებული იყო მთავრის ოჯახთან. უკანასკნელ დღემდე, ვიდრე ამ სამთავროს ავტონომია მოიშლებოდა, ზუბალოვი მთავრის დიდ პატივის-მცემლათ და ერთგულათ ირიცხებოდა. ზუბალოვის ეს ერთგულება მთავრის მეუღლემაც კარგათ იცოდა და როდესაც მთავრის სახლის წევრნი წარსდგნენ რუსეთის მთავარ-მართებლის წინაშე, მაშინ მათ იაკობ ზუბალოვიც თან მიიყვანეს, ზუბალოვიც წარუდგინეს მთავარ-მართებელს და მოახსენეს შემდეგი: — „ეს ვაჭარი გახლავსთ იაკობ ზუბალოვი. ზუბალოვები საქართველოში აღრიცხანვე არიან ვაჭრობით ცნობილნი და დამსახურებულნი, როგორც ქართლში მეფე ერეკლეს და გიორგის წინაშე, ისევე აქ იმერეთში და ჩვენი სამთავროს წინაშეც. იგი არის სანდო პირი; სწორი, რასაც იტყვის, არას მოგატყუებსთ, რასაც დაგპირდებათ, ყველაფერს შეასრულებს. ამიტომ ვითხოვ, რომ როგორი პატივის-ცემაც ამ პირს და ამათ გვარის წევრთ მეფე ერეკლის, გიორგის და ჩვენის სახლის წინაშე ჰქონდათ, ისეთივე მიანიჭოთ თქვენა და თუ საღმე ვაჭარი კაცები დაგჭირდესთ, ამას მიმართეთ, ეს ყველაფერს შეგისრულებსთ, რასაც თითონ ვერ მოასწრობს, იმას სხვებს გარდასცემს, სხვებსაც გიშვივნისთ, ნამეტურ თქვენს ჯარს ეს დაეხმარება სურსათის გარდმოცემით, „ფოდრატები“-თო. ზუბალოვს შეგიძლიანთ ერთი მილიონის იჯარა მისცეთ, მე ვარ ამის პასუხის მგებელიო“.

მთავრის ნიკოლოზ დაღიანის სიტყვა მთავარ-მართებელმა მოისმინა, იაკობ ზუბალოვი გაიცნო და იმ დღიდან იგი სანდო პირად იქმნა ცნობილი. პირველის წლიდგან ე მას მიანდეს პურის „ფოდრატი“, პური-კი დიდი ძალი იყო საჭირო. აქ ზუბალაშვილმა დიდი მხნეობა გამოიჩინა და მთავრობას ყველაფერი შეუსრულა, რისთვისაც მან მთავრობისაგან მაღლობაც მიიღო და რაც შეეხება მოგებას ესეც კარგათ მოუხდა. მან მაშინ კარგა ბევრი ფული მოიგო და იმ

დღიდგან წავიდა მისი საქმე წინ. რუსების იმერეთში შესვლის შემდეგაც იაკობ ზუბალოვის კავშირი არ მოსპობილა დადიანის სახლთან, ვიდრე სამეგრელოს მთავრის შვილებს რუსეთში გადასახლებლნენ. ამას ითხოვდა მთავრის ოჯახის პატივისცემა, პურ-მარილი და მიტომაც იყო მათი ერთგული, პატივისმცემელი და მარადის ნატერით მომგონებელი.

იაკობ ზუბალოვის მამა, ივანე ზუბალოვიც, დაახლოვებული პირი ყოფილა, როგორც სოლომონ მეფის, ისევე სამეგრელოს და გურიის მთავრების. ივანე ზობალოვი თავის შვილებს პატარაობიდამვე ატარებდა იმერეთში, ვაჭრობას და ხალხს აცნობდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ახალგაზრდა იაკობ ზუბალოვი იმერეთში მდგზავრობას უერ დაიწყებდა და ისე ადრე ვერც სოლომონ მეფეს გაიცნობდა და ვერც სამეგრელოს და გურიის მთავრების. იმერეთში, ჯერეთ სოლომონ მეფემ და შემდეგ სამეგრელოს და გურიის მთავრებმაც ისურვეს ზუბალაშვილების აზნაურობით დაჯილდოვება, მაგრამ ზუბალაშვილებმა ეს არ ინდომესო, რადგანაც საქართველოში, მეფე ერეკლეს დროიდგან მოქალაქეებს, ანუ ვაჭრებს მეტი პატივი ჰქონდათ, ვიდრე აზნაურებსაო. მეფე ერეკლის ოჯახი, სოლომონ მეფის და სამეგრელოს მთავრის სულ აზნაურ მოსამსახურეებით იყო სავსე და მოქალაქე ვაჭარს-კი თქვენ ერთსაც ვერ ნახავდით, ამას მათ ვინ აკადრებდაო, ვაჭარს ყოველთვის მეფე და მეფის ძენი სავარძელზე დასომდნენ და ისე ემუსაიფებოდნენ სავაჭრო საქმეებზედო. აზნაურები-კი ყოველთვის კარის კაცებათ იდგნენ და თავს დაჰყურებდნენო. ამიტომაც იყო, რომ ზუბალაშვილები აზნაურობას არ ნდომობდნენო. რამდენჯერაც მიუმართათ ამათთვის აზნაურობის მიცემის საუბრით, იმდენჯერვე მათ უარი განუცხადებიათ და უთქვამსთ:

მეოურ, თქენი წყალობა იქამდის უხვი გახლასთ ჩვენზედ, რომ ჩვენ ამ წყალობაზედ მეტს სხვას არას უსაჭიროებთ, ოღონდ მეფე ბრძანდებოდეს კარგათ.

სამეგრელოს მთავართ პატივისცემის ცნობები ზუბალა-შვილების წინაშე მრავალთ ახსოვთ დღესაც, ბევრნი არიან მის მომგონებელ-მომთხრობნი. მთავართ პატივისცემაშ და საზოგადოთ ზუბალაშვილებისადმი ნდობაშ თვით ქართველ მეფეებიდამ დაწყობილი რუსეთის მთავრობამდის ისე წაიყვანა მათი საქმე, რომ უკანასკნელ ზუბალაშვილები იმერეთის სამრეწველო ასპარეზზედ ერთს მთავარ მრეწველად აღმოჩნდნენ. ჯერეთ, ვიდრე იმერეთის სამეფო მოისპობოდა, მინამდისაც მრეწველობდნენ ესენი იქ და სამეფოს მოსპობის შემდეგაც აწარმოებდნენ თავიანთ საქმეებს, თუმცა მხოლოდ აქა-იქ, წვრილ-წვრილად, უკანასკნელ-კი, რა-კი საქართველოს გაერთიანება მოხდა და ვაჭრობაშ იწყო აღორძინება, იაკობ და გიორგი ზუბალაშვილებიც ერთი ათად წავიდნენ წინ და მათ ბევრი რამ დიდი „ფოდრატები“ აიღეს, ხოლო იმერეთში მამა-პაპურს სამრეწველო საქმესაც ჯეროვანი უურადლება მიაქციეს.

„კავკასიის აქტები“ რომ გადავსინჯოთ, იქ ძველ ვაჭრების შესახებ მცირე ცნობებს ვნახავთ, თითქმის სულ არაფერს და აქა-იქ თუ-კი ვინმე მოიხსენება, იმათში ზუბალაშვილებს შესამჩნევი ადგილი უკავიათ. მაგალითებრ, როგორი მხნე მრეწველიც ივანე ზუბალოვი ყოფილა (1747—1817 წწ.), ასეთივე ყოფილა შვილი მისი იაკობ ზუბალაშვილი, პაპა დღევანდელის სტეფანე ზუბალაშვილისა. კარგათ შევნიშნეთ და ეს ყველასათვის აშკარა უნდა იქმნეს, რომ XVIII საუკუნის ზუბალაშვილები საკმარისად მოხერხებულ ვაჭარ-მრეწველად იგულისხმებიან. ჩვენ ქართველთ ასეთი პირების ყოლა დიდს სანარუქო საქმეთ მიგვაჩნია, ჩვენს ცხვრებაში ამას საკმარისი ადგილი უნდა დაეთმოს, რადგანაც ჩვენ ქართველნი, სავაჭრო ასპარეზს და კარგათ მოწყობილ ენერგიულ ვაჭრებს და ვაჭრობას თითქმის იმ დღიდგან ავსცდით, როცა-კი ჩვენმა სამშობლომ ვრდომა იწყო, როცა აზიის დაგეშილ მუსულმანებმა ჩვენზედ ნავარდობა იწყეს, მაშინ აბა საიდუმ-

ლა სცალოდა ვაჭრობისთვის, ამის ტრფიალი ვიღას უნდა ჰქონოდა, არავის... მაგრამ არა! გმირ ხალხთა ცხოვრებამ ასე იცის და იგი ყოველ განწირულების დროსაც-კი არ ჰყარგავს თავის საკუთარს სულის ძალას, ნაციონალურს სიმტკიცეს, აღმატებას და ყველაფერს შეძლების-და გვარად ეკიდება.

სწორედ ამის უტყუარს კეშმარიტებას წარმოადგენს ძველიდგანვე ზუბალანთ გვარის წევრთა საკმარისის ენერ-გიით აღვსება, თვალის გახილება, ვაჭრობა, წარმატება და უკანასკნელ ჩვენის გვარის სასახელოდ ვაჭრობის ასპარეზზედ მოქმედება და ჩვენი ავ-კარგიანობის გამოჩენაც. ბევრიცი ბრძანებდნენ ხოლმე, რომ ქართველებს არც ვაჭრები ჰყო-ლიათ, არც ქარხნები ჰქონიათ, ვაჭრობა ხომ სულ არაო, ეს რა მაგათი საქმე იყოვო, იგინი ყველაფერში უქმნი იყვ-ნენ, ამ საქმეებს მათში მხოლოდ სხვა ტომის კაცები აწარ-მოებდნენო. ამას ბრძანებენ ის პირნი, რომელნიც ჩვენს ქვე-ყანას სრულებით ა.რ იცნობენ, ან იცნობენ და ამას ჩვენს დასამკირებლათ ბრძანებენ, ჩვენის გვარის უკან მისაგდებად, მტრობით, რათა სხვების წინაშე დაგვამდაბლონ. ასეთმა პი-რებმა რამდენიც უნდა გვიმტრონ, მაინც ისინი ვერას დაგვა-კლებენ, კეშმარიტება არ დაეცემა და ნელ-ნელა დრო და გარემოება სხვა ნაირად ახსნის მთელის ერის გვაროვნობის ნიჭიერების საქმეს სამრეწველო ასპარეზზედ. ამ ნიჭიერების დასამტკიცებლად კმარა ჩვენ დავათხელოთ თუნდა იოანე ზუ-ბალოვი, რომელიც XVIII საუკუნის ერთ უმთავრეს მრეწვე-ლად ითვლებოდა საქართველოში. როგორ მხნე პირათაც XVIII საუკუნეში იოანე ზუბალოვი სჩანს, ისევე ამის ძე ია-კობი XIX საუკუნეში. მოკლეთ დახასიათება ამ პირებისა არ იქნება ურიგო, რადგანაც დროსა და გარემოებას ბევრნაირი ცვლილება და პირობები მოაქვს. იოანე ზუბალოვი მრა-ვალ ნაირად ამაღლებული პირია, ნამდვილი სახე ძველი დროის ქართველისა, გავლენიანი პირი არა მარტო წარჩი-ნებულ პირთა წინაშე, არამედ გორის, თბილისის და იმე-

რეთის ხელოსნებსა და ვაჭრებშიაც. გორში ისე რამ სახა უხო საქმე, ან ურთიერთ შორის დამკიდებულების შესახები კა-მათი და გარჩევა არ განიძჰობოდა, რომ იქ ივანე ზუბალოვს მონაწილეობა არ მიეღო. იგი იყო მათი მოსაპარე, მოსა-მართლე, დამრიგებელი და დახმარების მიმცემიც. ასეთს გა-ვლენას და უპირატესობას ივანეს გარდა სხვა ზუბალოვებიც არ იყვნენ მოკლებულნი, ყველანი შეძლების-და კვალად ემ-სახურებოდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყნის უპრავლესობას, ხოლო დღევანდელის მამული შვილის სტეფანე ზუბალოვის პა-პის მამა ივანე-კი მაღლა იდგა და განსხვავდებოდა სხვა იმ დროის ზუბალაშვილებისაგან ბევრი რამის გარჩევ-განსხვა-ვებით.

ივანე ზუბალაშვილი სიქართველოს ერს, მეფეს, მეფის ძეთა და მთავრებსაც კარგათ იცნობდა და ყველგან ჰქონდა მისელა-მოსელა, კარგი განწყობილება, თავაზი და გავლენა. XVIII საუკუნის დასასრულამდე, მთელ საქართველოში, სა-დაც-კი უნდა გენახათ ვინმე და გეკითხათ ივანეს სახელი, ამის ცნობას ყველა გეტყოდათ. იგი და მისი გვარის წევრნი მხნეთ მოგზაურობდნენ და აწარმოებდნენ თავიანთს საქმეებს. დღესაც ბევრს ახსოვს ამათი ვაჭრობის საქმე, თუ ესენი რა ენერგიით ალვსილი მოქმედებდნენ სავაქრო ასპარეზზედ და თუ რამდენ ნაირი საქონელი შემოჰქონდათ საქართველოში და მით ამრავლებდნენ ქართველ ხალხში. ჩვენ ვიცით კარ-გათ, რომ ივანე და ამის მეგვარენიც ძველი დგანვე იყვნენ ქართულს მწიგნობრობას შეჩვეულნი, ქართული წიგნების კითხვა და ვარჯიშობა მათს მემკვიდრეობითს ისეთსავე დარ-გად შესდგებოდა, როგორც სხვა იმ დროის წარჩინებულ ქართველებისას. საუბედუროთ ჩვენის სამთავრო სახლის შეი-ლების ძველმა დავთრებმა, წერილებმა და სხვა-და-სხვა ძველ ბარათებმა ძლიერ მცირეთ მოაღწიეს ჩვენამდე, თორემ ჩვენ დრომდე რომ მათ მრავლად მოეღწიათ, მაშინ იქ ივანე ზუ-ბალოვის ნაწერ წერილებში ბევრი რამ საინტერესო ცნობე-

ბი აღმოჩნდებოდა, მისის საშუალებით ჩვენ ბევრს საინტერესო სავაჭრო მხარეს შევისწავლიდით ძველის ვაჭრობის, მაზანდის და სხვა-და-სხვა საქონლის საჭიროების შესახებ.

განსვენებულის კონსტანტინე ზუბალოვის მამა, იაკობი, იყო ძე ამ ივანე ზუბალოვისა, დაიბადა 1792 წ., ესე იგი იმ დროს, როცა საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ მკვიდრს საძირკველზედ იდგა, როცა მისი ხსენება აზიაში ბრწყინვით განისმოდა, ქართველთ სამეფოს მფარველობა კავკასიის უველა დაჩაგრულთ ქრისტიანებს მაღამოსაებ ევლინებოდა, როცა საქართველოში ქართულს ხმაურობას და სულიერებას თავისი კანონიერი ძალოვნება და პატივი ემოსა გარს. იაკობ ზუბალოვმა ჩვენის მეფობის დროს გაახილა თვალები, იგი თუმც პატარა იქმნებოდა, მაგრამ მაინც მოესწრო პატარა კახის მეფობასაც, მის გარდაცვალებას, გიორგი მეცამეტის გამეფებას, შემდეგ, მის სიკვდილს და ქართლ-კახეთში ბაგრატიონების გვარის გამგეობის დასასრულს და საქართველოს რუსეთთან დაკავშირებას. იაკობი 10 წლის იქმნებოდა, როცა საქართველო რუსეთს დაუკავშირდა.

იაკობი პატარაობის დროს თავის მშობლებთან სწავლობდა, შემდგომ კათოლიკის პატრებთან, ქართული ანბანი და წერა-კითხვის ცოდნა მას ჩვენის მეფობიდგანვე ჰქონდა შესწავლილი. მას პატარაობიდგანვე ეტყობოდა საგვარეულო ნიკიერება, ყველა საქმისადმი ლტოლვა და მისწრაფება. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, პირველი რუსული სასწავლებელი 1802 წ. გაიხსნა, ამ სასწავლებელს გარდა ქერთველთ სხვა ძველი სასწავლებლებიც გვქონდა: ოთხი სახალხო სასწავლებელი, ერთი სასულიერო, საექიმო და კათოლიკებისა, 1630 წლიდგან დაარსებული, რომელიც დღესაც არსებობს. იაკობი ამ უკანასკნელს სასწავლებელშიაც სწავლობდა და შემდგომ ამისა, რუსეთის მთავარ-მართებლისაგან გახსნილს სასწავლებელში იქმნა გადაყვანილი. აქ დარ-

ჩა ომდენსამე ხანს, შეისწავლა უფრო უკეთ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, რუსული ენა, სხვა-და-სხვა საგნები, ლათინურიც სკოლნია და სომხური და თათრულიც. მამის სიკედილის დროს იაკობი უკვე ცხოვრების ასპარეზზედ ყოფილა გამოსული, იგი ენერგიით აღვსილი ყოფილა. 1836 წელს იგი უკვე 12 კლასის მოხელედ მოიხსენება, შემდეგ ეს პირი მოხელეობის ხარისხითაც წინ მიდის. ნელ-ნელა იაკობ ზუბალოვი მაღალის ცნობიერებით იმოსება, სხვა-და-სხვა სამრეწველო საქმით იძენს ქონებას და 1837 წ. ადგენს თბილისში ერთს ახალს სავაჭრო ამხანაგობას, რომელიც თითქმის პირველ სამაგალითო ამხანაგობად ჩაითვლება საქართველოში.

სავაჭრო ამხანაგობაშ იაკობის მეთაურობით მთავრობას ნება-რთვა სთხოვა საქართველოში პირველად შაქრის ქარხნის გახსნაზე. მთავრობამ ეს თხოვნა სანაქებოთ მიიღო, რადგანაც 1830 წლებში რუსეთიდგან გზა ძნელი იყო, საქართველოში შაქარი ძვირად და ძნელად მოდიოდა, რაც იცო, ისრც საქართველოს ერის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, და ერთობ ძვირიც იყო, ასე რომ გირვანქა 30—40 კაპ. იყიდებოდა. ხალხში ჩაისა და ყავის სმა წინ მიდიოდა და შაქრის სიძვირე და ხშირი უშაქრობა-კი ძალიან აწუხებდა ხალხს, სპარსეთიდგან, ინდოეთიდგან და ოსმალეთიდგანაც შეაჩერეს შაქრის შემოტანა. 1838 წ. ამათ უკვე შაქრის ქარხანა გახსნეს თბილისში, შაქრის გამოყვანაც დაიწყეს და წელიწადშია 40 ათასი ფუთი შაქარი გამოჰყვანდათ \*). შაქრის ქარხანა პირველად ვერაზედ გახსნეს, მერე ვერაზედ დაკეტეს და კუკია-ში გადმოიტანეს. კუკიის შაქრის ქარხნის სახლი დღესაც არის, კერძო პირს ეკუთვნის, ვერის შენობებში-კი შაქრის ქარხნის დაკეტვის შემდეგ საერო საავადმყოფო გახსნეს, დღეს ამ შენობის ალაგზე სამხედრო სასამართლოს შენობა არის აშენებული.

\*) აქტი, ტ., IX გვ. 51 და 52.

შაქარი იყო პატარა ზომისა, მოყვითალო ფერი ჰქონდა, ცოტა დუნე კი იყო, მაგრამ ტკბილი, ადვილად იმტვრევოდა, თითო თავი 10 გირვანჭიდამ 15 გირვანჭამდე მოვიდოდა, სახელად ამ შაქარს „ქართული შაქარი“ ეწოდა, ნიშნად იმ ქართულის შაქრისა, რომელსაც საქართველოში ჩვენის მეფეების დროსაც აკეთებდნენ. სადაც-კი მიხვიდოდით და იკითხავდით, ყველგან ეს შაქარი „ქართულ შაქრათ“ იწოდებოდა, იგი გირვანჭა 15 კაპ. იყიდებოდა და ხალხსაც ძრიელ მოსწონდა, ტკბილი იყო, იაფი და მასთან პატარა თავებად იყიდებოდა. საუბედუროთ ამ შაქრის ქარხანას მომავალში არსებობის საქმე ვერ წაუვიდა კარგათ: გზა გაიხსნა, დრონი იცვალნენ, რუსეთიდგან ჩაი-შაქარი მრავლად იწყეს შემოტანა, უცხოეთიდგან მოსულნი უფრო რუსულ შაქარს ხმარობდნენ, საქართველოს ერიც რუსულ შაქარს შეეწყო, რადგანაც ეს უფრო მაგარი იყო და მაგარი შაქრის უფრო ცოტა ეხარჯებოდათ, ამიტომ უკანასკნელ „ქართული შაქრის“ ქარხანა დაიხურა. დაბურვის შემდეგ სიტყვა „ქართული შაქარი ინგლისურს შაქარს შეენაცვლა, რადგანაც ინგლისური შაქარი ძრიელ წააგავს „ქართულ შაქარს“. თვით ეს სახელი „ქართული შაქარი“ საქართველოს ვაჭრებში და ხალხში (თბილისში) 1880 წლებამდე იხმარებოდა, დღეს კი ამის ხსენება აღარსაღ არის დაშთენილი, ვგონებ დღევანდელ ქართველთ სიზმრათაც არ გაახსენდებათ „ქართული შაქრის“ ხსენება.

„ქართული შაქრის“ ქარხნის ამხანაგობის და ი. ზუბალოვის მოქმედება ნელ-ნელა უფრო წინ მიღიოდა, ამათ მთავრობისაგან აიღეს სხვა-და-სხვა სავაჭროების წარმოების უფლება, რაის სამაგიეროთაც მთავრობას საიჯარადროდ 120, 115 მან. აძლევდნენ. ასეთი ფულის ძლევა იმ დროის კვალობაზედ ჩვენ ეთთობ დიდს საქმედ მიგვაჩნია, დღეს ეს მილიონს უნდა უდრიდეს. ამ საიჯარადრო საქმეთა მრეწველობის ას-

პარეზზედ ი. ზუბალოვმა საკმარისი მხნეობა გამოიჩინა, აღებ-  
მიცემა და მრეწველობა კარგათ წაიყვანა. ამ ამხანაგობის გა-  
რეშე, თვითაც იღებდა კერძო „ფოდრატებს“ და ამ „ფოდ-  
რატების“ საქმესაც კარგათ ასრულებდა. ამას გარდა კერძოთ  
ვაჭრობაც ჰქონდა აქა-იქ გამართული და დიდძალს პურს,  
სიმინდს და ქერს ჰყიდულობდა, რაც ერთობ კარგათ ჰქონ-  
და მოწყობილ-მოხერხებული და მით დიდძალ პურსა და  
ქერსაც ჰყიდდა, ამითიც კაი მხარს აძლევდა ქართლის  
გლეხ-კაცობას და დადს დახმარებას უჩენდა, რადგან მათ პურს,  
სიმინდს და ქერს კაი ფასათ ყიდულობდა, რაც სხვა ვაჭ-  
რებს ძრიელ ეჯავრებოდათ და ამიტომ ზუბალაშვილებსაც  
სასტიკათ მტრობდნენ. ეს მტრები გორის ვაჭრები იყვნენ,  
უკანასკნელ ამაზედ საჩივარიც ატყდა, მათ ბრალს სდებდნენ  
ქართლში გლეხებისაგან პურს ძრიელ იაფათ სყიდვაზე. გორის  
წვრილმან სომეხ ვაჭრებმა ზუბალაშვილებს ცილის დაწამება  
არ აკმარეს, თავიანთ საქმეშიაც ჩარიეს, გლეხებშიაც ხომ  
გავრცელეს, რომ „ზუბალაანთ ჩანახი“ ყველაზედ დიდი ჩა-  
ნახიაო, მაგრამ უკანასკნელ ვერაფრით რა გააწყეს და სიმარ-  
თლე იქმნა აღდგენილი, ცილისმწამებელნი ცნობილ იქმ-  
ნენ, ზუბალაშვილებს ვერავინ რა უყო. გორელი ვაჭრების  
ხრიკები მარტოდ მათვის დარჩა, სხვას ვერა ავნო-რა. ეს  
რომ მართალია, და „ზუბალაანთ ჩანახი“ უბრალოდ არის  
მოგონილი გორის ჩარჩებისაგან, ეს იქიდამაც კარგად მტკიც-  
დება, რომ ამ ცილის-წამების შემდეგ არ გავიდა დიდი ხანი,  
რომ საქართველოში პურის მოსავალმა დიდათ იკლო, გლეხ-  
კაცობა გაჭირებაში ვარდებოდა და ამ გაჭირვებაში ზუბალა-  
შვილებს არ დაუვიწყნიათ ქართლის დარიბნი და დახმარება  
უძლევებით იქ, სადაც ეს საჭიროთ დაუნახავთ. 1856 წ. თბი-  
ლისში, დიდის სიძვირისა გამო, ი. ზუბალაშვილმა 500 მან.  
შესწირა თბილისის ლარიბთა სასარგებლოდ \*).

\*) აქტი XI ტ. გვ. 697.

იაკობ ზუბალოვი გარდაიცვალა 1864 წ. შობიდგან 72 წლისა, ეს დასაფლავებულია თბილისის კათოლიკების სასაფლაოზედ. საფლავის ქვას ქართული წარწერა აქვს.

ერთი საყურადღებო მხარე კიდევ საზოგადოთ ზუბალა-ანთ გვარისა და კერძოთ დღევანდელის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის მამა-პაპისა. ჩვენ, ქართველები, ძველიდგან მარტოდ ლვინის ხმარებას ვიყავით შეჩვეულნი, რასაც ვეწყობოდით და საკვეთაც ვხმარობდით, მარტოდ მისი მოყვანა და შემუშავება ვიცოდით, მისი განვითარება. მაგრამ ქართლ-კახეთის ერთ ლვინოსთან არაყსაც კარგათ ეწყობოდა, აქ ჭავის არაყი დიდს ხმარებაში იყო, მთის ხალხშიც ხომ არაყი ოყო გავრცელებული და ლუდი (პივა). ქორუმშილი, ლხინი, ალაპი და ყველა ნადიმი ქართლსა და კახეთი ლვინო და არაყით იცოდნენ. აქეთ ჭავა უქმათ არ რჩებოდა, მაშინდელი ჭავის არაყი დღევანდელს საუკეთესო კონიაკს უდრიდა. მაშინ ჭავის არაყი ძლიერ იაფიც იყო, მთის ხალხში არაყს უფრო პურის, ქერის, სიმინდის, ფეტვის და ხილისგან ხდიდნენ. იმერეთში-კი ეს არ იცოდნენ, იმერეთში არაყი ძლიერ მცირედ იხმარებოდა და დიდი ძალი ჭავა უბრალოდ იკარგებოდა, მისგან არავინ რას სარგებლობდა. ამ გარემოებას ი. ზუბალაშვილმა საკმარისი ყურადღება მიაქცია, შეადგინა პატარა ამხანაგობა და მთავრობას თხოვნა მისცა იმერეთში არყის ქარხანის გახსნის შესახებ. ასეთ ქარხანის გახსნას მთავრობაც საჭიროებდა და თვით ხალხიც, რაღაც დროსა და გარემოებას თავისი ნარუქები მოჰქონდა.

იაკობ ზუბალაშვილმა მალე მიიღო ნებართვა. ამ საამხანაგო საქმეში უახლოვეს ამხანაგათ გიორგი ზუბალაშვილიც ირიცხებოდა. ამათ ჭუთაისის ახლოს გახსნეს არყის ქარხანა და არყის გამოსახდელად გლეხთაგან ჭავის შესყიდვაც დაიწყეს. აქამდე თუ გლეხნი ჭავას უბრალოდ აპნევდენ, 1835 წლიდგან მათ მიეცათ საშუალება, რომ იგი უბრალოდ აღარ ეპნიათ და ფულზედ გაეყიდნათ. იმერეთში პირველა მაგალი-

თი იყო, რომ გლეხთა შორის ხმა გაისმა, რომ ი. ზუბალოვი ჭავას ყიდულობსო. ჭავას იმდენს ყიდულობდნენ, რომ წელიწადში 7200 ვედრა ჭავის არაყი გამოჰყვანდათ. ეს რიცხვი იმ დროის კვალიათ დიდ რიცხვათ მიგვაჩნია. გარდა ამისა, მან იმერეთის ერსაც ასწავლა არყის კეთების ოსტატობა: საღაც სულ არ იცოდნენ, იქ საკმარისად შეისწავლეს და სადაც იცოდნენ ძველიდგანვე მცირედ გამოხდა, იქ უფრო გააუმჯობესეს. საზოგადოთ იმერეთში არყის გამოხდის ხელოვნობამ შესაფერი სახე მიიღო და მის გასაღებას და აღებ-მიცემასაც ერთი ათად მიემატა ვაჭრობა. მალე იმერთა შორის არყის ვაჭრებიც გაჩნდნენ, უკანასკნელ, რაღაცაც არყის გამოხდა და ვაჭრობა საეროდ გარდაიქცა, ზუბალაშვილებმა თავიანთი ქარხანა დაკატეს.

ძველიდგან, საქართველოში, წურბლის ჭერას სავაჭრო სახე ჰქონდა მიცემული; ის ტბები, საღაც წურბელი იცოდა, სამეფოსაგან იჯარით იცემოდა, რაღაცაც მაშინ წურბელი საქართველოს გარეშე სპარსეთსა და ოსმალეთშიაც დიდი ძალი გაჰქონდათ, იმდენი, რომ მისი საკმარისი ვაჭრობაც იყო გამართული; ვაჭრობდნენ ზოგს ალაგას ქართველი დალაქები და ზოგს ალაგას კერძოთ ამისთვის დანიშნული ვაჭრები, რომელთაც ხელოსნები ჰყვანდათ და აქა-იქ ტბებში წურბელას იჭერდნენ. წურბლის იჯარა რუსეთისგანაც იქმნა მიღებული და ერთ დროს წურბლის იჯარა ზუბალაანთ გვარის ერთმა წევრმა (ნ. ს.) 2000 მანეთად აიღო, რაც მაშინ ეს შეუძლებელი იყო სხვათაგან. ამ პირმა წურბლის წარმოების საქმე ფეხზედ დააყენა, მის წარმოებას სპარსეთსა და ოსმალეთს უფრო წარმატების გზა გაუკვლია \*). უნდა ვსთქვათ, რომ ყოველთვის და ყოველგან, ასეთს საქმეებში, ქართველთ დიდს ხელმძღვანელობას უწევდა ივანე ზუბალოვი, პაპის მამა დღევანდელის სტეფანე ზუბალოვისა და აგრეთვე იაკობ ზუბა-

ლოვი. ვინც რა უნდა სთქვას და ჩვენს საუბარს სხვა სახით შეხედოს, მე მაინც ამ პირებს შესაფერის პატივით ვუმზერ და ჩემის პატივისცემის საფუძვლად ვხმარობ მარტოდ იმ საყურადღებო საქმეთა მაგალითებს, რომ საქართველოში შაკრის ქარხანა ზუბალაშვილის მეთაურობით გაიხსნა, შაქარსაც სახელად „ქართული შაქარი“ ეწოდა. ეს, გატონებო, ჩვენს გათახსირებულს ცხოვრებაში მეტად დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. მოკლედ რომ მოგახსენოთ, 1800 წლის შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს დაუკავშირდა, მას შემდეგ ქალაქ თბილისს, ქუთაისს, გორს, ახალციხეს და სხვა ქალაქებშიაც ისე რამე სამრეწველო საქმე არა დმწყობილა-რა, ისე რამე საქმის ქარხანა არ გახსნილა, რომ იქ ზუბალაშვილებს რამე მონაწილეობა არა ჰქონდათ მიღებული. ჩვენ აქ ყველა წვრილმან საქმეთა მოხსენებით მკითხველს თავს არ მოვაძე-ზრებთ, ამის ცნობას მხოლოდ მოკლე განმარტებით ვაუ-წყებთ, თუმცა ისიც-კი უნდა ითქვას, რომ ყოველს მათს წვრილმან საქმეთა და მოქმედებათა ცნობებსაც ერთობ კარგი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის ეკონომიკურად, ხელოსნურად და ვაჭრობითი აღორძინების ასპარეზზელ. ამ ღირსებას ზუბალაშვილებს ვერავინ წაართმევს და სადაც ერთი და ორი ძველ მოქალაქეთა გვარი და სახელები აიწერება და დაიხა-ტებიან, იქ ზუბალაშვილების გვარის წევრთა მოღვაწეობის ისტორიაც საკმარის ადგილს დაიკავებს. ამას განმარტება არ უნდა.

ამ გვარს რომ ძველადგანვე რუსეთის მთავრობა იმ პატივისცემით უმზერდა, როგორც ამათ საქართველოს მეფეების დროს უმზერდნენ და როგორის ღირსებითაც თვით იაკობ ზუბალოვი სამეგრელოს მთავარმა რუსეთის მთავრობის წინაშეც წარადგინა, ეს პატივისცემა კარგათ სჩანს იმ გარემოებიღამაც, რომ 1855 წელს ერთს ზუბალაშვილს (იოსებს) სხვა-და-სხვა შემთხვევების მეოხებით დიდი ზარალი მოუვიდა. ამ ზარალის მიზეზი კი 1855—57 წ. ომსაც ედებოდა, ამი

ტოშ მთავრობაშ ზუბალაშვილს ნდობის თვალით შეხედა და მას თვრამეტი ათასი თუმანი აპატია (180,000 გ.). ვგონებთ, ამოდენა ფულის პატიება მთავრობისაგან დიდს განძაღ უნდა ჩაითყალოს რომელიმე ისტორიულის გვარისთვისს/კ-კი. განა ჩვენ ქართველთ ცხოვრებაში ასეთი მაგალითები აღსანიშნავი არ არის? განა თვით ეს ცნობები არ აჩენენ შესამჩნევ ღირსებას? ზოგიერთები ძანებენ, რომ ქართველთ შორის სამრეწველო მოძრაობა ისე იყო დაქვეითებული, რომ ქართველთ არც მთავრობა უმზერდა ღირსეულის თვალითო, ქართველებში იგი მარტოდ სოფლის მხვნელ-მთესველს გლეხ-კაცობას ხედავდა, ქალაქში მუშებს, ხელოსნებს და თავალ-აზნაურებსო, სავა არაფერსო. ეს არ გახლავსთ მართალი. მთავრობა რომ ქართველთ პატივით უმზერდა, ეს კარგათ სჩანს იმ გარემოებიდამაც, რომ მან ბევრი რამ „საფოდრატო“ საქმეები ზუბალაშვილებს მიანდო, ნდობა იმ ზომამდის ავიდა, რომ ივანე და მისმა სახლიკაცებმა 1810 წლებში, თბილისში ფქვილის და ხორბლის მაღაზიაც გახსნეს. ამას გარდა, ჩვენ ისე რამე სამრეწველო საქმის დაწყობას ვერ ვნახავთ, რომ იქ რომელიმე ზუბალაშვილს მონაწილეობა არ ჰქონდეს მიღებული. მართალია, ბევრში ესენი არ იყვნენ უდიდესი პატრონები და მათ თავიანთ ამხანაგებზედ მეტი არა ეკავათ რა, მაგრამ საქმე ის გახლავსთ, რომ შაქრის ქარხნის გახსნა, არცის, სხვა-და-სხვა საქონლის შეტანის თუ გატანის და სავაჭრო ამხანაგობის შედგენის მეთაურობა ამათ ეკუთვნისთ, ამათ საკუთრებას შეადგენს.

საუბედუროთ, ჩვენ მარტოდ ჩვენს საკუთარს წარსულზედ ვსჩივით, რომ ჩვენი ძველები ქართველთ მეფეთა, მთავართა და ღიღებულთა გარეშე სხვა არაფერს სწერდნენო. უნვართა და ღიღებულთა გარეშე სხვა არაფერს სწერდნენო. საუბედუროთ არც ესენი აპყრობანამედროვე ქართველებზედ. საუბედუროთ არც ესენი აპყრობდნენ ყურადღებას შინაგან ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეებს და მის ავკარგიანობის დაკვირვებას. აბა ქართველებში ვინ რას

მოიფიქრებდა მრეწველობის, ხელოსნობის და ამის ასპარეზზე ენერგიულად მომქმედთ პირთა შესახებ რამის დაწერას!.. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ ქართველთ ბევრი რამ დირსეული ცნობები არ დაგვეკარგებოდა.

### ქუთაისის დარჩენილი ამბები.

ქუთაისის ქართველ კათოლიკეებს ძველადგანვე ხის ეკკლესია აქვნდათ. ქვის ეკკლესიის კეთებას ვერ ახერხებდნენ, რადგანაც იმერეთი ოსმალთაგან დიდს დევნაში იყო. კათოლიკეთ ეკკლესიის საჭმე ისეთ მდგომარეობაში იყო მოთავსებული თათრებისაგან, რომ საეკკლესიო ნივთებს, მღვდელს ღამე ეკკლესიიდგან შინ მოჰქონდა და ინახავდა. ეს შიშიანობა სოლომონ მეფის დროს მთლათ მოისპო, ოსმალნი დააწყნარა, დააოკა, პირობა ჩამოართო, რომ მათ იმერეთზედ ჩუმათ თავდასხმა აღარ შეეძლოთ. ვაჭრობაც აყვავდა, ხალხი ფეხზედ დადგა, ყველაფერს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო. ამ დროს, მეფე სოლომონის კარზედ დიდათ დაახლოვებული იყო ივანე ზუბალაშვილი და მისი ძმები. მეფე მათ დიდს პატივს სცემდა და ესენიც მორჩილებით ემსახურებოდნენ მეფეს, სასახლისათვის სავაჭრო საქონელი სულ ამათ შემოჰქონდათ. 1789 წ. ქუთაისში დაიწყეს ქვითკირის ეკლესიის აგება და იგი მაღეც დაამთავრეს. ამ ეკკლესიას 1793 წელს ივანე ზუბალოვმა და მისმა ძმებმა სხვა-და-სხვა ნივთები შემოსწირეს. შესაწირავი კაი ფასის ყოფილია.

ეს ეკკლესია 1800 წლების შემდეგ მრევლისთვის ძრიელ მცირეთ აღმოჩნდა, რადგანაც ახალციხიდგან დიდი ძალი კათოლიკობა გაღმოდიოდა ქუთაისს სავაჭროდ და ბევრნი უკან აღარც კი ბრუნდებოდნენ; ვითარცა ქართველნი, ესენი სოლომონ მეფის ხელში დუხშირობით ცხოვრებას რჩეობდნენ, ვიდრე ახალციხეს და სხვა ოსმალოს ქალაქებში კეთილ დღეობას და ცხოვრებას. ასე რომ 1810 წლამდე, უქ-

თაისი ახალციხელი კათოლიკეებით მთლათ გაივსო. რაღან ეპკლესია უხერხული ჰქონდათ, ერმა გადასწყვიტა ახალის ვკლესის აგება. ამ საქმეს ყველამ დიდის პატივით შეხედა და აქაც ზუბალაშვილებმა მონაწილეობა მიიღეს და ეპკლესის ასაშენებლად საკმარისი ფული შემოიტანეს. ამათი დახმარება ადრე ქუთაისის მოხუცებულთ შორის მრავალთ იცოდნენ.

ეპკლესის ცნობებიდგან სჩანს, რომ ზუბალაშვილებს ქუთაისის ეპკლესისათვის არც აშენების შემდეგ აურიდებიათ თვალი და შეძლების-და გვარათ ყოველთვის კეთილის თვალით უმზერიათ და დახმარებაც უძლევიათ.

ზ. ჭ.



# სახალხო სიტყვიერება.

ისტორიული დეპენდები თაშარ მეფეზე.

(სოფ. საქარაში გაგონილი).

„თამარ მეფე, დედოფალი“ ძლიერ სახელოვანი მეფე იყო. სულ ცახცახი გაჰქონდათ თათრებს, სანამ ის ცოცხალი იყო. თამარი ხშირად მოგზაურობდა ხოლმე თავისს სამეფოში და ამ მგზავრობის დროს, საცა-კი ადგილი მოეწონებოდა, ეკლესია-მონასტრებს აშენებდა. ეს მისთვის მეტად ადვილი იყო: მას თან ახლდა ხოლმე ურიცხვი ამაღა, თავად-აზნაურთა ქალათაგან შემდგარი; ამ ამალის ქალებს თამარისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ყველას სათითაოდ თავსაფარის ყურში გამოიხვია ცოტაოდენი კირი და თან ეტარებინათ. აი ეს თავსაფრის ყურში გამოხვეული კირი ერთად საკმარისი იყო რამოცვენიშე ეკლესიის ასაგებად.

თამარი გაივლიდა სოფელში, ჩამოხტებოდა, ოსტატებს (ისინიც მუდამ თან ახლდნენ) დაუძახებდა და სულ მცირე ხანში ეკლესია მზად იყო. მისი მხლებელი ეპისკოპოსი აკურთხებდა აშენებულ ეკლესიას და თამარი ახლა სხვა სოფელში წავიდოდა. იქაც ასე ააგებდა, აკურთხებინებდა ეკლესიას და მერე სხვაგან წავიდოდა. ასე მგზავრობდა ხოლმე თამარი, სანამ კირი არ შემოელეოდათ.

თამარი ამასთანავე მეტად გულ-მოწყალე იყო. ისე დღე არ წაუვიდოდა, რომ რამე მოწყალება არ გაეცა. სამოწყალოდ ის უფრო თავისს ხელით ნაკეთებს და ამ ნაკეთებში აღებულ ფულს არიგებდა.

ამისთანა საქმეებისთვის ის აამაღლა ღმერთმა ამ ქვეყნა-დვე. ჯერ ერთი ის, რომ ხონთქარი და შაჲ მისი შიშით ძრწოდენ: ისინი ვერ ბედავდნენ არამც თუ ომის ატეხას, უბრალო ფიქრსაც ამაზედ. გარდა ამისა, ღმერთმა ამ ქვეყნა-დვე დაანახვა ხალხს თამარის სიწმინდავე: ის ეკლესიაში ლოცვის დროს იატაკზე კი არ იდგა, არამედ ნახევარი აღლის სიმაღლეზე ჰაერში იყო გაჩერებული. უცელა გაოცებული იყო ამ სასწაულით. თამარიც, რასაკვირველია, ხედავდა თავისს ეგეთს ბედნიერებას და სულ იმის ცდაში იყო, რომ ეს ბედნიერება არ დაეკარგა. ამისათვის დღე და ღამე სულ ლოცულობდა და კეთილ საქმეებს ამრავლებდა.

დიდებულები და კარის კაცება-კი არ ასვენებდენ სახელ-ქებულ დედოფალს. ისინი სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე დაეთანხმებინათ ქალწული თამარი ქმრის შერთვა-ზე. მაგრამ თამარი ცივ უარზე იდგა და არაფრის გულის-თვის არ თანხმდებოდა. დიდებულებს არ უნდოდათ უმემკვი-დროდ დარჩენა და ამისათვის სულ იმის ფიქრში იყვნენ, რომ ძალით, ნებით თუ მოტყუებით თამარისთვის ქმარი შეერ-თოთ. თამარს-კი უბრალო საუბარიც ქმარზე დიდ მომაკვდი-ნებელ ცოდვათ მიაჩნდა.

როდესაც თხოვნით, მუდარებით და მუქარითაც ვერა-ფერი გააწყეს, დიდებულნი შეითქვნენ და კათალიკოსის ნე-ბართვით გარდასწყვიტეს, რამე ნაირად შეეპარებინათ ვინმე მამაკაცი მძინარე თამარისთვის. მაგრამ ვინ უნდა შეპაროდა წმინდა დედოფალს? ვერავინ ვერ ბედავდა ამ საქმის ჩადენას ლვთისა და მეფის შიშით. ბევრის რჩევის შემდეგ მიმართეს ერთს ვაჟკაცობით და თვალ-ტანადობით სახელ-განთქმულს ჭაბუკს. ჭაბუკი ვერ ბედავდა ამ საქმის ჩადენას, მაგრამ რო-გორც იყო დაითახმეს.

ერთ დღეს თამარს წვეულება ჰქონდა და ძლიერ მხია-რულადაც იყო. დიდებულებმა განიზრახეს დაეთროთ თამარი და ამიღამვე შეესრულებინათ თივიანთი განზრახვა. მაგრამ

თამარი ღვინოს არ სვამდა მომეტებულს. ღვინით რომ ვერაფერს გახდნენ, ძილის წამალი შეაპარეს ღვინოში და დაალევინეს მხიარულს დედოფალს. დედოფალს ძილი მოუვიდა, თავისს ოთახში გაიყვანეს. იქვე შეიყვანეს ჭაბუკი და კარი გამოხურეს...

მეორე დღეს თამარი ჩვეულებრივ ადრე ადგა და წირვის მოსასმენად შევიდა კარის ეკლესიაში. თამარმა ჩვეულებრივ გულმოდგინეთ დაიწყო ლოცვა. ამ დროს მან შენიშნა, რომ იატაკზედ იდგა და ტანიც მეტად დაჰმიმიმებოდა. თამარი ძლიერ შეაწუხა ამ გარემოებამ და ის მაშინვე შინწავიდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მას მოაგონდა ვიღაც ადამიანის სხეულის ყოფნა მასთან და მეტი არაფერი. მან ერთბაშად მოიაზრა, რაშიაც უნდა ყოფილიყო საქმე და გული წაუვიდა. როდესაც გონს მოვიდა, მოჰყვა ტირილს და გოდებას. დიდებულებს არ იკარებდა და სულ ძაბა შემოსილი იდგა ხატის წინ და ლოცულობდა.

თამარმა მუცლად-ილო და შვა ვაჟი. მას არ უნდოდა თვალით დაენახა ეს „ცოდვის შეილი“ და ტირილით და გოდებით უბრძანა დიდებულებს, რომ ახლად შობილი წაეყვანათ და დიდ უსიერ მთაში დაეგდოთ ღვთის ანაბრად. დიდებულებმა ვეღარ გაბედეს თამარის ხელ-მეორედ მოტყუვება, წაიყვანეს ყმაწვილი და ღვთის სახელით დასტოვეს უსიერ მთაზედ.

ბავშვი მოჰყვა წივილს. ამ დროს ღვთის განგებით განდა ფურ-ირემი ამ ბავშვთან და ძუძუს წოვება დაუწყო. ამის მერე ირემი თავ-თავის დროზე მოვიდოდა ყოველ დღე და ძუძუს აწოვებდა, ავდარში-კი გვერდით უწვა—არ შესცივდესო. ასე იზრდებოდა ეს ღვთის ანაბრად დაგდებული ბავშვი.

გავიდა რამოდენიმე ხანი. თამარმა დიდი ლოცვა-მარხულობა-მოწყალებით მოიქარვა თავისი მწუხარება. ერთ დღეს დიდებულებმა ურჩიეს სანადიროდ წასვლა და თავის გართო-

ბა. თამარი დათანხმდა და განვებით სწორედ იმ უსიერ მთაში შევიღნენ, სადაც დიდებულებმა ბავშვი დასტოვეს. აქ თამარმა შენიშნა, რომ ერთი ირემი პატარა, ორი თუ სამი წლის, ბავშვს ძუძუს აწოვებდა. თამარის ახლოს მდგომმა ერთმა მონადირემ თოფი დაუმიზნა. თამარმა თოფს ხელი აუკრა და თოფი ჰაერში დაიცალა. ირემს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ყმაწვილი ვერ დასტოვა. ყველა გააოცა ამ ამბავმა, ეგონათ მოჩვენებააო.

თამარს რაღაცამ ტკბილად უკბინა გულზე. მივიღნენ და ნახეს, რომ ყმაწვილი — თამარის შეილი იყო. დიდად გაიხარეს და ლმერთს ქება-დიდება შეასხეს. თამარმაც ძლიერ გაიხარა და ლმერთს მაღლობა შესწირა. როდესაც ყმაწვილი წამოიყვანეს, ირემიც უკან დაედევნა.

ბავშვი მონათლეს. ის ძლიერ კარგი თვალ-ტანადი ყმაწვილი იყო. როდესაც დავაუკაცდა, მას უთხრეს მისი თავგადასავალი და ირმისაგან გაზრდა. მან მას აქეთ აჰკვეთა ირმის ხორცის ჭამა და ირემზე ნაღირობაც. „ამიტომაც არისო, — დააბოლოვა საქარელმა მოაშეგმ, — რომ მისი ჩამომავლობა, ბავრატიონები, ირმის ხორცს არა სჭამენო“.

ჩაწერილი ბ. ებანოიძის-მიერ.

## სახალხო იგავ-არაკნი.

კურდლელი და ბეჭუნი.

(სთქვა ს. ხელთუბანში მცხოვრებმა გლეხმა შაქრო გაგნიძემ 1896 წ.).

კურდლელი ნამიან ჯეჯილსა სძოვდა; დაინახა ცაში მფრინავი არწივი. შეშინებული კურდლელი ხნულის კვალში

ჩაწვა და სულ-ტყავი გაჭიმა, ისეთია, სულ გაიტყობაპა, მიწას დაეკრა,—ეგები ვერ დამინახოს არწივმაო. იქვე თურმე ერთი ბაყაყი იჯდა. ალბათ ისიც ბუზებს თუ ელოდა. დაინახა გატყლაპული კურდლელი, გაექანა, შეახტა კუნკრუხოზედ და დაუწყო დაჭადება:

— ჰე, ჰე, კურდლელო, უნდა გაგლლიტოვო!

კურდლელს რა იმის დარდი აქვს, ისეთია, შიშით სულს ვერ იქცევს, არწივს შესცეკრია.

ბაყაყი კიდევ თავისას არ იშლის.

— რატომ ხმას არ იღებ, რომ გლლეტავო? — ჰკითხა ბაყაყმა.

— ნეტა როგორც შენ ვერაფერს მიზამ და ვერც არას შენი ფაფხურით, ისე აიმ არწივს გადვურჩეო! — უპასუხა კურდლელმა.

### აღზევანს წამსევლელი შოშეერი.

(სთქვა შაქრო გაგნიძემ 1896 წ.).

ახალგაზდა, გამოუცდელი მოზვერი ურემში შაებათ და აღზევანში მიღიოდნენ. ჩამოიარეს სოფელში და ეს მოზვერი სულ. მოთამაშობს.

— საღ მიღიხარ, მოზვეროვო? — ჰკითხა გზის პირზედ მდგომმა ბებერმა ხარმა.

— „აღზევან გედერამო“, — დაუთათრულა თავ-მომწონედ მოზვერმა (როგორც ეხლა რუსულია მოდაში, ისე მაშინ თათრული იყო).

მობრუნდნენ ურმები აღზევნიდგან. დავარდნილა მოზვერი, ისეთია, ფეხებს ძლივს მოათრევს.

— საღ იყავ, მოზვეროვო? — ჰკითხა ბებერმა ხარმა.

— აღზევანს და ჯანდაბასაო! — მოუქართულა დავარდნილმა მოზვერმა.

ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის-მიერ.

## ამპარტუაზი წაბლი.

წაბლის ბუძგვი ხეზე პირი გააღო, იქიდან მშვენიერი მსხვილი წაბლი გამოვარდა და ძირს ტყეპა მოადინა. წაბლმა მიიხედ-მოიხედა იქით-აქეთ და სთქვა: „სიდან გავჩნდი ამ უშნო ადგილზეო?“ მერე მაღლა აიხედა და პირდაღებული უშნო ბუძგვი რომ დაინახა, მწარედ გაიფიქრა: „სწორედ იქიდან ვარო“!.. აათვალიერ-ჩაათვალიერა თავისი თავი და წუწუნს მოჰყვა: „ჰმ, განა იმ უშნო ბუძგვიდან ვარ... აფსუს, ჩემის-თანა ლამაზი წაბლი ამისთანა უშნო ბუძგვის შვილი ვიყო!؟“

ამ ღროს ტყეში მსუნაგი ღორი დაიარებოდა. ხან რას შესჭამდა, ხან რას. მიატანა ამ მოწუწუნე წაბლსა და ვითომც აქ არაფერიაო, მოზუნზლული ტუჩებით შექამა. ახიც იყო მის თავზე!..

ჩაწერილი ბ. ებანოიძის-მიერ.

## ნ ა კ ვ ე ს ი.

გზაზე აკაკის „დიდი“ დავით ორბელიანი შემოეყარა. აკაკიმ გვერდი აუარა და ჩაილაპარაკა: „დათვი ორბელიანიო“. დავითმა ამას ყური მოჰკრა, აენთო, მოწმები დანიუნა და მსაჯულთან უჩივლა. აკაკიმ პასუხად სთქვა: „მე ვსთქვი, რომ დათვი ორ-ბელიანი უფრო ხშირად არის, ვინემ სამ-ბელიანიო“. ასე გაიმართლა თავი ენა-მახვილმა პოეტმა.

დაბალ ხალხში გაგონილი და ჩაწერილი ბ. ებანოიძის-მიერ.



# სახალხო ლექსები.

მინდა ვეწვიო ვეღთაძეს,  
ქათმები ბეჭრი ჰულლია.  
საქათმეს შემოგუარე,  
მამალს წაფავლე ხელია;  
მამალმა ისე შეჭებირა,  
სულ შემიუარა ერია,  
სულ ერთიან თავს დამხვია  
ერეთის კაცი, მღვდელია.  
მღვდელსა შენდობა მოვთხოვე,  
პამომიშვირა ხელია,  
დავათრინდი და გუგბინე,  
თვალი მოვადინე ცრემლია.

—  
ნახ: ბაანთ ქალი კიუაგ,  
სიუმიანთი ჰატარძალი,  
მუტრუგები დამექარგა,  
ხელთ აფილე თითას-ტარი,  
ვენახების ბოლოს ჩაველ,  
იქ დამიხედა აფილარი,  
ცხენი გვერდზე გამიტარა,  
გამიცინა, მიუთ თვალი...

—  
გუშინ რომ ვიუავ ღორშია  
ნაფალი ვნახე მტრისათ,

გავუწიდე და ვესროლე,  
მოვარცუი კულის ბისათ.  
ჩვენი შატანა გიგილა  
დებს მოლდვია ქვეშათ...  
— მოშეგდე, ძმათ გიორგი,  
თქვენი ვარ, განა სივისათ!..  
ისე დაბრუნდა გიორგი,  
როგორც ბორბალი წყლისათ,  
გაფა და გაფა ლეპები,  
როგორც ტატები სისათ...  
დახე სამშაურაშვილსა  
ლებს ეკელიგითა სთლისათ,  
ჩემი ხასჯალი მეგონა,  
შენიც ხომ კარგათ სჭრისათ.

კახეთში ჩაწერილი ჭ. ჩხიცვაძის-მიერ.

**Q**მერეთი დამივლია,  
ქართლი შემიჯერებია,  
არ მინახავს შენისთანა,  
უელი მოგიღერებია,  
წამწამსა და წამწამს შეა  
ბალი გაგიშენებია,  
შიგ სურვილი დაგინერგავს,  
გაცი მოგიუენებია.

—  
უოვლად წმიდა კარს გადგია,  
გეუურება გალთბათ,  
ჩაიცვი და დაიხურე,  
მოგიხდება გალთბათ.

ადი, ქალთ, მაღლა ხესა,  
ჩამოყარე ბროწევლი,  
ჩამოდი და გვერდო მომიჯუძე,  
ქამსა \*) მოგცე დაწერილი..  
— არცა მინდა შენი ქამსა,  
არცა შენი დაწერილი.  
ისევ ქმარი მირჩევნია,  
გვირგვინშია ჩაწერილი.

—

ვაურ, მი შენი ქებათ  
არა ვსთქვა, არ იქმნებათ:  
ჰურის ჭამაზედ მარდი ხარ,  
საქმეზედ წელი გწედებათ.

### აზნაურის მუცელი.

მუცელი აზნაურისა  
ადლი და ნახევარია,  
საწყალი გლეხი ქაცისა,  
არც იმის ნახევარია!

### ორი კაცი

ნამგალაობა მოფიდა,  
ნამგალაობა, ნამჯობა,  
წრეგანდელ მამითადშია  
შეაში გერავინ მაჯობა.  
— მეჯრუხევილგან გამოვა  
ეშმაკობა და ქაჯობა,  
თუ შენ ქრისტიანი იუგე,  
რატომ გერავინ გაჯობა?

\*) აბრაშუმის ნაკსოვი.

— კარებზედ შემა გიგდია,  
უფელი ხარის სათარი,  
თუ შენი ქალი კარგია,  
გასათხოვარი რათ არი?  
— ღმერთმანი ქალაქს უოფილხარ,  
მოგიტანია სათაფი,  
შენ იმ ნაირად გახველებს,  
ფილტვი გეჭნება წამხდარი.

ნათქვამი ბაბო ილურიძისა და ა. ფალელაშვილის-  
მიერ ქართლში და ჩატერილი თ. რაზიკაშვილის-  
მიერ.

---

### არგვეთის ლექსი.

(წარმოდგ. მასწ. დ. ფოცხვერაშვილისგან)

**კ**რგვეთის ამბავს თუ იყითხავ,  
ბოლოსა აქვს დიდი ტეჭრი,  
ტალახი იცის ისეთი,  
როგორც ქვაბში ტებილის კვერი,  
წეალი წეალს არ ემსგავსება,  
ღვინოსა ღვეს ფალის ფერი,  
ორშაბათ დილა გათენდა  
ქვემოთ მიდიშ ქალის ჯარი,  
ხელთ სჭერიათ კალათები,  
დანა, ლინწი, მათი ხმალი,  
იმას თავს ლაფი დაესხას,  
ვინც იქ გაათხოვოს ქალი.  
ჩატერილი ს. სადემეტრაოში, ქუთაისის მაზრისა,  
მოსწავლის რაედენ ჯანელიძისაგან.

---

ସାହିତ୍ୟକୁ ପାଇଲା.

ଅନ୍ୟାନ୍ୟକିଂତ ଏହାର ପାଇଲା,  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା.

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା.

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା.

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା.

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା.

ସ. ମାତଥିଜୀଶୀ ହାତ୍ତିରିଲି  
ଗାନ୍ଧାର କୃତିମିଳ.

ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଦେଶ

**ପ୍ରାତିକାଳ** ଦିନ୍ଦ୍ରିୟ ଶରୀରରେ,  
ପ୍ରାତିକାଳ ତଥାରିକାଳ,  
ପ୍ରାତିକାଳ ମହାକାଳ,  
ପ୍ରାତିକାଳ ତଥାରିକାଳ.

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ଏହି କଥିତାମ,  
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ପାଦ ଶତକାଳୀନ;  
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ପାଦକାଳୀନ,  
ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କ ପାଦକାଳୀନ.

ନେଇୟାଙ୍ଗ ଏଥିମାର,  
ଧାରିମାର ତେମିଶିଳ,  
ଶେଷିୟାଙ୍ଗ ସାକ୍ଷିମାର,  
ଧରିଯାଙ୍ଗ ଦୁଃଖିରୀର ତାଙ୍କମାର.

ମିଶନ୍ସାହୀ

ପାରିଷ୍ଠମା ରତ୍ନ ଶୁଦ୍ଧିରୂପେଣ୍ଟକୁ  
ଜୀବନେ ନେ ମନ୍ଦିରିନ୍ଦ୍ରିୟ ମାତ୍ରାକ,  
ଏହି ମଧ୍ୟରେ ଶୁଦ୍ଧିରୂପେଣ୍ଟକୁ  
ପାରିଷ୍ଠମା ରତ୍ନ ଶୁଦ୍ଧିରୂପେଣ୍ଟକୁ

\* \* \*

**მ**იღომში ერთი კაცია,  
უძახიან აკარავსა,  
თავის დღეში ვერ მოაშლის  
უხეირო დაპარავსა.

\* \* \*

მეჯრუსხევო, შემქობილო,  
წინ მინდოოო, უკან ტუეო,  
გოგუების სათამაშო,  
ბიჭებისა სამოთხეო.

ლ. მაისურაძე.

\* \* \*

**ო**აქარია ჩხეიძეო,  
როგორა ხარ ქეითზეო?  
— წითელს დვინოს როდა დაგლებ,  
შაშინ მოგალ ქეითზეო.

\* \* \*

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:  
ალაპი არის რუსეთსა...  
— წასვლა მე არ მეზარება,  
თუ-კმ გავიძლებ მუცელსა.

ს. ვახანში ჩაწ. ზ. არჭევანიძის-მიერ.

\* \* \*

**ც**ანცა დაჩაგრა სიმართლე  
ბოროტ განზრახვით, ხერხითა,

ის კიდეც აღრე ჩავიდა  
ჯოჯოთეთს თავის ფეხითა.

\*

\*      \*

დედა ქნას არ ვგადრუდობთ,  
უველას გვიუგანს ფრანციცელი,  
მაგრამ ვაჲ თუ მის ლეჭვაში  
დაგვავიწყდეს ჩვენ ქართული.

\*

\*      \*

სალხი ბერი იხოცება  
ტანჯითა და წვალებითა,  
მაგრამ ბევრიც იძალება  
სიუგარულის წეალაბითა.

ივანე სულავა.

### თმან ქაჩიშვილი.

(ს. ანაგაში ჩაწერილი.)

**ქ**ს თმანი ქაჩიშვილი \*)  
ტან-წერილი და სულთა არი,  
გაღმა მხარში გემწვია,  
უფირილობას ხოცა ხარი \*\*);

თან-და-თან ქვემით ჩავიდა,  
შეისწავლა ბელექანი;  
ბელექან შამოუარა,  
ბაღჩა ნახა სამალავი.

შვიდი ქამეჩი შეზგერა,  
შვილიგ ზაქიანი არი,

\*) გურჯაანელი ყოფილა.

\*\*) ყვირილობა ენკენისთვეში იციან ირმებმა.

შაბათ წ. სული თშანი,  
პვირა დილას შინავ არა.  
რომანოზ ახმეტელაშვილი.

\* \* \*

შენ დამაქციე, სესიავ,  
შენ წამიუგანე ტყეშია,  
ნადირის ქება მომცეკ  
თეთრობიანის \*) ველშია.  
შენ ბილიკ-ბილიკ წამოხველ,  
შე-კი მსხვილ კაჭას ბშია;  
წინ ტახი შემომეუანა,  
თეთრი იურ და მრეშია.  
თოფი მაგრა დაეჭარე,  
მაგრამ მომიცდა გვესია,  
მობრუნდა და მამამისია  
ამ სისქე ბარძაუებშია.  
თოფი სეზე მივაუდე,  
ჯოხს წამოვავლე სელია;  
ცხრა მთანი გადავიარე,  
ერთიც არ დამიკვნესია.  
მიველ და დედას ვაჩარე,  
ერთიც არ დამიკვნესია;  
მობრუნდა და ასე მითხრა:  
„მონადირისა წესია,  
შენისთანა ბიჭ-ბუჭები  
ტახს ბევრი გაუსრესია“.

მისიე.

\*) ალაზანს გაღმაა.

\* \* \*

**რ**ოცტომ სთქვა: არა სჯობა  
ამ ჩემსა მოგონებასა,  
კაცი თუ მოკგდა — მორჩება  
ჭირხა და დადონებასა.

ირაკლიძა სთქვა:

სანამდის გიუავ ცოცხალი,  
ცხენს ვაჯექ, წავზარ ზღვანიო,  
ახლა თქვენ შეინახევით,  
ქალაჭის მოედანიო.

ს. რუსპირში ჩაწერილი კ. სეჩნიაშვილის-მიერ.



# გიბლიონგრაფია

„საფულისხმიერო ყრმათა“.

რედაქტიამ მიიღო მიხეილ ჩოჩიასაგან ძველი ხელთ-ნაწერი სათაურით: „საგულისხმიერო ყრმათა“. ხელთ-ნაწერი ამ უამაღ ეკუთვნის აბაშას სამკითხველოს. ავტორი და დრო დაწერისა არ არის აღნიშნული, მაგრამ მეოთხე ნაწილის 19 გვერდზე ნათქვამია: „გარნა ჩვენს დღეში ოდეს პონტრასთენი (ბონაპარტე) უნდა ქმნილიყო, ამ ქალაქს (მოსკოვს) რუსებმა ცეცხლი წაუკიდესო“. ცხადია, რომ წიგნი დაწერილია 1812 წლის ახლო ხანებში. დაწერილია წვრილის მხედრულით და ჩასმულია მკვიდრს ყდაში. ხელთ-ნაწერი ესე მხოლოდ მესამე და მეოთხე ნაწილია, სულ 350 გვერდითაბაზის მეოთხედისა, მაშასადამე, უნდა იყოს სადმე კიდევ პირველი და მეორე ნაწილები. საჭიროა ეს ორი წიგნიც მოგვაწოდონ, რომ სრული ცნობა შევაღინოთ ამ შრომაზედ. რა საგნებს შეიცავდა პირველი და მეორე ნაწილები ამ შრომისა არ ვიცით, მესამე ნაწილი-კი შეიცავს მთელის ქვეყნის გეოგრაფიულს აღწერას და იწყება გვართა შესახებ სწავლით. გვარად აქ, გვგონია, „რასა“ (ყავა) იგულისხმება. ამის შესახებ სწავლას ავტორი ასე იწყებს:

„რადგან ყოველი გვარის დასაბამი აღამი არის — ჯერი არის პირველი მამის მოთხრობის ცოდნაო“ (გვ. 1). ამას მოსდევს მოკლე მოთხრობა აღამისა და ჭევას შექმნის და სამოთხეში დაბინავების შესახებ. სამოთხის შესახებ ვკითხულობთ:

„ხოლო სამოთხე იყო ასიაში სასომხეთოს შა, ყული მშვენიერებით მშვენიერი.. ოთხი დიდი მდინარენი იქიდგან

გამოდიოდნენ, ვითარცა ეფრატი, ტიგრისი, გეჰონი, ჭოროლი გა ფისონი. ახლა ჩანს, რომ სამოთხის ბალი უნდა ყოფილიყოს ასრუმისა და ეჩმიაძინის საშუალს აღგილშიო“ (გვ. 2). ნოეს შემდეგ კაცობრიობის გამრავლების შესახებ ავტორი მოგვითხრობს:

„რადგან სამოთხის ბალი სასომხეთოში იყოვო, ასრუმის მხარეს, საიდამაც გამოდიან სამოთხის მდინარე, ადამი რომ გამოვიდა ბალიდგან იმ მხარეს გამრავლდნენ. ეგრეთვე ნოე მამა-მთავარიც სასომხეთოში დაემკვიდრა, არარატის ქვეყანასა და იქ პლი ქალაქი აღაშენა და ჩახიჩვანი დაარქვა, ვითომც პლი სამკვიდრებელი, გა სამყოფელი, ორგორც მოწმობს იოსებ მომთხრობიო“ (გვ. 9).

„ნოეს პირმშო შეილს აბელს შვილნი ჰყავდნენ: გამერ, მაგოგ, მალა, ავან, ელისა, თაბელ, თირასი და მოსლოქი. გამერისაგან იქმნენ თორქომი და აღქანახი. თორქომისაგან იქმნა ჰაიკი და ამისაგან წინ წამოვიდა სომხის გვარი. თორქომის სხეული შეილებისაგან იქმნენ ქართველნი, თურქმენები და სხვაო“ (გვ. 9).

„მაგოგისაგან იქმნენ თათარნი და ჩინურნი და ეს ნათესავნი გამრავლდნენ ასიაში; ამათი ერთი წილიც ევროპაში წავიდნენ და მუნ გამრავლდნენ. მალასაგან იქმნენ (აქ გაშვებულია) და შაკედონელნი, ვითომც ქურთნი და არნაუტნი; ავანისაგან იქმნენ ბერძენნი; მოსლოქისაგან იქმნენ მოსკოვნი გა რუსნი“...

„ხოლო ჰაიკ მამა-მთავარი... თავისი გვარის შემოვლით განძლიერდა და ჩვენც მისი სახელით ჰაი, ვითომ სომეხი დაგვერქვაო“ (გვ. 11). \*) ამას მოჰყვება — „რაც არს სოფელი?“ აქ ავტორი მოგვითხრობს ქვეყნის სარტყლების შესახებ:

„ეს დიდი გუნდი (იგულისხმება լარ्य ვემიი) ხუთ

\*) აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ავტორი ამ ხელთ-ნაწერისა სომეხია.

სარტყელად განიყოფის: ერთი არს დამწერა სარტყელი, რომელსა წა მარატის შზის სიარულითა ფრდ ცხელი იქნება და მუნ დღე და ღამე 22 საათი არის, ორ გზის ზაფხული იქნება და ორ გზის ზამთარი“...

„ორი სიცივაზნი სარტყელნი არიან... ორნი გემრიელნი სარტყელნი არიან, სად ზომიერი არს სიცივე და სიცხე“... შემდეგ აწერილია თითქმის ყოველი ხალხი და სამეფონი, მაგრამ ფრიად მოკლედ, სომხებზედ-კი გაცილებით ვრცლად და თანაგრძნობით ლაპარაკობს; 24 გვერდიდამ 42 გვერდამდის სულ სომხებზეა დაწერილი, ხოლო ქართველებზე სულ მცირესა სწერს და ფრიად ძვირადაც. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით, რაც-კი სწერია ჩვენსა და სომხებზედ: ქართველების შესახებ სწერია ასე (50—51): „ვინ არიან ქართველნი?“

„ესენი არიან ქართველნი, რალნი სასომხეთოს ახლოს მკვიდრობენ, ვიდრე პარსევამდინ და ვიდრე მოსკოვსტანამდინ. ამათში სხვა-და-სხვა გვარნი არიან, როგორც რომ არის იმერეთი და მეგრელი, რომელთ ასტასთ(?) ჩეულებანი აქვსთ და რიგის გარეთ მსახურება — თავიანთ შვილთ გაჰყიდიან თვინიერ სინიდისისა.

ქართველნი ძლიერ მატყუარნი(?) არიან და მატყუარობით(?) თავიანთ სამეფო დაიცვეს, და კერპთ-მსახურების დროდგან მეფობდნენ სომეხთ მთავრობის მორჩილებითა, იმისთვის სომეხთ კერპებს ჰმსახურებდნენ, როგორც რომ სომეხთ მაიმუნი(?) იყვნენ.

ვინაით ქტიანობის დროს წა მესროფმან იმათი წიგნი ჰპოვა და კითხვა ასწავლა. ხე ქტიანობა ნუნე ქალწული-საგან ისწავლეს, რომ წა ჰრიფსიმეს ერთი ამხანაკი იყო, ხე სომეხნი თავიანთ ქათალიკოზს-კი დასვემდნენ.

ბოლოს კივრიონ ქართველთ კათოლიკოსი სტამბოლს წარვიდა, გამოიძია და სცნა, რომ ქალკედონის კრება წა არს, შეიწყნარა, და ქართველთა თანა, ვითომც ბერძენთა

თა შეერთდა, რომლითა სომეხთა გაეყარა, ვიდრე აქამომდე. ბოლოს დროს თავიანთ სამეფო რუსებს მისცეს“.

აი მარტო ეს არის დაწერილი ქართველების შესახებ. მოგვყავს ისიც, რაც სომხებზედ სწერია (24—42 გვ.):

### სადაბ არიან სომეხნა:

სასომხეთელო გვარის მთავარნი არის ჰაიკ მამა-მთავარი აბედის შვილის შვილი, რომელი გოდოლის აღშენების მერმედ რა ლი დაპრუნდა და მოვიდა თავისი ერითურთ სასომხეთოში, და არარატის ქვეყანას ჰპოვა სომეხთ ერი, რომ ნოე მამა-მთავართან იქ იყუნენ დარჩენილნი.

ესენიც სრულიად შეპკრიბნა თავის სახლეულებთან ერთად, შეაერთა, და იქმნა გვარის თავი, და თვისად მპყრობელი. ერის კარგათ შემოვლის მერმედ, შვილთა და შვილთათვის ქალაქნი აღაშენა, და სახელი დაარქვა ჰაიკა-შენი, ვითამც ჰაიკის ნაშენი.

ასირის მეფემან ბელმან, რა ლი ნინუეში იჯდა ეს საქმენი რომ შეიტყო, ომი გაშალა და საშინელი წყვეტა იქმნა. გარნა მენე ჰაიკმან დასუა მტერნი დახოცა ვანის ზღვის ახლოს და მრთელი ჯარი განაბნინა.

(შემდეგი იქნება)



## „ივერიის“ ჩიორას.

გაზეთ „არგონავთი“-საგან ჩვენის უურნალის მოწონება არათრათ ეჭაშნიკა „ივერიის“ სულის ჩამდებულს ჩიორას და მთელი ფელეტონი ააჭრელა ჩვენს წინააღმდეგ. ჩიორა გვიწყრება, როგორ თუ გაბედეთ და „მოგზაურში“ ლასურიძისა და გობეგჩის პოემები დასტამბეთ და მით ჩემს ესტეტიურს გემოვნებას შეურაცხყოფა მიაყენეთო... მაგრამ, რომ დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი ვინმემ ლაყბობად არ ჩამოგვართვას, უმჯობესია შედარებით ვილაპარაკოთ. ჩიორას „ივერია“ რომ „მოგზაურს“ იწუნებს, ლასურიძის და გობეგჩის თხზულებებს რად ჰბეჭდივო (თუმცა ეს ორივე მწერალი თვარი-საჩინო თანამშრომელნი არიან თვით „ივერიისაც“), საინტერესოა ვკითხოთ მას, თვით რაღა ოქრო-მკედით ნაქარგ წერილებს ჰბეჭდავს? ყველამ ვიცით, რომ დღეს „ივერია“ დავარდნილ ცხენსა ით ძლივს-ლა მიათრევს თავისს არსებობის დღეებს, თუმცა სწორედ დღეს უჭირს ქართველ ხალხს ნამდვილი ბედაური. არავისთვის დასამალია, რომ სწორედ იმ დროს, როცა ამდენი საკირ-ბოროტო საკითხები აქვს ჩვენს ხალხს განსამარტი და განსარკვევი, დიალ, სწორედ ამ დროს, „ივერია“, თითქოს ყრუ-მუნჯად დაბადებულაო, ყოველთვის მოკლებულია მეთაურ წერილებს, ამ სულს გაზეთისას. ახალს ამბებს ხომ ნულარ იტყვით: მუდამ სხვა გაზეთებიდამ ამოკრეფილი და ყველასათვის უკვე რამდენიმე დღით წინ გაგონილი და წაკითხული იბეჭდება. ესევე ითქმის ფელეტონებისა და სხვა განყოფილებათა შესახებ, რომლებიც ან ჩიორას მაგვარის წერილებით და ყბად-ასაღები, წყალ-წასაღები ამბებით და უხამსი „წკიპურტებით“ არის აჭრელებული, ან და უმეტეს ნაწილათვე უკვე ცნობილის ამბებით. უცხო ქვეყანათა შესახებ. ეს არის გარეგანი სახე „ივერიისა“.

ახლა გავსინჯოთ მისი სული. ზევითაც ვსთქვით, რომ ჩიორა „ივერიის“ სულის ჩამდგმელია. არც ტყუილია. მთელი ათი და მეტი წელი ჰმართა მან „ივერიის“ საჭე და ამიტომ გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რა სულიერიც ჩიორა ბრჩანდება, იგვე „ივერია“-ა. მთელი ათი წელი და მეტიც „ივერია“ და მისი განუყოფელი ჩიორა სულ იმ გაცვეთილს და ყოველ ჭეშმარიტ და კაცად-კაცურ მწერლების და მწერლისაგან უკუ-გდებულს გზას და კვალს ადგიან, რომელიც ჰქადაგებს: მუშტი, სილა, ქილა მაგათ! ქელვა, ქოლვა, კრულვა მაგათ! ჯაბნა, ძაბნა, გაბნა მაგათ!..

ჰკითხეთ ვისაც გნებავთ, სულ უბრალო მუშა-მკითხველსაც, და თუ ვსტყუვით ამაში, მოდით და მართლაც „ჩაგვა-ქვავეთ“, როგორც ასე რიხიანათ თხოულობს ბ-ნი ჩიორა...

მაგრამ, განა ამაშია მწერლობისა და მისი მსახურის — მწერლის დანიშნულება? განა ეს არის მათი წმიდათა-წმიდა? არა, ბატონებო! საკმაოდ იპარპაშეთ მეცხრამეტე საუკუნეში, აწი კი გეყოფათ!.. დღეს მადლიანი მეოცე საუკუნეა და ამისი მაინც შეირცხვინეთ... დროა შეიგნოთ, რომ სათნოება, ძმობა და ადამიანობაა ჩვენთვის საჭირო და არა ფარისევლური განგაში და დღე-მუდამ უგნური ბლლაზუნი დონ-კიხოტურ წისქვილებთან...


თქვენ (ჩიორა) იწუნებთ ლასურიძის „დავით ალმაშენებელს“ და გობეჩიას „ფარნაოზს“, მაგრამ რა საფუძვლით? მძიმე ენით არის დაწერილი!.. „ვეფხის-ტყაოსანი“-ც მძიმე ენით არის დაწერილი, მისი ბევრი ადგილების და სიტყვების ახსნა-განმარტებისათვის მთელი კომისიებიც მუშაობდა ჩვენში, მაგრამ ვინ იტყვის, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ ამიტომ უვარებისია... კარგს და კეთილს თქვენ მარტო გარეგანს ფორმაში ეძებთ, სიბადრეში, სიმაღლეში, ფრაზებში და იმას-კი აღარ უყურებთ, თუ რამდენი გრძნობაა თხზულებაში ჩაღვრილი, რამდენი სასოებაა გამოხატული პოეტისაგან მის სათაყვანო გმირთადმი!.. თქვენ რომ ცოტაოდნავაც არის გულ-წრფელი გრ-

ძნობის პატრონი ბრძანდებოდეთ, ადვილათ იპოვიდით ლა-სურიძისა და გობეჩისა თხზულებებშიაც იმ უკვდავ სალმრთო გრძნობასა და სულსა, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ მა-თნი შემქნელნი და თვითაც ადვილათ გაიმსჭვალებოდით ამა-ვე სალმრთო გრძნობა-სულითა, მაგრამ ვინ სალმოთო გრძნო-ბა-სული და ვინ ჩათანა!?

თქვენ იწუნებთ „მოგზაურის“ სახალხო ნაწარმოებსაც, მაგრამ, თუმცა ჯერ ერთი წელიწადიც არ არის, რაც „მო-გზაური“ გამოდის, აბა ხელი გულზედ დაიდეთ და პირუ-თვნელად გვითხარით: როდისმე დაბეჭდილა ჩვენს უურნალ-გაზეთებში ისეთი რჩეული სახალხო ნაწარმოებნი, როგორიც „მოგზაურში“ იბეჭდება?

დროა შევიგნოთ, ბატონებო, რომ მწერლობის მთავარი აზრი ცოდნის მოფენაა ხალხში და ამ ცოდნის სიავ-კარგით ხალხის სულისა და გრძნობის აღამიანურად აღზრდა-განვითა-რება და არა ჩიორას „ივერიის“, მსგავსად „გველისა ეკალ-ზედ გადაკიდება“.

ალ. სარაჯიშვილის შესვლით „ივერიის“ რედაქტურაში ჩვენ გვეგონა, რომ „ივერია“ უბირველეს ყოვლისა თავიდამ აიცილებდა იმავ თაობითვე დასაღუპ გზას და ჩიორას, მაგრამ მოვსტუუდით... სჩანს ჯერ კიდევ უნდა მოველოდეთ მესსიის მოსვლას მისთვის!..



# სახალხო ისტორია საქართველოსი.

(შემდეგი \*)

ამისთანა საქუიელისათვის გაურისხდა პრომეთეოსს ღმერთი ზეგნი ¹) და მიჯაჭვა იგი კავკასიის ერთ კლდეზედა ოცდა-ათა ათასი წლითამ. ზევსმა არ იკმარა ესოდენი ტანჯვა და ყიველ მესამე დღეს ფრთა-მძლავრი ძერა ჩამოფრინდებოდა ხოლმე მაღლიდამ, ჩაუყრიდა თავისს ბასრს ბრჭყალებსა ტანჯულ მკერდ-გულში და ნისკარტით ჰგლეჯდა მის ღვიძლსა, რომელიც მესამე დღემდე ისევ გაუმთელდებოდა ხოლმე. პრომეთეოსმა გმირულათ აიტანა ამოდენა ტანჯვა-წვალება მთელი საუკუნოების განმავლობაში და მხოლოდ იმას ჰსწუხდა, რომ ამ წვალებას ის ითმენს კეთილის საქმი-სათვის, და კაცობრიობის გაბედნიერებისათვისა.

ღასასრულ, ზევსმა ინება პრომეთეოსის პატივება და უბრძანა გმირთა-გმირს ჸერაჟლეს, მისულიყო პრომეთეოსთან და მოეკლა გაუმაძლარი ძერა. ჸერაჟლემ სიხარულით შეასრულა ზევსის ბრძანება, მოჰკლა ძერა და პრომეთეოსიც გაანთავისუფლა.

საღამოს, როცა სიბნელემ დაპფარა ქვეყანა, არგონავტების თავს გადაფრინდა ძერა, რომელიც მიისწრაფოდა თავისი მსხვერპლისაკენ. თუმცა ძერა ძლიერ მაღლა იყო, მაინც თავისი მძლავრი ფრთების ქნევით საშინლად არყევდა

\*.) იხ. დამატება „მოგზაურში“, № 4 გვ. 32.

¹) ზევსი იყო ძველის ბერძნების ღმერთი, მზრძანებელი ცისა და ელვა-ქუხილისა.

ხომალდის იალქნებსა, თითქოს ძლიერი ქარი ამოვარდაო. მალე „რგონავტებს მოესმათ ოხერა და საშინელი კვნესა პრო- მეთეოლისა: ეს იყო ნიშანი, რომ ძერა ჰგლეჯდა მის გულ- ლვიძლისა. რამდენიმე ხნის შემდეგ ძერა უკანვე მოფრინავდა იმავე გზით. არგონავტები იმავე ლამეს მივიღნენ იქ, სადაც კოლხიდის მდინარე ფაზისი (ეხლანდელი რიონი) ერთვის ზღვასა. მხიარულად ჩამოუშვეს იალქნები, მოუსვეს ნიჩბებსა და გააჭანეს ხომალდი. მარცხნივ დარჩათ კავკასიის მთები და აეტის სატახტო ქალაქი ეა და მარჯვნით—საღმრთო ჭალა და მინდორი, სადაც საშინელი გველაშაპი დარაჯობდა ოქ- როს საწმისსა. იაზონი წამოდგა ფეხზე, აიღო ხელში წმინდა ლვინით სავსე ოქროს თასი და ლვინო მდინარეში გადალვა- რა. ამ რიგათ იაზონმა შესაწირავი მიართვა დედა-მიწას, ად- გილობრივ ლმერთებსა და განსვენებულ გმირთა სულებსა და შეეველრა მათ არგონავტებისთვის ხელის მომართვაზე. შეწი- რვა რომ გაათავეს, ფრიქსის უფროსი შვილის რჩევით, ხო- მალდი მიაყენეს მდინარის იმ ნაპირთან, სადაც ბლობათ იზრ- დებოდა მაღალი ლერწამი. დააბეს იქ ხომალდი და დაიძინეს. მაგრამ ქილი მათი არ იყო ხანგრძლივი: მოწმენდილს ცაზე მალე გამოჩნდა განთიადი.

ადანენ არგონავტები და გამართეს თათბირი: „მეგობრე- ბო,—უიხრა იაზონმა,—აი, როგორა სჯობს, ჩემის აზრით, რომ მოვიქცეთ. თქვენ დარჩით აქ ხომალდზე; მე წავიყვან თქვენგან ორს კაცსა და ფრიქსის შვილებსა და წავალ აეტ- თან. შეაძლება ნება-ყოფლობით მოგვცეს მან ოქროს საწმი- სი; კეთილის სიტყვით ხშირად უფრო მეტი გარიგდება, ვი- დრე ძაღითა. თვით აეტი არ იყო, რომ ფრიქსი კარგად მი- იღო და ბინა მისცა. უკეთუ ჩემმა თხოვნამ არ გასჭრა და აეტმა გრაიძულა ძალა ვიზმაროთ, მაშინ დავბრუნდები და ერ- თათ ვარ ჩიოთ, როგორ მოვიქცეთო“. ყველანი დაეთანხმნენ იაზონს ამ რჩევაზე და ისიც სწრაფად წავიდა აეტის სასა- ხლისკენ.

არგონავტები მიდიოდნენ აეტის სატახტო ქალაქის ქუ-ჩებში, რომლებიც სავსე იყო ხალხითა. მიუახლოვდნენ სასა-ხლეს და განკუირდნენ მისის სიდიღით და სიმშვენიერით. სასახლის მაღალ კედლების ირგვლივ იდგა მრავალი კოშკი განიერის ალაყაფის კარებითა და რამდენიმე წყება მარმარი-ლოს სვეტებითა. არგონავტები ჩუმათ შევიდნენ სასახლის ეზოში. აქ ნახეს ოთხი შადრევანი, რომლებსაც ჰფარავდა ზშირ-ფურცლოვანი ვაზები. ერთი შადრევნიდგან ამოდიოდა რძე; მეორიდგან — ღვინო; მესამიდგან — სურნელოვანი ზეთი და მეოთხიდგან — წმინდა და ბროლივით ანკარა წყალი, რო-მელიც ზამთრობით თბილი იყო და ზაფხულობით-კი ცივი, როგორც ყინვა. სხვა საკვირველებათა შორის არგონავტებმა ნახეს აქ აეტის ხარები, რომლებსაც თავი და ფეხები სპი-ლენძისა ჰქონდათ და პირიდამ ამოსდიოდათ საშინელი ალი.

სასახლეში იყო ორი დარბაზი: ერთში ცხოვრობდა თვი-თონ აეტი თავისი ცოლითა და მეორეში — მისი ვაჟი, მშვენიერი აფსირტი, აგრეთვე თავისი ცოლითა. ამ დარბაზების გარშე-მო იდგა კიდევ ორი სახლი, რომლებშიაც ცხოვრობდნენ აეტის ორი ქალი: ერთში — ფრიქსის ქვრივი ხალჯიოპი, ხო-ლო მეორეში — გასათხოვარი მედეა. მედეა ყოველ დღე ტა-ძარში დადიოდა და სალამომდე იქა რჩებოდა; მაგრამ იმ დღეს-კი შინ დარჩენილიყო და ტაძარში აღარ წასულიყო. არგონა-ვტები რომ სასახლის ეზოში შევიდნენ, სწორეთ იმ დროს, მედეა თავისი სადგომიდამ გამოვიდა, რომ თავისი და ხალკიოპი ენა-ხა. უცხო არგონავტების დანახვაზე შეშინებულმა მედეამ დაიკივლა. კივილზე ხალკიოპმა და მისმა მოახლეებმა მიატო-ვეს რთვა-ქსოვა და ყველანი გარეთ გამოცვიდნენ. აქ, მო-სულთა შორის, ხალკიოპმა თავისი შვილებიც დაინახა და სი-ხარულით მივარდა მათ და გადაეხვია. გამოვიდა მამა აეტიცა თავისი ცოლითა.

შეიქნა ერთი ამბავი და მზადება სასახლეში: ზოგი მო-სამსახურე ხარსა ჰკლავდა, ზოგი შეშას სჭრიდა და ზოგიც

სტუმრების ფეხის დასაბანად წყალს ათბობდა. დასხდნენ სა-დილზე და გაიმართა ლხინი. აეტმა იკითხა მიზეზი გმირების მოსვლისა და იაზონმა მოახსენა, ორმ ოქროს საწმისის სა-თხოვნელად მოვედითო. აეტმა იფიქრა, რომ იაზონი ცრუ-ობს და ამათი მოსვლის მიზეზი უფრო კოლხიდის დაპყრო-ბის სურვილი იქნებათ და ამიტომ ძლიერ გაჯავრდა, მაგრამ იაზონმა დაარწმუნა, რომ ამათ ოქროს საწმისის მეტი სხვა არაფერი უნდათ. აეტი დამშვიდდა, მაგრამ ოქროს საწმისი ნებით მაინც არ მისცა. „რიგი არისო, — უთხრა აეტმა ია-ზონს, რომ კაცმა მხოლოდ თავისს მჯობნს ან ტოლს დაუ-თმოს რამეო; ამიტომ, თუ გინდა წაიღო რისთვისაც მო-სულხარ, ეცადე შეასრულო ის საქმე, რასაც მე ყოველ-დღე ჩემის ხელით ვაკეთებო. ეს საქმე მე ვერავისთვის მიმინდვია, რაღაც ძლიერ საშიში არისო. არეის მინდორზე სძოვს ბა-ლახს ორი სპილენძ-ჩლიქებიანი ხარი, რომლებსაც ნესტოე-ბიდგან ალი ამოსდით. ამ ხარებით მე ვხნავ იმ მინდორსა და ვთესავ პურის თესლს-კი არა, გველაშაპის კბილებსა. ამ და-თესილზე ამოდიან აბჯრასანდ <sup>2)</sup> გმირები, რომლებიც თავს მესხმიან ხოლმე და მევე ვხოცავ მათ ლახვარითა. თუ ამ სა-ქმეს შეასრულებ შენ, ოქროს საწმისიც შენი იქნება, თუ არა და შენ იმისი ლირსი არ ყოფილხარ და ჩემის სამეფოდამაც უნდა გამეცალოო“.

იაზონი მიხვდა, რომ ეს საქმე დიდად საშიში იყო, მა-გრამ მეტი ლონე არ ჰქონდა და აეტის სიტყვაზე დათანხმდა. ლხინს რომ მორჩნენ, იაზონი ამხანაგებთან წამოვიდა. მედეა-კი თვალს არ აშორებდა ამ უცხო-ქვეყნელსა, რომლის სი-ყვარული გულში ჩავარდნოდა. სწორეთ ამ დროს, ხალკიო-პის შვილმა ურჩია არგონავტებსა, რომ თქვენ თვითონ ნუ-რას მოიმოქმედებთ ამ საქმეში და მე დედა-ჩემს ვათხოვნინებ მედეასთვის, რომ მან იაზონს შემწეობა აღმოუჩინოს და და-

<sup>2)</sup> აბჯრასანი—აბჯრით მოსილი; ხოლო თვითონ აბჯარი ყოველ-გვარი საომარი იარალია, ან ტანზედ ჩასაცმელი ჯაჭვი.

იხსნას იმ უბედურობისაგან, რომელიც მას მოელისო. თუ შედეა დაგვეხმარა, ჩვენ აღარაფერი გვიშავსო. მოვიდა მედე-ასთან ხალკიოპი და სთხოვა იაზონის დახსნა წინ-მდებარე უბედურებისაგან. მედეას ესიამოვნა ასეთი თხოვნა და შეპ-პირდა დას, რომ იაზონს დავიხსნო, ისეთ რამეს ვასწავლი, რომ სულ ადვილად დაიმორჩილოს ხარებიო. მხოლოდ საი-დუმლოდ შეინახე ეს ამბავი, რომ დედ-მამამ არ გაგვი-გოსო.

ხალკიოპი წავიდა შინ. მედეა მარტო დარჩა და მთელი ღამე ვერ დაიძინა. მის დაღონებულ გულში იბრძოდა სხვა-და-სხვა გრძნობა: ხან გადასწყვეტდა, რომ უცხოელ გმირს გადავარჩენო და ხან იფიქრებდა—ახლავე მოვიკლავ თავს, რომ სამშობლოსი და მშობლების წინააღმდეგი არ გავხდეო. აი გააღო კიდევ ყუთი, რომელშიაც შენახული ჰქონდა სხვა-და-სხვა წამლები და საწამლავები; ამოილო იქიდამ საშინელი საწამლავი და უნდოდა დაელია, მაგრამ ამ დროს სიცოცხლის სურვილი გაეღვიძა, მოაგონდა ყმაწვილობის ნეტარი დროე-ბა და ტოლები, რომლებთანაც ყმაწვილობაში ერთად თამა-შობდა. სიცოცხლე ისე ტებილი ეჩვენა ახლა, როგორიც არასოდეს არ სჩვენებია და სიკვდილისა ძლიერ შეეშინდა. სიცოცხლის სურვილმა შეაცვლევინა გადასწყვეტილება და გადასწყვიტა იაზონის დახსნა, რისთვისაც მოუთმენლად მოე-ლოდა გათენებასა...

მეორე დღეს, დილა-ადრიანათ, ამოილო მედეამ ყუთი-დგან ეგრედ წოდებული ჰრომეთეჭსის წამალი და უბეში შეინახა. ეს ისეთი შესანიშნავი წამალი იყო, რომ ვინც იმას ტანზედ წაისვამდა, მას იმ დღეს ვერ ავნებდა ვერც რკინა, ვერც ცეცხლი და ვერც რომელიმე მტერი. ასეთი წამალი კეთდებოდა ერთის მცენარის ძირის შავი წვენიდამ. ეს მცე-ნარე მოდიოდა კავკასიის მთებში, საღაც მიჯაჭვული იყო პრომეთეოსი და იზრდებოდა მის დაგლეჯილ გულ-ლვიძლი-დამ დანთხეულ სისხლზედა. მედეა ბნელ ღამეებში აგროვებდა

ხოლმე ამ მცენარის წვენსა. მედეა წავიდა ტაძარში. იქვე მოვიდა იაზონიცა. მედეამ გადასცა იაზონს წამალი და უთხრა: „ხვალ დილაზე წაისვი ეს წამალი მთელს ტანზე და აგრეთვე წაუსვი იგი შენს ყველა იარაღსა. მაშინვე იგრძნობ უზომო ძალასა და ველარას გავნებენ ვერც ის გმირები, რომელნიც გველაშაპის კბილებიდან მიწიდგან ამოვლენ და ვერც ცეცხლ-მფრქვეველი ხარებიო. იაზონმა სისწორით შეასრულა მედეას რჩევა და მართლაც გაიმარჯვა იმ საქმეში, რომელიც მას აეტმა დაავალა.

დალონდა აეტი. მოიხმო დიდებული კოლხიდელები და მთელი დამე თათბირი ჰქონდა მათთან იმის თაობაზე, თუ როგორ მოვახერხოთ, რომ არგონავტებს ოქროს საწმისი არ მივსცეთ და როგორ დავლუპოთ ისინი და ჩემი ქალი, რომელმაც ასე ურცხვად მიღალატა მშობელს მამას და უცხოელებს მიუდგაო. შეიტყო მედეამ ეს ამბავი და იმავ ღამეს მივიდა არგონავტებთან ხომალდზე და უამბო იაზონს ყოველი. იაზონმა მისცა ფიცი, რომ სირცხვილს არ გაჭმევ და ცოლად შეგიყვან ჩემს სახლში, უკეთუ მიშველი ოქროს საწმისის მოტაცებასაც და სამშობლოში ღაბრუნებასაო. მაშინ მედეამ საჩქაროდ წაიყვანა იგი საღმრთო ჭალაში, ჯერ გველაშაპი დააუძლურა შელოცვითა და მერე რამდენიმე წვეთი რაღაცა წამალი შეასხა თვალებში და სულ დააძინა. მივიდა იაზონი, ჩამოილო ხიდამ ოქროს საწმისი და გასწია მედეასთან ერთად ხომალდისაკენ. არგონავტებმა საჩქაროთ აუშვეს ხომალდი და სიხარულით გაუდგნენ საბერძნეთის გზასა.

შეიტყო ეს აეტმა, განძვინდა და საჩქაროდ დაადევნა გაიძვერა არგონავტებს თავისი ერთგული კოლხიდელები, რომელთაც გამოუცხადა, რომ, უკეთუ ჩემი მოღალატე ქალი უკან არ მოგიყვანიათ, ყველას თავებს დაგაყრევინებთო. კოლხიდელები არგონავტებს ვერ მიეწივნენ და აღარც შინ ღაბრუნდნენ აეტის შიშითა, ამიტომ გადავიდნენ კოლხიდის საზღვარსა და უცხო ქვეყნებში დაიფანტნენ...

არგონავტების ამ მოგზაურობის აღწერილამ ნათლადა  
სჩანს, რომ მაშინდელი ქართველები გაცილებით უფრო მა-  
ლლა მდგარან ბერძნებზე, როგორც სიმდიდრითა, ისე სწა-  
ვლა-განათლებითა და ხელოვნებით, ასე რომ, მხოლოდ მოხ-  
სენებულის გაიძვერაობის და მოტყუების შემწეობით შეიძლეს  
მათ კოლხიდის კეთილი და სტუმართ-მოყვარე მეფის დამარ-  
ცხება და შეურაცხება...

ქსენოფონტეს წინამდლოლობით 10,000 ბერძნის ჯა-  
რის გამოვლა ჩვენს ქვეყანაზედ, 450 წლებში ქრისტეს  
შობამდე.

ძველის ბერძნების მწერალი ქსენოფონტე ცხოვრებდა  
431—354 წლებში ქრისტეს შობამდე. სხვა ბერძნებთან ერ-  
თად ის მსახურებდა სპარსეთის მეფესთან და როცა სპარსე-  
ლებმა ლალატით ამოხოცეს მრავალი ბერძენი, ქსენოფონტე  
გაუხდა წინამდლოლი გადარჩენილ 10,000 ბერძნის ჯარს  
და წამოიყვანა ისინი სამშობლოში—საბერძნეთში. აი ამ  
ღრმას, როცა ქსენოფონტე შინ ბრუნდებოდა, გზად ჩვენს  
ქვეყანაზედ—დასავლეთის საქართველოს ნაწილზე—გამოიარა  
და მაშინ დასწერა, რაც რომ ნახა. აი ო გვარად აღწერავს  
ქსენოფონტე ამ მოგზაურობას ჩვენს ქვეყანაში:

„ჩვენ მივუახლოვდით ფაზასას <sup>3)</sup> მდინარესაო. აქედამ  
ორს დღეში გავიარეთ ორმოც ვერსამდე და მთაზე შეევხდნენ  
ხალიბები, ტაოჭები და ფაზანებით <sup>4)</sup>, რომელთაც გზა დაე-

<sup>3)</sup> ფაზისად უწინ უწოდებდნენ რიონსაც, ჭოროხსაც და ზოგჯერ  
ყვირილასაც (რიონის მარცენა ტოტსა). აქ ქსენოფონტეს მოგზაურობაში  
მოხსენებული ფაზისი მდინარე ჭოროხია, ბათუმის მხარეში.

<sup>4)</sup> ტაოჭები ანუ ტაოს-კარის მცხოვრებლები და ფაზია-  
ნები ანუ ბასიანის მცხოვრებნი იყვნენ მდინარე ჭოროხის სათა-  
ვეში მცხოვრებნი.

ჭირათ მთაზე და არ გვიშვებდნენ მთას იქით მღებარე ვაკი-  
საკენ. ჩვენ რამდენიმე მათგანი მოვკალით და მრავალი ჭა-  
რა <sup>5)</sup> წავართვითო. მერმე ღმერთებს შესაწირავი მივართვით,  
გამარჯვების ნიშნები ავმართეთ და გადავედით ვაკეზე მდება-  
რე სოფლებშიო, სადაც საჭმელ-სასმელი უხვად ვიშოვეთო.

### ტაოქები.

აქედამ გავიარეთ ხუთს დღეში 130 ვერსამდე და შივე-  
დით ტაოქების ქვეყანაში, სადაც სასმელ-საჭმელი შემოგვა-  
კლდა და ვერსად ვშოულობდით, რადგან ტაოქელები შეხი-  
ზნულიყვნენ მიუწდომელს ადგილებში და თან წაელოთ, რაც  
რამ გააჩნდათ. როცა ბერძნები მიუახლოვდნენ ერთს კლდეს,  
სადაც გამოქვაბულში რამდენიმე ტაოქს თავისი საქონლით თავი  
შეეფარა, იერიშით ერთბაშად ვერ აიღეს, რადგანაც ტაოქელები  
დიღრონ ქვებს აგორებდნენ და ვინც კლდეზე აღიოდა, იმით  
ძირს აგდებდნენ. ბოლოს ბერძნები მაინც ავიღნენ კლდეზე  
და ტაოქელებმაც ქვის სროლას თავი დაანებეს. მაშინ გამო-  
ჩნდა საშინელი სანახავი: ქალები და კაცები ისვრიდნენ ძირს  
თავიანთ შვილებსა და თვითონაც თან ცვივდებოდნენ. ერთს  
ბერძნენს მოეწონა ერთის ტაოქელის ტანისამოსი და მოინდო-  
მა იმისი დაჭერა, მაგრამ ტაოქელმა გადასძლია ის და ორი-  
ვენი ერთად გადიჩეხნენ უფსკრულში. ბერძნებმა ტყვენი მცი-  
რედ შეიპყრეს, მაგრამ საქონელი-კი ბევრი იშოვნესო.

### ხალიბები <sup>6)</sup>

აქედამ ჩვენ გავიარეთ შვიდ დღეში ორას ვერსამდე და  
შევედით ხალიბების ქვეყანაშიო. ხალიბები ყველაზე მამუნი

<sup>5)</sup> ფარი—მრგვალი ფიცარია ლითონისა ანუ სხვა რისამე, წინ ასა-  
ფარებლად ბრძოლაში.

<sup>6)</sup> ხალიბები—ქართველთ მონათესავე ხალხი იყო, უკეთესის  
სპილენძისა და ფოლადის ნივთების მკეთებელი.

არიან ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ხალიბებს ტანთ ეცვათ სელის კურტაკი, გრეხილებით გაწყობილი და წვივებზე — პაჭიჭები; თავზე ეხურათ **მუზაფადი**<sup>7)</sup> და წელზე ეკიდათ პატარა ხანჯალი. შუბები მათი თითქმის ცხრა არშინის სიგრძისა იყო და მხოლოდ წვერში ჰქონდა რკინაო. როცა მტერს მოჰკლავდნენ, მაშინვე თავს მოსჭრიდნენ, წამოაცმევდნენ შუბზე სხვების საჩვენებლად და თან მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ხალიბები თავისს სოფლებიდამ არ გამოდიოდნენ და როცა ბერძნების ჯარი შევიდა მათს ქვეყანაში, უკან გამოედევნენ და შეებნენ. რადგან ხალიბები ცხოვრობდნენ მიუვალ ალაგას და იქვე ჰქონდათ ყოველივე სურსათი, ამიტომ ბერძნებმა ვერაფერი საჭმელი ვერ იშოვნეს და იძულებული იყვნენ გამოეზოგნათ ის სურსათი, რომელიც იშოვნეს ტაოქების სოფლებში.

### ს პ გ ი თ ი ნ ე ბ ი.

აქედამ ბერძნებმა ოთხს დღეში გაიარეს ას ვერსამდის და მივიდნენ სკვითინების ქვეყანაში, სადაც სამი დღე დარჩნენ და საგზალი იშოვნეს. ოთხს დღეში კი დევ გაიარეს ას ვერსამდის და მიუახლოვდნენ **გიმნასი** ქალაქსა, ძლიერ გაშენებულსა და მდიდარსა. ამ ქალაქის მბრძანებლებმა გამოუგზავნეს ბერძნებს ეტიპი (გზის მცირე). ამან უთხრა ბერუგზავნეს ბერძნებს ეტიპი (გზის მცირე). ამან უთხრა ბერძნებსა: თუ ხუთს დღეში ზღვა არ დაგანახვოთო, თავი მოაძნებსა: მეტად დღეზე ბერძნები მართლა მიუახლოვდნენ მჭერითო. მეტად დღეზე ბერძნები მართლა მიუახლოვდნენ მთას. როგორც კი ავიდნენ ამ მთის წვერზედა, ზღვა დაინახეს და დიდი სიხარული შეუდგათ: „ზღვა, ზღვაო“.

### მ ა კ რ თ ნ ე ბ ი <sup>8)</sup>

აქედამ სამს დღეში გაიარეს 45 ვერსამდის და შევიდნენ

7) მუზარადი—რკინის ქუდი.

8) მაკრონები—იგივე მოსხები ანუ მესხები.

მაკრთხების ქვეყანაში, სადაც მაშინვე გამოჩნდნენ საომრად შეიარაღებული მაკრონები თავისი შუბებით, წკნელის ფარებით და ნაბღის სამკერდულებით. ისინი ყვირილით ერთმანერთს აქვთ ბლენდნენ და ბერძნებისაკენ ქვებს ისროდნენ, მაგრამ ქვა ბერძნებს არა სწვდებოდა და ამიტომ არც არა ევნოთა. ამ დროს წამოდგა ბერძნების ჯარიდამ ერთი ჯარის-კაცი, რომელსაც ქალაქ ათინაში (საბერძნეთშია) ემსახურნა, და მოახსენა ქსენოფონტეს, რომ ეს ქვეყანა, მგონი, ჩემი სამშობლოა, რაღგან ამ ხალხის ენა მესმისო და ითხოვა ნებართვა გამოლაპარაკებისა. ამ ჯარის-კაცმა ქსენოფონტეს ბრძანებით ჰკითხა მაკრონებს: „ვინა ხართ და რათ ეწინააღმდეგებით ბერძნებსაო?“ იმათ უპასუხეს: „ჩვენ მაკრონები ვართო და არ გვინდა მტერი შემოვუშვათ ჩვენს ქვეყანაშიო“. ამაზე ბერძნებმა უპასუხეს, რომ ჩვენ საბერძნეთში ვბრუნდებით შავის ზღვითა და სრულებით აზრათაც არა გვაქვს თქვენი ვნებაო. მაშინვე შერიგდნენ და კავშირი შეჰკრეს, რის ნიშნადაც ადგილობრივის ჩვეულებისამებრ ერთმანეთს შუბები შეუცვალეს და ღმერთები იმოწმეს. მას მერე მაკრონებმა გზა დაუცალეს ბერძნებსა, საგზალი მოუტანეს და სამს დღეში მიაცილეს კოლხიდის მთებამდე.

### კოლხიდები.

აქ მთაზე დარაზმულიყვნენ კოლხიდებები. ბერძნებმა აიღეს ეს მთა და დაბანაკდნენ გადაღმა სოფლებში, სადაც ყოველ-გვარი სურსათი ბლომად იშოვეს. აქ ერთი დასალონებელი ამბავი შეემთხვათ: ბერძნებმა დაინახეს სკები და დაიწყეს ხარბად თაფლის ჭამა; რომ გაათავეს, აუტყდათ პირიდამ საქმობა და სიფაღარათე და ბოდვაც დაემართათ, ასე რომ ვინც ნაკლებად ავად გახდა, ის მთვრალს დაემსგავსა და უფრო ძლიერ ავადმყოფი-კი—გახელებულს და მომაკვდავს. მეორე დღეს, სწორეთ იმ საათზე, რა საათზედაც წინა დღით

ავად გახდნენ, გონს მოვიდნენ და მესამე და მეოთხე დღეზე ფეხზედაც წამოდგნენ, მაგრამ ისე დასუსტებულიყვნენ, რომ თითქოს დიდი ავადმყოფობა გამოუვლიათო.

აქედამ ორს დღეში ბერძნებმა გაიარეს 30 ვერსამდე და მიუახლოვდნენ ქალაქ ტრაპიზონსა, რომელიც სინაპედა<sup>9)</sup> ბერძნების ახალ შენიაო და მდებარეობს შავის ზღვის პირად, კოლხიდაში. აქ ბერძნები დარჩნენ ერთ თვემდის კოლხიდელების სოფლებში და სურსათი მოპქონდათ ტრაპიზონელებისაგან, რომელიც უგზავნიდნენ ძლვნად: ხარებს; ფქვილს და ლვინოს. ტრაპიზონელებმა სთხოვეს ბერძნებსა პატიება თავიანთ მეზობელ კოლხიდელებისა, განსაკუთრებით ბარად მცხოვრება. ამიტომ ამათ ბერძნებს ხარები აჩუქეს.

### მოსინ ეკები.

აქედამ ბერძნები მიუახლოვდნენ მთსინეკების საზღვარს და გაუგზავნეს იმათი მეგობარი ტიმოსითე ტრაპიზონედი იმის შესატყობლად, თუ როგორ მიიღებდნენ ისინი ბერძნებისა—მეგობრულად, თუ მტრულად? მოსინეკები თავიანთი ციხე-სიმაგრეების მოიმედენი იყვნენ და პასუხად შემოუთვალეს ბერძნებსა, რომ ჩვენ გზას არ მოგცემთო. ტიმოსითემ უამბო ბერძნებს, რომ ამ მოსინეკებს, გადაღმა მცხოვრები მოსინეკები მტრობენო. ამიტომ, ახლა გადაღმა მცხოვრებ მოსინეკები გაგზავნეს ბერძნებმა ტიმოსითე კავშირის შესაკრავად. მართლაც, ტიმოსითე მალე დაბრუნდა და თან მოპყვნენ მოსინეკების თავი კაცები. როცა შეიკრიბნენ ბერძნების მოსინეკების თავი კაცები, ქსენოფონტემ უთხრა მობის და მოსინეკების თავი კაცები, ქსენოფონტემ უთხრა მოსინეკებს: „მოსინეკებო! ჩვენ გვსურს წავიდეთ საბერძნეთს ხმელეთით, რადგან ხომალდები არა გვაქვს. აქეთური მოსი-

<sup>9)</sup> სინოპი — ქალაქია შავის ზღვის პირად, ტრაპიზონს იქით, დასავლით. საინტერესო ცნობაა: კოლხიდა მაშინ ტრაპიზონამდის აღწევდა.

ნეკები, რომელნიც, როგორც გავიგე, თქვენი მტრები ყოფილან, არ გვიშვებენ. ამიტომ, თუ ისურვებთ, შეგიძლიანთ მოგვეხმაროთ და ჩვენის შემწეობით გადაუხადოთ სამაგიერო; თუ ამ პირობაზე არ დათანხმდებით, იცოდეთ, რომ მეორედ არ გექმნებათ შემთხვევა ამისთანა დიდი ჯარი იშოვოთ შემწედ”.

ამაზედ მოსინეკების უფროსმა წინამძღვალმა უპასუხა, რომ ჩვენც მსურველნი ვართ ამ კავშირისა და მოსინეკებსაც მოსწონთ ეს წინადადებაო.— „მაშ კარგიო, მიუგო ქსენოფონტემ, აგვიხსენით, რაში უნდა დაგეხმაროთ, როცა თქვენი მოკავშირები გავხდებით და თქვენ როგორ შეგვეწევით, რომ იმათი ქვეყანა გზად გავიაროთო“. მოსინეკებმა უპასუხეს: „ჩვენ შეგვიძლია მეორე მხრით დავეცეთ ჩვენს და თქვენს მტრებსა და აქ გამოგიგზავნოთ ნავები და კაცები, რომელნიც თქვენთან ერთად იომებენ და გზას გიჩვენებენო“. ამის შემდეგ ორივე მხარემ ერთმანერთს მეგობრობის საწინდარი მისცეს. მოსინეკები დაბრუნდნენ შინ და მოვიდნენ მეორე დღეს სამასა ნაგათ; თითო ნავში, მთლიან ხილან გათლილში, იჯდა სამ-სამი კაცი; ორ-ორი მათგანი, საომრად მომზადებული, ნაპირზე გამოვიდნენ, ხოლო დანარჩენებმა ნავები უკან წაიყვანეს. საომრად გამოსული მოსინეკები ორ წყებად დარაზმდნენ ერთი მეორის პირ-და-პირ; დაიწყეს თავისებური სიმღერა და ცეკვა, და ამ რიგად ჩაიარეს ბერძნების რაზმი.

მარცხენა ხელში ეჭირათ ძვლის ფარი, თეთრის ბეწვიანის ხარის ტყავით გაკრული და მარჯვენა ხელში—შუბი, სიგრძით ეჭვს წერთამდე<sup>10)</sup>; შუბის წვერი რკინისა იყო და ტარს ბოლო რგვალი ჰქონდა. ტანზე ეცვათ სქელი ნაქსოვი პერანგები, რომლებიც მუხლებამდე სწვდებოდათ; თავზე ეხურათ ტყავის მუზარადი, რომლის ზემოდამაც ამართული

<sup>10)</sup> წყრთა—ზომაა, იდაყვიდამ თითების წვერამდინ.

ჰქონდათ გვირგვინის მსგავსად ფაფარის ნაწნავი; ამას გარდა იარაღად ჰქონდათ რკინის ცულები.

მოსინეკები ცეკვით და სიმღერით მისცვივდნენ იმ ადგილს, რომელიც იყო დედა-ქალაქის წინა-უბანი. ამ ქალაქში იყო მოსინეკების უმთავრესი ციხე-სიმაგრე, პირველი მიზეზი განხეთქილებისა; ვინც იმას დაიჭირდა, ის იქნებოდა მთელის იმ ქვეყნის მფლობელი. ბერძნების მოკავშირენი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი უსაფუძვლოდ ჰქონდენ ციხესა, რადგან ის საზოგადოთ მთელს ჩვენს ქვეყანას ეკუთვნისო.

პირველ შეტევაზე ციხეში მყოფმა მოსინეკებმა სძლიეს. მრავალი მოკავშირე მოსინეკი მოიკლა და აგრეთვე რამდენიმე ბერძენი. გამარჯვებულმა მოსინეკებმა მკვდრებს თავები დასჭრეს და თავიანთ მოწინააღმდეგე მოსინეკებს და ბერძნებს დაანახვეს ცეკვითა და სიმღერითა. მეორე დღეს ბერძნებს და იმათ მოკავშირეებს ბედი ეწიათ: აიღეს ქალაქი და ცეცხლი წაუკიდეს. ამ ქვეყნის მეფე იმურ უბოდა ხის კოშკში, რომელიც მთის წვერზე იყო აშენებული; მეფეს აქ ჰქონდნენ საზოგადო ხარჯითა და საკუთრად მიჩნილი მცველები ემსახურებოდნენ. მეფემ უარ-ჰყო კოშკის დატოვება და ცეცხლში დაიწვა. აგრეთვე დაიწვნენ ყველა ისინი, ვინც კოშკს იცავდნენ.

ბერძნებმა ქალაქი აიკლეს: სახლებში იპოვნეს დიდ-ძალი ძველი პური. ეს პური შენახული ჰქონდათ სარდაფებში, რომლებიც მათ მამა-პაპათ აუშენებიათ, როგორც თვითონ მოსინეკები ამბობდნენ. ამას გარდა ნახეს ახალი პურის ძნები და თიხის ქვევრები დამარილებულის ზღვის-ლორის (დელფინის) ქონით, რომელსაც მოსინეკები ზეითუნის ზეთის მაგიერ ხმარობდნენ. ბელლებში შენახული ჰქონდათ აგრეოვე ბევრი წაბლი, რომელსაც მოსინეკები მოხარულს სჭამენ. იქ ღვინოც არის, მაგრამ უწყლოდ სასმელად მწკლარტეა და წყლით-კი გემოიანი და სურნელოვანია.

გადასცეს-რა ციხე თავისს მოკავშირეებს, ბერძნებმა განაგრძეს მოგზაურობა. გზაზე შეხვდათ მოწინააღმდეგეთა ქალაქები, რომელთა შორის ზოგი უკვე დაცარიელებულიყო და ზოგი თავისით დანებდა. უმეტესი ნაწილი ქალაქებისა ერთი-მეორეზე რვა თუ თორმეტი ვერსის სიშორეზე მდებარეობდა. როდესაც ერთი ციხიდან მეორეში რაიმე უნდა აცნობონ, ერთმანერთს გაჰკივიან და ხმას აძლევენ: ასე მაღალ-მთიანია და ხევებით დაყოფილია ეს მხარე.

როცა ბერძნები მივიღნენ მოკავშირე მოსინიკების ქვეყანაში, ნახეს მდიდარი მოსინიკების ბავშვები, რომელნიც ვამოკვებულნი იყვნენ მოხარულის წაბლითა. სიმსუქნის გამო ეს ყმაწვილები დამრგვალებულიყვნენ და ხორცი თეთრი და ნაზი ჰქონდათ. მოწინააღმდეგე და მოკავშირე მოსინეკების ქვეყნები ბერძნებმა განვლეს შვიდს დღეში.

### ტიბარენები. <sup>11)</sup>

ბერძნები მივიღნენ ტიბარენებს ქვეყანაში. ეს ქვეყანა უფრო ვაკე-მინდვრიანი ქვეყანაა. ტიბარენებმა ბერძნებს ძლვენი მოართვეს და ბერძნებმაც მეგობრულად განვლეს მათი ქვეყანა ორს დღეში და მივიღნენ ქალაქ ჭატიარას, რომელიც იყო სინოპელ ბერძნების ახალ-შენი და მდებარეობდა ტიბარენების ქვეყანაშით.

ვაჭრობა და სწავლა-განათლება ძველს საქართველოში.

საქართველოსკენ მიიზიდავდა ბერძნებსა და სხვა უწინდელ ხალხებსა ის სიმდიდრე, რომელიც ოქროს საწმისში იყო ნაამბობი. კოლხიდიდან გაჰკონდათ ბერძნებს ოქთა, რომელსაც კოლხიდელები პოულობდნენ თავიანთ მდინარეებში, ქაღა, რომელსაც ივერიელები და ალბანელები კავკასიის მთებში სთხრიდნენ; ტევზა და გეორგისფი, რომელიც ორივე ერთად მოიპოვებოდა ბევრგან კავკასიის მთებშივე.

<sup>11)</sup> ტიბარენები—იგივე თუბალები ანუ ტუბალები.

კოლხიდიდამ გაპერნდათ აგრეთვე ლითონის სხეა-და-  
სხეა ნიგოულიდა, რომელსაც ხალიბები აკეთებდნენ თავიანთ  
მთებში და რომლის გამო მათი სახელი იმ დროდამ მთელს  
ქვეყანაზედ იყო განთქმული; ბრინჯაო <sup>12)</sup> უმაღლესის ხარი-  
სხისა; ჰკინა ზოდებად <sup>13)</sup> დამზადებული და განსაკუთრებით  
ფოლადი, რომლის გაკეთება არც ერთმა სხეა ერმა ჯერ არ  
იცოდა და რომელსაც ჩვენს ქვეყანაში-კი უხსოვარის დროი-  
დამ აკეთებდნენ.

აგრეთვე დიდი ვაჭრობა ჰქონდათ ფინიკიელებს, ასი-  
რიელებს და სხვებს ხმელეთით თუბალებთან ანუ ტაბარენებ-  
თან და მოსოხებთან ანუ მესხებთან, ე. ი. ისევ ქართველებ-  
თან, რომლებიც უწინდელს დროში მკვიდრობდნენ შორე-  
ულს მცირე-აზიაშიაც-კი. საზოგადოდ უნდა ვსოდვათ, რომ  
მთელი უწინდელი საქართველო, შავსა და კასპიის ზღვებს  
შეუა, წარმოადგენდა მაშინდელს ხალხებისათვის უკეთეს გზას  
და ადგილს მათს შორის სავაჭროდ, რის გამო საქართველო-  
ში ბლომად იყო გამართული სავაჭრო მოედნები და ქარვა-  
სლები, სადაც იყრიბებოდნენ ვაჭრები ქვეყნის ყველა კუთხი-  
დამ. თვით შორეული აღმოსავლეთიდამ საქონელი მიღიოდა  
ევროპაში საქართველოზე, სახელდობრ, კასპიის ზღვით მტკვ-  
რის შესართავამდის და აქედამ მტკვრით და რიონით შავ  
ზღვამდე, საიდამაც გამბედავ მენავეებს გადაჰქონდათ ის ევ-  
როპაში. ასეთი დიდი სავაჭრო მნიშვნელობა საქართველოსი  
იყო მიზეზი, რომ ალექსანდრე დიდის სარდალმა სელევკო ნი-  
კატორმა, რომელიც მისს სიკვდილის შემდეგ გახდა მეფედ თი-  
თქმის მთელის სპარსეთისა და სირიისა (315 — 281 წწ. ქ. წინ),  
განიძრახა შავისა და კასპიის ზღვების შეერთება, რაიცა, რა-  
ღა თქმა უნდა, დიდად გააღვილებდა მაშინდელს აღებ-მიცე-

<sup>12)</sup> ბრინჯაო — ორი წონა სპილენძი და ერთი წონა თუთია, რომ  
ერთად აურიო, გამოვა ყვითელი ლითონი, რომელსაც ეწოდება ბრინჯაო.

<sup>13)</sup> ზოდებად — ე. ი. ერთად შედნობილი.

მობასა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა განეხორციელებინა ეს ჩინებული აზრი.

კოლხიდელები, ე. ი. დასავლეთ საქართველოს ხალხი ძველის-ძველიდვე განათლებულნი ყოფილიან. ბერძნების მწერლები გვარწმუნებენ, რომ რუკების ხატვის ხელოვნება ბერძნებზე გაცილებით უფრო ადრე, ხმარებაში ყოფილა კოლხიდელების მოგზაურ ვაჭრებში. მაგალითად, აპოლონ როდოსელი სწერს, რომ კოლხიდელებს ჯერ კიდევ ძველიდგანვე ჰქონდათ დასწავლილი ზღვებისა და ხმელეთის გზების ფარგლებზე <sup>14)</sup> გამოხატვა თავიანთ სამგზავროთო. ასეთს რუკებს ეწოდებოდა კურტებისით. სწერენ აგრეთვე, რომ კოლხიდის გზების ნაპირას ამართული იყო ქვის დიდრონი სვეტები, რომლებზედაც მგზავრთა საცნობლად წარწერილი იყო, თუ საით რა გზა მიიღიოდა და სად რა თავ-შესაფარი იყო მგზავრთათვის აშენებულიო. საქართველოს მოქალაქობრივი განვითარებითვე აიხსნება ის გარემოება, რომ იმ დროის მთელი საქართველო საესე ყოფილა ციხე-ქალაქებითა, კარგის გზებითა, არხებითა და მდინარეებზე ხიდებითა. უწინდელი მწერლები სწერენ, რომ მარტო ერთ ყვირილაზე (მარცხენა ტოტია რიონისა), ას-ოცი ხიდი იყო გაკეთებულიო. ახლა-კი, რომ დაჰყვე იქაურს გზასა, წამ-და-უწუმ მოგიხდებათ მდინარეში გასვლა, მაგრამ ხიდებით-კი არა, ფონით და ისიც ხშირად ისე, რომ არ იცი, ცოცხალი გახვალი თუ ჩაიხრები შიგა. ყველა ეს გარემოება ცხადად ამტკიცებსო, ამბობს რუსის მწერალი, უსლარი, რომ საქართველოში უწინაც ყოფილა წესიერება და კეთილ-განწყობილება, საერთო ძალით შრომა და მისი სარგებლობის შეგნებაო...

ამავე მოქალაქობრივის განვითარებით, ეჭვი არ არის, აიხსნება ფარნაოზისაგან ერთ-მეტობის დაფუძნება საქართველოში და ჩვენც ახლა ამაზედ გადავიდეთ.

(შემდეგი იქნება)

<sup>14)</sup> ფირფიტა-ზერკული-ფიცარია ხისა, ძვლისა ანუ ქვისა და ლითონისა.

## II

18. სახალხო სიტყვიერება: ისტორიული ლეგენდები  
თამარ მეფეზე, ბ. ებანოიძისა; ხალხური იგავ-არა-  
კნი: კურდლელი და ბაყაყი, აღზევანს წამსვლელი  
მოზვერი, ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის-მიერ; ამ-  
პარტავანი წაბლი—ჩაწერილი ბ. ებანოიძის-მიერ;  
ნაკვესი—მისივე; სახალხო ლექსები . . . . . 899.
19. ბეგლიობრაცია: „საგულიხმიერო ყრმათა“, „ივე-  
რიის“ ჩიორას . . . . . 914.
20. დამატება: სახალხო ისტორია საქართველოსი 33.
-

**Краткое объясненіе рисунковъ и древнихъ надписей и  
др. болѣе важныхъ статей №№ 8 и 9 грузинскаго жур-  
нала „МОГЗАУРИ“.**

	стр.
1. Портретъ преосвященнаго Киріона, епископа Горійскаго . . . . .	731.
2. Дарьяльское ущелье, съ рисун. . . . .	733.
3. Джавахетія съ двумя рисун. . . . .	736.
4. Историческое и географ. опис. Эретіи, Ин- гило Джанашвили . . . . .	740.
5. Гурія, К. Гварамадзе . . . . .	750.
6. Св. Нина (окончаніе) . . . . .	756.
7. Давидъ Всевозобновитель (окончаніе), Ласуридзѣ	771.
8. Русуданъ историч. драма (второе д.) . .	784.
9. Янычаръ, ист. драма (четв. д.), Д. Нахуцри- швили . . . . .	791.
10. Антоній I, католикось-патріархъ, Ф. Жорда- нія. пер. К. Антадзе . . . . .	816.
11. Девять крестовъ, Сельчанина . . . . .	831.
12. Пасха въ деревнѣ (окончаніе), Апр. Меркви- ладзе . . . . .	838.
13. Апокрифъ: Указъ Понтія Пилата, А. Хаханова	845.
14. Зачѣмъ Дударовы наз. „Слоновымъ“, гру- зина въ Осетіи . . . . .	848.
15. Селеніе Іанети, Коста Іанетели . . . . .	852.
16. Соломонъ Леонидзѣ, (продолженіе), І. Мару- шидзѣ . . . . .	858.
17. Константинъ Яковлевичъ Зубаловъ и исторія его рода, З. Ч. . . . .	873.
18. Изъ народной словесности: историч. легенды о ц. Тамарѣ, Народныя басни, пѣсни .	899.
19. <b>Бібліографія</b> . . . . .	914.
20. <b>Приложеніе:</b> Исторія Грузіи . . . . .	33.